

1976/4

ბეჭდვა

061353
2025 0719

10

1976



ქართული
ლიბრეოთეკა



03560 2336023070



ენათობი

საბჭოთავო ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძურნალო

წელიწადი 52-ე

№ 10

ოქტომბერი 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უ ი ნ ა კ რ ს ი

ისტორიის ღიაში საათები (მოწინავე)	3
რამაზ მარგინი — ახალი ლექსები	6
ნიკო კაცხვიანი — კიდევედ დანერგვებიან... მოთხრობა. ვაგრაქლევა	13
ალექსანდრო ბეგაშვილი — ლექსები	23
ბაღა ზაღრაშვილი — ლექსები	28
მინი ბარბაქაძე — მოთხრობები	30
მონღოლ კეზელაშვილი — ლექსები	37
ქუჩი კიქვიშვილი — ზღვა იყო წინააღმდეგე წინარი. ლექსი	33
ნიკოლოზ გაბაშვილი — ანიმაციანი ქალაქი. რომანი. დასასრული	39
თეიმურაზ შამსადიანი — ტრილოგიის და კრამილა. პიესა. დასასრული ინგლისურიდან თარგმანი გივი გაჩეჩილაძემ	93

1876 ივანე ჯავახიშვილი 1976

ბაკი უნიტი — ივანე ჯავახიშვილი	102
სერგო ჯორჯანიანი — კრებული ნაბეჭები დიდ ბუნა	106
სოლომონ ხუციშვილი — ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი	120
ბალაჩანი ითონიშვილი — კარტველი ხალხის უფროსა და კულტურის მკვლევარი	126
ვლადიმერ მგალობლიანი — დიდი ალმანიხის ახლოს	134
ლამარა გომეზიანი — ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საინტერესო-საეთნოგრაფიო საზოგადოება	138

100 დეკ 95კ 100

გიორგი სავარდლიანი — ჩვენი უმცირესი სახე	143
იოსებ ნიჭიშვილი — იაკობ ჯორჯანიანის ხსოვნისათვის	149

კრიტიკა და კვლევითი

ალექსანდრო ქალაშვილი — ვლად ახალ ტალღა	155
ლილია მარბაქიანი — ალექსანდრო, ანთო და იბრაჰიმი	164
სიმონ პრეზიანი — ანთო და იბრაჰიმი საქართველოში	159



წიგნების მიმოხილვა

რ. ზაბატაძის — ახალგაზრდა მწერლისტი — რომანის მხიტი	181
გიორგი შეთაბაური — კომეტის ლიტერატურული წერილები	184
ვიქტორი მახაჩიძე — წიგნი და მკითხველი	187
ჯანსუღ ლომიჯიძის — „მწეველი“	191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

მ. აბაშიძე, რ. ამბუჯაძე (პ/მგ მღვიანის), ხ. ბერუღაძე, მ. გიგინეიშვილი, მ. ლაბაძე, ნ. მარაშვილი, ბ. ძვანგი, ბ. სულაბაძე, ა. ქუთათელი, ხ. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი, ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, მ. მთელი, ბ. ხარაძე, რ. ჯანაშია, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპოვაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 18.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11. პ/მგ. მღვიანის — 98-55-18, განყოფილებები — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად №31/IX-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/X-76 წ. ანაწყობის ზომა 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/4. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდ-საგამომცემლო თაბახი 16,58. უფ. 00177 ტირაჟი 11.650. შეცვ. 2983 სიქ. კპ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ისტორიის დიადი საათები

საფრანგეთის პრეზიდენტმა ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ინტერვიუ მოისმინა, პირველ რიგში აღნიშნა ურთიერთგაგების და ურთიერთნდობის სულისკვეთება ორივე მხრიდან, და შემდეგ დასძინა: „საფრანგეთის ტელევიზიას თავისი გერანი მარტო ფრანგი მაყურებლებისათვის როდი დაუთმია, არამედ სხვებსაც ფართოდ გააცნო ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუ“.

ამრიგად, საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუ აღძრავს საკითხებს, რომლებიც დიდად საინტერესოა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ეს, მართლაც ასეა, მშვიდობა სჭირდება მთელ პლანეტას. „ვანა არის ხალხი, რომელსაც შეიძლება იმის იმედი ჰქონდეს, რომ რაიმეს მოიგებს მსოფლიო ომის გაჩაღებით, რომლის დროსაც მახობრივი მოსპობის თანამედროვე საშუალებებს გამოიყენებენ?... დაძაბულობის შენელება სჭირდება ყველა ქვეყანას, რომელიც ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილეობს და ამიტომ გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დაძაბულობის შენელებისადმი დამოკიდებულება დღეს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკის ფაქტიური კრიტერიუმია, თვითუღი პოლიტიკური მოღვაწის სახეს განსაზღვრავს“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

უკვე კარგა ხანია, რაც მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი მოძრაობის შედეგად ბევრ ადგილას ჯერ გაიბზარა და, ბოლოს, გატყდა, დაიღწა „ცივი ომის“ ყინული. დათბა ჩვენს პლანეტაზე. ჰაერში სულ უფრო და უფრო ამკარად იგრძნობა მშვიდობის დიდი გაზაფხულის სუნთქვა და სუქიანობა. ამიერიდან დაძაბულობის შენელება წამყვანი ტენდენცია გახდა საერთაშორისო ურთიერთობაში. ცის გადაწმენდა და ღრუბლების გაფანტვა მსოფლიოს ცაზე, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება თავისთავად არ მომხდარა, უსრომლად, უპრძოლეულად არ მოსულა. ეს შესძლეს ადამიანებმა დედამიწის ყველა კუთხეში, ეს შესძლო მილიონთა მოძრაობამ, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის დიდებული პროგრამის განსაზოციელებლად. ამ პროგრამის ხორცშესახებულად ბრძოლა თავის ყველაზე სანუკვარ, ღვიძლ საქმედ, თავის გატაცებლად, უწმინდეს მიზნად აქცია მსოფლიოს ყველა პატიოსანმა ადამიანმა, ვინაიდან ეს მთელი კაცობრიობის ბედისათვის ზრუნვაა, ჩვენი პლანეტის გადასარჩენად გაჩაღებული ბრძოლა.

ეს არ იყო და არ არის იოლი საქმე — ეს ფრიად რთული, ფრიად ძნელი სამუშაოა, ვინაიდან მსოფლიოში რეაქციის ბნელ ძალებს ჯერ კიდევ არ დაუყრიათ იარაღი; არიან, და არც ისე ცოტანი არიან ადამიანები, მთელი ჯგუფები, წრეები, პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სიტყვა მშვიდობა ღვთის რისხვად ეჩვენებათ; მშვიდობა მათ ხელს არ აძლევს; არიან ადამიანები, „ვინც „ცივი ომის“, დაძაბულობის დაბრუნებას მოითხოვს; და ასეთი ძალები არიან ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც, სხვა ქვეყნებშიც, (ლ. ი. ბრენევი); ამიტომ საჭიროა ბრძოლა „ცივი ომის“ რეციდივების წინააღმდეგ, დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა ხრიკების აღსაკვეთად, საჭიროა ბრძოლა იმამ-წინააღმდეგე, ვინც ავრცელებს ცილისმწამებლურ ხმებსა და ჭორებს, რათა გათიშონ ქვეყნები და ხალხები ერთიმეორისაგან; მშვიდობის მტრები, ნატოს მუსევურები, კვლავ ამღვრევენ წყალს, ცდილობენ ხელი შეუშალონ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთდაახლოების უაღრესად რეალურ პერსპექტივას, როგორც ევროპის კონტინენტზე, ისე მთლიანად ჩვენს პლანეტაზე.

არ ისვენებენ „ცივი ომის“ მომხრეები, მაგრამ ისინი მიზანს ვეღარ აღწევენ. მსოფლიოს მშვიდობა უნდა და აღარ უნდა იმათი ხმის გაგონება, ვისაც ომი სწყურია და ენატრება. „ცივი ომის“ პროპაგანდისტებს აღარ შესწევთ ძალა უკუღმა შეაბრუნონ და გზა ჩაუბერონ კაცობრიობის ზეაღმავალ ისტორიას.

რაოდენ საამაყო და სასიხარულოა ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთათვის ის ამბავი, რომ სამშვიდობო მოძრაობას სათავეში უდგას ჩვენი დიდი სამშობლო; „ცივი ომიდან“ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება შეამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრენევის დაუცხრომელმა მუშაობამ მთელი წლების მანძილზე, სასახელო თაოსნობამ, უფართოესი მასშტაბების შემოქმედებითა საქმიანობამ, რომელსაც უცხოეთში „საბჭოეთის მშვიდობიანი შეტევა“ უწოდეს.

ამ გარდატეხის და შემობრუნების დიდი ნიშანსებები იყო ამხანაგ ბრენევის ვიზიტები როგორც საფრანგეთში, ისე დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში და აგრეთვე შეხვედრები უკხო სახელმწიფოების მეთაურებთან მოსკოვში. ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა ამ შეხვედრებზე მიღებული შთაბეჭდილება ასე გამოხატა: „ჩვენ ვესწრებოდით იმ დიად წუთებს, როცა კაცობრიობის ისტორია სდგამდა თავის ნაბიჯებს წინ“. კარგად არის ნათქვამი, მაგრამ როგორ სდგამდა ისტორია ამ ნაბიჯებს წინ, ამას ხედავენ არა მარტო იქ დამსწრე ჟურნალისტები, არამედ ყოველი ჩვენგანი, მთელი პლანეტა, რომელიც ისტორიის იმ მაღალ წუთებსა და საათებში თვალებით მიბმული და მიჯაჭვული იყო ტელევიზორების ეკრანებზე.

ამ ვიზიტებსა და შეხვედრებს მოჰყვა ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირი, რომლის შემდეგ, აქ შეუშავებული პრინციპების საფუძველზე, საბჭოთა კავშირმა ბევრი დიდნიშვნელოვანი შეთანხმება დადო თათბირის მონაწილე ქვეყნებთან, კერძოდ საფრანგეთთან.

ფრანგმა პატრიოტმა რაიმონ მარკიემ, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა ასე გამოხატა თავისი შთაბეჭდილებები ლ. ი. ბრენევის სატელევიზიო ინტერვიუს მოსმენის შემდეგ:

„მრავალი მილიონი ფრანგის ოჯახში დღეს, ტელევიზორის ეკრანის მეშვეობით, შეიჭრა სიმართლე, გასაგები, დამაჯერებელი სიმართლე საბჭოთა კავშირისა და მის მშვიდობისმოყვრული პოლიტიკის შესახებ.

მე და ჩემი მეგობრები აღგვაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მკაფით, ადამიანურმა, სადა და გულწრფელმა გამონათქვამებმა.

მე წილად მხვდა პატივი შეხვედროდი ლ. ი. ბრენევს საფრანგეთში მისი ვიზიტის დროს. და აი, ახლა მე თითქმის კვლავ პირადად ვიხილე იგი, მხნე და ხალისიანი, და ძალიან მიხარია ეს“.

ამ გულწრფელი სიტყვებით გამოხატა ფრანგმა პატრიოტმა სიყვარული იმ ადამიანისადმი, რომელიც დაუღალავად, განუწყვეტლივ ზრუნავს საკაცობრიო მშვიდობის განსამტკიცებლად, ატომური ომის საფრთხის აღსაკვეთად; რაიმონ მარკიემ ამით გამოხატა ფიქრები და გრძნობები არა მარტო მშრომელი საფრანგეთისა, არამედ მთე-

ლი მოწინავე კაცობრიობისა — მილიონობით ადამიანისა, რომელნიც იმედის თვალით შექყურებენ საბჭოთა კავშირს — მსოფლიო მშვიდობის უძლეველ ბურჯს.

თავის ინტერვიუში ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნა:

„არცერთ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეს, ჩვენი ჭეჭენის არცერთ ბეჭდვითს ორგანოს არ უკადრებიათ რაიმე მტრული გამობდომა საფრანგეთის, მისი ხალხის და იმათ მიმართ, ვინც მისი სახელით გამოდის. ჩვენ ვუფრთხილდებით საბჭოთა და ფრანგი ხალხების მზარდ მეგობრობასა და თანამშრომლობას, ეს მათი მეტად მნიშვნელოვანი, ერთობლივი კუთვნილებაა. სასურველი იქნებოდა, რომ საფრანგეთშიაც გამოაგლინონ ასეთივე მიდგომა.“

თუ ვილაპარაკებთ ჩვენს მომავალ თანამშრომლობაზე. მთავარია, როგორც მტკიცედ გვწამს, — თანამიმდევრობა, განუხრელი წინსვლა აღმავალი ხაზით“.

დაემათავროთ ფრანგი მხატვრის ანდრე ფუჟერონის სიტყვებით:

„მე ვფიქრობ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ინტერვიუმ გააძლიერა და განამტკიცა მშვიდობის პოზიცია. მე ვისურვებდი ასეთი გადაცემები კვლავაც მოეწყოს, ისინი დიდ სარგებლობას მოუტანს მშვიდობის საქმეს. ფრანგმა ტელემაყურებლებმა ძლიერ ბევრი რამ გაიგეს ამ საღამოს. მე მოხარული ვარ, რომ ჩემს თანამემამულეებს მიუკათ შესაძლებლობა საკუთარი თვლით ენახათ ეკრანზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მოესმინათ მისი სიტყვა“.

ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუ კიდევ ერთი დიადი ისტორიული დოკუმენტია, კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ლენინური მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა, რომელმაც უკვე შესძლო მშვიდობის ძალების უფრო მჭიდროდ დარაზმვა მთელ ჩვენს პლანეტაზე.



რეზაზ მარგვიანი

ახალი ლექსები

პაღატა ჩემი, თეთრი პაღატა...

ისევ პაღატა, თეთრი პაღატა,
სარკმელს მომდგარი
ცხელი ზაფხული.
დღესაც მზემ მწველად შემოანათა
და სიცხისაგან
ვარ დაზაფრული.

ჩემთან მოფრინდა
ჩემი ნიაფი,
შუბლს ფრთა შეახო, ფრთა საამური.
მოულოდნელად
გაჩნდა სიამე,
ოღნავ შენელდა, შეერთა აღმური.

ცხელი ჰაერი
სიომ გაბზარა
და მეც ვიგრძენი შვევა დროებით.

ერთად მოაწყდნენ ღია თანჯარას
სიცხით დამზრალი
ჭადრის რტოები.

მეც შევიშმუშნე,
უცბათ მომესმა
ხმა დაუმცხრალი წვიმის წვეთების
და კვლავ მეწვია,
როგორც ოდესღაც
სიცოცხლის რწმენა და იმედები.

თვალში იმედის შუქი ჩამიდგა,
იმედის შუქმა
ჩამომანათა.

ისევ განათდა ჩემი მაგიდა,
ოცნებით საცხე ჩემი პაღატა.

ქილოუ, მთავანი და „პანაღ“

ქილოუს იმ დამით არ ეძინა,
მასპინძელს, სტუმარსაც
და მთვარის შუქი დაეფინა
პატარა კუმარჩას.

ერცაბუ შორიდან გვიცქერდა
ტოლ-ძმებში ჩამდგარი.
შორს, მაღლა, გაცრეცილ ნისლებთან
მეფობდა ზამთარი.



სიმღერა ზეცისკენ ილტვოდა
ცისფერი ოდიდან —
და მე კი სიმღერა მინდოდა,
„ვარადა“ მყოფნიდა.

გავალე ვეება ფანჯარა,
ტყეიასებრ გავარდა,

სიმღერამ სიბნელე გაბზარა,
გაფრინდა „ვარადა“.

გაფრინდა, მთვარისკენ გასწვია,
ცის ტახტზე დაბრძანდა
და მთვარე ბგერებში არწია
სიმღერამ აფხაზთა.

• • •

ისევ აფხაზთა ხილვა მომინდა —
გუნება მინდა გავიჯანმრთელო!
დავნატრებულვარ, ძმათა, დობილთა,
ვინც ჩემებრ ვერ ძლებს უსაქართველოდ.

ზრდილთა, აფხაზთა პანგი მომწყურდა
და თვალმა ლურჯი რიწა დალანდა.
ცხელი, მცხუნვარე მზე ამოცურდა
და მზემ შეისვა ბეჭზე „ვარადა“.

თეთრმა ვრცასუმ შემომანათა,
პაუ, რამდენი ნისლი იტვირთა!

მთვარით ნაქსოვი სიზმრის კალათა
ზღვაში შეცურდა ჩემი ბიჭვინთა!

ისევ აფხაზთა — ძმათა, დობილთა
ცისარტყელები შემომერკალა
და მულახიდან ჩიტიც მოფრინდა
მალღარის თვალთა ასაკენკავად.

თვალწინ აფხაზთა ფაცხა აენტო —
კეთილი, ნაზი და შეკვამლული
და ნაპერწყვლებმა ჩვენი საერთო
გადაანათეს ზღვა და მამული.

ხუმრობისნაირი

ჩემს ძვირფას მკურნალებს
არა საწუენად, არამედ ხალაღობოდ

ხშირად შემოდის ჩემთან ექთანნი —
ჩემი გულთბილი ზედამხედველი.

ექიმს — ნემსისთვის არ ვემეტები
ხშირად მნახულობს
ტკბილი სწავლული.
სამარადეამოდ
ღვინის წვეთები,
თამბაქოს კვამლი
მაქვს აკრძალული.

მხოლოდ საკუთარ თავზე ვბრახდები
და არაფერზე ვფიქრობ სრულებით,
დატყვევებული
ქველი რაზმელი
საკუთარ ცოლის განკარგულებით.

პალატა ჩემი არის საკანი,
რკინებიანი შეენის ფანჯარა.

გახლავართ
ერთი იმათთაგანი,
ვინაც ციხეში სულაც არ მჯდარა!

მხოლოდ საკუთარ
თავზე ვბრახდები,
დღედ მეჩვენება მყუდრო წუთები.
გამომწყვდეულვარ,
როგორც რაზმელი
და როგორც ძველი ცხრაასხუთელი.

გული მაქვს, როგორც
რკინა — ბეგთარი
და გალიაში ვეღარ ვწერდები.

ნახვის დღედ
კვირა მაქვს არჩეული
და პატიების
არ ვარ მთხოვნელი.

ლხინსა და სუფრას
გადაჩვეული
დიდ ამნისტიას
დღე-ღღე მოველი.



ნუ მიწყენ...

ნუ მიწყენ,
თუ კი ისე ვერა ვთქვი,
როგორც ეს მქონდა
ნაგულისხმები...
თუმც ტანს შემადნა ბევრი პერანგი,
როგორც თეთნულდის კალთებს ნისლეები!

ნუ მიწყენ,
თუკი მზიან ამინდში
ვერ მოვიცალე ამ სიმღერისთვის
და რა ხანია
ასე დამიჩრჩი —
სიტყვა ვერ გითხარ შესაფერისი!

ნუ მიწყენ
თუკი დღესაც ვერა ვთქვი,
ცოტა ხნით ალბათ ვალში დავრჩები

ახლაც გამისხლტა სიტყვა ვერაგი
ათასჯერ ხელში ნათამაშები!

ნუ მიწყენ,
თუკი ჩემი ოცნების
კოშკს ვერ შევუდგი მტკიცე საყრდენი
და ხალხურ სიტყვას
ღვთის ნაბოძები
მართალი აზრი ვერ დავამყენი!

ნუ მიწყენ,
თუკი ჩემი კალამი
არ დამმორჩილდა ამ სიმღერისთვის.
მხოლოდ შენ იცი
და სხვამ არავინ,
თუ რას მიჭადის ჩემი მერმისი!

შენ არაფერი სხვისი არ გინდა...

იქ ნუ გაჩნდები
სადაც არ გინდა,
თორემ გეწვევა
სევდა-ვარამი.
შენ არ გჭირდება
სხვისი მაგიდა,
რად გინდა სხვისი
საწერ-კალამი!
არც სხვის ლოგინზე
თავსასთუმალზე
შეებას არ იგრძნობს
შენი სხეული.
ყურს ნუ ათხოვებ
სიტყვას უნაზესს,
სხვისას გიჯობდეს
ხმა შენეული.

შენი სინათლე
უნდა გეფინოს,
უნდა დაიწვა
სიყვარულისთვის.
ხომ ხედავ, როგორ
ურცხვად ნებივრობს,
სხვის საკარცულში
ბევრი უღირსი!
შენ არაფერი
სხვისი არ გინდა,
თუნდ ღობეც
სხვისი წკნელით დაწული.
სხვისას გერჩიოს
შენი მაგიდა,
შენი კალამი
და საკარცული.

სასუბა შთვარე



სასუბა მთვარე
და მეც სასუბ ვარ
გამოუცნობი
იდუმალუბით.
ამ ვარსკვლავებში
ვპოვე მსგავსება
ოდნავ ნაღვლიან
შენი თვალების.
სასუბა მთვარე,
ტანს ძლივს მიითრევს
და ალბათ ასე
მისთვის ზანტდება.

მწვერვალებიდან
იფერიისკენ
მიიწვევს მისი
გამონათება.
სასუბა მთვარე,
ოდნავ შემკრთალი
ჭალებს ანათებს
და არც ანათებს
და გადაღლილი
ეძებს ჩემსავით
გზებზე დაკარგულ
ძველ მისამართებს.

ღამის ჩანახაში

გრძელ ოწინარზე
ჩამოჟდა მთვარე,
ნელა ჩაცურდა ლიცლიცა ჭაწი
და აჭყუმალდა
პირმოციწინარე,
ციფწყალში — ოქროს უმანკო ბავშვი.

ჭიდან თვალთვალი
დაუწყო ზეცას
და უთვალავი ვარსკვლავი თვალა

მიმოფანტული
ოქროდ და ვერცხლად
ქარგად, კრიალა ზურმუხტის თვალად.
ნემდეგ ჭის კედელს ამოჭყვა ზეციო,
აპაჭუნებდა
მზიარულ თვალებს
და ბოლოს ტახტზე დაბრძანდა ბრძენი,
გაგრილებული, პირსახვებ მთვარე.

გაშინ არ ვიცი...

ფიქრის სათავე
არ გადაღობო,
მუდამ იყავი
მისი ფარეში.
ჭირთა სათმენად
და საღალღობოდ
ინუდის შუკი
გედგას თვალებში.

ფიქრებს რწყვა უნდა,
როგორც ყვავილებს,
თორემ უხმოდ და
ჩემად დაჭკნება.

ყინვას სიმხნევე
აგატანინებს
და სიყვარული
პაპანაქებას.

მაგრამ თუ ხმაში
ბზარი გამოჩნდა,
კალმის სიმძიმე
იგრძნეს ხელებმა!
მაშინ არ ვიცი...
ეს რა წამომცდა...
მაშინ არ ვიცი...
რა მწველებმა!

ბეზარჩენილი ღიუხიდან



ვინ იცის... იქნებ
ყველაფერი კვამლმა დაჰფაროს.
სიმწერის ღიმილი
მომრევია და გულს ვასკდები.
ასე მგონია
ცეცხლში იწვიის მთელი სამყარო
და ნიავეს მიაქვს
სუნთქვა ჩემი უკანასკნელი.

ვინ იცის... იქნებ...
გზას მივიკვლევ გულდამდურული
და აჰა, თითქმის
მოქოთქოთე ზღვასთან მივედი.
შეუბრალებლად
თავს მაცვივად სეტყვად გრუხუნი
და მაინც, მაინც
აჭიატდა საღლაც იმედი!

— შენ რომელი ხარ? —
ვინ შეძახის ან ვინ დამეძებს?
ვისი ხმა მესმის?
ზღვა შეძახის, შავი ქვესკნელი.
ცეცხლის აღმური
მიალერსებს დაღლილ მკლავებზე,
ალბათ ხვალინდელ

გათენებას ვერ მოვესწრები?
ვერძნობ, რომ სიკვდილმა
ულმობელი ცელი ალესა
და საცა არის
შელამების ბინდში იწვილებს.
შავი ზღვის პირას
ამ მსურვალე ენი-კალესთან
მე სამუდამო
შელამების მსუსხავს სიცივე!

ბნელში ჩემივე
საფეთქლების მესმის ჩურჩული,
ღველფად ქცეულა
ძელმიწური კვამლში ჩანთქმული.
ზღვა კი ბობოქრობს
და შიშინებს შავი ურჩხული
აზოლებული
ყუმბარებით ფაშვგაფატრული...

ვინ არის იგი?
ვინ შეძახის, გულს ვინ მიმშვიდებს?
სიმწერის ღიმილი
მომრევია და გულს ვასკდები!
— გაუძელ, ახლოს
იმედივით ნავი ტივტივებს
და ნიავეს მიაქვს
ჩემი სუნთქვა უკანასკნელი.

მორეა ღმსი ბეზარჩენილი ღიუხიდან

ჩიტს, რომელიც ჩვენს ბორანს გამოჰყვა

არავინ გერჩის,
ალბათ შიტომ გაგვითამამდი
და ჩვენთან ხედები
ამ ღრუბლიან დღის გათენებას...
რაც მიატოვე
შეფოთილილი ალვა ტანადი,
შენ იმ წუთიდან,
შენ იმ დღიდან არ გესვენება!

შენც გამოჰყევი
ამ უღბლო ბორანს ჩვენსავით,

ჩვენ შეგვეკვადლე
და შიშისგან თვალებს აცვივებ
ეს ბორანილა
შეგვრჩა მხოლოდ დაუღუწავი
და ბანზე შიშით,
შიშით კვენკავ პურის ნამცვეებს.

ხან აფრინდები,
შორიანლოს თავს დაგვტრიალებ,
ხან კი ბორანის
გადახუნძლულ ბანს უბრუნდები.



ნელა მიდიან
 საშინელი, მძიმე წუთები...
 ორი ზღვის ტალღა
 ბობოქარი თავს დაგვტყრიალებს.

შემდეგ კი თვალწინ
 დიდმა ყანამ გაიშრიალა,

მაისის ნაშში
 ლალად სუნთქავს ლორთქო ჭკვილი.
 მოურჩენელი,

დამდულვრელი გვსუსხავს იარა
 და თითქოს ეს მზეც
 შუაზეა გადახლეჩილი.

აჰა, ნაპირიც,
 საშშვიდობოს თითქმის გაველით,
 ჩიტიც მოფრინავს,
 ახლა უფრო გახდა თამამი.
 და როგორც დედა
 გვეგებება გაშლილ მკლავებით
 „ტამანი ჩვენი,
 იმედებით სავსე ტამანი“.

• • •

მომესმოდა სიმღერა
 მობუტბუტე ბადაგის.
 ბერჯერ ვიმარჩიელე —
 დოქი განზე გადავდგი.

ჩემად მივაყურადე,
 რომ რაიმე გამეგო,

ბუტბუტებდა საამოდ
 უცხო ხმათა სამეფო.

ეს კი ვიცი ვენახიდან
 რომ გამოჰყვა ხალისი...
 და თუ რაზე ბუტბუტებდა,
 ჯერჯერობით არ ვიცი.

სამწუხარო ჩანაწერი

ეს ფიჭვიც ხმება
 და ფერმკრთალდება,
 შიშით შესცქერის
 მთელი კორომი...

და მათ მაგიერ
 რად მელანდება
 ტანდაშაშრული
 ყარაყორუმი?

• • •

სუნთქვა მგვკრება მულხრის ტალღაზე,
 როცა ნისლია —
 თვალზე ლიბრია.

საკვირველია დღემდე ამაზე,
 რომ არასოდეს არ მიფიქრია.

საკვირველია
 მართლა ღმერთმანი,
 აედარში სუნთქვა რისთვის შენელდა.
 რად იყო ჩემი გული შემკრთალი,
 რად შემამფოთა
 დღევამ — დღელთა.

ჩიტებმა წვიმით გაწუწულებმა
 გუნდ-გუნდად
 სერზე გადაიფიქივეს,
 გაასწრეს მუხის დაგრუხუნებას,
 ელვის მკლავებს და
 წვიმის სიცივეს.

შენ სად გაგმეცე
 მულხრის ტალღაზე,
 როცა ნისლია —
 თვალზე ლიბრია.
 საკვირველია დღემდე ამაზე,
 რომ არასოდეს არ მიფიქრია.

დუმილის წუთი



ეს თქვენ გვეკუთვნით დუმილის წუთი,
 თქვენს ჩამქრალ თვალებს,
 თქვენს ნათელ სსოვნას.
 აუღებელი ციხის და ზღუდის
 აღებინათვის მოგებულ ბრძოლას!

ეს თქვენ გვეკუთვნით დუმილის წუთი
 სავესე ქარბუქით,
 წვიმით და თქვეშით.
 ეს წუთი უდრის
 საცეცხლე ბუდის
 აღუბას, ნგრევას მრისხანე წლებში.

ეს თქვენ გვეკუთვნით დუმილის წუთი,
 რომელიც ოთხ წელს სავესებით იტევს,
 ეს წუთი
 ყველა სიმძიმეს უდრის,
 რაც ოთხ წელს ცეცხლში კაცურად ზიდეთ.

ეს თქვენ გვეკუთვნით დუმილის წუთი,
 რომელსაც სისხლის წვეთები ჟონავს,
 რაც სიმძიმით და სისათუთით
 ჩვენს თბილ სხეულში გადადის ერთოდ
 და რასაც ჩვენი ინახავს სსოვნა.

მე საბრალო მაშინ ვიყავ

ძველებური სიმღერის ვარიაცია

მე საბრალო მაშინ ვიყავ
 შაი, ოდი, შეი.
 როცა ბნელში მოხვდა ჯილა
 ზეცის დამამშვენი.
 როცა ფეტვი დამეფანტა
 ტკბილი საზრდო შენი...
 გზა დამებნა უკუდმართად,
 შაი, ოდი, შეი.

მე საბრალო მაშინ გავხდი,
 შაი, ოდი, შეი.
 როცა ფუტკრის ჩაქრა გეჯა
 და სკა აღარ მღერის,
 როცა დაცვდა ვერცხლის რაბტი
 ტკბილთა ხმათა მფლერი,
 როცა დაცვდა ნაბდის ქეჩა,
 შაი, ოდი, შეი.

მე საბრალო მაშინ გავხდი,
 შაი, ოდი, შეი.
 როცა ყანა გაპარტახდა,
 არ აყვავდა შქერი,
 უნაგირის გაცვდა ტახტი

ლურჯას დამამშვენი,
 დევის წინაშე დაერჩი სახტად
 შაი, ოდი შეი.

მე საბრალო მაშინ ვიყავ,
 შაი, ოდი შეი...
 როცა აღარ შერჩა სათიბს
 ყვავეილების ფერი,
 როცა გვალვამ გადათიბა
 სანავარდო შველის,
 არ დაჭირდა სათიბს ნადი
 შაი, ოდი, შეი...

მე საბრალო მაშინ გავხდი,
 შაი, ოდი, შეი
 როცა წისქვილს მოუხვენარს
 არ დაჭირდა ჩქერი,
 როცა ბნელში გადავსახლდი,
 ხმა გამიქრა შენი.
 როცა დილა შეინდისფერი
 დაიფარა ბნელით.
 წუთისოფლის გზა დასრულდა,
 შაი, ოდი, შეი...

კიდევაც დაიზრდებიან...

მოთხრობა

საწყალი მინდია

ერთ დღეს, სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ჩვენი „ნანადირევი“ მივალაგმოვალაგეთ.

— ხვალ გომარეთში მივდივარ მე და შამედ-ალი, საღამომდე დავრჩებით, — გამოვუცხადე ჩემს დიასახლის ბებიათქვენს.

— მაშ იცი რას ვიზამ, დღეს სტედანესთან ერთ ხუთ კილო ნალებს ავიღებ, კვერციც მაქვს და ბისკვიტს გამოვაცხობთ.

საქმე იმაშია, რომ ამეტერების ნაშოსახლარზე საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა; წყალგაღმა ყველის ქარხანა იყო, სადაც ოსტატად ლორელი მოლოკანი სტეფანე მუშაობდა. შვეიცარულ ყველსა ხარშავდნენ, თითო თავი ყველი ოთხმოცი კილოგრამი მაინც იქნებოდა. უზარმაზარი ქვაბი იდგა, 700-800 ლიტრი რძე ჩადიოდა. ყველი რომ ძალიან მსუქანი არ გამოსულიყო, შეთბობას დროს თავზე მოგდებულ ნალებსა ხლიდნენ და მისგან კარაქსა დღებავდნენ.

ჩვენ რძეს პირდაპირ ქარხანაში ვყიდულობდით და, სტეფანე რძის ნაცვლად, სწორედ აი ამ ნალებს გვაძლევდა, ირგვლივ „თათრები“ იყვნენ, ხნას ვერავის სცემდა. ჩვენ კი დამემგობრდით, კვირაში ორჯერ ბონისში ჩვენი ცხენოსანი ჩადიოდა და ანოპქონდა ხილი და ბოსტნეული; რასაკვირველია, სტეფანესა და მის მართასაც უწილადებდით ხოლმე.

სამაგიეროს გადახდა მოინდომა. საუზმეზე დაგვპატივია. სუფრის თავს იდგა უზარმაზარი სამოვარი, მართას დაეცხო ბლინები და ყველიანები. ჩვენ მუხლებზე დიდი პირსახოცი გადაგვადარეს, ოფლის მოსაწმენდად. დაიწყო ჩაის სმა, დალიეს ერთი ორი, სამი ოთხი, ოფლად იღვრებოდნენ და იწმენდნენ პირსახოცით, დავლიე მეორე და შემომთავაზეს მესამე. მადლობა შევღალადე. არა გამოვიდა რა, ა ჩვენ მერვეს ვსვამთო. ვგონებ ათ-ათი მაინც დალიეს. „ჩვენი ესაოო“, — იცინოდა სტეფანე, მოლოკნები სპირტიანს არ ხმარობენ.

გამოცხვა ერთი სამკილოიანი ბისკეტი, რომელიც ჩაედუ ხერჯინში. დავემატე ცოტაოდენი ხილი, კოტრი ყველი, პური. შეესხედით მე და მამედ-ალი ცხენებზე და გავწიეთ გომარეთისაკენ. დანარჩენები შამბიანზე უნდა წასულიყვნენ. მდელის მოსაველიანობაზე დასაკვირვებლად და ნიმუშების ასაღებად.

გომარეთის მინდორი, ნახავთ. უზარმაზარია, კარგ მოსაველიანი, ყანები ახლად იყო შემოსული და ხორბლის ნიმუშები უნდა ამეღო.

საქმე იმაშია, რომ აქ ითვისებოდა მრავალნაირი ხორბალი, რაც მთავარია ასლები, უმთავრესად ორმარცვალა ასლი, თეთრიც და წითელიც. იწვიათი იყო ოჯახი, რომ ცოტაოდენი ასლი არ ჰქონოდა დათვისილი. საქმე იმაში გახლავთ, რომ რაქა-ლეჩხუმში ზანულუს სახაქაპურედ თესდნენ. აქ ასლი საკოცოტედ ითვისებოდა. მარცვალი თეთრი, მსხვილი და ღამაში აქვს და კოცოტიც ღამაში გამოდის. კოცოტი კი სელის ან კაქლის ზეთით კარგი სამარხო საკვები იყო; თუ წენიანი სისირის შექამანდიც იყო, მაგასა რალა სჯობდა; ამიტომ მინდორში ბევრჯან ეთესა სისირი, მუხუდო, ოსპი, ბარდა, ცერცივი. ზედავთ ზუთნაირი ცერკოვანია, ხალხის კვებისათვის ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს; სამწუხაროდ დღეს ამას გაუგებრობის გამო, ნაკლები ყურადღება ემცევა.

ხორბლეულიდან მაინც ძირითადი იყო დოლის პურები, ფხიანი თეთრი დღლი, ფხიანი წითელი დოლი, ხელუგო, წითელი დიკა, თეთრი დიკა, შავი დიკა, ჩოქელა ხორბალი. ყველა ამ პურში გამოერეოდა ხოლმე თითო-ოროლა თავთუხი, ქვაკვი და სხვა. ქერიც გვხვდებოდა, მაგრამ შედარებით ცოტა. მზე კარგად მალდა იყო წამოსული; როდესაც გომარეთის გაშლილ მინდორზე ჩამოვედი; ჩამოვბტი ცხენიდან, აღვირი მამედ-ალის მივეცი და დავიწყე მინდვრების შესწავლა,

ყველა, ოდნავ განსხვავებულ თავთავს ეაგროვებდი. დიდი ნაინაირთბა, იყო. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო წითელი დოლისა და ჩოქელას ნარევეა ნათესმა.

თეთრი დოლი მაღალია, აქ მეტრითა და ოცი სანტიმეტრი იქნება. ჩოქელა კი 50-70 სანტიმეტრის სიმაღლისაა, ე. ი. მეორე იარუსშია მოქცეული, ასეთ კომბინირებულ ნათესს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქვენა ქარი თუ ზემო იარუსს ამრიტავდა; მეორეს ვერას აკლებდა, ის დაფარული იყო დოლის პურის პირველი იარუსით. რასაკვირველია, ასეთი ტიპი ყანის კონსტრუქცია საუკუნეთა მანძილზე დამუშავდა და აქაურ ბუნებრივ პირობებით -ყო ნაკარანხვევი.

არც მრავალსახეობა და მრავალჯიშობა იყო უგულებელსაყოფი იმ დროისათვის, ერთი ჯიში თუ არ მოვიდოდა მეორე მოვიდოდა. აი ჩვენი მინდვრის ეს თავისებური სტრუქტურა ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ჩვენში დიდი შემშილობა იშვიათი იყო.

— რატომ ეგრე თამამად დაიარები? — შემომესმა უცხად, — გამარჯობა! — დაატანა.

— თამამად კი არა, ძლივს ვაღგამ ფეხს. გაგვიარჯოს!

— აქაური ჰეველე ვარ. თქვენმა თათარმა მიხარა. ვინცა ხართ. შეველა ხომ არა გინდათ რა?

— მადლობთ. შენი ჰირომე, კარგი მოსაველი კია, ღეთის თვალი ტრიალებს შიგ.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა, როდის აქეთია ეგეთი ქართული თქვენისთანა კაცისაგან არ გამოვიგა! კარგია, კარგი, დიდი თოველი იყო და იმიტომ. დიდ ზამთარს დიდი მოსაველი მოსდევს, მარტი იციანოდეს, კაცი ტიროდესო.

გამიძღვა და შავი დიკის წმინდა ნათესთან მიმიყვანა. ყანა იყო, მტრის თვალს არ ენახებოდა.

— ყველაფერი დრომ იცის; დროზე მოიხნა, დროზე დაიფარცხა და დაითესა. ხომ იცით, „ხბო უნდა თებერ-

ვალისა, ციკანკრავე მარტისა, თუ სად-მე რამ გაიზარდება ტახი იანვარისაო“.

ყველას თავისი დრო აქვს.

როდესაც ვუთხარი, რომ ცოტა ნა-რი მოსდებია-მეთქი, მიპასუხა.

— ეკალი ნაჭებარია ცეცხლისა მოსა-კიდებლად, მაგრამ არ ვარგა უბეში ჩასადებათო, არც ყანაში და არც ბო-სტანშიო.

ამ დროს ქვევიდან ძახილი შემო-მესმა: „თანდილა!“

— უეჭველია დემურბალაღელების საქონელი გადმოსულა, — ეს თქვა „კარგად მენახეო“ და მოუსვა ქვე-ვითყენ. რაც უნდოდა ეთქვა და ვერა თქვა, მე ის დამენანა.

ვაგროვებდი თავთავებს, ვკრავდი ლამაზ კონებად და ვებარებდი მამედ-ალის. უკვე მზე დაგორებდაზე იყო, რო-დესაც მინდორი გადავიარეთ და მივა-დექით ქციის ხრამს. კანიონი მცენა-რეებით იყო დაფარული, ნაწილი ვა-კეზე ამოდიოდა, ჩაუბთო ცხენებს ფე-ხი, მოვუშვიტ მოსართავი და გავუშვიტ საქოვარზე. ხურჩინი ხრამის პირას მდგომ მუხის ძირას მივიტანე, გავშალე სუფრა, ამოვიღე ბისკვიტი, გავტეხე შუაზე, ერთი მამედ-ალის დავუდე წინ, მეორე ჩემსკენ, ასევე ხილიც — ამ დროს თვალი წამიციდა ხრამის პირისა-კენ და დავინახე ისეთი მცენარე, რო-მელიც, ჩემის აზრით, აქ არ უნდა ყო-ფილიყო.

წამოვხტი და მოვტეხე ტოტი, დავა-კვირდი, თითქოს არის და არც არის, ჩავედი ძირს, მეორეც ვნახე. არ ვიკ-მარე და საკმაოდ ღრმად ჩავეყვი, ვი-საც ამ კანიონებზე უვლია, მან კარგად იცის რას ნიშნავს ეს, ჩასვლით ჩახვალ, მაგრამ ამოსვლით? ამოხვალ, მაგრამ გაგიჭირდება, საქმე ისაა, რომ კანიონი ვულკანურ ქანებისაგან შედგება, ბაზა-ლტები და ანდეზიტები, კანიონიც ხში-რად შეეულია.

ასე იყო თუ ისე, ოფლში გაწურუ-ლი ამოვედი, მაგრამ არ ვნანობ, ჯერ ერთი ამ კანიონის ხე-მცენარეების სია შევადგინე: აღმოსავლური მუხა ქვევი-

თაც ჩანს, ე. ი. 1200 მეტრ სიმაღლეზე ჩამოდის, მის ქვემოთ ქართული მუხა, ჯავარცხილა, თამელი, კილობანა, ჰანჭუყა-ტა, თელა, კუნელი, ზღმარტლი, შვინ-დი, შვინდანწლა, ძახველი. ამ ფხოკო-ალის დროს მუხებიდან აფრინდა ქე-დანი გვრიტი, მტრელი, ძიგვინი, ხეაკა-კუნა, ჩხიკვი, ბუჩქნარებში ისკუპა შეე-ლმა. უეჭველად იქნებოდა კერნა, თრი-თინა, მელა, სადაც შევლია, იქ მგელს რა გამოლოვებს, მგელთან ტურას, რო-გორც დიდი კაცის ირგვლივ ტრია-ლებს თითო-ოროლა უმაქნისი, ისე მგელთან შორიახლო იმყოფება ტურა.

ჩვენი სუფრიდან საკმაოდ დაშორე-ბულ ადგილას ამოვედი. დაღალული მაგრამ ნასიამოვნები, რომ ბევრი რამ ვნახე, გავწიე ჩვენი ბინისაკენ, მშია და მწყურია. ბისკვიტი კი არა, ამ დროს ჰადის კუტიც ნაზუსად მომჩვენებოდა. მივედი, სუფრა ალაგებულია, მაქედ-ალი გამოთავყვანებული ზის თვალებში აზრის ნატამალი არ უჩანს.

ამომხედა.
— საწყალი მინდია! — თქვა და დაასლოკინა.

— რაღა მამედ-ალი?

— სულ შეგვამე... — და კვლავ დაასლოკინა. დაიაცქრდი და გული გამისკდა. ორი მუცელი ეტყობოდა. ქამარს ზევით და ქამარს ქვევით. მა-შინვე დავინახე და ძლივს გავხსენი მისი ქამარი; ერთი ისეთი ამოისუნთქა, რომ კინაღამ სული ამოაყოლა. რაღაც წაილულულა: ძლივს გავარჩიე. „გე-ლანი გალასინ, ყალანი ყალასინ“! მა-შინ ვერ გავიგე რა უნდოდა ეთქვა მაგრამ როცა „გავიგე“, მაშინაც ვერ გავიგე რა უნდოდა ეთქვა. უნაგირს ჩაეხსენ ნაბადი, გავშალე და წამოვაწ-ვინე. მეშინოდა ადგილიდან რომ და-ძრულიყო, არა მოსვლოდა რა. ხუთ-კილომდე შექამა ნამცხვარი, კიტრი და ხილი, ყველი და პურიც კი.

მიმშობის ჭია მიინც უნდა მომეკლა.

1 თურქულია: „დასარჩენი დარჩეს, წამს-ვლი წაიღეს“.

ნაგვიანვე ყანა მოგნახე, ოდოშლერი! იყო, ეხლა რომ ზოგი სანთლის სიმწიფეს უწოდებს. მოვაგროვე ერთი კარგი ხელეური. ხმელი ბალახის კაჭაჭი დავგლიჯე, ავანთე ცეცხლი და თავთავები კარგად მოვხუხე, გამოვფხვენი, გაავნაივე და მთელი მუტა კარგად დაბლილი მარცვალი დაგროვდა. გემრიელად გაიხელით. რუისელი გოგოსი არ იყოს, თუ ქარელში გამათხოვებენ ხომ კარგი, თუ არა და ეს ურბნისი ხომ აქ არისო. მეტი რა გზა მქონდა.

მამედ-ალიმ დაიძინა.

მე კი ისევ ყანებს შევერთე და სარეველა მცენარეების სია შევადგინე. მზე გადიხარა, როცა შინსაკენ მოვედი.

გრძელ გზასაც ბოლო აქვსო და მალე ჩამოვედი.

სახლში ბევრი იცინეს, იცინოდა მამედ-ალიც და ბუბია-თქვენს უთხრა: ეგრეთი გემრიელი ნამცხვარი სხვა დროს აღარ გავკატანო, თორემ მინდია შშიერი დარჩებაო.

— მაშინ, როგორც ჩანს, ბევრნაირი ჭიში ყოფილა.

— თეთრი დოლი, წითელი დოლი, თეთრი უფხო, წითელი უფხო, ქონდარა ანუ ჩოქელა, ასლი, ქერი, ასლები ორნაირი — წითელი და თეთრი..

— ეხლა ორნაირი და რბილი სელექციური ხორბალი და ქერი, — ალბათ სალუდეთ აქვთ; არც ასეთი ერთნაირობა ვარგა. ქვეყანა იმითაა ლამაზი, რომ მრავალფერია. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა შრომადღებში გასანაწილებლად ითესებოდეს ცერცვი ბარდა, მუხუდო, ოსპი, ცულსპირა, ლობიო.

1 ოდოში — ნუშთა და ეგვიპთართა, ცერცვა, სიმანტო და სიპარენაყლებსა ოდოშსა უწოდენ, ხოლო ყანთასა — ეტრისა (საბა). დღეს ხალხში ეტრის ნაცვლად ოდაში ან ოდოშლერი ითქმის.

შინაური ყოჩაღები

და მიხედეს და იხილეს, რამე თუ გარდაგორვებულ იყო ლინი დიდ ფრიადობათაჲ.

მეორე დღეს აღრიანად, საუზმის შემდეგ, გიორგიმ თავისი ახალი „მაშველი ჯარი“ ორ რაზმად გაყო, მისცა დეტალური რუკები და დაუსახა ამოცანა: შალვამ მაშვერის საღვეარი გამოიკვლიოს მარცხენა ნაპირზე, მინდია მდამნისისკენ მოქცეული შინდლდარის მთის კალთები, მე და შაქრო ვიძეშავებთ მაშვერიდან მარჯვენა რუკაზე შექმნილიდაგვარად ზუსტად აღნიშნეთ ის ადგილები, სადაც მინდვრის გვირილა ისეა მოდებული, რომ სხვა დანარჩენს ჰფარავს. გავრცელების კონტურის შიგნითა ადგილები წითელი ფანქრით შეღებეთო. თუ სანახევროთაა სხეებთან, ეს ადგილები ყვითლად შეიღებოს, როცა ერთი მესამედია ის ადგილი — ლურჯით. ერთ-ერთ რუკაზე, უფრო სწორად, რუკის მიხედვით სუფთა ქალაღზე, თვითონ აჩვენა აღნიშვნის წესი.

არც ამით დაკმაყოფილდა. სამუშაოთ რომ გამოვიდნენ, შალვას ჭკუფს გამოჰყავდა და იქვე ყურის ძირში, ერთ მდელზე ყველაფერი ხელახლა აჩვენა. ორი დუხობორი ცხენს ამოვებდა და ყურიც არ გაიბერტყეს.

— ქირისუფალი თუ არა ტირის, მოსამძიმრეს რა ატირებდესო, გიორგი ბატონო, — ღიმილით მიმართა ვახტანგმა მამას.

— კარგი გეყოფა, შეუდგებით თქვენს საქმეს, — და გიორგიმ ხელი ასწია

— დაიცა, თუ გინდა ჩვენს საქმეს მალეი ჰქონდეს, რად ვაკეთებთ ამას?

— საქმის გასაადვილებლად, ქიმიას გამოვიყენებთ, ჰერბიციდებს, შევწამლავთ ქიმიურ ნივთიერებით და მოვსპობთ...

— ავს კარგიც რომ გავაყოლოთ?

1 ჰერბიციდი ქიმიური ნივთიერებაა, რომელიც ორლებნიან მცენარეებს კლავს.

— სწორედ მაგიტომ მინდა ვიცოდეთ, სად როგორ არის გავრცელებული, საჩვენებელი. მაშავერის მარცხენა ნაპირზე ყველაზე თანაბრად არ არის, ნესტიც შედარებით მდიდარ ადგილებში, მეტია. აგერ, — მიუთითა ადგილადგილ ნაკვეთები, ორ-სამ ჰექტარიანი, უკვე ამ გვირგვინით რომ იყო დაფარული.

— ჰერბიციდები სწორედ ასეთ ადგილს მოუხდება, — დაასვენა შალვამ. ვახტანგი და ერეკლე ძალიან გულმოდგინებით მუშაობდნენ და ცდილობდნენ ზუსტად გადაეტანათ რუკაზე დასარეკლიანებული ადგილის კონტურები.

— გოგოს ნაკეთი სამხარი და ბიჭის მომკილი ყანაო; — თქვა შალვამ.

— რაზედ ამბობ მაგას? შალვამ არა უპასუხა-რა და გაპყვა მდელის.

სალამოს გვიან დაბრუნდნენ. გიორგი ნამუშევართ ნასიამოვნები იყო.

მეოთხე დღის სალამოს ვახტანგი და ერეკლე ღოგაღოგა დაადგნენ გიორგის: ხვალ ჩვენთან ერთად წამოდი, საფიქლის ხევამდე, შამბიანის ფერდობში რაღაც კონუსებია, ორი სამი გათხრილი ჩანს, ოთარ ჭაფარიძის ყორღანები ხომ არ არისო.

მართლაც მეორე დღეს მთელი ჯგუფი გიორგის მეთაურობით გაპყვა შამბიანის ფერდობს. ამაზე უკეთესს დროს ვერც ნახავდა ბიჭების ნამუშევრის შესამოწმებლად.

შამბიანის კალთების ჩრდილო ნაწილში, მთის გვერდის ძირზე და ორთაშუას გაგაყვამდე კარგად ჩანს უცნაური ყორღანები; თავის დროზე იგი ზოგს ვულკანის სასულე ეგონა, სადაც მიწის წიაღი ვულკანურ ყუმბარებს ისროდა, მაგრამ ჩვენმა არქეოლოგებმა, ყველაზე ადრე პროფესორმა ბორის კუფტინმა გათხარა ყორღანების ნაწილი თრიალეთში. საპიტიახშოზე, და ამით მსოფლიოს აჩვენა დღევანდლამდე უცნობი ე. წ. თრიალეთის კულტურა, მან ნათელყო რომ მესამე-მე-2 „მნათობი“, № 10.

ორე ათასწლეულში თრიალეთზე მოსახლეობდა ხალხი, შუა და გვიან ბრინჯაოს ეპოქათაგზა გასაყარზე. შემდეგ ოთარ ჭაფარიძემ თრიალეთისა და ზურტაყეტის გათხრებით დაადასტურა, რომ ამ ხანებში აქ უნდა ეცხოვრათ, იბერიულ-ხანურ ტომებს, რომელთაგან შემდგომში ერთი ნაწილი (ხანური) ინაცვლებს კოლხეთში, იბერიული კი ქართლში რჩება. ამ გათხრებმა დაადასტურეს სამხრეთ საქართველოს პლატოებზე (ჭავჭავთი, თრიალეთი, ზურტაყეტი, ლორი) სამარხების ინვენტარის ერთობლიობა და მსგავსება.

ეს მსგავსება შორს წავიდა, ბევრი ნივთი ისეთივეა, როგორიც არმაზის სამარხებში იქნა აღმოჩენილი. გასაკვირი არაა. არმაზის ხევიდან, ნიჩბისიდან უმოკლესი გზაა თრიალეთ-ზურტაყეტიმდე (ნიჩბისი ხომ არმაზს ზედ აკრავს), იქიდან გზა გადადის დიდგორზე, დიდგორიდან მდ. კვარციის (ვერის) ხეობით მანგლისში ავალთ და აქედან თრიალეთი ერთი ხელის გაწვდენაა. შესაძლებელია მაშინ როდესაც მესაქონლეობა ძირითადი დარგი იყო მეურნეობისა, ვაკის მცხოვრებნი უშუალოდ იყვნენ წალკა-ზურტაყეტთან დაკავშირებულნი. ამას ოთარ ჭაფარიძეც ადასტურებს, რასაკვირველია იმ ინვენტარზე დაყრდნობით, რომელიც სამარხებში აღმოჩნდა.

„ძველ წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ბოლოს, მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულს, აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე მიწათმოქმედი საზოგადოება გარკვეულ კრიზისს განიცდის. თანდათანობით იცვლება მეურნეობის ხასიათი. იზრდება მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის როლი, იქმნება პირობები საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის“.

მართლაც და მესაქონლეობა ერის ცხოვრებაში დიდი ფენომენია. იგი მთიდან ბარად უნდა დაეშვას (ხამთარში), ბარიდან მთაში ავიდეს (ზაფხულში), გზად უნდა გადაიაროს მეზობელ

ტომების მიწაწყალზე. და როგორც იცით, აი აქ უკვე ისახება მჭიდრო ურთიერთობა, გაერთიანება, ურთიერთზე გავლენა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თრიალეთის სამარხებში აღმოჩენილი განძეული ერთგვარად ენათესავენება მცხეთა-არმაზის განძეულს. თრიალეთის განძებში დიდი რაოდენობითაა ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო... მაგრამ ოქროცაა და ოქროც. თასებია მოჩუქურთმებული და ძვირფასი ქვებით, ლალ-ბადაბშით შემკული. ვერცხლის სათლზე კი ნაქანდაკევია მრავალნაირი პირუტყვი. ასევე დიდი გემოვნებითაა ნაკეთები თიხის ჭურჭელი: სურები, ღოჭები, გოზაურები, ქილები ქვევრები და სხვა.

ბორის კუფტინის მონაპოვარი დაადასტურა ოთარ ჭაფარიძემაც, რომელმაც ტაბისწყურში შესანიშნავი ოთხთავა ურემიც აღმოაჩინა.

ზურტაყეტის ყორღანებიდან ვაითხარა შეიდი. ზოგის დიამეტრი 40 მეტრს უდრის, სიმაღლე 8 მეტრამდეა. ზოგის დიამეტრი კი ასი მეტრია. სიმაღლე 8 მეტრი, ფართობი ერთ ჰექტარამდე უჭირავს. ამ ყორღანზე დიდი აქ არ არის, მცირეა კი მრავალია, ჩვეულებრივად ეს ყორღანები ქვაყრილებს წარმოადგენდნენ, სადაც ვულკანური ქანებით შექმნილია საკმაოდ სიმეტრიული კონუსი. ზოგიერთ ყორღანში ქვას მიწაც მორიგეობს.

აი, მავალითად, ყარაბულაღიდან ჩრდილო დასავლეთით მდებარე ყორღანი 40 მეტრის სიგანეა, სიმაღლე 2-3 მეტრია. ყორღანის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია დასაკრძალავი დარბაზი, დარბაზის კედლები ყორღანის ტიპისაა, ხოლო ქვა შერჩეულია ბრტყელი, დარბაზის ფართობი დაახლოებით 120-130 კვ. მეტრია.

— როგორც ჩანს, ნორმა არა ყოფილა დაწესებული — ჩაურთო სიტყვა ვახტანგმა.

— მართლაც, რად უნდოდა ამდენა? — არ შეიძინეს ვახტანგის ხუმრობა.

— ზოგან ხომ ოთხთავა ურემია ჩატანებული და სხვა ინვენტარაც?

სამწუხაროდ, ზურტაყეტის ყველა გათხრილი ყორღანი გაძარცვული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა მიონც ნაპოვნია ოქროსა და ვერცხლის მძივები, სერდოლიკი, ბრინჯაო, თიხის ნამტკრევეები, რომლითაც მრავალნაირი ჭურჭელი აღადგინეს.

დიდი ყორღანის დასაკრძალავი დარბაზის კედელი 6 მეტრის სიმაღლეა. კედლის სიგრძე 24 მეტრია. დარბაზის ფართობი 150 კვმ. უდრის.

ერეკლეს ეჭირა წიგნები და ხან ერთსა შლიდა და ხან მეორეს.

— სამწუხაროა, რომ ზურტაყეტი ასეა ნაძარცვი.

— განა ვინ გაძარცვა?

— ჩვენს ერამდე ორი-სამი ათას წლებულის წინათ არა? ე. ი. ხუთი ათასი წლის წინათ...

— პოდა, ვინ არ გადმოიარა ჩვენი ქვეყანა? რა საქმე ჰქონდა მომთაბარე ტომებს? მათი ჯოგები სძოვდნენ შამბიანის, არყიანის, ემლიკლის ფერდობებზე, ორი-სამი მწყემსი ეყოფოდა. დანარჩენი? უსაქმურობა რომ მოსწყინდებოდა, თხრიდა ამ ყორღანებს. განძის მაძიებლობა, როგორც ჩანს, ძველთაგანვე მოდის.

— არმაზის ხეში მეცხრამეტე საუკუნეშიც კი იყვნენ ასეთი განძის მაძიებელნი...

— ინვენტარით ერთი რამ დასტურდება: ძველად მცხოვრებნი ტომები ამ მხარეში დაკავშირებულნი არიან იბერიელებთან და კოლხებთან.

— ეს ოთხთავა ურეში რაღაა. ისეთი თვლებია და ისეა ნაშენები, რომ ამ ღაღა-ღღა გზებზე ივლიდა?

— მართალია, — ჩაერია შინდია, — არ ძალუძთ ხეთა ხენეშთა ტუბილთა ნყოფთა მოსხმარ. თვლები ფიჭვისაა. ხელნები წიფლისა, მაშინ, როდესაც ამ ხეების გვერდით იმ დროს უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ რცხილა, იფანი, თელა მუხა, ყოველ შემთხვევაში აქ — მაღალმთის მუხა, ეს საუ-

ვეთხოვ ურემეტონის საშენი ხე-ტყეა. ჩვენი ეთნოგრაფები მივიღენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ეტლები დასაფლავების ინვენტარია... შემდეგში სხვასაც ვნახეთ.

ვახტანგი ქვაყრილის ბოლოსკენ იცქირებოდა.

— მოდიოთ აქ, — ჩურჩულით უთხრა, — შეხედეთ, ისე იგრიხება როგორც თალათინი...

მართლაც, ქვაყრილის ბოლოზე ორიოთხა დახტოდა, ხან ქვებში ჩაძვრებოდა, ხან ისევ მზის სინათლეზე ამოვიდოდა.

— დაილაღეთ არა? — თითქოს უსაყვედურა მინდიაძე.

— ვინც ერლო მოხნა, ისიც მოკვდაო, — ღამილით შეჰკადრა გვიგამი.

აკრიფეს გუღანაბადი და გასწიეს ყარაბულაღისაკენ.

— ცოტაოდენი ვიანკესოთ და გავუდგეთ გზას, — გიორგიმ მალა მთას ხედა.

— იმას იქით, ხომ იცით, ტბა ფარავანია.

— ვიცით.

— ჰოდა, ეგ თქვენი არჩევია, მე და მინდია ვეღარ მოგყვებით. ჯერ გომარეთში ჩავიდეთ და შემდეგ იქით წადით.

— გიშველა ღმერთმა, — დაატანა ერეკლემ.

უბნის ვარ

აბა რას ვვარვებს ჩვენ ის გუთანი, რომე აჩუროს მარტო შიშინი, და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს, რომელიც უშლის თესლას ამოსვლას

ოღია ვაჟაყვამე

„ყარაბულაღს ქვევით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის ხევი. ვამოსდის ქარვასლის ხევისა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის ხევი. აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“.

ჩრდილოეთით კვირიკეთის მთა საზღვრავს, მის კალთებზეა დიდი და პატარა

გომარეთი. მათ წინ, სამხრეთით დაცემულია უზარმაზარი ზეგანი, შემოშრული ღრული ჩრდილო აღმოსავლეთით ქციის ხრამით, სამხრეთით შავიწყლით და დასავლეთით საფიქლის ხევით.

ამ პლატოს შუაგულში ორმოცი წლის წინათ დიდი ჰაობი იყო, ახლა გომარელებს არხები გაუყვანიათ და დაუშვრიათ.

დიდ გომარეთში, 1896 წელს, ე. თაყაიშვილის მოწმობით ასოცდაათი კომლი იყო, ყველა ქართველი. 1930 წელს რვაას კომლამდე იყო, სამოციან წლებში — ათასს გადააჭარბა, მაგრამ სამოცდაათიანებში დაიწყო მიგრაცია და თბილისში ჩასახლდა ხუთას კომლამდე. ამჟამად სოფელში ოთხასორმოცდაათი კომლი დარჩა.

გომარელები მაგარი ხალხია, ჯანიანი. ჩვენი ავებდობის დროს მათ გაუძლეს ოსმალთა თარეშსაც, ლეკების მარბიელ რაზმებსაც.

ძირთადად მზენელ-მთესველი და მეცხვარე-მესაქონლენი იყვნენ და ეს თავისი პროფესია მეოცე საუკუნემდე შემოინახეს. გომარეთის მიდამოთა ნამარხები ადასტურებენ, რომ მესამე-მეოთხე ათას წლებშიც ჩვენს ერამდე ამ მხარეში მეცხოვრებნი, საფლავში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, მესაქონლეებად, მეცხვარეებად ჩანან; ასეა მეცხვარეებზე საუკუნეშიც. შემთხვევითი ზომ არ არის, რომ არსენა ოქელაშვილი თავის ნათლიმამას ეუბნება:

ნათლიმამავ, ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა: ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა! მე მღალატობ. ფარსადანო იქ რას ეტყვი მალაღ ღმერთსო? რას თუმანს აქ მოგართმევ, სამას თუმანს გომარეთსა.

არსენა ზომ მეცხვარე კაცი იყო და მარაბდელ ვაჟკაცს ძმა-კაცები და ნათელ-მირონები სწორედ ვაჟკაცების ამ საბუღარში. გომარეთში ჰყავდა. თქვენ უკვე იცით, მეცხვარე ვაჟკაცი

უნდა ყოფილიყო გამძლე, უშიშარი გულგუტებელი.

გომარეთში რამდენიმე ტაძარია, ყველა ძველი. მის მიდამოებში ზომ აუარებელი! როგორც ჩანს, სოფლები მოსპობილან და ტაძარნი დარჩენილან. ყველაზე მეტად ახალგაზრდები გააკვირვა სასაფლაოებმა. აი, თუნდაც ზემო სასაფლაო, რომლის ცენტრში წმინდა გიორგის სახელობის ერთნავეანი ბაზილიკა დგას.

ერთ-ერთი წარწერა ექვთიმე თაყაიშვილმა ასე წაიკითხა:

„სახელითა ღმრთითა მას ეამს ოდეს ძრიულმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრა ზვიად მარუნიანი, მაშინ ესე ბალავარი დეა ხელითა ცოდვილითა მიქელ ხუცეს — გალატოზისათა“. ე. თაყაიშვილის აზრით, გიორგი II-ის დროს (1072-1089წ.) შეიძლება ყოფილიყო ლიპარიტ პირველი.

სხვაგან სხვა წარწერებიც ნახეს: „მე მზისთვალმან თანამეცხედრემ ლიპარიტისამ ავაგე ტაძარი ესე საოხად სულთსა ჩემისათა“.

მეორე ტაძრის ნანგრევებზეც კიდევ ლიპარიტია მოხსენებული.

მაშასადამე, მეათე-მეთერთმეტე საუკუნე იშორება ამ მაღალ მთის სოფლიდან. არის ტაძრები ლიპარიტ მეორის და მესამის წარწერებით.

— არ მიყვარან ლიპარიტები...

— არც რატი, — გაეხმაურა ლელა, — დავითს ებრძოდნენ...

— ძნელია, ბიჭვბო, ცხრაასი წლის შემდეგ სამართალი სწორად გადასკრათ, — ჩაერია მინდია.

— მეორე და მესამე ლიპარიტსაც აი ეს მიჩვენე. მოდი თ ნახეთ რა არის, — სასაფლაოს ჩრდილოეთის მხრიდან იძახდა ერეკლე.

მართლაც, უნიკალური საფლავის ქვა იყო. ზედ — ვაჟკაცის ბარელიეფია, იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები, მის ფეხთით წევს მეცხვარული ძაღლი. გვერდით, მარცხნივ, დუქარდი,¹ ჯამი,

მარჯვნივ, მეცხვარის ჯობი, დამბაჩა, თოფი, ფიჩხაურა, ყანწი; საფლავის ქვის სამხრეთის გვერდზე გამოქანდაკებულია შეკანძული ცხენი და საფლავის ქვიდან გამოყოფილ ხელს უჭირავს. მოქანდაკეს თითქოს უნდოდა ეთქვა, აქ დამარხული დღესაც ცოცხალია; ყოფილა ვაჟკაცი, ჰყოლია ცხვარი, უცხოვრია და სახელიც დაუტოვებია. მაგრამ რაც მთავარია, ქვის შეკეთებული ნამდვილი ხელოვანი ყოფილა.

ამის შემდეგ ბიჭები დაუტრიალდნენ საფლავის ქვებს:

— აი ავეანი, პატარა ბავშვით, — გულამოსკენით ამბობს ლელა, — გვერდით დედა წევს.

— აი ნეფე-პატარძალი...

— კირითხურო.

— მჭედელი...

— ფეიქარი...

— გუთნისდედა,

— კიდევ მეცხვარე.

ისმოდა აქეთ-იქიდან ხმები და ფოტოაპარატის ჩხაკუნი. აი საფლავის ქვაზე გამოქანდაკებული ცხენი. ამ საფლავში ჩასვენებული იქნებოდა მხედარი, სამშობლოსათვის თავდადებული.

სამხრეთ საქართველო, ქვემო ქართლი, სწორედ ასეთი საფლავის ქვებით არის ცნობილი.

— აი, რა უბრალოა, მაგრამ რა დიდებული!

უბრალოება ყოველ საქმეში, ლხინშიც და ქირშიც, ზომ უდიდესი სილამაზეა, სიწმინდე გულის და სიმაღლე სულისა. მთელი საქართველო დამივილია ფეხით და გზად შეხვედრილ სასაფლაოებისათვის გვერდი არ ამივლია. ყოველი ქვა თავისებური, უბრალო და მრავლისმთქმელია. სოფელ გომარეთში რამდენიმე სასაფლაოა. ერთ სასაფლაოზე თერთმეტი პროფესია ამოვიკითხე: აი მეცხვარე, გუთნისდედა, კირითხურო, ფეიქარი, მჭედელი, დურგალი, ნალბანდი და სხვა. ყველა ეს საფლავის ქვაზეა გამოსახული.

¹ დუქარდი — ცხვრის საპარსი მაკრატელი



რა უბრალოდ და მკაფიოდ!

რად დავივიწყეთ ეს ლამაზი, დიდებული სისადავე? მოიარეთ საქართველო. ნახეთ ეს ძველი სასაფლაოანი და თუ სადმე თვალს ეჩოთიროს რაიმე?! გრძობ, რომ აქ არის საუკუნო განსასვენებელი და სწორედ ამიტომაც ივსება უნებლიედ გული დიდი პატივისცემით წინაპრებისადმი.

საიდან იფეთქა იმ ვულგარულმა ფუფუნებამ, რომელიც უკანასკნელად ჩვენს სასაფლაოებზე გაჩნდა? მარმარილო, ლაბრადორი, გრანიტი, ათასნაირი ვარაყი. მათ მიღმა ადამიანი დაკარგულია, აღარ ჩანს იგი.

ერთი საფლავის ქვაზე, თემის ხეობაში, რკონის ციხის ეზოში ლოდზე წერია: „წამკითხველო შენდობას გთხოვთ გოდერძი მიგრაიული“. და ამოკვეთილია ერთი ხმალი. აუარებელ რამეს გეუბნებათ ეს უბრალოება. იყო ვაეკაცი და იბრძოდა თავის ქვეყნის სადიდებლად, როგორ არ ეტყვიო შენდობას!

მანგლისის ახლო ბზის წყლის ხევია. იქაც მრავალი ნანგრევია. ერთ საფლავის ქვაზე ამოკვეთილია დიდი გუთანნი, ჭილა და მარჯვენა, რომელსაც შეილდი მოუზიდავს. აი ძველადაც ყოფილა თქმა, „ცალ ხელში ხმალი ეჭირათ. მეორეში გუთანით“.

არაგველების საფლავზე უბრალო ლოდიც არაა, ცხრა მძა ხერხეულიძის საფლავზე თითო ლოდია მაგრამ განა ამ უბრალოებამ დაფარა მათი ბრწყინვალეობა?

ადამიანი უნდა გამოაჩინოს თავისმა საქმემ და არა გარეგნულმა ბრწყინვალეობამ; უკვე დრო არის ჩავუფიქრდეთ, რანი ვიყავით და მოვაცილოთ ის ქაფი ჩვენი სიცოცხლის ნადუღს, რომელიც თავზედ მოგდებულია, როგორც ზედმეტი, როგორც კუჭყი!

ამობენ, თუ სადმე მიცვალებულია, ან ქორწილს აპირებენ, მათს ოჯახში უმალ გაჩნდება ვიღაც უცნაური ხალხი. მათსა და ოჯახის წევრთა შორის მძაბრება დიალოგი:

— ხალხის მოპატივებას აპირებთ?

— კი!

— რამდენს?

— ერთი ასი-ორასი.

— კი ბატონო. დაუძახეთ ორასს. დანარჩენს ჩვენ დაუძახებთ. ხარჯს ჩვენ გავწევთ, შემოსავლიდან ამდენსა და ამდენს თქვენ მოგაართმევთ. დანარჩენი ჩვენია.

ეს ხომ მიცვალებულით ვაპრობაა. წარმოუდგენელია!

სოფელში ვცხოვრობდი, იყო ჭირი და ლხინიც, მაგრამ არ მახსოვს მესამომრენი დამთვრალიყვენენ. მოიგონებდნენ გარდაცვლილის საქმიანობას, მის კარგ საქმეს, ჭირისუფალთ ეტყოდნენ სანუგეშოს, დალევდნენ 3-4 ჭიქას და ხალხი მწუხარევე იშლებოდა, არც ქელეხში, არც ქორწილში კაცი ნებისმიერად არ წავიდოდა. უმკველად მობრძანდის კაცი უნდა ზლებოდა. ჭირის სუფრა თუ იყო, ეტყოდა: „მავანმა და მავანმა გთხოვათ, ცრემლი დაგვყარეთო“. თუ სამხიარულო სუფრა იყო: „თქვენი მობრძანებით სახლი დაგვიშვენეთო“. თუ ძალიან ახლობელი არ იყო დამპატივებელი, ოჯახიდან წავიდოდა ყველაზე დარბაისელი; აკი იყო თქმაც: „ორი კაცი ერთად ოჯახიდან ქორწილშიც კი არ წავაო“.

კაცი ისე არ დათვრებოდა თავგზა დაეკარგა. დღეს ხშირია ასეთი სუფრის შემდეგ აყალ-მაყალი, ჩხუბი, მკვლელობა. ზოგი დამნაშავეს ამართლებს კიდევ, რა უყოთ, მთვრალი იყოვო. ძველად კანონი სიმთვრალით ჩადენილ ბოროტებას შედევათს არ აძლევდა. აი ვახტანგ მე-6 კანონებში რა წერია: „ღვინოში რომ კაცმან კაცი მოკლას, ან დაქრას თუ რაც იყოს, მთელ სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემების, იმისთვის რომ ის რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს ამდენს, რომ ამგვარ საქმეს აწინევიებს“.

აი, ხედავთ, როგორ უცქერდა სიმთვრალეს ძველი კანონიც, კანონი კი

დაწერილია იმ ტრადიციების მიხედვით, რომელიც ჩვენში არსებობდა.

ყოველივე ამას, ქორწილში წასვლას თუ დასაფლავების დაწერებას, თავის წესი ჰქონდა, სიღარბაისლე ახლდა, თავდაპირველობა. ის, რაც დღეს ამ შემთხვევაში ხდება, ყოველგვარ ზომასაა გადაცილებული. შემოსავლის წყაროდ გაუხდიათ ზოგსა და ზოგს კელებიც და ქორწილიც.

ამ წესებში არაფერი ჩვენებურია არ არის, ესაა ქარის მოტანილი, ჩვენთვის უცხო და ნუ ვყიდით ჩვენს სიღარბაისლეს, კეთილშობილებას, რაინდობას, გულუხეობას, რამდენიმე მანეთად.

— ჰო და, ქარის მოტანილს ქარი წაიღებს.

— მოიცა, — შეუტია ვახტანგმა, — დამამთავრებინე! — და განაგრძო.

— დღეს ზოგ ქორწილში პატიოსან კაცს არ შეესვლება. ხელში უცქერიან. თუ გაუწყრა ღმერთი და დიდი რამ ვერ გაიღო, საქვეყნოდ აცხადებენ, სასაცილოდ ხდიან... ვანა ესაა ჩვენი ხასიათი? ქორწილში კაცს მიუხაროდა, ოჯახი მოსულს კეთილი ღიმილითა და სიხარულით ხედებოდა.

დროა, ძმებო, დავიბრუნოთ ჩვენი სახე და წესები, იერი კეთილშობილებისა, რომლითაც გამოვიარეთ მთელი ჩვენი ისტორია.

გავამრავლოთ ჩვენი თანამედროვე დღეობანი, არსებობს უკვე ილიაობა, შოთაობა, ვაჟაობა და სხვა. მაგრამ ძველად ვანა „წმინდა გიორგობა“ ერთ სოფელში არსებობდა? რატომ არ შეიძლება შოთაობა 20-სა ან 100 სოფელში იყოს. როდის აქეთაა ვაჟა ვასცა და ჩარგალს, საქართველოს. დღეობას კი მართო ჩარგალში ვიხდით. რა დააშავა საქართველოს სხვა კუთხემ. რატომ არ უნდა ვზეიმობდეთ სვანეთში, რაჭაში, იმერეთში, აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში, ქართლ-კახეთში, აჭარაში და სხვაგან? გარდა ამისა, ჩვენ

მრავლად გვყავს სხვა ისეთი ხალხი, რომლის სახელობის დღეობა შეიძლება დაეწესოს, ალგენელებმა ზეზვაობა დააწესეს, რატომ არ შეიძლება კავთისხეველებმა თევდორობა ილდესასწაულენ? ოსმალთა ჯარს რომ გზა აუროია...

ყოველ კუთხეს ასეთი გმირი ერთი და ორი მაინც ჰყავს — მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძე, ბაზალეთში ლომი ჩრდილოელისა, კახეთში დავით ჯანდიერისა და ა. შ.

ასევე გასამრავლებელია მოსავლის დღე და სხვა მრავალი, ჩვენი დღევანდელი ყოფის ამსახველი ტრადიცია. ძველი დღეობებიდან გადმოვიტანოთ, რაც სასარგებლოა და კარგი: ჭიდაობა, დოლი, ლხინი; დაეუმატოთ ახალიც, ჩვენი ახალი ყოფიდან. გამოფენები: მეთუნეების, მხატვრების, მოქანდაკეების. გაემართოთ შეჯიბრებანი სიმღერაში, ცეკვაში, ხვნაში, საქონლის მოვლაში, დაეამშვენოთ იგი. მისვლა-მოსვლა საჭიროა, აუცილებელია, გადაეუხსნათ გული ერთმანეთს, გაეციხოთ და ვიმზიარულოთ წმინდა გულით.

— ვიმზიარულოთ წმინდა გულით, — გაიმეორა ვახტანგმა და დახურა რვეული.

— კიდევაც რა, — დაუმატა ლელომ.

გომარეულ ბავშვებს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ უცხო ხალხი. ვახტანგი რომ კითხულობდა, მაშინ ფეხაკრფით მიუახლოვდნენ და განაბულეები ყურს უგდებდნენ...

— ჭიდაობა ეხლაც ვიცით! — თქვა ერთმა შაერტუხამ.

— აგერ, გვერდზე, იქით, — გაიმეორა ხელი ერთ შავთვალწარბამ, — თამარ დედოფლის ამუნებულნი საყდარიცაა.

— როგორ თამარ დედოფლის?

— კი, თამარ დედოფლის, აწერია.

— რად გიკვირს ვივი, აკი ექვთიმეც იხსენიებს.

გომარეულიდან ორ კილომეტრზე, ჭოჭიანის მიდამოებში პატარა ტაძარია და აღმოსავლეთის კედლის ერთ ქვაზე წარწერაა!

„თამარ ღმრთისა სწორის სამლოცველო“.

ალექსანდრე ბეგაშვილი

თეთრი ზაპანი

აქ, ჭიშკართანვე
ქუდს იხდიდა ივანე დიდი...
ქველს,
დარბაისელს,
ბრძენს,
დიდებულს
შეენოდა რიდი...

აქ, ამ ჭიშკართან გვეგებება
ურის დიდება —
გვიცქერს ილია,
გული ტკბება,
თვალი ბრწყინდება —
აქ გვეგებება
ურის დროშის ზეალმმართველი,
ვისაც სამშობლოს მამად უხმობს
ყველა ქართველი,

ვინც მამულს აზრით იფარავდა,
ვით გმირი მკერდით...
აკაკი,
ვაჟა
ღმერთკაცს აქაც უდგანან გვერდით.

აქ ჭიშკართანვე
ქუდს იხდიდა ივანე დიდი...
სპეტაკს,
დიდებულს,
დარბაისელს შეენოდა რიდი...

რიდი და კრძალვა ჩვენც გვეშენოდეს
და მუხლთა დრეკა
აქ, დიდ ტაძარში,
სადაც ისმის ზარების რეკვა,
ზარების,
მაგრამ არა ლოცვად,
სწავლად მხმობელის,
ცოდნის ზარების,
უვიცობის დამამხმობელის!

ამ თეთრ ტაძარში
დგას უჭრობი სინათლის სვეტი,
ამ თეთრ ტაძარში იჭედება
ცხოვრების ბედი!

კრძალვით ვუცქერდეთ
მის ქათქათა, საყვარელ კედლებს
და მუხლს ვუდრეკდეთ
სვე-ბედნიერ მომავლის მჭედლებს!

ამ თეთრ ტაძარში,
სად სიბრძნის სხივს
ფშვრეტთ ნათლის
სვეტად,
უნდა ვისწავლოთ,

ვით გვიყვარდეს სამშობლო მეტად!
წმინდაა იგი
და ნეტარი
როგორც მთაწმინდა,

და დღეს ახალ შვით
საქართველო როცა გაბრწყინდა,
როცა მზევლტვით
გაშარჯების ახალ მწვერვალებს. —
უფრო ქათათებს ეს ტაძარი,
უფრო ელვარებს;
უფრო მალღდება,
უფრო აფრქვევს ცოდნის სინაიღეს,

მემატიანის ბრძნული შუბლიც
და ფნას იმატებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა ამ კედლებში
სიბრძნის გზას იკვლევს.
დიდება ცოდნის ტაძრის მოძღვარს
და შესაძირკვლეს!

ერთად ვიხილვ...

ფრიდონ ხალვაშ

ერთად ვიხილვ...
ზღვა,
ბათუმი
და შენი გული —
ლექსების ტალღით ამ ზღვასავით
აზავთებული.

დღეს გეტყვი, ძმაო,
თუმცა აქამდე ვიყავ მდუმარი,
ვით შენ თბილისში,
მეც ბათუმში არ ვარ სტუმარი.

ვეტრფით აჭარას,
ვეტრფით კახეთს,
ვეტრფით გურიას,
ვეტრფით,
წყურვილი ვერ მოგვიკლავს,
ისევ გვწყურია;

ისევ გვწყურია სიყვარული
ჩვენ ერთმანეთის,
რაჭა-ლეჩხუმის,
იმერეთის,
ქართლის,
სვანეთის...

შენ რომ თბილისში
ტრიბუნაზე აიმართები,
წელში ამაყად გავიმართები!
წყრილი ლურწამი დამსხვეილდები,
იქცევი მუხად,
ნაწი და სუსტი

გადიქცევი ვაგაკად ჯმუხად;
მამულის მადლით,
ლექსის ცეცხლით
ხდები ძლიერი,
ლომად იქცევი,
ხდები ბრვე და მხრებგანიერი!

სამშობლოს ტრფობით რომ გიელავს
მწველი თვალები,
მე სიხარულით,
სიამაყით გავიმსჭვალები!

მახარებს შენი ცხელი გული,
შენი ქველობა,
შენი მამულის სიყვარული
და გულწრფელობა.

შენს მშვიდ სახეზე
ძელი სევდის მე მიყვარს კვალიც,
შენს გულში ახალ სიხარულის
გიზგიზა ალიც.

მიყვარს,
ილიას შვის სხივი რომ
გაშუქებს გულზე,
ტანჯულ აჭარას ვინც მალამოდ
დაედო წყლულზე!
ვისაც სამშობლოს სიყვარულის
გულს უგზნებს გრძნობა,
სწორედ იმ კაცის გატანა მწამს,
იმ კაცის ძმობა!

ქ მ ლ ბ ა



მე არ მინახავს
 არც ტაშკენტი
 არც ერევანი,
 არ ვიცი
 მათთან როგორ ღუის
 ვაზზე მტევანი.

სომხეთის ცის ქვეშ
 არ დავმტკბარავარ ცისარტყელებით,
 არც ვარსკვლავებით —
 ზეცისა და მზის სარკმელებით.

უზბეკთა ველებს
 როგორ ჰფარავს თოვლივით ბამბა,
 ყურს აქ, თბილისში ჩამსმენია
 შორეულ ამბად.

თუმც მტკვარს და არაქსს
 დებს ვუწოდებ ღვესებში ხშირად,
 არცა ვყოფილვარ არასოდეს
 კასპიის პირად,

მაგრამ მე ვიცი
 და ამისი ნება მაქვს სრული:
 ვაქო,
 ვადიდო სომხის გული,
 უზბეკის გული;
 ვადიდო გული
 ბაქოელის —
 ძმის და მეზობლის,
 გულთბილ მეგობრის,
 ტკბილ მეგობრის,
 მღიმარ მეგობრის.

ზღვაზე, გაგრაში
 ეს ოთხი ძმა ვიყავით ერთად,
 ჩვენ ხალხთა ძმობა
 გაეიხადეთ ხატად და ღმერთად.
 და რომ ვუცქერდი
 გულით მართალს
 ამინოვს ნემატს,
 თვალწინ ვხედავდი
 მთელ უზბეკეთს,
 ვსახავდი ჩემად.

ვსახავდი ჩემად,
 მწამს:
 ასეთი წრფელი და ტკბილი
 იქნება ყველა —
 უზბეკეთის ნამდვილი შვილი.

მე მის თვალებში
 სხივს ვხედავდი —
 კეთილს და ნათელს,
 ის სიყვარულით ძმას მეძახდა
 შორეულ ქართველს
 და ამით თვითაც
 საქართველოს ეტრფოდა მთლიანს,
 ჩვენს ძვირფას, მზიურ საქართველოს,
 გულითაც მზიანს.

ვეტრფი ჩვენს სარმენს,
 ჩვენს საყვარელს,
 ჩვენს მოხუც მგოსანს.
 მთელი სომხეთი
 სიყვარულით
 მის ტკბილ ჩანგს მოსავს.

ხარობს მოხუცი,
 განა გალობს გულით მკენესარი?
 ვნახე სარმენი, —
 ვთქვი:
 სომხეთი აი ეს არი!

ჩემი ყარდაში ზიატაი —
 ჩემი ჯაფარლი,
 ლექსის უღელში ნაწრთობია
 და ნაჯაფარი.

არც მოშაქრული ენა უყვარს
 და არც ქადილი...
 არ იტყვის, მაგრამ
 რასაც იტყვის,
 არის ნამდვილი!
 სტუმრად ვეწვიოთ —
 აი მისი გულის წადილი.
 ვნახე ჯაფარლი —
 ძმას ენდობა,

ძმურად გაიტანს...
ასე ვენდობი
მთელ მის მართალ
აზერბეიჯანს!

ზღვაზე, გაგრამი

ეს ოთხი ძმა ვიყავით ერთად,
ჩვენ ხალხთა ძმობა გავიზადეთ
ხატად და ღმერთად.

ვადიდებ წინვლას:

ქებას ვუძღვნი ელექტრობორბალს,
თვალის ხამხამს რომ ვერ მოასწრებ,
ჩამოფქვავს ხორბალს.

ან თუნდაც რად ღირს კომბაინი —
მინდერების გემი!
მას ქება,
ვაშა,
ალტაცება,
დიდება ჩემი!

ვადიდებ წინვლას,
მძლავრი ფრთებით
სულ წინ-წინ ფრენას,
მეც ფრთა მესხმება,
რომ შევეცქერი სამშობლოს ღხენას.

მაგრამ რა ვუყოთ,
გული წუთით თუ დაღონდება,
ხევზე, ტყისპირას
წყლის წისქვილი თუ მაგონდება,
წვერჩამოფქვილულ შეწისქვილეს
თუკი ვიხსენებ,
თუ იქვე,
ჩრდილში
ტკბილი მაჭრით
პირს გავისველებ,
თუ შოთს გაეტევა,
მერე ავხსნი ზეს მიბმულ ქურანს, —
ეს მხოლოდ წუთით
მოგონების ვეძლევი ბურანს.

რა ვუყოთ მერე,
თუ ვიგონებ ცელსა და ნამგალს,

როგორ ვთიბავდით,
როგორ ვმკიდით
სათიბს და სამკალს,
როგორ ლესავდა მამაჩემი
ნამგალს სალესით,
ტკბილად ვიგონებ,
დიდი გრძნობით, უმსურვალესით.

ტკბილად ვიგონებ, სიყვარულით,
და ამით განა
ის მინდა
ნამგლით ათ დღეს მოვმკათ
ერთი დღის ყანა?

არა,
წინ სწრაფვას გაუმარჯოს,
მძლავრ ფრთებით ფრენას!
მეც ფრთა მესხმება,
რომ შევეცქერი სამშობლოს ღხენას.
და თუ დიდი წყლით
დიდ ქალაქში
ეს გულიც ხარობს,
მე კი კვლავ ვეტრფი
მოწანწკარე კლდისპირას წყაროს;
და თუ აქ დიდი სიხარულის
მძლავრად ქრის ქარი,
თუ ამ ხალისით სულსაც ულხინს,
გულიც მაქვს მტკბარი,
და მაინც ვეტრფი
ჩემი სოფლის უღონო სიოს, —
იქ გავიზარდე,
და ჩემს მკითხველს
უთხოვ
მაბატოს!

ქაბი მნამს წიფელი. გულახილი



მტრთან,
მოყვასთან
ერთნაირი არა მწამს კაცი.
ვინც გულს არ უყვარს —
მის წინაშე შუბლიც მაქვს მკაცრი.

მტრობა ერთია,
რას მიქვიან ფარული მტრობა!
ფარული მხოლოდ გამიგია
მიჯნუჩის ტრფობა!

მტერი ვარ — მტერმა არ იცოდეს?
ეს არ მოხდება!
გზად შემეყრება, —
ცივი მზერა გულზე მოხვდება.

ვინ ავუღვრებ
აგს და კეთილს ერთ ხმაზე სიმებს.
მოყვასს ეკუთვნის,
ტუნს ღიმილი რომ მიციმციმებს.

არა მწამს კაცი, —
ფიქრს და ზნახვას ვერვინ გაუგებს,

რა ვქნა,
ასეთ კაცს
ჩემი გული კარს ვერ გაუღებს.

კაცი მწამს წრფელი,
გულახილი,
ქველი,
ნათელი,
თუნდ რუსი იყოს,
თუნდ თათარი
და თუნდ ქართველი!

რომ არ ვთქვა, რა ვქნა,
გადმოხეთქა სიტყვამ ნაპირი:
დაგზადებულვარ
გულახილი და პირდაპირი.

და ეს, არ ვიცი,
დამლუპავს თუ მთლად
ამაშენებს,

ერთი კი ვიცი:
ეს ის არის,
კაცს რომ ამშვენებს!



გელა შალვაშვილი

მე... უბნად

მე ვაკვირდები ჭრულ-ჭრულა ჩიტებს
და მათში რაღაც ჩემებურს ვიჭერ.

დიდად როდი მშურს მათი კაბები,
მსურდეს — მე უკეთ მოვიქარგები.

არცა ხილალე მათი მაკვირვებს,
მე მათზე ლაღად ვხედვები აპრილებს.

და ვიბუზები ზამთარშიც ისე,
როგორც სწვევიათ პაწია ჩიტებს.

არ მესარბება არც ფრენა მათი,
ხიხარბე ანდა რა სათქმელია, —

ოღონდაც დიდი სურვილი გახლდეს
და ფრენა არც თუ ისე ძნელია...

ახე უბრალოდ შევფურებ ჩიტებს
და ჩემში მრავალს მათებურს ვიჭერ.

გზარ ვარ. ბაზონო

მე უფრო მეტსაც დაგელოდებით,
მაგრამ ვიცოდე მაინც... სადამდე...
ო, მომიტყვევო, ცოტაოდენი
ჩემი წუხილი ხომ არ გადაგდეთ!
უფერულია ჩემი დღეები,
და ღამეები გაუსაძლისი...
მაინც სადა აქვს ახე ვეება
წუხილს ან ბოლო, ან დასაწყისი.
ეს მარტოობაც... თუმცა ისედაც

რა გამოულევს ძე-კაცს სადარდელს...
ო, თქვენმა მოსვლამ ძალზე მიშველა,
მაგრამ დარდები, მგონი, გადაგდეთ...
ლოდინი ჩემი უნაპიროა,
მთელი სიცოცხლე? — მზად ვარ,
ბატონო,
მაგრამ მანამდე ხომ საჭიროა,
მოგესათუთოთ და გეპატრონოთ...



გინც გინაზე ღვახარ

ასი შთა გადაიარე,
 ასმეერთეზეც ახვალ,
 ათასიც გადაიარო,
 მაინც მიწაზე ღვახარ.

ცახ რაგინდ წაუპოტინო,
 ცა, ცაა, შენ კი სხვა ხარ,

ერთი რამ უნდა იცოდე,
 მაინც მიწაზე ღვახარ.

გინდა ქვეყანას მოედე, —
 ერთი მოკვდავი რამ ხარ,
 თავი ცასაც რომ ახალო,
 მაინც მიწაზე ღვახარ.

გიუპოთა გაგო...

უსაფუძვლოდ რომ გიჭობდეს
 ეს ცეროდენა არაგვი,
 ნუ გეშინია, სიგიჟეს
 არ მოუთმენდა არაგინ.

უმიზეზოდ რომ ქარობდეს
 ქარი, აშარი, მეტადრე,

შარს მოუდებდნენ იცოცხლეთ,
 გზა-შარას გადუკეტავდნენ.

კიუტად რომ არ ველტკოდე
 ერთხელ არჩეულ მიზანსა,
 სამიწედ არ დამინდობდა
 მიწა და... პირსაც მიზამდა.

დროს ბაბი

დრო თუმც არ განერებულა, მაგრამ მიდის კი ტაატი,
 თუმცაღა დიდად წიკწიკებს, წინ არ მიიწევს საათი.

რა შუაშია საათი, ანდა ეს დროის ტაატი,
 როდემდის გინდა იცხოვრო კაცმა ამ ტარა-რა-ათი.

დრო-ჟამი როდის ჩერდება, ან თუკი მიდის, სად მიდის? —
 უბრალოდ... შენ ან იპოვე, ან ვერ იპოვე ადგილი.

დრო-ჟამი როდის ჩერდება, ან დროის მოკვლა რას ჰქვია,
 როს ჩემს წინ ხაიამია, როცა საადიც აქვია.

ვარდნარში ისე ხალისით მიმომატარებს საადი,
 აღარც კი მახსოვს საათი, მით უფრო დროის ტაატი.





მოთხრობები

ზღვა მზვიდი და გულგრილი იყო

დახლიდარი ზღვას გასცქეროდა. კონიაკი რომ შევეუკვეთე, ერთი ლაზათიანად დაამთქნარა, მერე ზანტად მიბრუნდა და ჭიქა შეავსო. დახლიდან ძლივს გამოეცია. ჭიქა წინ დამიდგა და დახლისაკენ წაჩანჩალდა. პირვანდელი ადგილი დაიკავა. ზღვას მოწყენილი გასცქეროდა.

ზღვა ახლოს იყო. მსუბუქი ტყლასუნი ისმოდა. ზღვის სუნი მცემდა. მლაშე სუნი, ყველაფერში რომ ატანდა.

კონიაკი გადავკარი. ლუდი დავაყო-
ლე. ერთხელ კიდევ შევათვალიერე სასაუზმის გატურტლული კედლები. სასაუზმეში ვიღაცა კაცი შემოვიდა. მღალი, ჩამომხმარი, წითური მამაკაცი იყო.

მაგიდა ჩემს გვერდით დაიკავა. დახლიდარმა გულგრილად გამოხედა. ისევ დაამთქნარა და მისკენ წამოვიდა. მისი უღიმღამო ხმა კვლავ გავიგონე:

— რა მოგართვათ? — ცივად დაეკითხა.

— კონიაკი მომიტანე, — უთხრა მან და ჩაახველა. წვრილი, ღრმად ჩამჭდარი თვალები ჩუწყვლიანდა.

— რალაც დასაყოლებელიც, — მიაყოლა მიმავალ დახლიდარს და კვლავ ჩაახველა. დაბალი, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. ვიდრე დახლიდარი რამეს მიუტანდა, სადღაც იცქირებოდა. ისე მო-

რიდან იცქირებოდა, როგორც ფოტოსურათიდან გამოსახულება.

დახლიდარმა შეკვეთილი მაგიდაზე დააწყო და უხმოდ მიბრუნდა.

შემოსულმა რამდენიმე ჭიქა ზედზედ გადაჰკრა. სახის ნაკეთები გაეხსნა. დახლიდარს მოუხმო. ეტყობა, ლაპარაკის გუნებაზე მოვიდა. ჭიქა შეავსო და ხელში შეაჩეჩა.

დახლიდარმა ჭიქას ტუჩები შეახო. ისევ მაგიდაზე დადგა. უგემურად გაიღრიქა. ყვითელი კბილები გამოაჩინა.

— ეხ! დავლევ და...

— კარგი ერთი... გადუძახე.

— ჯანი გავარდეს — მორღვეული თვალები აუციმციმდა. ჭიქა ერთბაშად გამოცალა. მერე მრგვალი, კონმორეული სახე უსიამოვნოდ დაეღრიჭა.

— ველარ ვეშვები ამ ოხერს, — ძეხვის ნაჭერი აიღო და გაღეჭა.

— ზოგჯერ სისხლის გამოშვებას უდრის. უნდა დალიო — უფერულად გაიცინა წითურმა, — ჩემმა ქალიშვილმა ცხოვრება გამიმწარა. ალკოჰოლი მოგკლავსო. კუდში დამდევედა... ახლა დაისვენებს. სამუდამოდ დაისვენებს. წვალებას მორჩა.

— ეჰ... ხე... — რალაცნაირად ამოიქმინა დახლიდარმა. მე გადმომხედა რატომღაც.

წითურმა ჭიქები შეავსო. მერე ჩემ-

კენ გადმოიხარა. არც კი უკითხავს, ჩემი ჭიქაც შეავსო.

— დავლიოთ! — უბრალოდ თქვა. თავისი ჭიქა აიღო და მიიყუდა.

— რას იხამ! იმიტომ ვცოცხლობთ, რომ მოგვედეთ, — თქვა დახლიდარმა თავის კანტურით. მაგიდას მიუჭდა.

წითური ცარიელ ჭიქას ჩასცქეროდა.

— ჰო... აღარაფერი ეშველებოდა, — ისე ჩაიცინა, თითქოს უსტვენსო — დასასვენებლად ჩამოვედით.

— აქ დასაფლავეთ? — ვკითხე მე.

— რა მნიშვნელობა ჰქონდა.

დახლიდარმა მხრები აიჩეჩა. ჭიქა აიღო და გადაჰკრა.

— მამ ალკოჰოლი კლავსო? — იკითხა შემდეგ, ჭიქა რომ გამოსცალა და სული მოითქვა, — ადრე ბოთლს მოვიყუდებდი და ვითომც არაფერი, სმა ის იყო.

ფანჯარაში ლურჯი ცა მოჩანდა. ჩამუქებული ლურჯი. ზღვა მშვიდი და გულგრილი იყო.

— დედამისი თამამდე გავიცანი, — თქვა წითურმა. მისი დაბალი, ზრინწინი ხმა თითქოს შორიდან მოისმა — თმის დროს... მოკვდა. შიმშილით მოკვდა... მარტო ესლა მყავდა. ბედურებით ვკვდებით. მიწა გვეძახის, დედის სისხლივით გვეძახის, ამაოდ ლამობ გავლწიო, ასე ყოფილა. უბრალო ამბავია... სიკვდილის ეშინოდა... ჰმ... სიკვდილის ეშინოდა, — თვალეები დაუვიწროვდა, მომწვანო გაუხდა.

— ომს ნუ გამახსენებ. ჯანდაბაში ვიყავით... ახალგაზრდებს ჰგონიათ, ყველაფერი თავისთავად მოდისო. ძალიან გვიჭირდა, — წამოილაპარაკა დახლიდარმა.

— ჰო... გვიჭირდა.

— შენ ჩემი ძმაკაცი უნდა ნახო. დათრება და ტირის. თვითონაც არ იცის, რატომ ტირის. რამდენი ხანი გავიდა ომის შემდეგ და დღესაც ვერ მოუნებლებია. ნერვები არ გვეიარგა. ახალგაზრდებს წარმოადგენაც არ შეუძლიათ. ნიძლავს ჩამოვალ — ხიზინებდა დახლიდარმა.

— მამაჩემი ომში დაიღუპა, — უცებ წარმოვთქვი მე.

წითური ისე დამაცქერდა, თითქოს პირველად მხედავდა. დახლიდარიც მიყურებდა.

— იქ სიკვდილი ძნელი არ იყო, — მშვიდად თქვა წითურმა — მარტო არ იყავი. ახლა მარტო რჩები. სულ მარტო... იქნებ არის რაღაც...

— უნდა წაგვესვენებინა, — წამოიძახა დახლიდარმა.

— რა მნიშვნელობა ჰქონდა. მიწა ყველგან ერთნაირია.

დახლიდარს სახე წამოუწითლდა. თვალეები გადმოჰკარკლა.

— ერთნაირი? ეგ იგივეა, კაცმა რომ ვითხრას, რატომ ომობდიო! — მაგიდას ხელი დაჰკრა მან.

— მიწა ყველგან ერთნაირია, — ხელი ჩაიქნია წითურმა. ამღვრეული თვალეები გაუმრუდდა. საღდაც შორს გაიხედა, ჩვენს იქით. რაღაც აზრს ჩაუღრმავდა და ჩაილექა.

მე მომეჩვენა, იგი სიტყვებს დაუსრულებლად იმეორებდა. თუფშები წინ მივწიე და წამოვდექი.

— იანგარიშე, — მივმართე დახლიდარს — ერთად იანგარიშე, — ხელით წითურის მაგიდაზეც ვანიშნე. ჯიბიდან ფული ამოვიღე. წითურმა შემომხედა, გახევებული სახე ჰქონდა, სურათებში რომ არის ხოლმე გაქვავებული წამი.

— რა საჭიროა, — თქვა მან მშრალად, — შენთვის არაფერი მითხოვია. წამოდგა. მხრებში მოხრილი იყო, მაგრამ მაინც დიდი ჩანდა. ხელი დამიჭირა.

— რა საჭიროა.

— უნდა გადავიხადო, — გავიმეორე და გარუჭულ სახეზე შევაჩერდი. ხელი გავინთავისუფლე. ფული მაგიდაზე დავყარე. იგი გაფითრდა.

— მიიღე! — ვუთხარი დახლიდარს.

— ცინგლიანო, — ზიზლით გამოსცრა წითურმა, ხელი მომიქნია. მე გვერდზე გადავიხარე. თავი ვერ შეიკავა და მაგიდაზე გადაიღწეწა. მივბრუნდი და გასასვლელისაკენ ნელა გავემართე.

ბიძია ალექსის ჯამრი



მე და ბიძია ალექსი შუშაბანდში ვიჯექით. შემოდგომის მზით განათებულ ქუჩას გავსცქეროდით. ქუჩის მეორე მხარეს, ფარდულთან, რამდენიმე მამაკაცი ლუღს სვამდა. იქით, ძველი ეკლესიის პირქუში შენობა იდგა და დროს ითვლიდა. ქუჩაში ყვითელი ფოთლები ეყარა.

ოთახიდან ვარა ბიცოლა გამოვიდა თეთრი, ძალიან თეთრი თმა ჰქონდა.

— ო!.. დმერთო, რა ცხელა, — წამოიძახა მან და ნახევრად ღია ფანჯარა ფართოდ გამოაღო.

— ასეთ დროს სიცივე იცოდა, — თქვა ბიძია ალექსიმ, — ამინდიც შეიცვალა, — ჭადრა უღუაშებზე ხელი ჩამოსვია — ასეა ხოლმე, რაღაც თვალსა და ხელს შუა გამოგეპარება, მერე გიკვირს.

— სოფელში არ აპირებთ? — ვკითხე ბიძია ალექსის.

— ჰოი ბიჭო, ადესას რა სჯობია, — თვალები გაუბრწყინდა, — გულს ვიჭერებდი.

ვარა ბიცოლას სახეზე ღიმილი გადავღვარა.

— ღვინისთვის სული მისდის. ბიჭიც მას დაემსგავსა.

— აბა ვის დაემსგავსებოდა? — რაღაცნაირად ჩაიციხა ბიძია ალექსიმ. დაფანჩულ წარბებს ქვეშ უსიამოვნო შუქი გაუქრათა.

ვარა ბიცოლა ოთახში შებაჯბაჯდა. ჩასუქებული დედაბერი იყო.

— ის ბიჭი, ერთი კვირაა, სახლში არ გამოჩენილა. გაგიგონია?! — წამოიძახა ბიძია ალექსიმ, — ეშმაკმა უწყის სად დაეხეტება.

წყალივით უფერული თვალები რომელიდაც წერტილს მიაპყრო.

— დღეს სახლში დაიკვირ-მეთქი. საქმე მქონდა, — ვუთხარი და სიგარეტს მოუეკიდე. სქლად გამოვუშეი კვამლი. კვამლი კევივით გაიწეა.

— ბიძაშენი სამსახურში მოეწყო, — ოთახიდან გამოძახა ვარა ბიცოლა, — დარაჯად მოეწყო. დამე მაინც არ ეძინებოდა...

— ფეხი ვერსად მოიკიდა იმ ბიჭმა, — ჩაიბუზღუნა ბიძია ალექსიმ.

— ჩვენ ორს პენსიაც გვეყოფოდა, — კარში გამოჩნდა ვარა ბიცოლა, — მიყრუებულ ადგილზე მუშაობს. არ წახვიდე-მეთქი. თუ აიჩემა, მორჩა. ცოტა რამე ხდება? ადექი, ვისადილოთ.

ბიძია ალექსი მძიმედ წამოდგა. წელი ძლივს აითრია. მაღალი, ძვალმსხვილი მამაკაცი იყო. მხრებში მოხრილი მეჩვენა. ოთახში შემიძღვა. პატარა ოთახში ყველაფერი ისევე სუფთად და კაპწიად გამოიყურებოდა, როგორც ვერა ბიცოლა.

— მაყვლის ან ბროწეულის წვენში ჩაწყობილი ქათამი უკეთესია, — მოიბოდიშა ვარა ბიცოლა. ნივზით შეზავებული ლობიოთი სავსე თეფში გამომიწადა. ვიდრე კარგად მოზრდილი ულუფა არ გადმოვიღე, არ მომეშვა.

ბიძია ალექსიმ კიჭები არყით შეავსო. ჭიქა ჭიქაზე მომიჭახუნა და ერთბაშად გადაპკრა. არაყს სასიამოვნო გემო დაჰკრავდა. რაღაცნაირი მოტკბო იყო. ცეცხლივით მაგარი.

— კარგი არაყია, — ვთქვი, როდესაც სული მოვითქვი.

— სოფლიდან ჩამოვიტანე, — გაიბადრა ვარა ბიცოლა, — ეგ ერთი ბოთლი ძლივს გადავინახე.

ბიძია ალექსიმ თავი აიღო, ჩამოშვებულ უღუაშებზე საკმლის ნამცეცები შერჩენოდა.

— ერთიც დავლიოთ და ორი იქნება, — თვალი ჩამიკრა მან.

ვარა ბიცოლა საათს უყურებდა, ძველებურ კამოდზე რომ იდგა.

— დღესაც არ მოვიდა, — ამოიოხრა მან. თვალზე ცრემლი მოადგა, — მოხუცები აღარ სჭირდება. თუმცა მეც

ასე ვიყავი. დედაჩემის დასაფლავება-ზეც ვერ წავედი.

— მაშინ ცუდი დრო იყო, — შენიშნა ბიძია ალექსიმ და არაყი ხაზაში გადაუშვა. ჩაყვითლებულ კბილებს უკან ბნელი ხვრელი გამოუჩნდა.

— ჰო, ცუდი დრო იყო, — თქვა ვარა ბიცოლამ. ბიძია ალექსიმ სადღაც ჩემს მიღმა გაიხედა.

— ომი იყო, ხუმრობა საქმეა? — წყნარად თქვა მან. მერე ჩემს ჭიქას შეხედა, — დალიე, რას უყურებ. ერთი-ორი ჭიქა არაფერს გიზამს.

— ვითომ?

მან თავისი ჭიქა შეავსო.

— ალექსი ომის დაწყებისთანავე წაიყვანეს, — გაიხსენა ვარა ბიცოლამ, — სოფელში წავედი. დას შევეხიზნე. მისი ქმარიც წაიყვანეს. კაცებივით ვმუშაობდით. დღე და ღამე გასწორებული ვვქონდა.

— მაგისი და წვალეებით მოკვდა. ნერვიული ქალი იყო, ჩაილაპარაკა ბიძია ალექსიმ.

ვარა ბიცოლა ქმარს მიჩერდა:

— აბა რა ექნა? — ცხარედ უთხრა, — ომიდან დასახიჩრებული ქმარი დაუბრუნდა. ისეთი საშინელება ღმერთმა გაშროთ. გამწარდა ქალი. ასეთ ყოფას სიკვდილი სჯობდა, — ხელები გაასავსედა ვარა ბიცოლამ — უფლიდა, თავს დასტრიალებდა, ზედ გადაჰყვა. ის კი უმადური იყო. გაგონილა?

— მეც უმადური ვიქნებოდი. — განაცხადა ბიძია ალექსიმ და ჩაიციხა.

— ღმერთო ჩემო!.. მაგას ცოტაც ყოფნის, დათვრება და აღარ იცის, რას ამბობს.

— უმადური ვიქნებოდი, — გაიშვირა ბიძია ალექსიმ და ჩაახველა. ყელი ჩაიწმინდა.

— უმადური ვიქნებოდიო? — ჩემსკენ შემობრუნდა ვარა ბიცოლა.

თვალის კუთხეებში ნაოჭები მთლად გაუქრა, — სიცოცხლე გამომწარა, — გაჯავრებული წამოდგა. კარებისაკენ წაბაჯბაჯდა. ბიძია ალექსიმ ხმამაღლა გაიცინა.

— როგორ ეწყინა, ხედავ? ვითომც არაფერიო, — ჩემსკენ გადმოიხარა, ამღვრული თვალებით შემომამკცქერდა.

— ჯარიდან რომ დაებრუნდი, — დაბალი ხმით მითხრა, — ვარამ პატარა ბავშვი დამახვედრა — ავიყვანეო. უპატრონოდ დარჩა და ავიყვანეო... ზოგჯერ ჩაფიქრდები და გულმუცელი მერევა.

სკამზე გადაწვა. ნახევრად მოჭუტული თვალებით სადღაც გაიხედა. წავიდა შორს, ძალიან შორს. რაღაც ფიქრმა სახეზე კმუნევა მოჰგვარა. მე წამოვდექი, ბიძია ალექსის გამოვემშვიდობე. მან გადმომხედა და ისევ თავის ფიქრებს ჩაუღრმავდა. ვარა ბიცოლა კარამღე მომყვა.

— ასე იცის, — მითხრა მან, — თვალები გაუშტერდება და შორხა. რას იზამ... ბევრი წვალევა გამოიარა. დაიღალა. ადრე ასეთი არ იყო.

როგორც გუშინ, გუშინწინ. ერთი წლის წინათ...

1.

თეა დიდიდანვე საღაროში იჯდა. ფულს არიგებდა. ვიწრო სარკმელში მრგვალ სახეებს ხედავდა. ფართოდ გახელოლ თვალებს. ცნობისმოყვარეობით და მოუთმენლობით აღსავსეთ. ფულს რომ ართმევდნენ, უსაგნოდ იღიმებოდნენ. თეაც იღიმებოდა. ხან-

შიშესული ადამიანები იყვნენ. დაღლილი ადამიანები. საიდანღაც მანქანების დაგა-დუგი ისმოდა. გულისგამაწვრილებელი შიშინი.

ღღის ბოლოს საშინლად დაიღალა. არაქათი გამოეცალა. ერთფეროვნებამ მოქანცა. როგორც იქნა, უკანასკნელი კაცი გაისტუმრა. მერე უაზროდ აქდა

და ჩახურულ სარკმელს მისჩერებოდა. თვალები დახუჭა. ისევ დაინახა: მოღლილი სახეები, სარკმელში გამოჩრილი, დაკოყრილი ხელები. შეშფოთებულმა თვალები გაახილა. წასვლის დრო იყო. სწრაფად წამოდგა. ჩანთა აიღო და სალაროდან გამოვიდა. კარები ხმაურით მიხურა. გრძელი, თეთრად შეღებილი დერეფანი გაიარა. შემდეგ ქუჩუიანი კიბე და ნახევრად ჩაბნელებული ვესტიბული. ქუჩაში გავიდა.

ცა შვეიდი იყო. მზე სადღაც მთების მიღმა ეშვებოდა. ტროტუარები ხალხს ვეღარ იტევდა. სამსახურებიდან გამოდიოდნენ. შინ მიეჩქარებოდათ, მეორედღეს ისევ სამსახურში რომ დაბრუნებულიყვნენ. სიცილი, ხმამაღალი შეძახილები ერთმანეთში ირეოდა. ავტობუსის გაჩერებასთან ბლომად ხალხი იდგა. ქუჩას მოუთმენლად გასცქეროდნენ. თემ ხალხში ნაცნობი გოგო შენიშნა. ვიღაც კაცს მკლაზე ჩაბოკიდებოდა. კაცი მაღალი იყო. მხრებში ოდნავ მოხრილი. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეპილი. თვას საოცრად ექნაურა მისი გადაფითრებული სახე. ავტობუსი რომ მოვიდა, აჩოჩოლებულ ხალხში დაიკარგნენ. დიდი, მწვანე ავტობუსი ერთბაშად გაიჭედა. ადგილიდან მძიმედ დაიძრა. გაჩერებაზე დატოვა ლურჯი კვალის ბოლქვი და განაწყენებული ადამიანები. მათ შორის ნაცნობი გოგოს ნაზი პროფილი ისევ დაინახა. უცებ გაასენდა. მამაკაცი, ნაცნობ ქალიშვილს რომ ახლდა, გოგის ჩამოგავდა. გოგიც ისეთივე მაღალი და ძვალმსხვილი იყო. მხრებში ოდნავ მოხრილი. თუმცა გოგის ავადმყოფური სახე არ ჰქონდა. მაინც საოცრად აგონებდა იმ მამაკაცის სახე გოგის. ამ აღმოჩენამ სევდა მოჰგვარა. გოგი წარსულის ბურუსით იყო მოკული. შორს იყო მისგან. მაღიან შორს. დროის მიღმა იდგა. წარსული მისი სულის წიაღია. მისი არსებობის ტოლი. ცხოვრება ისე უნდა იყოს მოწყობილი, იმედები არ იმსხვრეოდეს. სიძულვილი იგრძნო უსულგულად ადამიანების მიმართ...

2

ახმაურებულ ქუჩას ფეხით გაიყვანა. მაღაზიებს ჩაუარა. ბრწყინვალე სივრცეებით ავსებულმა ვიტრინებმა თვალი მოსკრა. ულახათოდ გამოწყობილი მანეკენები ბავშვობაში შიშს გვრიდა. მათი უსაგნო არსებობა შიშს და ძრწოლვას აღუძრავდა, დედისკალთას ეფარებოდა. ახლა ყველაფერი ეს ღიმილს გვრის, ნაღვლიან ღიმილს...

კინოთეატრებში სენსი დამთავრებულიყო. დარბაზები ცარიელდებოდა. ხალხი ნაკადებად გამოდიოდა. დაღლილები ჩანდნენ. დამძიმებულ სხეულებს ისე მიათრევდნენ, თითქოს მობეზრებოდათ მათი თრევა. ~~აღა~~ ხალხის მორევში მოჰყვა. გზას ძლივს მიიკვლევდა. სული შეეხუთა. საკუთარი ფეხის სმა არ ესმოდა. მეტროს სადგურთან ხალხი გაიფანტა. სადგურმა ჰაერივით შეისრუტა ისინი. განმარტოებული აღმოჩნდა. ჩამობნელდა. მანქანებმა ფარები აანთეს. ქუჩის ნათურებიც აინთო და შუშის თვალებივით გაშემდნენ. მოულოდნელად, დაჯინებული მზერა იგრძნო. თავისდაუნებურად გვერდზე მოიხნდა. აელვარებულ თვალებს შეეჩეხა და ტანში ყრუანტელმა დაუარა. თითქოს უხეში ხელით შეეხნენო მის მკერდს, სხეულს. ფეხს აუჩქარა... ქარიყლაპია... საიდანღაც ამოტიტიტიდა მის გონებაში. მერე ქუჩა გაუაჭრა და უკან მოიხნდა. არეულ ხალხში ის მამაკაცი ვეღარ შენიშნა... ქარიყლაპია მამაკაციები. ბრიყვული თვითდაჯერებით და კმაყოფილებით შეპყრობილნი. რაც თავში აქვთ, სახეზეც ის აწერიან... და გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა სევდა — შეცნობილი ლტოლვისა და აფეთქებული სურვილის უარყოფა...

3

აქედან სულ ახლოს ცხოვრობდა. მეორე სართულზე საკმაოდ მოზრდილი ოთახი ეკავა. დედამისის გარდაცვალების შემდეგ, მისი დალაგება-დასუფთავება თავს აბეზრებდა... მაინც საიდან გროვდებოდა ამდენი მტკერა...

კიბეზე რომ აღიოდა, ერთდროულად აღგზნებულიც იყო და მოთენთილიც. ახლა მარტოობით მოშხამულ წუთებზე ფიქრობდა. უფორმო დღეებზე. მომჭანცავი ნიძაბუნე რომ გლლის და გტანჯავს. გული ცრემლებით გვესება. ზევით, მკრთალად განათებულ დერეფანში, კარის მეზობელს შეეჩება. ერთი წლის უკან ცოლი მოუყვდა. მას შემდეგ თითქმის ყოველდღე თვრება. ცოლის სიკვდილი ვერა და ვერ მოინელა. ჩაწითლებული თვალები შეანათა. სახეში ღლინის სუნი შეაოროტქლა. მძიმედ მიესღამა. მერე დერეფანი ბარბაკით გაიარა და კიბეზე დაეშვა. თეამ ჩანთაში გასაღები მოძებნა. კარი გააღო. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც გუშინ, გუშინწინ, ერთი წლის წინათ. ნაცნობი ნივთები, საგნები ერთფეროვან სივრცეს ქმნიდნენ. თეას არსების რაღაც ნაწილს კლავდნენ. ყოველდღე კლავდნენ, ვიდრე გათიშული სული და სხეული ერთ მთლიანობად იქცეოდა...

4

თეა დაღლალი იყო. უცებ მოეშვა და მოიშალა ისევე მიეგდო ლოგინზე და გაირინდა. საიდანღაც მუსიკის ხმები იღვრებოდა. მერე უეცრად შეწყდა. სიწყნარე ჩამოეშვა. ღია ფანჯარაში ნედლი ფოთლების სურნელება შემოდინდა და მთვარის შუქი, სახურავზე კატებმა დაიჩხავლეს. ქვევით, ძველი ხის საფეხურები საცოდავად აჭრიანდნენ. მეზობელი სახლში დაბრუნდა. ცოტა ხანს ოთახში დაბორიალობდა, წრიალებდა, მარტოობა სტანჯავდა თუ უსასრულო მოწყენილობა. შემდეგ საწოლში დაიჭრიალა. ქუჩიდან ქალის ჩახლეჩილი ხმა გაისმა. გოგა!.. გოგა!.. სადღაც ძაღლმა დაიყეფა. თეამ ღრმად ამოიოხრა.

5

რომავალზე ფიქრმა მოჭანცა თეა. ცხოვრების ერთფეროვნებამ და სირთულემ მოჭანცა. ცხოვრებამ, რომე-

ლიც საესე იყო უსიტყვო მსხვერპლით..

ერეკნული

დღეა მუდამ ჩასჩინინებდა უმწონად ულაზათო ხარო. ბევრს სხვა რამესაც ეუბნებოდა. მასზე ყოველდღე გულადრენილი იყო. მამა, ერთი ლოთი, გაუბედურებული კაცი ყოფილა. ერთხელ სახლიდან წასულა და აღარ დაბრუნებულა. მართლაც აუტანელი ცხოვრება ჰქონდა თეას. უმძიმდა ავადმყოფი ქალის მოვლა. სუსტი, უმწეო, მარტოობით დასნეულებული დედის მოვლა. დედამისი კი უმადური იყო. არაფერი მოსწონდა. არ აკმაყოფილებდა.. ყველაფერი ეს ვითომ დასრულდა? დედა უეცრად გარდაიცვალა. უწვალებლად ამოხდა სული. მთელი დღე გამპრალი იჭდა მიცვალებულის თავთან. რა მნიშვნელობა ჰქონდა ცრემლებს. ადამიანი ნოკვდება და მორჩა.

სადამო ეამს, როდესაც მზე ჩაეხვეწინა, არც დღე იყო და არც ღამე, უფრო მძაფრად იგრძნობოდა სიკვდილი. თეა შიშმა ფეხზე წამოაგდო. სიკვდილის შიშმა, ძრწოლვამ, ზადგან მკერდი სიცოცხლით ჰქონდა საესე.. მზოლოდ გოგა!.. გოგა დაიხსნის. მკერდში ჩაიკრავს. მათ სიცოცხლე სწყურიათ..

6

..გოგის თეას ხელი ეჭრა და გაუთავებლად ელაპარაკებოდა რაღაც უაზრობებზე, რომლითაც თავს ძალათი ვიტანჯავთ. ქალი სდუმდა. სასოწარკვეთილებამ თავგზა აუხნია.

— წავიდეთ.. დამშვიდდები.. — ჩანს და გოგის ხელს მოჭერა იგრძნო. უაზროდ, უმწეო ცხოველივით მიჰყვა. სადღაც შევიდნენ, კიბეს აჰყვნენ. ირგვლივ სიწყნარე გამეფებულიყო. კიბის სიღრმიდან შმორის სუნი ამოდიოდა. კარებში გასაღებმა გაიჩხაუნა და თეას გულზე დანასავით დაესო.

— შედი, — ეუბნება გოგა — დამშვიდდები და წახვალ.

— არა.. შეუძლებელია, — უცებ აღნოხდა თეას და მოაჯირს მიეკრა.

— თეა!.. — გოგიმ ხელი მოხვია-
თეა მოაჯირს ჩაეჭიდა.

— თეა!.. თეა!..

თავისკენ მიიზიდა. თეას სასოწარკ-
ვეთილი კივილი აღმოხდა... კიბეზე
დაეშვა...

— თეა!.. თეა!.. — გოგი მაინც ეძახ-
და..

7

დიდი ხნის შემდეგ შეხვდა გოგი.
ჭუჩაში შემთხვევით შეხვდა. მთლად
შეცვლილი ეჩვენა. მის წინ მოღლილი
მამაკაცი იდგა.

— სხვა როგორ ცხოვრობ, — ჰკითხა
თეამ.

— ისე... ჩვეულებრივ, — მიუგო მან
და სიგარეტი ამოიღო. მოუყიდა. მაგ-
რად მოქაჩა და კვამლი ჭშენით ამოუშ-
ვა — ადამიანს ყოველთვის რაღაცა აკ-
ლია, — უფერულად გაიციხა. თეა და-
აქებდა. მას თვალეზი გვერდზე გაეჭ-
ცა. სიგარეტი ისე მაგრად მოქაჩა,
თითქოს მეტის მოწევა აღარ ეღირსე-
ბოდა.

— ჰო.. ჩვეულებრივ ვცხოვრობთ, —
წყნარად თქვა თეამ.

— არ გამოცვლილხარ, — ჩაიციხა
გოგიმ.

— როგორი ვიყავი?

— ასეთივე, — ისევ გაუცინოდა. თუმ-
ცა, ვინ იცის, ვინ რაღაცაზე ხელი
ჩაიჭინია. ოდესღაც მისი ხელები ცხე-
ლი და მშრალი იყო. მათი შეხება სწე-
ვდა თეას.

— შენ ისევ მარტო ხარ? — გამოაშ-
ვიდობებისას იკითხა გოგიმ.

თეამ არაფერი უპასუხა. ერთხანს ჩუ-
მად იდგნენ. მათ სახეებს შუე ანათებ-
და. შენობდგომის შებერებული შუე.

— თითქოს გუშინ ვიყავით ბავშვე-
ბი, — თქვა გოგიმ.

არა, ეს ადამიანი არ უნდა იყოს ბედ-
ნიერი — გაიფიქრა თეამ. სახე გაუნათ-
და. გული ცოცხლობდა. გოგი წავიდა...
სულში დაუბოლოვებელი რაღაც დარ-
ჩა. ტკივილივით მწვავე. მტანჯველი
გრძნობა. დღესაც ნაღველივით აწვა
გულზე. რაზედაც არ უნდა ეფიქრა,
ბოლოს მაინც მას უბრუნდებოდა...

ნუთუ არ აქვს ბედნიერების უფლე-
ბა?.. ვინ იცის?.. იქნებ... ეს არის
სულ?.. გულგრილი და უძირო სინამე-
რომელიც თელავს სულს და არსებო-
ბას...

...კედლის გადაღმა საწოლი ისევ აჭ-
რიალდა... დახშულმა ხმამ კედელში გა-
მოაღწია, მარტოსული ვიღაცას უხმო-
და...



ზონდო კეხელავა

• • •

„შენ ჩემი თავი მოგიკვდეს
სალამი დაგიგვიანე“...
ხელი ვერაფერს ვერ ვკიდუ,
ფიქრიც ვერ გაგიზიარე.

იმ შენს აივანს პატარას,
აქვთ და იქით ვუარე...
წარსულმა ერთხანს მატარა
და გვიან მითხრა უარი:

— ნუ შეაწუხებ, ნუ ერჩი,
ნუ მოაგონებ განულილსა...
იცი?.. ძვირფასო ამ რჩევამ,
დამნისლა, როგორ დამნისლა...

ხელი ვერაფერს ვერ ვკიდუ,
ლიღინით ჩამოგიარე:
„შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,
სალამი დაგიგვიანე“...

• • •

დაწყნარებულ დღეს ვერ შევესწარი,
სულ რაღაც მიჭირს, რაღაც მაწვალებს.
ვტყვი: — მეშველა, მორჩა ეს არი,
და სინარულით გავახსელ თვალებს...

მცირე ხანი და კვლავ ამეჩრება
სუვა საზრუნავი, სხვა საფიქრალი.
ვიცოდე მე მაქვს მარტო ეს ჩვევა,
თუ ამ დღეშია კაცი და ქალი...



ქუჯი ძიძიშვილი

ზღვა იყო წყნარზე წყნარი...

ზღვა იყო წყნარზე წყნარი.
ზღვა იყო უწყინარი.
ზღვა იყო თბილზე თბილი,
ვითარ ღიმილი ჩვილის.

ზღვა იყო ჩუმზე ჩუმი,
და ზღვის იღუმალ დუმილს
ხმას უტოლებდა ღვთისას
საგალობელი ცისა.

ზღვა იყო ნაზზე ნაზი,
მზე ლივლივებდა ზღვაზე,
და ხირნი დასტა-დასტად
მზეს შეჰხაროდნენ ზღვასთან.

მზე იყო მწველზე მწველი,
დღე იყო ცხელზე ცხელი,

იწოდა კიდით კიდე,
და რასაც თვალი ვკიდე,
ყველგან მოსწანდა ცხადლივ
ცისა და მიწის მადლი.
ზღვა იყო გლუვზე გლუვი,
ვით ნორჩი ნუკრის გული.

დღე იყო ცხელზე ცხელი,
მზე იყო მწველზე მწველი,
და ქვიშათა და ქვათა,
ზღვათა სხვათა და სხვათა,

მთელი მსოფლიოს ზღვათა
ალმური იდგა ზვატად.
ცა იყო მშვიდზე მშვიდი,
ვით წარბთა შენთა მშვილდი.

ზღვა იყო წყნარზე წყნარი...



აივნისანი ქალაქი

რომანო

6. მარჩილთან

ქა, ოთხი კვირე ერთად, ეს რა კარგი ქალაქია!

გაბრიელ სუნდუკიანი. „საღამოს ერთი ცხვირი ხეარია“.

მეორე დღეს ქალბატონმა ზანდაროვმა წმ. ბარბარეს საყდარში თავისი ძვირფასი საყვლეური ჩამოკიდა. ხატებს სანთლები დაუნთო. დიდხანს ილოცა და შინ იმედმოცემული დაბრუნდა.

მმ. ბარბარეს საყდარში თვალდაკრულები, ეშმაკეულნი, ავზიანები, სურავანდიანები, წითელქარიანები, დავრდომილნი და ხეიბარნი შეთქმულ საგნებს სწირავდნენ და სწამდათ, რომ შეწირული საიკაულებით და შედებილი მძივების ასხმულებით განიკურნებოდნენ და ჭანთან ერთად სულის სიმშვიდეს დაიბრუნებდნენ.

ამ რწმენით სულდგმულობდა ქალბატონი ზანდაროვიც.

მაგრამ მან მხოლოდ წმ. ბარბარეს არ მიმართა დასახმარებლად. განდობილმა მოახლემ იგი ხიდის ყურეში, შაპ-ისმიალის მეჩეთის მახლობლად სწავლულ და გრძნეულ მოლას სახლში

შეიყვანა. ამ მოლას მან ავგაროზებთან ერთად აღმოსავლური ნაყენიც გამოართვა და ქმარს ჩუმად ღვინის ფიალაში ჩაუსხა. როცა ქმარი ფიალას ცლიდა, ცოლი დაზეპირებულ თათრულ სიტყვებს ბუტბუტებდა. მაგრამ არც ავგაროზმა გასქრა, არც თათრის მოლას იმ წამალმა, რომელსაც გრძნეული სწავლული უცნაურ არაბულ სახელს უწოდებდა.

ქორიკნების სიტყვით, გრიგოლ ზანდაროვი ისევ ხედებოდა თავის საყვარელს სასტუმრო „სანაქტ-პეტერბურგში“. გამწარებულმა მანანამ ახლა განთქმულ მარჩიელს მიმართა და ავღაბარში თაიროვის ქუჩაზე გაჩნდა. გაქნილმა მარჩიელმა წინასწარ გაიგო, თუ რა დარდს მოეყვანა მასთან ლამაზი კნენია, ხოლო საამისოდ გააფულმა მოახლემ სულმთლად გაუადვილა მას გულუბრყვილო ქალბატონის თავბრუსდახვევაც და ქისის დაცარიელება.

როცა მანანა მარჩიელის ოთახის ზღურბლზე გადადიოდა, ბნელი კუთხიდან ვიღაც დედაკაცმა მხიარულად შემოსძახა:

— დილა მშვიდობისა, მანანაე!

მანანა განცვიფრდა.

— შენ ვინ გითხრა ჩემი სახელი?

— უიმე, მაშ რის მკითხავი ვარ, თუ ესეთი უბრალო რამეებიც არ მეცოდინა? ტყუილად მეძახიან შავ ნინუასა და ოთახბაზიან მკითხავსა? შენ მდიდარი ზანდაროვის ცოლი არა ხარ?

— ჰო.

— შენი ქმარი აზნაურიშვილია, შენ კი კნენია ბრძანდები, განა?

— მართალია.

— შენ ხანჯლოთ მოკლული კნიაზ იარალის ქალი არა ხარ?

— ჰო.

— შენი ძმა პოლკოვნიკი დავით გერმანოვიშვილი არ არის?

— ჰო. ეგეც მართალია.

ეუბნებოდა ცბიერ მარჩიელს გაკვირვებული მანანა, გაბრუებული იჭდა ქართულ საყარცხულზე და გული უწუხდა მარჩიელის უცნაურსა და ბნელს ოთახში. მის წინ დაბალ ტახტზე, უწყისრიგოდ მიყრილ-მოყრილ და გაცვეთილ მუთაქებში ფეხმოკეცილი იჭდა შავებში ჩაცმული, ჯერ ისევ საკმაოდ ახალგაზრდა ქალი, მაგრამ სახე დამანკული, დიდრონთვალემა, დიდტუჩა, თმაგაწეწილი და ჩხირივით ჩამომხმარი. პაწია ოთახი დარბაზებით იყო დაგმანული, ხოლო კედლებზე აქა-იქ თაფლის სანთელი ენთო. ხის სამფხვა ტაბლეტზე უთავბოლოდ ეყარა ქაღალდი, ნახშირი, წყებლები, ქერის მარცვლები, საიდუმლო ასოებით დაწერილი ფარატინები, პაწაწკინტელა ეჭვები და პაწაწუნა ზარები, თიხისა და ხის ჯამები, პინები, კალათები, გოდარები, საცრები, კრულ-კრული ფალასები, თხის ტყავები, ხარის ბეჭები წარწერებით, წყლით სავსე ლიტრები და ღოჭები. თვითონ მარჩიელს ხელში ვაქონილი ქაღალდები და კამათლები ეკირა, ნელ-ნელა ათამაშებდა და რაღაც შინაგანი შუქით აელვარებულ და მომნულსხველ უნაბისფერ თვალებს საშინლად ვაფითრებულ ქალბატონს არ აშორებდა.

მანანაზე უსიამოვნოდ მოქმედებდა უცნაური ოთახის უცნაური საგნები, ტანში ცივი ერთნატილი უვლიდა, როცა ქაღალდის გაშლით და კამათლე-

ბის დალაგებით გართული მარჩიელი ხრიწიანი ხმით ჩიფჩიფებდა, ხან...პირს ალებდა და ღრჯოლებს აწუნებდა, ხან ფევისთვის გაუგებარ რაღაცას ბუტბუტებდა და გაბმულად თავის ნელი კანტურით დუღუნებდა.

— შენ ქმარი გლაატობს, კნენიანე! მიახალა უცებ მანანას მარჩიელმა, როცა ოსტატურად გაფანტულ ქაღალდებს დააკქერდა და ხელში პიკის ქალი აიყვანა.

— აი, ის ქალი. იცნობ ამასა?

— ჰო. — თავი დაუქნია მანანამ და ზიზლით შეხედა პიკის ქალს.

— იცი მისი სახელი?

მარჩიელმა არ იცოდა ვინ იყო გრიგოლ ზანდაროვის საყვარელი და რათა მისი სახელი და ვინაობა გაეგვო, ქაღალდი მაღლა ასწია, სახეზე „ვიცის“ გამომეტყველება აისახა და უარესად ფერწასულ ქალბატონს განდობილად მიაკქერდა.

— ვიცი, კნენია მაგდა გოსტაშაბიშვილია.

მარჩიელი ერთბაშად ალაპარაკდა:

— ოჰ, ოჰ, დედავ და თვალო! იმ წყეულ მაგდას რა უქნია! რა ჩაუდენია! რა გრძნება ჰქონია! გენაცვათ! როგორც არ უნდა აურიო ქაღალდი, ის ქალი დაბარებულებით არ მოდის?! ამ სალდათს არ შორდება, სულ თავს დასტრიალებს... თავს ევლებს, გზას უყრავს და უხლართავს... ეს ყვავის ქალი მაგდა არის, ეს ჯვრის სალდათი გრიგოლია. ვხედავ, ვხედავ, ყველაფერს ვხედავ. შენი ქმარი მაგდას თილისმებით შეუკრავს... წამალი აქვს დალეული...

მანანას მარჩიელის სიტყვები ენიშნა და გული შეუკრთა.

— მაშ არაფერი მეშველება? — სასოწარკვეთით წამოიძახა მან,

— რას ამბობ, ქალო? როგორ თუ არაფერი გეშველება? მაშ მე რაღას ვაკეთებ? იმ კნენის გრძნებებს დავარღვევ და ქმარი დავიბრუნდებ. ახლავე ქაღალდს ისევ გაეშლი და საცრის დავატრიალებ. მანამ შენ ამ ხელსახო-

ცში ოქროს თუმნიანი გამოჰკარი, უნ-
და გამოვილოცო.

მარჩიელმა რუდუნით და ზუზუნით
დაიწყო უქმურის ლოცვა:

— მარწამს ჭვარცმული, არას მავნებს
მიცდური, მე ქრისტე ვარ, ქრისტეს ბე-
ჭლით შექვედილი ვარ, მამა მაცვია, ძე
მმოსია, ხოლო წმინდა გარე მარტყია,
ოთხნო თავნო სახარებანო: მათე, მარ-
კოზ, ლუკა და იოვანე, სადაცა სახელი
თქვენი იხსენებოდეს, იქ ძალი ეშმაკთა
იღვენებოდეს.

მანანას მეორე ხელსახოცში მეორე
ოქროს თუმნიანი გამოაკვრეუინა და
თვალყმბარვის ლოცვა ჩააზუზუნა:

— სახელითა მღვთისათა, ძისა და
სულისა წმიდისა, გასკდა კლდე ყინუ-
ლისა, გამოვიდა კაცი ყინულისა, გა-
მოსხნა ხარნი ყინულისანი, მოჰქირნა
აპურნი ყინულნი, მოაბა სახენელი
ყინულისა, მოვიდა ველსა ყინულისასა.
სთესავდა ქვიშასა, არ იხვნოდა ყინუ-
ლი, არცა ითესოდა თესლი ქვიშისა,
არცა ჩევილისა და თავთავ-მნის გამო-
ღება, აგრემც ნუ გაჰკვეთს მანანაზუდა
თვალი მთვალავისა, ყმა ყმბარვისა,
გული არამისა, ენა მზაკვარისა მონასა
ამს ღმრთისასა მანანას.

როცა მანანამ მესამე ხელსახოცში მე-
სამე ოქროსთუმნიანი გამოჰკრა, მარ-
ჩიელმა ავთვალის შესალოცი ჩაიმღერ-
ჩაიდუღუნა:

— ვიღოდა ავი თვალი, გზასა მო-
ყვიროდა ვითა ლოთ, ბრიალებდა ვითა
ვეშაბი, შემოეყარა უფალი ჩვენი იესო
ქრისტე. „სად მიხვალ, თვალო ბორო-
ტო?“. თქვა: „მივალ სოფლად, ქალა-
ქად, შინა დავკლები თავსა ზედა კაცი-
სასა, ძვალსა შევფექვავ, ტვირისა გამოვს-
ვრეტნი, თვალნი და საყურნი და ფერ-
ნი აუკრიფნო“. უბრძანა უფალმან
ჩვენმან იესო ქრისტემან გაბრიელ
მთავარანგელოზსა: „ამოიღე მახვილი
შენი ცეცხლისაფერი, მოკალ სული
უკეთური“. თქვა ეშმაკმან: „ნუ მომე-
ლათ, ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა,
სახარებათ მათე, მარკოზ, ლუკა, იოვან-
ეს, ჭვარისა პატიოსანსა, ქრისტეს

სამსჯელსა, სადაც იყოს წიგნი და სა-
ხელი, მუნ ვერა ვისაქმორავ, ექვსჯელ
ესე ლოცვა ახლდეს, შორსსი განვეშოქსა
ამინი ამინ! ამინ! განეშოროს თვალი
მთვალავისა, ყმა ყმბარვისა, გული
არამისა, ენა მზაკვარისა მონასა
ღმრთისასა მანანას!

მოხერხებულმა მარჩიელმა გაბრუე-
ბულ ქალბატონს თავისი შესალოცვე-
ბით სულ დავთრები დაუბნია, გულში
შიში შეაპარა, ხელზე დაიხვია და და-
არიგა:

— ამას იქით შენ ყოველ საღამოს
უნდა მოხვიდე ჩემთანა. ბინდ-ბუნდი
რომ დადგება, მაშინ გამოდი სახლი-
დან. მაგრამ, დაიხსომე, არავის არ უთ-
ხრა, რომ მკითხავთან დადიხარ, თორემ
თილისმას ვერ დავარღვევ და ხელცა-
რიელი დამრჩები. მეგრე მე ნურაფერს
დამბარალებ! მოხვალ თუ არა, მე
წყლით სავსე ჯამს დაგახვედრებ, შენ
ამ ჯამში ოქროს თუმნიანი უნდა ჩააგ-
დო და კნეინა მავდას სახელი ახსენო.
როდესაც კამეამა წყალში იმ კნეინას
სახე გამოჩნდება, შენი ქმარი იმის სი-
ყვარულისაგან განთავისუფლდება. თუ
ეს ასე არ მოხდეს, მოდი და პირში
ჩამაფურთხე!

ქალბატონი ზანდაროვი ყოველ სა-
ღამოს მიდიოდა მარჩიელთან და წყლით
სავსე ჯამში ოქროს გულმოდგინედ აგ-
დებდა. მარჩიელი სიხარულით ხელებს
იფშენებდა და გულში მიამიტ ქალბა-
ტონს დასცინოდა. როცა მანანამ ხარბი
მარჩიელის „სასწაულმოქმედ ჯამში“
ოცდაათ ოქროზე მეტი ჩააგდო, მაგრამ
კნეინა გოსტამაბიშვილმა თავისი სახე
არ გამოაჩინა, დაღონდა და დარწმუნ-
და, რომ მისი მეტოქის თილისმები
უფრო ძლიერი იყო. მატყუარა მარჩიე-
ლი კი ახალ ოინს იგონებდა, რადგან
„ციდან ჩამოვარდნილი“ მეშტრის
გულუბრყვილობაში საბოლოოდ დაჭე-
რებული კოდეგ უფრო გათამამდა და
გათავებდებულნი მოურიდებლად ატყუ-
ებდა საოცრად მალემრწმენ და ცრუ-
მორწმუნე ქალს, რომლის მსგავსი
ვაქრის ცოლებში მას ჯერ არ ენახა.

ქალბატონი ზანდაროვი უიმედობამ მოიცვა. დასვედიანდა. გახდა. გაყვი-
თლდა. განმარტოვდა, არც არაფერს ეკა-
რებოდა და არც არაფერს იყარებდა. სა-
მაგიეროდ ლოცვებსა და მარჩიელთან
სიარულს მოუხშირა.

დის უეცარი შეცვლით გაკვირვებულ-
მა დავითმა, რომელიც სიძის ხშირი
სტუმარი და მუდმივი მოვალე იყო, მანა-
ნას მოწყენილობის მიზეზი ჰკითხა. დამ
სიტყვა ბანზე აუგდო. არაფერი უთხრა.
ეშინოდა მის ლოთ ძმას სიმთვრალეში
არსად წამოსცდნოდა. მაგრამ როცა
დავითი აღარ მოეშვა, ჩააცვიდა და ბო-
ლოს მხედრულად უბრძანა მისთვის
უცნაური სევდის მიზეზი ეთქვა, მანა-
ნამ ველარაფერი აწამა, ჩაკეტულ თათხ-

ში ძმას თავის შერცხვენის ამბავი უამბო-
და ქვითინი აუეარდა. დავითმა განწყის-
და, ბრახით კიბულებზე გააყვირებდა, მაგრამ
სიძეს მაგრად შეუჯეროდა, მერე კნი-
ნა გოსტამაბიშვილს კახა უწოდა, ბო-
ლოს დასაც გადასწვდა ყალთაბანდი
მარჩიელის გამდიდრების გამო.

მანანას ნუგეში სწყუროდა, ძმამ კი
ზედ აღარ შეხედა, გატრიალდა, წავი-
და და გულდამწვარი და დაბლანდული
ფიქრების ამარა დატოვა.

მარტომარტო დარჩენილი მანანა
პატეახდილი ქალის ქმნებაში ისევე
უსუსურად ეხვეოდა, როგორც თბობას
ქსელში ანაზღვეულად მოხვედრილი
მსხვერპლი ეხვევა.

პარი ოცდამეცხე

1. აღსარება

ქალი განთავისუფლების შემდეგ უფრო
მეტ სიყვარულს მოიპოვეს, ვიდრე თე-
ონ სიყვარული იძლევა.

კლარა მადრო

ქვინა გოსტამაბიშვილი გატაცებით
შეუღლა პარიზში გასაგზავნი წერილის
წერას.

„ძვირფასო მადლენ!

ვერ წარმოიდგენ რა რიგათ გამახა-
რა შენმა ახალმა წერილმა. გული სიხა-
რულით მეგსება, როცა ვფიქრობ, რომ
ისევ გახსოვარ და გაგონდები. ძვირფა-
სო მეგობარო! არ ვიცი რა სიტყვებით
შემოგითვალო მადლობა. მერე რა
სხარტად და ცოცხლად აღწერ პარიზის
ცხოვრებას. რომ იცოდე რამდენი სი-
ხარული განმაცდევინე. ოჰ, პარიზი.
ჩემი პარიზი! მე ზომ არასოდეს არ მი-
ნახავს რესპუბლიკური პარიზი! ნეტა-
ვი როგორია? რანაირად გამოიყურება?
ვიცი რა კეთილგონიერებას იჩენ, რო-
ცა ამაზე არაფერსა მწერ და იმ მარ-
კიზს არ ემსგავსები, რომელმაც თავი-
თი წიგნით აქაური დიდკაცობა ააფო-

რიაქა. შენს წერილში ჩემს ნაცნობ
რესპუბლიკელებსაც ასახელებ, მაგრამ
ისინი ზომ ჯერ კიდევ გუშინ მონარქის-
ტები იყვნენ? ნუთუ თქვენი რესპუბ-
ლიკის პრეზიდენტი, რომელიც იმპერა-
ტორის გვარს ატარებს, ისეთივე რეს-
პუბლიკელია, როგორიც ვიქტორ ჰიუ-
გო, რომლის საყვარელს უკეთესად ვი-
ცნობ, ვიდრე მის სათნო ცოლს. თუმცა
სჯობია გავჩუმდე. დედაკაცებს ზომ
პოლიტიკის არაფერი გაგვეგება. მწერ,
რატომ პარიზისკენ აღარ იხედებიო.
გულწრფელად უნდა გითხრა, რათა შე-
ნი სუსხიანი საყვედური თავიდან ავი-
ციდნო. ველარ მოვიცალე. გართული
ვარ, გენაცვალე. დრო შეუმჩნევლად
გარბის. თბილისი კონსტანტინოპოლს
არა ჰგავს, მაგრამ აქ ვერასოდეს ვერ
მოიწყენ (ზომ გახსოვს, როცა შენი
ქმარი საფრანგეთის კონსტანტინოპო-
ლის საელჩოში მსახურობდა, როგორ
უჩიოდი მოწყენილობას?). ისიც უნდა
გითხრა, რომ თბილისი სულ უფრო და
უფრო ემსგავსება პატარა პარიზს. აქაც
ისეთივე გადაციცებით კითხულობენ
ახალ ფრანგულ რომანებს, როგორც
მანდ — პარიზში. გონებადამჯდარ დე-

დაკაცებსაც და ქარაფშუტა ქალიშვილებსაც პირზე ბალზაკის სახელი აკერიანთ. ვიცი, არ გაგიკვირდება. განა მეც და შენც ვატაცებით არ ვკირხულობდით მის პირველ სერიოზულ რომანებს? სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავ ეს უიღბლო მესტამბე (და გენიალური მწერალი! რა საოცარია, რომ გენიოსობის მაღლი სქელ და დამრგვალებულ მამაკაცებშიც პოულობს ბინას და ღვთაებრივად მშვენიერ ბაირონშიც!) რესპუბლიკელი ხომ არ გახდა-მეთქი ისევე, როგორც ბევრი სხვა ვაჟბატონი (სიტყვა „ვაჟბატონი“ კნენია გოსტაშაბიშვილმა მცირე ყოყმანის შემდეგ წაშალა და „ბატონით“ შეცვალა), რომელნიც კარლოს X-ის მეფობაში თავწამკვლარი მონარქისტები იყვნენ, ხოლო უნებურად გაბურქუებული ლუიფილიპეს ქამს ლიბერალურად მოჰქონდათ თავი. როგორც ჩანს, გარკვეულ ვითარებაში განსაკვირებლად შეიძლება შემცირდეს მანძილი რესპუბლიკელობამდე. ოჰ, რა კარგად თქვა ნაპოლეონმა (რომელიც თქვენს პრეზიდენტზე დაბალი იყო, მაგრამ საოცრად დიდი!). „ვის რათ უნდა რესპუბლიკა, როცა პარიზში ყველა კეთილ ცხოვრებაზე და ძვირფას ეტლზე ფიქრობსო“. ვგონებ რაღაც დავამახინჯე, მაგრამ დამეთანხმე, მეგობარო, რომ იმპერატორის აზრი სწორად გადმოვეცი. (აქ მთელი ფრაზა სწრაფად წაშალა კნენია გოსტაშაბიშვილმა, დაფიქრდა და განაგრძო). ჰო, იმას ვამბობდი. აქაურებს ფრანგული და, საერთოდ, ყოველგვარი ფრანგული ძალიან უყვართ (თუმცა, გამოტეხილად უნდა ვითხრა, რუსებს გერმანელებმა უფრო მეტი რამ მისცეს, ვიდრე ფრანგებმა. ბევრი რამ, გარდა მღვდლარე ცრემლებისა და გულისამრევი სენტიმენტალობისა). პარიზულად ვცხოვრობთ და პარიზულად ვერთობით. ამიტომ არც ისე სევდიანი ვარ, როგორც მანდ ვიყავი და რისთვისაც, მაღლენ, საყვედურს არ მაკლებდი. შენ გგონია მხოლოდ შენ შეგიძლია იარო კარგ ოპერაში? ტყუილად ირჩები,

ჩემო კარგო, როცა მეგობრულად დამცინი და გინდა პროვინციელი ქულის თვისებებით შემამკო. თბილისის თბილისის დარბაზს ტოლს ვერ დაუდებენ პარიზის ვენის და მილანის საოპერო თეატრები. სცენაზე საუკეთესო იტალიელი მომღერლები მღერიან. ღვთაებრივი მუსიკა და მომაჯადოებელი არიები აქაც ყოველ დამ გაისმის. ოპერის ლოკებშიც ისეთივე ვაჟბატონები და ქალბატონები სხედან, როგორებსაც შენც კარგად იცნობ. არავითარი განსხვავება არ არის, სულ არავითარი. რა თქმა უნდა, თეატრის აღმოსავლური იერი მკაფიოდ გადაჰკრავს და ეგზოტიკურიც არის, რასაც შენ, მაღლენ, ვერ წარმოიდგენ და მეც ვერავითარი სიტყვებით ვერ აგიწერ. მაგრამ არ ვიცი ამ ძველის-ძველი ქალაქის ახალ უბნებში ევროპა რომელი კარებიდან შემოიპარა. პარიზში არა ვარ, მაგრამ, როგორც ვითხარი, პარიზულად ვცხოვრობ. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ დრო არა მაქვს მოწყენილობას მივცე თავი. (რა ექნა, რომ არა გჯერა? განა ადამიანები ხასიათს არ იცვლიან, როცა ხანში შედიან?). მართლა, შენს წერილში ისეთ რამეზეც გადამიკარი სიტყვა, რის მიმართაც დედაკაცები არასდროს გულგრილნი არა ვართ. აი, შე ცელქო, შენა! გავიწყდება, რომ ბერდები? აბა, ერთი სარკეში კარგად ჩაიხედე, თუ ჩემსაგვით თმებში გულდაგულ დამალული, მაგრამ მაინც ვერაგულად და ჩვენს დაუკითხავად გაბრწყინებული ის არ დაინახო, რაც ჩვენ, საბრალო დედაკაცებს, მცხუნვარე ზაფხულის გასვლას გვიწინასწარმეტყველებს და ნაღვლიან შემოდგომას გვიშადებს. როგორ არის ბატონი ზანდაროფე? ვგონებ მოგწერე, რომ მან ცოლი შეირთო, ერთი კნენია. ლამაზია? რა მოგახსენო. ასეთებს იტალიის და ესპანეთის ყველა სოფელში შეხვდები, განსაკუთრებით სიეკლესიო დღესასწაულების დროს, როცა ლამაზი ქალები (თანაც ოდნავ დასქელებულნი) სულ ზეცაში იყურებიან და ვნება ისე აქვთ

გუციებულს, რომ არც ერთ მამაკაცს პრომეთეოსის ცეცხლაც არ ვყოფა, რომ თვალეები მიწაზე დაახრევიონ, მიწიერ, ნამდვილ დედაკაცებად გადააქციონ. გეცინება? რაღაც ამის მსგავსს ჩემსზეც ლაპარაკობდნენ? მერე, ვის რა საბუთი გაქვთ? მონასტრის სკოლის დამთავრების შემდეგ ვინა მნახა ეკლესიაში? უფლის რძობა თუ მხევლობა არასოდეს არ მიფიქრია. ჩემი სევდის მიზეზი სულ სხვა რამ იყო, სულ სხვა რამ. მამაკაცები გულცივად მოვლოდნენ, მაგრამ თვითონ ის ცეცხლი არა ჰქონდათ, რასაც ჩემი ვნების აბრიალება სულ აღვილად შეეძლო. ისეთ მამაკაცს, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ისხამდა ხორცს (ვერ ისევ მონასტრის სკოლის დაგმანულ სენაკში), ვერსად ვერ შევხვდი, ვერ ვიპოვე. ახლა ვიცი, რომ ვერც ვერასდროს შევხვდები (ამას ჩემი ორი თეთრი თმაც მეუბნება და ცხოვრების გამოცდილებაც). ერთი რამ გავიგე კიდევ, გვიან, მაგრამ მაინც გავიგე: საერთოდ, ისეთი მამაკაცი არც არსებობს, რომ ერთდროულად ვოლტერიც იყოს და კაზანოვაც. მე კი სულ მუდამ მამაკაცში გონიერებასაც ვეძებდი და ვნებიანობასაც. (რაღაც ამისი მსგავსი; ეტყობა, მამაკაცებსაც სჭირთ, რადგან თვით ძალზე გარყვნილ საყვარელში მადამ რეკამიე სურთ აღმოაჩინონ). რა საცოდავები ვართ ადამიანები! სულ რაღაცას ვეძებთ, რაღაც მიუწვდომელზე ვოცნებობთ. თვითონაც არ ვიცით რა გვინდა, რას ვესწრაფით და იმას არასოდეს არ ვუფიქრდებით, თუ რა უმწეონი და სასაცილონი ვჩანვართ ეამთასვლის დაუსრულებელ და გულგრილ სრბოლაში. ჩემი კაზანოვა დიდხანია ვიპოვე, იმას კი ცოლად მონაზონი შერჩა, რომელსაც კისკრის ყოველ წირვაზე ხატთან დამოჭილს ნახულობენ. იცი, მადლენ! ლამაზი ქართველი ქალები ბიზანტიურ ღვთისმშობელს მაგონებენ, გამოფხვკოს და ყოველგვარი ვნებისაგან დაკლილს (ეს მე არ შეხება, რადგან ნახევრად, სლაფი ვარ). ასეთია სწორედ ქალბატონი

ნი ზანდაროფი! ექვიანობა მალამარაკებს? თუნდ ეგრე იყო, რაც ვინდა ის იფიქრე, რა მენაღვლებამ-როცა მსაკუთარი გულის მოძრაობას ვუკვირდები, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ბატონი ზანდაროვი არც არასოდეს მყვარებია, არც შეიძლება რომ მიყვარდეს. როცა ვოლტერები აღარსად ჩანან (შეიძლება იმისი მსგავსნი იყვნენ კიდევ, მხოლოდ მსგავსნი, არ უარყოფ, მაგრამ ვნებათაღელვა აქლიათ, სიყვარულში აღმაფრენას და ბუნდავიწყებას გაუბრძან, რათა გონიერება არ დაჰკარგონ, წინ არაიენ გაუშვან და აკადემიაში მათ მაგიერ სავარძელი სხვამ არ დაიკავოს), თვალეები უნდა დავხუჭოთ და კაზანოვას ავედევნოთ. სჭობს კაზანოვას მძაფრი და ნაღდი ქინი მოუკლა (ნაღდი, არა მრცხენიან ვთქვა, დიად, ნაღდი) და შენც მრუშობის მორცეში ჩაყურყუმელადე, ვიდრე ისეთ განათლებულ კაცთან გამიშვლდე, რომელიც სარეცელში ისევე ჰგავს ნამდვილ საყვარელს, როგორც ცხოვრებაში თავის წიგნს (რა კარგია, რომ ერთე ზანდმა ყველა ქალის მაგიერ სამაგიერო გადაუხადა მამაკაცებს და ბატონ დე მოუსეს დონდლო რომანს რომანითეე უპასუხა, რათა მამაკაცის სისუსტე მზეზე გამოეფინა). ჰო, მართლა, მადლენ! წერილს ისე არა მწერ, რომ ბატონი ზანდაროფე არ ახსენო. ნუთუ შენც, ნუთუ შენც? ნუ გეშინია, არ გავჯავრდები. ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, მზადა ვარ ყველას ყველაფერი შეეუნდო, შენც, ჩემო კარგო, შენც, თუ ჩემ წინაშე დამნაშავე ხარ. წერილი გამიგრძელდა და ერთხელ კიდევ მინდა დაგიკოცნო ეგ ლამაზი თვალეები მოკითხვისთეისაც და იმისთეისაც, რომ გულის გადაშლის შესაძლებლობა მომეცო. კარგად იყავი, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ნახვამდის, ნახვამდის.

შენი მარად ერთგული მაგდა.
ქენინა გოსტაშაბოვა.

2. დახეული წერილი

ნაქაჯ ასოს კი ნუ უყურებ, იმას უყურებ რასაც ეს ქალი თავის ვულში ვანიცდის.
ნათანელ ჰოთორნი, „ალისფერი ასო-ნიავრული“

მაგდამ ხელახლა გადაიკითხა დაწერილი წერილი. უკმაყოფილოდ შეიმბეშა. წერილი არ მოეწონა. აბდაუბდად მოეჩვენა. ზოგან ტყუოდა, ზოგან გრძელ წერილს დღიურის ფორმას აძლევდა და აღსარებას ამბობდა. ყოველგვარი აღსარება კი მას სულმდამლობად მიაჩნდა.

ყველაზე მეტად მაინც ის აოცებდა, რომ სურდა თავისი პარიზელი მეგობრისათვის (ეს მეგობრობა კი მას არც იმ დროს სჯეროდა და არც ახლა) თავი უზრუნველ და უღარდელ ადამიანად მოეჩვენებია (წერილის დასაწყისში თორემ სხვაგან ინტრიგებში გაწაფული მადლენი მისახვედრს აღვილად მიხედებოდა).

მაგდა ტყუოდა, რადგან ნამდვილად თბილისი დიდ და მოსაწყენ სოფლად მიაჩნდა. ტყუოდა, რადგან წიგნს სელში აღარ იღებდა. აღარც ოპერაში დაიარებოდა, აღარც სოკოსავით გამრავლებულ არისტოკრატიულ სალონებში პირიქით, მუდამ მოწყენილი, რაღაცანიად იყო გარინდებული. ცხოვრებაზე გულაყრილი, ხელჩაქნეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არც თვითონ ეკარებოდა, აღარც თვითონ იკარებდა ვინმეს.

მუდამ მედიდური კნენია გოსტაშაბი-შვილი თბილისელ არისტოკრატებს არ უყვარდათ. მაგრამ ყველა მოკრძალებით ეპყრობოდა.

თვით ყველაზე თამამი ჭორიკნები მას ჩუმად და ჩურჩულით ჰკილავენდნენ. ჩურჩულით ახსენებდნენ ლამაზ ზანდაროვს და ჩურჩულითვე აღნიშნავდნენ იმას, რომ კნენია გოსტაშაბი-შვილი ეკლესიას არ ეკარებოდა. ვილაც ხუმარამ მას კაბაში გადაცმული რესპუბლიკელი უწოდა, მაგრამ არავინ არ ვაიცინა, ყველამ ყური მოიყრუა. 1848

წლის შემდეგ რესპუბლიკაზე ხმაძალ-ლა არავინ ლაპარაკობდა. *არქონესული* მაგდა თბილისში მხოლოდ *ქენინა* მშეხათუნს მეგობრობდა.

მადლენის მსგავსი მეგობრები ყოველთვის ჰყავდა მას.

უანგარო არც ეს მეგობრობა იყო. დილექტანტურად განათლებული მშეხათუნის სალონებში სხვის აზრებს კენკავდა და შემდეგ უფრო საინტერესოდ, გასაგებად და მიმზიდველად ლაპარაკობდა, ვიდრე კნენია გოსტაშაბი-შვილი, რომელსაც ათასნაირი წიგნი ჰქონდა წაკითხული, მაგრამ საათობით განუშეშებული იქდა და აღფრთოვანებით მაინცდამაინც არც სხვების ლაპარაკს უსმენდა.

ამიტომ თბილისის მაღალ საზოგადოებაში უპირატესობას მშეხათუნს ანიჭებდნენ. მას უფრო ამჩნევდნენ, ვიდრე გოროზად განზე გამღვარ მაგდას.

თითქმის ყველას ერთი აზრი ჰქონდა შემუშავებული: კნენია გოსტაშაბი-შვილი ლამაზი ქალი იყო, კნენია მშეხათუნის ჰქვიანი დედაკაცი.

მაგრამ არავის ისეთი სრული წარმოდგენა არა ჰქონდა მაგდას ღირსებებზე, როგორც მშეხათუნს.

რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ამის გამო იგი კრინტს არა სძრავდა. მეგობარ ქალს არც აქებდა, არც აძაგებდა. თუ ვინმე რამეს იტყოდა, მის „შიშვე ხასიათს“ სინანულით აღნიშნავდა ხოლმე და თან იმასაც ურთავდა, რომ ამ მეტად ლამაზი ქალის ქმარი ყოველ ცისმარე დღეს მტკვარზე ეგდო და მღაბით ხალხთან ერთად თევზაობდა.

ამ დროს ყველას აგონდებოდა, რომ მშეხათუნის არა მარტო განათლებული ქალი, არამედ გენერლის ცოლიც იყო.

დღე ისე არ გაივლიდა, რომ მშეხათუნს მაგდას სახლში არ შეეკლო.

როცა მაგდა გუნებაზე იყო, ვატაციებით ლაპარაკობდა პოეტებზე, მწერლებზე, მუსიკოსებზე, მხატვრებზე, მსახიობებზე. აღნიშნავდა მათს ნაკლსა და ღირსებებს. ასახელებდა და არჩევ-

და ისეთ ნაწარმოებებს. რომელთა შესახებ მზეხათუნს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. სულგანაბული ისეთი ყურადღებით ისმენდა ყოველ სიტყვას, ყოველ აზრს, ყოველი ლექსის თუ სურათის დახასიათებას და თან ისეთნაირი შეფრთხივით შესცქეროდა მაგდას, რომ ის კიდევ უფრო მეტი ხალისით ლაპარაკობდა.

იმავე საღამოს, რომელიმე სალონში კნენა მზეხათუნი წელან მოსმენილს და ვაგონილს ისეთი ბრძნული სიღინჯით ჰყვებოდა (მას მხოლოდ აღმაფრენა აკლდა, რადგან კნენა გოსტაშაბიშვილს არ შეეძლო მისთვის ისიც გადაეცა და განეცდევინებინა, რასაც თვითონ განიცდიდა), რომ ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ.

ოდესღაც, პარიზში, ასეთსავე როლს ასრულებდა მადლენი.

მაგდა მზეხათუნს იმასვე ამჩნევდა, რაც უფრო ადრე თავის ფრანგი მეგობარი ქალისათვის შეეგონია.

მაგდა ამ აზრს გაჰყვა.

კიდევ უფრო მეტად ეუცხოვა მადლენის მისამართით დაწერილი წერილის შინაარსი.

წერილი ზღუშა გადაატრიალა.

შეყოყმანდა.

წერილი ნერვიულად დაქმუქნა მერე ისევ გაშალა, ხელახლად გადაიკითხა. შერაცხვა. გაწითლდა. წერილი ნაკუნებად აქცია და გადაყარა.

ახალი ფურცელი აიღო.

მოკითხვის უბრალო ბარათი ჩამოსწერა, აქა-იქ არაფრის მოქმელი ქათინაური ჩაურთო, რაღაც საკუთარ თავზეც წამოსცდა. პარიზელი მეგობრებიც გაიხსენა და მოიკითხა. ზელიც ისე მოაწერა, როგორც ყოველთვის აწერდა ხოლმე: „შენი მარად ერთგული მაგდა, კნენა გოსტაშაბოვა“.

ფურცელი დაკეცა და ამოიფხრა.

1. დანუწეხული პორტრეტი

ამ ნახატს არტისტის ხელი აკლია.

შარლ დე ბერნარი, „ჰერონის ფრთები“

საათი თორმეტს უჩვენებდა.

სრულ თორმეტ საათზე იტალიელი

მხატვარი კარადონი მოდიოდა კნენა გოსტაშაბაშვილის პორტრეტის დასახატავად.

ის, რაც მაგდას თავის შესაქცევად მოეგონა, მხატვარს სახელის მოსახვეჭად სჭირდებოდა.

დახეულმა წერილმა მაგდას ისეთნაირად გაუფუჭა გუნება, რომ მხატვრის სახელით დაბარება გადაწყვიტა.

ქალაქში გასეირნება მოუწინა.

„ფიქრთ გასართველად“, როგორც ამას ის ახალგაზრდა პოეტი ამბობდა, რომლის ლექსებს ვახტანგ ტაშირელი მას ასე აღტაცებით უკითხავდა. „ნეტავ როგორ აღედრდება ფრანგულად ტატოს „მერანი“, — გაიფიქრა მაგდამ. — რა იქნება რომ ვცადო? მართლა შესანიშნავი რამ არის. ტყუილად არ არიან ტატოს ლექსებით აღტაცებულნი ვახტანგ ტაშირელი და აღამემონ კენტერაძის ქალი. მაშ რატომ აეუხიბრდი იმათ? არა, როგორც ჩანს, არასოდეს არ მოვიშლი არც უკმეზობას, არც ირონიას. მოდი ვთარგმნო“, ერთი წამით მის გონებაში გაელვებულმა ამ აზრმა ის ჯერ დააინტერესა, მერე გააკვირვა და ბოლოს ამ მაცდუნებელ განზრახვაზე ხელი ცივად ააღებინა.

მაღალ მოღბერტზე დადგმულ ტილოს გადახედა.

ცნობისმოყვარეობამ წასძლია.

ტილოს საფარველი გადახადა.

სურათს დააქვერდა და ამირიზა.

მისი პორტრეტი გულმოდგინედ იყო დახატული. თმის ყველა სამკაული. ძვირფასი მანიაკის აურაცხელი მარგალიტები, ღრმად გულამოჭრილი კაბის თითოეული ნაოჭი განმაეციფრებელი მოთმინებით შესრულებული. მხატვარს ყველაფერი გაეცეთებინა, რათა კნენას გასაოცარი სილამაზე ტილოზე ზუსტად გადაეტანა, ხოლო მისი მშვენიერი წაბლისფერი კულულები ცისფერ ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოეჩინა. მსგავსებაც დიდი იყო. თუმცა კნენას ორეულს ტილოზე რაღაც იღუმალი სევდის გამონაყართომი გადაჰკრავდა და უცნაურად იყო გარინდე-

ბული (ხატვის დროს მას რომ სარკვეში ჩაეხედა, იმასვე აღმოაჩენდა, რაც ახლა მინაზებული ფერადებით ტილოზე იყო აღბეჭდილი). მაგრამ ამან კნეინას მხოლოდ წარბი ააწვეინა. მისი ამრეზილობის მიზეზი სულ სხვა რამ იყო. მხატვარს, ეტყობოდა, ორი მიზანი ჰქონდა მხედველობაში: ლამაზად დახატვა (რასაც გემოგახსნილი კნეინა ვერ ითმენდა) და იტალიური მხატვრობის კარგი ცოდნის გამომქვადუნება (რაც მხატვარს ხელოვნის მაგიერ ხელოსნად ხდიდა). მაგდას მიმბაძველობა სძაგდა, ვერ იტანდა. სხვა რამითაც იყო იგი უკმაყოფილო. მთელ პორტრეტს ფუნჯის ღონივრად მოსმის კვალი არსად არ ემჩნეოდა, თითქოს იმის შიშით, რომ თმის სამკაულების და ბრილიანტების ზუსტ მოყვანილობას თავიანთი ელვარება არ დაჰკარგოდათ. მხატვრის ხელოსნური გულმოდგინება ტილოზე ისედაც გარინდებულ ქალს კიდევ უფრო მეტად აშეშებდა, ხოლო ჩვეულებრივ გოგონა კნეინას მტკიცე გამოხედვა და ოდნავ დამცინავე გამომეტყველება ნაზი ფერების წარმტაც, მაგრამ მაინც იაფფასიან ლივლივში იკარგებოდა.

ზურგს უკან კნეინას ფეხის ხმა მოესმა.

მხატვარი იყო.

— სინიორინა, — მოესმა მას მხატვრის შეშფოთებული ხმა, — სურათი დამთავრებული არ გახლავთ, რატომ გინდათ გამაწითლოთ?

— ნუთუ კიდევ საჭიროა ნაზი, ხვერდოვანი ფერადები, — მკაცრი სახით მიუბრუნდა მხატვარს კნეინა გოსტაშაბიშვილი, — რომ სურათი დამთავრებულად ჩაითვალოს?

— არ მესმის, სინიორინა?

— სინიორ! — თვალი თვალში გაუყარა კნეინამ და პირდაპირ პირში მიახალა, რადგან არასდროს არავის არ ერიდებოდა — აქ შუა საუკუნეების და ახალი ხანის ყველა მხატვრის ხელი ჩანს, თქვენი ნიჭიერება სადღაა? ფუჰ! რა საძაგლობაა!

— სინიორინა, რას მერჩით? რატომ კადრულობთ? — წაილულულუნდა მხატვარმა.

— სათქმელი უკვე ვითხარით, სინიორ! — შეაწყვეტინა მედიდური მოძრაობით კნეინამ. — თქვენ კნეინა გოსტაშაბიშვილის პორტრეტს ვერ დახატავთ. სჯობს მეფისნაცვლის დავალება შეასრულოთ, აღლუმის სალდათება და ოფიცრები დაუხატოთ. ფერადებით ვარჯიშისათვის, ღმერთმანი, კარგი მასალაა! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მხატვარს ზედაც არ შეხედა ისე გავიდა ოთახიდან.

დამცირებული და შეურაცყოფილი მხატვარი დიდხანს ერთ ადგილზე გაშეშებული იდგა. მერე თავი ჩაქინდრა და კარებისკენ წაფარფატდა.

რამდენიმე დღის შემდეგ სამხედრო უწყებაში მას ჰაჯი-მურატის მოცვეთილი თავის გადახატვა დაავალეს.

2. მამრამიანთ ოჯახი

მხოლოდ თავგადაღების გრძნობამ შეიძლება მომანიჭოს აღტაცება და ბედნიერება.

შარლოტა ბრონტე, „ჯენ ეირ“

როცა კნეინა გოსტაშაბიშვილს შავი ნაღველი ეუფლებოდა, სევდის გასაქარებლად მამრამიანთ სახლში მიდიოდა. იქ პოულობდა ხალისსა და შევებას.

ვახტანგ ტაშირელთან მეგობრობა მას კვლავინდებურად მატებდა ძალას, მხნეობას და ზოგჯერ ხანმოკლე სიხარულსაც ანიჭებდა. მოსწონდა თამაში, მაგრამ მაინც თავდაპირველი ქრისტინე, უყვარდა მორცხვი და მორიდებული კონსტანტინე, რომელიც ბრწყინვალედ ეუფლებოდა მათემატიკას და თუმცა უკვე კარგად იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას, მაინც ბუნებისმეტყველებით იყო დაინტერესებული და გატაცებული.

მაგდა მამრამიანთ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ქრისტინეს და კონსტანტინეს ფრანგულად ელაპარაკებოდა. თან მოჰქონდა თავისი საყვარელი კომპოზიტორების ნოტები, განთქმული

მწერლების წიგნები. ქრისტიანს მუსიკაში ავარჯიშებდა, კონსტანტინეს ფრანგულ წიგნებს აკითხებდა. ვახტანგ ტაშირელთან ერთად საუნივერსიტეტოდ ამზადებდა კონსტანტინე მამრადეს, რომლის პეტერბურგში სასწავლებლად გაგზავნას შუშანიკი ამთავითვე აპირებდა.

შუშანიკის წყნარ, კეთილ და ჰკვიანურ გამომეტყველებას კნენია აღფრთოვანებაში მოჰყავდა, მასთან დიდხანს გულახდილად საუბრობდა და პირველად სწორედ მან ანიშნა ვახტანგ ტაშირელზე, როგორც უადრესად პატიოსან, შრომისმოყვარე და განათლებულ სასიძოზე. მაგრამ ქრისტიანს და ვახტანგის დაახლოებაში არც დედა ჩარეულა და არც კნენია გოსტაშაბიშვილი. ეს თავისთავად მოხდა ოცდაათ წელს მიღწეული ვაჟის და ჩვიდმეტი წლის ქალიშვილის ხანგრძლივი ლიტერატურული მუსაიფის დროს.

თბილისში პირველი საკერაფე მანქანა ფერშანგოვის ქალმა გაიჩინა. ყველა მის სანახავად მოდიოდა და გაკვირვებული უყურებდა პატარა, მაგრამ საოცარი მანქანის მუშაობას.

თვითონ შუშანიკი სამკერვალოში დაუხარებლად ფუსფუსებდა, ღარიბსა და ხელმოკლეს დღენიდაც ხელს უმართავდა და ეხმარებოდა.

კმაყოფილი ვარდისმონა თავისებურად იკრიჭებოდა და გახარებული ამბობდა:

— იცი, შუშანიკ! ახლა ვფიქრობ, რომ ის გუგული მაიმიშენის კედლის საათიდან სასიკეთოდ გამოფრინდა!

— მაგას რაზე ამბობ? — ჰკითხა გაოცებულმა ქალბატონმა.

— მაკას საყვარელი, ჯანუმი, ჩვენ არ გამოგვადგებოდა.

— შენ რა, შენსას არ იშლი?

— არა, არა, მართალს ვამბობ.

— რა ვიცი, წინათ მაგ კაცზე რა არ ვემართებოდა!

გაიხსენა ძველი ამბავი შუშანიკმა და თვითონაც გაიცინა.

— ახლა აღარ მომწონს, თვალში აღარ მომდის.

— რატომ? რა დავიშავებ?

— ჯა, ჩემთვის რა უნდა დავშავებინა? აღარ შეპიტანავება და ეგ არის!

— რათ ვავიწყდება, მაგ კაცმა ჩვენი ოჯახი ფეხზე რომ დააყენა?

— უსარგებლოდ არც მაგას გააყეთებდა.

— უჰ, რა გრძელი ენა გაქვს, ვარდისმონაე!

— გრძელი ენა რა შუაშია? განა შეგი არ ვიცი ვინ როგორია? აი, თუნდაც ჩვენი ვახტანგი ავიღოთ. კაცი კი არა, აუწონარი ოქროა!

— შენ, გატყობ, უარესად გამიგიჟებ ქრისტიანს.

— არხენიანდ იყავი, ჯანუმი! იმ ძველი კედლის საათის კარები ისეთნაირად ჩავეკეტე, რომ იქიდან გუგული აღარ გამოხტება. არაფრის დიდებით!

— ღმერთმა ქნას! — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა შუშანიკმა. — უკეთეს კაცს ვერც მე ვინატრებ, ვერც ქრისტიანს.

— მაირიკაც სულ ამას ამბობს „ეგ კაცი ხელიდან არ გაუშვათო“.

— გოგო, მაქანკლობა ეხლაც არ უნდა მოიშალო?

ვარდისმონამ ისევ გადმოჰყარა თავისი მსხვილი კბილები.

— არც იმ მაქანკლობას ვნანობ. რა წვაავეთ? კოსტას და ქრისტიანს რომ ვუყურებ, მეტს ბედნიერებას როგორღა ვინატრებ?

— ჰო, ჩემი გამოისობით მარტო ჩემი საწყალი დედ-მამა და საცოდავი ფილიპე გამოდგნენ უბედურნი.

— მაღლობა ღმერთს, რომ მოგვხედა და არ დაგვივიწყა.

— ღმერთი რა შუაშია? აღამიანმა თუ ხელი არ გაანძრია, ღმერთი რას უშველის? თავი და თავი გარჯა! შრომით და პირზე ოფლით უნდა მოვიპოვოთ ლუკმა-პურიც და ბედნიერებაც.

— შენ რაც გინდა სთქვი, ჯანუმი! მე კი ყოველდღე საყდარში დავრბივარ და გამოზოგილი ფულით ხატებს სანთ-

ლებს ეუნთებ, მამაზეციერს კოსტასა და ქრისტიანს დღეგრძელობას ვევედრებ.

— კარგი, კარგი. წადი, სამკერვალოში ქალებს მიხედე. სადაც არის ზარბაზანი გაეგრძელება, დაღლილებს დასანაყრებელი უნდა მოეუშაოდო.

ამგვარი საუბარი ხშირად იმართებოდა ხოლმე ქალბატონსა და მოახლეს შორის, რომელთაც თვალი გზაზე რჩებოდათ და უკვე აშკარა მღელვარებით მოელოდნენ ვახტანგ ტაშირელის გამოჩენას თავიანთ პატარა ქუჩაზე.

ვახტანგის და ქრისტიანს ბედნიერებაზე ფიქრობდა კნეინა გოსტაშაბიშვილიც იმ მომენტში, როცა მან ნიკოლოზის მოედანზე ამაყად გაიარა და ანისისხატის უბნისკენ გაუხვია.

3. ხალოსნის მორწინება

ქორწილია ჩვენი უბანში, ქორწილი ქალაქური დამახილი

ფერშანგოვის სახლის დიდ ეზოში ხალხი ფუსფუსებდა.

დედაკაცები თონეში პურს აცხობდნენ. მამაკაცები ქვაბებში ნაირ-ნაირ საქმელებს ხარშავდნენ. მათ შორის შუშანიკის უფროსი შვილი კონსტანტინე მამრაცე ტრიალებდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი გულითადად მიესალმა მას.

კახტა, ქერა და ლურჯთვალემა ყმაწვილმა მდაბლად დაუკრა თავი.

— რა ამბავია თქვენთან, კონსტანტინე? — ჰკითხა კნეინამ.

— ქორწილი, კნეინავ.

— ქორწილი? ვის ათხოვებთ?

— მარგალიტას, კნეინავ. — რაღაც ნაირი სიამაყით მიუგო კონსტანტინე მამრაცემ.

კნეინა გოსტაშაბიშვილმა მარგალიტას ვინაობა არ იცოდა. ჰკითხა:

— ბატონი ვახტანგი აქ ბრძანდება, კონსტანტინე?

— აქ ბრძანდება, კნეინავ

დარცხენილ ყმაწვილს მაგდამ აღერსიანად გაუღიმა.

„რა კარგი შვილები ჰყავს შეშანიკს!“ — თითქმის შურტუტუნდებოდა მან.

— ეიშ, რა ქალია! — მაფიოდ მოესმა მას, როცა კიბის ფოლორცზე ფეხი შედგა.

სიამით გაიღიმა.

გუნება გამოუკეთდა.

ქრისტიანს ოთახშიც ფუსფუსებდნენ.

ქრისტიანე მამრაცე, მისი საქმრო ვახტანგ ტაშირელი, კენტერაძის ქალი და ამისი ქმარი, რომი ცალქალამანიძე, „ციხკრის“ კორექტურას ასწორებდნენ.

— რომ მცოდნოდა მოუცულონი იყავით, არ მოვიდოდი. — თქვა კნეინამ.

— რასა ბრძანებთ? რასა ბრძანებთ? — შესძახეს ქალებმა. — დაბრძანდით, კნეინავ ეხლავე ჩვენც დავამთავრებთ.

ხალისიანად მუშაობდნენ, გატაცებით. მუდამ დაღვრემილი ვახტანგ ტაშირელიც საზეგაბრწყინებული და გახარებული იყურებოდა, თითქოს თავისთვის ღიღინებდა კიდეც.

— მალე გამოვა? — ჰკითხა კნეინამ.

— მალე, სულ მალე, მაგდა! — უპასუხა ტაშირელმა.

— ბარაქალა ქართველების მოღიერს!

ტაშირელმა იქნეულად გაიხედა მისკენ, მის წამოძახილში ირონიის გამოხატოში მოელანდა.

ბოლო ხანებში ვერ რიგდებოდნენ. ტაშირელმა მას რამდენჯერმე „ციხკრისათვის“ ფრანგულიდან რაიმეს თარგმნა ან პარიზული შთაბეჭდილებების დაწერა შესთავაზა, მაგრამ კნეინამ შორს დაიჭირა. თავაზიანი ღიმილით ეუბნებოდა უარს.

„რა მშვენიერი ქალია, რა ცოდნის პატრონი! — ფიქრობდა თავისთვის ვახტანგ ტაშირელი. — მაგრამ არაფერი სწამს, არაფრისა სჯერა. მაინც რა დიდი ძალა ყოფილა რწმენა!“

მეორე ოთახში პატარძალს რთავდნენ.

განკარგულებებს შუშანიკი იძლეოდა.

ფერშანგოვის დედის დარიგებანიც მკაფიოდ ისმოდა.

— ქმარს გაფრთხილება უნდა, მარგალიტ! — არიგებდა პატარძალს, — კაცის გული ქიქაა, გადავარდება და გატყდება. ქალები უფრო გამძლენი ვართ მიწას შვიდი შვილი მივაბარე, მაგრამ ამ ოხერ დედამიწაზე ისევ დავდივარ.

— რა გულკეთილი დედაბერია! — თქვა კნენინა გოსტაშაბიშვილმა.

ქრისტინემ თავი მოიწონა. გაიბადრა.

— გულკეთილია, მაგდა, გულკეთილი — დასძინა ტაშირელმა, — ოთხმოცდაათ წელწიანს ვადასცილდა, მაგრამ არც მხნეობა აკლია, არც გონება და თვალის ჩინი. სიყვარული აძლებიანებს!

დედაბერს ბაღიშები თავს ევლებოდნენ. იმასაც გულით უყვარდა ისინი. როცა კონსტანტინესა და ქრისტინეს გულმურაზიანი „ბაბოჯან“ ესმოდა, გაციკროვნებულ დედაბერს სულ „აჰანი! აჰანი!“ ეკერა პირზე. მეზობელ დედაკაცებს უტყდებოდა:

— ჩემს მეღქუას ისეთი ხასიათი რომ არა ჰქონოდა, რა გვიპირდა? ან მე იმ გულმკვდარ ანუშას რას ვერჩოდი?

კერბი იყო, ცრემლს არასოდეს წამოაგდებდა. როცა შვილსა და რძალს იგონებდა, ცალი ხელი დაღონებულ თვალებთან მიჰქონდა.

სიყვარული ჩვეილივით იყო ამბიზნებული მამრამიანი ოჯახში.

ოფენკარა, უზადო სიყვარულს აქ შუშანიკი საუესდა და უვლიდა.

კნენინა გოსტაშაბიშვილს ამ პატარა, მაგრამ მუდამ მხნე და გამარჯვებულის მიმზიდველი, რაღაც დეტიური მადლით გასხივოსნებული სახე განსაკუთრებით მოსწონდა. ჩუმად უმზერდა და მისი ყურებით ტყებობდა ხოლმე. ვიღაცას ამსგავსებდა ერთხელ მოაგონ-

და კიდევ ასეთი სახე, გარეგნულად უდრტვინველი, მაგრამ შინაგანად დაძაბული და დაფიქრებული. მისი ცოლის პორტრეტზე ჰქონდა ნანახი.

4. მღაზიმოთა ბედნიერება

ჩვენ ვერ კიდევ ვერ მივღწიეთ პოლიტიკურ თანასწორობას, მუშები კი სოციალურად უკვე თანასწორნი არიან.

კლოდ ტილიე

მარგალიტას შიო ღურგალზე ათხოვებდნენ.

ეზო თანდათან ყარაჩოღელებით ივსებოდა.

იქიდან მხიარული ყოყინა, ხუმრობა და სიცილ-ხარხარი მოისმოდა.

ვახტანგ ტაშირელმა „ციკცირის“ კორექტურები დაკეცა, უჭრაში შეინახა.

ყველანი აივანზე გავიდნენ.

დიდი თუთის ქვეშ შიო ღურგალი იდგა.

ტანმორჩილი შუახნის კაცი იყო, ჩოფურა და კისერა.

ვარს ამხანაგები ეხვივნენ, ეხუმრებოდნენ.

— ვაჰ, შიოჯანი — ეუბნებოდა ერთი მათგანი, — კისერა ხარ, მარგალიტაზე თვალს კარგად დაიქერ, არსად გაგაქცევა!

ერთი ამქრის ხალხი ერთად ხარხარებდა.

— ტუტუცო! — დაიძახა ერთმა ყველაზე ბრგე და ყველაზე ომპიანი ყარაჩოღელმა. — რა უყუთ რომ კისერაა? ერთბაშად მაგის მარჯვენას არ შეედავო, გარჯასა და პატიოსნებაში ტოლი არ დაუდო!

— მაშ! მაშ! — დაიძახეს სხვებმაც.

იმ ბრგე და ომპიანი ყარაჩოღელის ნათქვამს ბეჭედი დაჰკრეს.

აივანზე ღურგლების ამქრის უსტაბაში სოსანა მძიმე-მძიმედ ამოვიდა. ყველას დარბაისლურად მიესალმა. თავი ისე ეჭირა, როგორც ამქრის უსტაბაშს შეეფერებოდა.

ვახტანგ შატირელმა ხელი მაგრად ჩამოართვა. დიდის ამბით მოიკითხა:

— როგორ ბრძანდებით, სოსან, რა-სა იქით?

— ვართ, ვახტანგჯან, — უპასუხა სერიოზულმა უსტაბაშმა, — ცხოვრება ჩვენ გვიტევს. ცხოვრებას ჩვენ ვუტევთ. რაღაცნაირად ბარი-ბარში გამოვდივართ.

— ეგრეა სოსან, ეგრეა.

— ეგ ხომ ეგრეა, ვახტანგჯან, მაგრამ გაძლება არ გინდა! გადასახადები ძალიან მოგვიმატეს. ბაზარს კი ცეცხლის ფასი უყვიდა.

— ყველა მაგას ამბობს, სოსან, ღარიბ ხალხს ძალიან გაუჭირდა.

კენინა გოსტაშაბიშვილი ორ მოსაუბრეს ინტერესით უყურებდა და უყვირდა, რომ მოსკოველი აზნაური უბრალო ხალხში შინაურულად ტრიალებდა.

თვითონ აივნის სვეტზე მიყრდნობილი მედიდურად იდგა.

— ხალხი დღეს უბედურია, — მოესმა მას ტაშირელის აღელვებული ხმა, მაგრამ ხალხისთვისაც გათენდება, სოსან!

— მაშ გათენდება, ვახტანგჯან?!

— გათენდება! — მტკიცე ხმით მიუგო ტაშირელმა.

მაგდას ეღიმიებოდა. მას არც მღვდლების ქადაგებანი სწამდა, არც სოციალისტების შეგონებანი. მათ შორის ერთგვარ მსგავსებასაც პოულობდა. ერთნი მამურალ ხალხს ზეცისკენ უშვერდნენ ხელს და ბედნიერებას სასუფეველში ჰპირდებოდნენ, ხოლო მეორენი მიწას დასცქეროდნენ, აქ აპირებდნენ თანასწორთა საზოგადოების დაარსებას, რომელიც ჭერჭერობით სენ-სიმონის, რობერტ ოუენისა და ფურიეს წიგნებში არსებობდა.

8. „რა დაემართა კენინა ბოსტაშაბიშვილს?“

არ დაიჯერებ მაიკო! სიცოცხლე მომძულეხა ამდენი მარტობით.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ესოში ჟრიაბული გაძლიერდა. ყარაჩოღლესი ხუმრობდნენ და ისეთნაირად ენაბახვილობდნენ, რომ მაგდა სი-

ცილს ვეღარ იმაგრებდა. გაერთო, გახალისდა. უცებ ისეთ ბედნიერ ეადამიანად იგრძნო თავი, რომ მიგრტონივე უკვირდა. მდამიო აღამიანებთან ერთად იცინოდა. თვითონაც ხუმრობდა. ვარდისმონას ცალ — მხარეს ჩამოწეული კაბა სიცილით გაუსწორა. თავისი კენინობა სულმთლად გადაავიწყდა. სახიდან გორიზი ქალბატონის ნიღაბი შეუმჩნევლად ჩამოეხსნა და ისეთი კეთილი, სადა და ყოვლად ბუნებრივი გამომეტყველება მიიღო, როგორიც მას მხოლოდ საკუთარ მამასთან, გამდელთან და ზოგჯერ ვახტანგ ტაშირელთან ჰქონდა ხოლმე.

ვახტანგ ტაშირელი მალულად უმწერდა მას-მისი სიამოვნებით თვითონაც სიამოვნებდა, მაგრამ ამავე დროს თავის გულის სიღრმეში რაღაც გაურკვეველი, იღუმალი წინათგრძნობის შიშით ფიქრობდა:

„არ ვიცი მაგდას რა დაემართება, თუ ხალხთან არ მივიდა, ხალხი არ ირწმუნა, საზოგადო საქმემ არ გაიტაცა. ეგ დიდიხანია ზემოთურებს აღარ ეკუთვნის“.

პატარძალი დიდი ამბით გამოიყვანეს აივანზე.

შუშანიკმა კენინა გოსტაშაბიშვილს მორიდებით გაუბედა.

— დარჩით, კენინავ, ჩვენთან ერთად ისიამოვნეთ.

მაგდა შეყოყმანდა, მაგრამ შუშანიკის სანდომიან სახეს რომ შეხედა, უარი ვეღარ უთხრა.

მექორწინენი მეიღნის წმ. გიორგის საყდრისკენ ფეხით გაემართნენ. მამრამქებიც თან გააკყვნენ.

აივანზე ვახტანგ ტაშირელი და მაგდა გოსტაშაბიშვილი შემოთავაზებულ სკამებზე დასხდნენ.

აივნის ბოლოში ფერშანგოვის დედა და რამდენიმე დედაცაი რიკულს გადაეყუდნენ. როცა მექორწინეთა მზიარული აურზაური მიწყდა, ფერშანგოვის დედამ დაიძახა:

— ქა, რატომ ზანდაროვები არსად გამოჩნდნენ?

მაგდამ ყურები ცქციტა.

ტაშირელი შეკრთა.

ერთმა დედაკაცმა დედაბერს ვაკვირვებით უპასუხა.

— იპ, მაირიკვან, ნეტავი შენა! აბა, თეთრი ლიზა მარგალიტას გვერდით დაჯდომას როგორ იკადრებდა?

— მეხი კი დავაყარე, აჰანდე! — გაბრაზდა დედაბერი, — ჭა, ფირუხა ზანდაროვის ცოლი საქციელს ვის უწუნებს?

მეორე დედაკაცმა მოაგონა:

— ზანდარაანთ გიგა ფირუხაზე ნაკლებით რით იყო? არ გახსოვთ საკინძხამოგლეჯილ მკაცს საყვარლად რომ ეჭდა?

მაგდა გაფითრდა.

ტაშირელი წამოწითლდა.

მესამე დედაკაცმა, რომელიც აქამდე გაჩუმებული იდგა, ნიშნისმოგებით წარმოთქვა:

— თორემ ეხლა თუ გაწყებილია, მე შენ გეტყვი, ხელი ეშლება! ყველამ იცის, რომ ბართლომე კურტანძის ცოლთან დაეთრევა.

მაგდას ზაფრანის ფერი დაედო სახეზე.

ვახტანგ ტაშირელი გამშრალი იჭდა. არ იცოდა რა ექნა. ვერც ადგომას ახერხებდა, ვერც სიტყვის თქმას. სიერცეს სულშეგუბებული გაპყურებდა, არ უნდოდა კნენა გოსტაშაბიშვილის გაფითრებული სახე დაენახა.

დედაკაცები ოთახში შელაგდნენ, რადგან აიენის ბოლოს მზე მოადგა.

ხანგრძლივი და უხერხული დუმილი ვახტანგ ტაშირელმა იმით დაარღვია, რომ ერთი ახლად ნაპოვნი, მეტად ძველი და მეტად საინტერესო ხელნაწერის აღწერას შეუდგა.

მაგდა ყურს არ უგდებდა. ეკლებზე იჭდა. მეჭორწინეთა დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა.

როცა ანჩისხატის უბნის პატარა ქუჩა კვლავ ახმაურდა, ფეხზე წამოდგა.

დედაკაცები ზურნისა და ღრიანცელის ხმაზე ოთახიდან გამოცვივდნენ, აფანტე გადადგნენ.

მაგდამ პატარძალს პირზე აკოცა, ნეფეს ხელი ჩამოართვა.

— ღარჩით, კნენა, შეეხვეწა შუშანიკი, — ჩვენთან ერთად გაატარეთ დრო.

— გადაუდებელი საქმე მაქვს, შუშანიკ. თქვენთან ცოტა ხნით შემოვიარე. შუშანიკს გაუყვირა. ვერ მიმხვდარიყო წელანდელ თანხმობას ახლანდელი უარი რატომ მოჰყვა. „რა დე-მართა კნენა გოსტაშაბიშვილს? — თვალებით ეკითხებოდა იგი ვახტანგ ტაშირელს.

ტაშირელმა მას პირი მოარიდა, ისევე სიერცეს გახედა.

კნენა გოსტაშაბიშვილს ყველამ მოწიწებით დაუთმო ვზა.

ქიშკრამდე ის ვახტანგ ტაშირელმა მიაცილა. ნაღვლიანად გააყოლა თვალი მას და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კნენა გოსტაშაბიშვილი ოდნავ წელში მოხრილი მიდიოდა.

6. მკვლელობა კარმატაში

ახალგაზრდა კაცმა აღმოიღო ზრმალი, მაგრამ მასვე წამსა ოთხი მსესიანი კაცი შეცვივდნენ საწოლს, შეიპყრეს ისა, შეუპყრეს ზღლები, აუკრებ პირი, მარჯობას გული წივიდა.

„საჭია“, რომანი უფლისა რეფე ლებოვიარ

სამი დღის შემდეგ, ღამის თერთმეტ საათზე, ერთ მიყურებულსა და ბნელ ქუჩაზე, კნენა გოსტაშაბიშვილს დახურულ კარეტაში მკვლელები აუცვივდნენ ბებუთით ასჩეხეს, გაძლიანებული მეეტლეც მძიმედ დასჭრეს და ღამის წყვლიაღში გაუჩინარდნენ. პოლიციელის ჩამოვლამდე კარეტა დიდხანს იდგა უკაცრიელ ქუჩაზე. გვიან ღამით უბნის პოლიციელმა ძლივს გაარჩია ცხენებს შორის ჩაეარდნილი მეეტლე და მყისვე განგაში ასტეხა. მის ყვირილზე ახლომახლო სახლების მცხოვრებლები გამოცვივდნენ და ეტლს გარს შემოებვიდნენ. ეილაკამ ეზოდან ანთებული ჩირაღდანი გამოიტანა და იქაურობა გაანათა. კნენა გოსტაშაბიშვილი სისხლში ცურავდა შეძრწუნებული

ბრბო ჭერ გაშტერდა, მერე იფაყანდა და მთელი უბანი ფეხზე დააყენა.

მორიჯის სასტუმროდან ეტლით მომავალმა გრიგოლ ზანდაროვმა, რომელსაც ეტლში თაქრის თეატრის ნორჩი ბალერინა ეჯდა, მეეტლეს ცხენები გააჩერებინა და იქით გაიხედა, სადაც ყველა სეირის საყურებლად გარბოდა.

შუა ქუჩაში გაჩერებულ ვილაძის კარეტას გარშემო აღელვებული ხალხი შემოხვეოდა.

ზანდაროვმა კარეტას შორიდან დაადგა თვალი.

ემცნაურა.

მერე იცნო კიდევ.

ეტლიდან უფრო გადმოხტა, ვიდრე ვადმოვიდა.

ნაბიჯს აუჩქარა.

ბრბო გაარღვია.

გაპრიალებულ ვაჟბატონს პოლიციელმა უსიტყვოდ დაუთმო გზა.

ზანდაროვმა ეტლის პაწია სარკმელში თავი გადაჰყო. ბებუთით მკერდგანგმირული მაგდა გოსტაშაბიშვილი ეტლის ბალიშებზე იყო გადასვენებული. ზანდაროვი ზარდაცემული მიატყერდა მას და ჩირაღდნების შუქზე მუისვე თვალში მოხვდა, რომ ამ მუდამ გოროსსა და ამპარტავან კნენას სახეზე ისეთი გაოცება ეწერა, რომლის მსგავსს ცხოვრებაში არაფერ არასოდეს არ ამჩნევდა. სიკვდილი უკვე დაუფლებოდა მისი ლამაზი პირისხაზის ნატიფ ნაკეთებს. მხოლოდ მის წაბლისფერ კუთლუებს შერჩენოდათ ისევ სიცოცხლის ნიშატი. გრიგოლს ცრემლი მოერიო. ქვედა ყბა აუჯანკალდა. დარტყანებულმა პირჯვრის გადაწერა ძლივს მოახერხა. უცებ წელში გაიმართა და მოკლულს ყელზე დააშტერდა. მას ფრანკფურტის მიწში ნაყიდი მანიაკი აღარ ეკეთა, მანიაკი, რომელსაც კნენა გოსტაშაბიშვილი განუშორებლად თან ატარებდა.

მხოლოდ ერთი დასკვნის ვაკეთება შეიძლებოდა: კნენა გაძარცვის მიზნით იყო მოკლული.

7. კნენა და ნაბიჯი

ქალის და მუდრის ცხოვრების სხედსხევა გზა სიკვდილში შეაერთა, როცა ერთს ახსენებდნენ, მეორესაც ასახელებდნენ.

თანამედროვე ჩანაწერებიდან

არისტროკრატი ქალის მკვლელობას მაინცდამაინც დიდი აურზაური არ გამოუწვევია თბილისში. პირველი შთაბეჭდილება და მითქმა-მოთქმა სწრაფად მიწეღდა.

ქალაქის ხალხს სულ სხვა რამ გაუჩინდა სალაპარაკოდ.

მეფისნაცვლის სასახლის წინ, მაღალ სვეტზე, ჰაჭი-მურატის მოკვეთილი თავი იყო დადგმული.

ქალაქის ყველა უბნიდან მის სანახავად შორბოდნენ.

ნიკოლოზის მოედანზე ხალხს ზიმ-ზიმი გაჰქონდა.

კნენა გოსტაშაბიშვილის პანაშვიდს თითო-ოროლა არისტროკრატი დაესწრო.

კნენა მზეხათუნი ერთი წუთით გამოჩნდა და სწრაფად გაუჩინარდა.

ჭირისუფლობა კნენა გოსტაშაბიშვილს ანჩისხატისუბნელებმა გაუწიეს.

ვანტანგ ტაშირელი კედელთან იდგა, ხელეში თვალეზზე აფეარებინა და ჩუმად ქეთითნებდა. მის გვერდით მდგარი თვალცრემლიანი ქრისტიანე დროგამოშვებით ამშვიდებდა მას. დალონებული კონსტანტინე მამრათე კარებთან იშვით მომსვლელს მოკრძალებით უთმობდა გზას. მარგალიტა ახლაც ქუჩაში იდგა, ქმრის ხელი თავის ხელში ეჭირა და კნენას სახლის განათებულ ფანჯრებს თვალდანამული შესცქეროდა.

უზარმაზარი ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი შუა ოთახში დასვენებულ ცოლის ცხედარს გაშტერებული დაჰყურებდა. თუმცა ბაღდადი გაშლილი ჰქონდა, მსხვილ ცრემლებს მაინც სახელოთი იშმენდდა.

ძალისუბნელმა ზაქარამ ძვირფასი მანიაკი ჭერ უნაბის ქვეშ ჩაფლა, მერე

სამტრედეში გადაიტანა, ბოლოს საბუ-
ხრეში დამალა. ამასაც ეპქვით დაუწყაო

ყურება და იმდენხანს იზორიანა, / სა-
ნამ პოლიცია არ დაადგა თქვენი

ნიკოლოზ ბაბაიანი

პარი ოცდამეცხრა

I აბრუნდო

ქალაქელ ვაჭრებს ცუდი ესა გვირთ,
რომ არა ვაჭვთ ძმის არც სიფხარული, არც
შებრალება.

ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიან
მეჭდაწაშვილი“

გრიგოლ ზანდაროვი ცოლს ცივ ნი-
აგს არ აკარებდა. ყურადღებას არ აკ-
ლებდა და მოუთმენლად მოელოდა ვა-
ჟის დაბადებას.

მანანამ მეოთხედ მოილოგინა და მე-
ოთხედაც ვოგო ეყოლა.

ზანდაროვს ისევ გაუყვითლდა პირი.

თეთრმა ლიზამ მეოთხედ მიაყარა
ქოქოლა, „ნაკენიარს“. ვათამამდა და
იქ დაერქო, სადაც წინათ რძალი ყოფ-
ნას უკრალავდა.

მანანას მისთვის არა სცალოდა, ბოლ-
მით იყო გასიებული.

ცრუმორწმუნემ და მალემრწმუნმა
ვოგოს დაბადებაში ღვთის რისხვის ნი-
შანი დაინახა.

აწრიალდა და აფორიაქდა.

ეკლესიებში სიარულს მოუხშირა.
ყველა ეკლესიაში ყველა ხატს სან-
თელს უნთებდა. ხატებთან სასოებით
მუხლმოყრილი გულმზურვალედ ლო-
ცულობდა. სახლში მარჩიელები და
მჩხიბავები გაამრავლა. მწირებს და მო-
ნოზნებს თავი მოუყარა. მონასტრებს
მდიდრულ შესაწირავებს უგზავნიდა
და საკუთარი ხელით განთქმული ეკ-
ლესიების განთქმულ წმინდანებს ოქ-
რონაკერებს უჭარგავდა

მილიონერის სახლში ეკლავ დატრი-
აღდა საკმევლის სუნი.

თეთრი ლიზა გაკვირვებული იყო.
ხელებს შლიდა და თავის დოსტ მაიკო
კურტანიძესთან გაოცებით ლაპარა-
კობდა:

— ქა, ღმერთს ეგეთი რა შესცოდა?
ნეტავ ვიცოდე რა ცოდვას ინანიებს?

მაიკო მის ნათქვამს ხარბად კრეფდა,
თვითონ კი არაფერს ამბობდა.

გრიგოლიც დუმდა. ხმას არ იღებდა.

როცა ძაღლისუბნელ ზაქარას სასა-
მართლომ განაჩენი გამოუტანა, რუხი
ფარაჯა ჩააცვეს და კატორღის გზას
შეუყენეს, თითი შუბლთან დაატრიალა,
მაგრამ ვერაფერი მოისაზრა და, საერ-
თოდ, კნენინა გოსტაშაბიშვილი შარშან-
დელი თოვლივით დააიწყდა.

ღროს შესანიშნავად ატარებდა.

თეატრსა და სანახაობებს არ აკლდე-
ბოდა. თეატრში მარტო უხდებოდა სი-
არული, რადგან მარჩიელ-მჩხიბავებსა
და მონოზნებს შორის ჩამჭდარ ქალბა-
ტონს აღარც იტალიელი მომღერლები
ავონდებოდა, აღარც ოპერისა და სა-
ლონების ბრწყინვალე საზოგადოება.

მონოზნებიც სულ იმას ჩასჩიჩინებ-
დნენ, რომ თეატრი ეშმაკის გასართობი
იყო, ხოლო მეჭლისები კუდიანების
ღრეობა.

თანდათან ყველგან ფეხი ამოიკეთა-
აღარც თვითონ იღებდა სტუმრებს,
აღარც სტუმრად მიდიოდა სადმე.

მისი გზა ეკლესიებისკენ მიდიოდა
და იმავე გზით შინ გარინდებული
ბრუნდებოდა.

ქალაქში მიოქმა-მოოქმა ვახშირდა.

დავით გერმანოვიშვილი ბრაზობდა,
თავმოყვარე და ამპარტავანი, დის საქ-
ციელზე იყო გაჯავრებული, მაგრამ
მასთან უსიამოვნო ლაპარაკს ვრიდებო-
და. ერთხანს (სანამ ზაქარას ასამართლე-
ბდნენ და ამოოდ ცდილობდნენ მის
თანამონაწილეთა დასახელებას) თვი-
თონაც შეშფოთებული უვლიდა ქა-
ლაქს გარშემო და გულს ნადირობაზე
აყოლებდა.

კნენინა მზეხათუნმა ძმისწული ჯერ
მაგრად გამოლანძლა, მაგრამ რაკი ვე-
რაფერს გახდა და მონოზნების მიერ

მოჭადროებული გონზე ვერ მოიყვანა, ხელი ჩაიჭნია და განერიდა.

გრგოლმა კიდევ უფრო გაშალა ფრთები.

თეთრმა ლიზამ გესლიანად ჩაუღიმი- ჩაუღიღინა მაიკო კურტანიძეს:

— თვალი დაუღვეს ჩვენს სუტ-კენი- ინას, აჰანდე!

მაიკომ არც ახლა ამოიღო ხმა, მაგრამ თავლისფერი თვალები ისეთნაირად გაუმუქდა და ისეთმა ფერმა გადაჰკრა სახეზე, რომ თეთრმა ლიზამ მყისვე ენაზე იკბინა.

ქალაქში ხმა დაირხა, რომ მდიდარი და ლამაზი ზანდაროვი თითქმის ყოველ დღე სოვდაგარ ვიკრიკოვის სახლში იყო დარქობილი, როცა სოვდაგარი ქარავასლაში იჭდა, ხოლო მისი ასული ირციბუზოვის პანსიონში ფრანგულსა და ცეკვებს სწავლობდა.

მაიკო სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რით უნდა მოეხიბლა ტანკენარი გრიგოლი სოვდაგარის კუნძივით დამრგვალებულ ცოლს. დაღონებულს და თვალცრემლიანს აგონდებოდა, რომ ამ ტიკივით გაბერილ დედაკაცს ფუშ-ფუშა გიშრისფერი თმები ჰქონდა, ლოყაზე ლამაზი ხალები, ხოლო მავალივით შავი თვალები ისეთი ცოცხალი და ურცხვი, რომლის მსგავსი, აღიარებდა გულდამწვარი მაიკო, მხოლოდ მაკას სახეზე ენახა.

ბოღმა და სიყვარული სულს უხუთავდა მაიკო კურტანიძეს. თან უკვირდა, რომ მისი გამწირავი მამაკაცის დავიწყება არ შეეძლო და, ის კი არა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ენატრებოდა იგი.

2. ძინა ლაზარის ღშპანნი

საყვარელო ნუ სტორო,
თავს ნუ იკლავ, ნუ სტორო,
შენი ბედის შემკრებლო,
ერთხელ ვახსნის, ნუ სტორო!
ქალაქურა სიმღერა

მაიკო თავის თავდავიწყებულ საყვარულს ვერაფრით ვერ მოერია. პირობით, უცნაური რამ დასჩემდა. დიდხანს,

დიდხანს დახეტიალობდა იმ ქრებესა და ქუჩაბანდებში, სადაც წინასწარ გიგასთან ერთად დასეირნობდა; დიდხანს ჩერდებოდა იმ უკვე დაბერებულ ზეებს ქვეშ და იმ ჩამოფხავებულ ჰემ-კრებთან, სადაც გიგას ყელზე ეხვეოდა და ტუჩებს უკოცნიდა. თვალი უშტერდებოდა და წამწამებზე ცრემლი ეკიდებოდა. ბურანიდან რომელიმე მეზობლის „გამარჯობა“ ძლივს აფხიზლებდა. გამორკვეული კვლავ ხარბად უყურებდა ძველი სახლების მოფარებულ კედლებს და იაქთაღებს. სადაც სიბნელე, ასე ეგონათ შეყვარებულებს, გამვლელებს მათი დაღანდღვის შესაძლებლობას არ აძლევდა და იქამდე ვერც მთვარის შუქი აღწევდა.

ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდა მაიკოს, მაგრამ ხარახურას და წვრილმანს იმ დუქანში ყიდულობდა, სადაც გიგა ჯერ დახლიდარად მუშაობდა, მერე კი მედუქნედ. უყვარდა ამ დუქნის წინ გადმოხურული ლაბადის ქვეშ ხის გრძელ სკამზე ჯდომა და თავის ნანატრ გიგაზე ფიქრი. ახლა ეს სკამიც ისევე იყო დაძველებული და მიგლეჩილ-მოგლეჩილი, როგორც ყველაფერი ძველი დუქნის გარშემო.

ხნიერ მედუქნეს არ უკვირდა, რომ მდიდარი ალაფის ცოლი მისი დუქნის სკამზე იჭდა და ისვენებდა. როცა ეს ტანმაღალი და თვალმწყაზარი ქალი აღმართზე ამოდიოდა ზოლმე, ხელს მაღლივად გულზე იდებდა და თეთრი, უნაოქო შუბლიდან ხელსახოცი თფლს იწმენდა.

მედუქნემ ერთხელ მაიკოს გაუბედა და უთხრა:

— მაიკო, გატყობ, აღმართზე ამოსვლა გიჭირს; რაც სასყიდელი გჭირდება იმისთვის ან შენი ბიჭები, ან მოახლე გამოგზავნე, შენ რაზე ირჩები?

— ბიჭები სწავლობენ. მოახლე სახლს ალაგებს. მე კი აქით მოსვლა მედამ გულს მიხალისებს, ძია ლაზარე!

— მართალია, შორს არა ცხოვრობ, მაგრამ წიწკისა და მიხაყ-დარიჩინისათვის შენ რათ უნდა მოდიოდე?

— ეჰ, ძია ლაზარე, ვინ იცის რამდენჯერ მოვსულვარ ამ ღუქანში?! ამ ღუქანის დახლში მეცა ვმდგარვარ, განა!

ხნიერმა მეღუქანემ პირი დააღო. ღუქანის პატრონი ბევრჯერ იყო გამოცვლილი. ამიტომ ლაზარემ მაიკო კურტანძის თავგადასავალი არ იცოდა.

პირველი გამასლათების შემდეგ მაიკომ კიდევ უფრო მოუხშირა ძველ, კარგად ნაცნობ ღუქანში სიარულს. ხნიერსა და გულკეთილ მეღუქანეს ხან რაზე ელაპარაკებოდა, ხან რაზე. ლაზარეს ცოტა მუშტარი ჰყავდა, უცოლშვილო და უნათესავო კაცი იყო და მაიკოსთან მუსაიფით თვითონაც თავს ირთობდა. ზოგჯერ ბუზღუნით ჩაურთავდა ხოლმე:

— ამ ტიალ ღუქანსკენ მუშტრებს გზა ვერ ვაპოვინენ, თითო-ოროლა გროშს ძლივს ვიგებ. ეხლა აღარ მიკვირს, რომ ვინც ამ ღუქანს პატრონად დასდგომია ყველა გაკოტრებულია და გაქცეულია.

მაიკო პირგამტყნარებული უსმენდა მეღუქანის ლაპარაკს, გულში კი იცინოდა და ამბობდა: „აქ ერთი ახალგაზრდა, ძალიან, ძალიან ლამაზი კაცი იყო მეღუქანედ, თავზე იმას მე გაეუსწორე ვაჟრის ქუდი, გავამდიდრე და ქარვას-ლამდე მივიყვანე“. თან გულშივე ოხრავდა და სინანულით ფიქრობდა: „ნეტავ ისიც მეღუქანედ დარჩენილიყო და მეც ხაბაზის ცოლად, ნეტამც! ნეტამც!“

გულწყვეტილი თავისთვის ასე ოხრავდა და მოთქვამდა, გარეგნულად კი არაფრით არ გამოხატავდა თავის მღელვარებას და სინანულს.

ერთხელ მზე ისეთნაირად მოადგა ხის გრძელ სკამს, რომ მაიკოს სახეზე ოფლი წურწურით ჩემოედინა. ლაზარეს შეეცოდა, ღუქანის კარებიდან გამოსძახა:

— მაიკო, მაგ მზეში რათ იტანჯები, უკან ღუქანში მოისვენე.

მაიკოს გული აუფანცქალდა, თვალები გაუბრწყინდა. გულკეთილი მეღუქანე იმას სთავაზობდა, რის თქმასაც

თვითონ ვერაგზით ვერ ბედავდა.

ლაზარემ მას უკანღუქანისკენ გზა მისცა თუ არა, გაკვირვებულმა დახედდა. მუდამ პირნალვლიან მაიკოს თვალები უცინოდა, სულერთიანად იყო გამოცვლილი. მისი თაფლისფერი თვალები, წელან მუქი ბრინჯაოსფერი რომ გადაჰკრავდა, ახლა არაჩვეულებრივად ანათებდნენ და წყაროს წყალივით კამკამებდნენ. სიარულიც სწრაფი და ცოცხალი გაუხდა. წელან აღმართზე წელში გატეხილი ახლა დედოფალივით იყო ამართული და გაცისკროვნებული. მეღუქანე თვალს არ უჩქერებდა. ერთ ადგილზე გაშტერებული იდგა. გუმანით გრძნობდა, რომ მაიკო რალაც ანაზღვეულ სიხარულს უნდა გამოეცვალა. მაგრამ ამ სახარულის მიზეზს ვერ მიმხვდარიყო.

იმ პატარა ოთახში, ღუქანს უკან რომ ეკრა, მაიკოს თითქმის ყველაფერი უცვლელი დახვდა. ოღონდ უფრო სუფთა და კრიალა იყო, ვიდრე იმ დროს კედელთანაც კაკლის ხის ტახტი იდგა, რომელზედაც მეღუქანის ფაქიზად მოვლილი ლოგონი იყო გაშლილი. არც ტომრები იყო ისე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი, როგორც ეს დაუღვევარ გიგას სჩვეოდა. მაგრამ მაინც იმდროინდელი იერი სჭარბობდა და ვარშემოც იმდროინდელი სურნელი იდგა. კაკლის ხის ტახტი ვინმეს გარეთ რომ ვაეტანა, კაცი იფიქრებდა, სადაც არის კარი გაიღება, გიგა შემოვა და მაიკოს უელზე მოეხვევაო. ამ აზრმა ისეთნაირად გაუელვა მას თავში, რომ სული შეუგუბდა, გული შეეკუმშა, თავშეუკაგებლად დაემხო ტომრებზე და ქვითინი აუვარდა.

თავზე უარესად გაკვირვებული მეღუქანე დაადგა.

— რა დაგემართა, მაიკო?

მაიკოს ყრულ მოცხმა მისი ხმა, ძლივს გამოფხიზლდა, ტომრებზე წამოჭდა, თვალებიდან მუშტებით მოიწმინდა ცრემლები.

— მაპატიე, ძია ლაზარე, შენი ჰირომი!

ლაზარე მიხვდა კიდევ მისახვედრელს და ვერც მიხვდა.

— რა უნდა გაბატო, შეილო? დაწყნარდი, გული მოიბრუნე. წყალი ხომ არ მოგიტანო?

— არ მინდა, ძია ლაზარე.

— რა ვქნა, რომ არ ვიცი, რა დაგეპართა?

— ნურადფერს ნუ მკითხავ, ძია ლაზარე, შენ შემოგველე.

— კარგი, კარგი. შენ თავს თვითონვე მიხედე. მე დუქანში გავალ, იქნებ მუშტარი გამოჩნდეს.

„შვიდეზირიანზე“ გაზრდილმა მღვდელქნემ სიყვარულის ყველა მისახვედროსახვევი და ათასნაირი კუნჭული შეპირად იცოდა. მყისვე მიხვდა, რომ მაიკო კურტანიძე მის დუქანში ვიღაცის სიყვარულს მოჰყავდა. იქნებ ის ვიღაც წინათ ამ დუქნის პატრონი იყო? ახალგაზრდა და ლამაზი? მერე, მერე რა მოხდა? ეს კი ძნელი გასაგები იყო, მაგრამ ზრდილობიანი ხნიერი მღვდელქნე ამის გაგებას არც აპირებდა ისედაც ბევრი რამ იყო მისახვედრიც და გასაგებიც. ამ ლამაზი ქალის სასოწარკვეთილი ტრფიალი ვიღაცის მიმართ მას არ აკვირებდა, რადგან ბართლომე კურტანიძე ნანახი ჰყავდა.

როცა ლაზარემ მაიკო თავდაღმართამდე მიაცილა, ტკბილად გაუღიმა და უთხრა:

— როცა გინდა, მაშინ მოდი, მაიკო! უკანდუქანში მოისვენე; თუ გეტირება, იტირე, თუ გეცინება, იცინე. ვინ რას იტყვის? ოთხმოც წელს მიღწეული ვარ, თვალი მე არ მიჭრის და ჩინი, ერთადერთ კბილსაც ისე ვუფრთხილდები, როგორც ძუნწი მარგალიტს.

გულკეთილად გაიცინა და მაიკოც გააციინა.

3. პირის ოფლი

თავზე ცეცხლი მიკიდდა ეს ღოღანდი ას გირვაქვს იწონის.

ვოივ ზანდა, „დღონე დღონე“

გრიგოლ ზანდაროვმა ფეხსაცმელების ფაბრიკის კედლები აიყვანა და შენობა გადაასურვინა. დურგლებმა და მღვსავებმა შეგინთა სამუშაოები და ამთავრეს. რუსეთიდან მოწვეულმა ოსტატებმა მარსელიდან მიღებული მანქანები და დაზგები გამართეს. ტყავეულიც ბლომად იქნა მოზიდული. მაგრამ თავი და თავი დაქირავებული მუშახელი იყო. მუშახელი ქალაქში ძნელი საშოვნელი აღმოჩნდა. აგურჭარხანასა და შუშის ქარხნებში მომუშავეთა გადმობირებას ჯამაგირის მომატება სჭირდებოდა, რის გამოც მოგებას დაზარბულ მილიონერს ეს სარფიანად არ მიანდა. დღითურად მომუშავე იმერელი მუშებიც იმაზე მეტს მოითხოვდნენ, რასაც დღითურად სამუშაოებში იღებდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ დაქირავებულ მუშებს ხელობის სწავლა და გაწაფვა სჭირდებოდათ. ეს კიდევ არაფერი. ვინც მასთან გაჭირვების გამო და ლუკმა-პურის საშოვნელად მოდიოდა, იმათაც ამქრის ხალხი ბნელ ქუჩაბანდებში უხვდებოდა და ცხვირპირს ამტვრევდა. განსაკუთრებით თათრული ჩუსტების მკერავები და მეჩექმეები იქნევდნენ მუშტებს. ქარვასლების სოფდაგრები იცინოდნენ და გრიგოლ ზანდაროვის გაკოტრებასღა უცდიდნენ.

— მაშ, მაშ! — ლაზანდარობდნენ ისინი — ტეტიები ქალამნებს გაიხდიან და ზანდაროვის პოლსაბოშებში ივლიან, ქალაქელი ვირგლებიც თათრულ ჩუსტებს მტკვარში გადაყრიან და ზანდაროვის ბატინეებით იოლად წავლენ, ეგ არის რაღა!

წასახალისებლად ვორონცოვმა ზანდაროვის ფაბრიკას ჯარისკაცებისათვის ითასამდე ჩექმა შეუკვეთა. ამ შეკვეთას რამდენიმე ოსტატმა და შეგირდმა ადვილად გაართვა თავი, მაგრამ ზან-

დაროვმა იმაზე ნაკლები მოიგო, რასაც უცხოური საქონლით ვაჭრობით გებულობდა.

შეფიქრიანდა.

დაეკვდა.

გოჭირდა.

თანდათან მოიღრუბლა.

საფეთქლებთან თეთრი მოემატა.

გარეთ იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ შინ ცხვირჩამოშვებული იჭდა.

გაჭირვებულს სოვდაგრებმა ფეხი დააჭირეს.

თავი იმათაც ასწიეს მალა, ვისაც წინათ ზანდაროვის ეწინოდათ.

სოვდაგრებმა სოვდაგრულად დაიწყეს მის წინააღმდეგ მოქმედება.

ვილაკამ ნახევარ ფასში გაჰყიდა ისეთივე საქონელი, როგორც მას ნიჟინი-ნოვგოროდიდან, ვარშავიდან, ლიფცივიდან და პარიზიდან ღიდის ვაი-ვაგლახით მოეტანა.

ზარალი ზარალს დაერთო.

ფირუზა და გრიგოლ ზანდაროვების მიერ ვაესებულმა სალარომ პირი მოიხსნა და დაცარიელება იწყო.

გრიგოლს თანდათან მოეკიდა, დაეუფლა და ძვალსა და რბილში გაუჭდა გაკოტრების შიში. გაღიზიანდა. ბრაზიანი გახდა. თეთრ ღიზს პირველად შეუბრუნა სიტყვა, ცოლს ცამოწმენდილზე წაეჩხუბა და ქუდმოგლეჯილი გარეთ გავარდა.

დედამთილმა და რძალმა ერთიმეორეს გაკვირვებით გადახედეს და პირველად გამოელაპარაკენ ერთმანეთს შინაურულად.

მხოლოდ ქარვასლებში არ იმჩნევდა ზანდაროვი არაფერს. ძველებურად დარდიმანდულად დაიარებოდა ამაყი და გულუზვიადი კაცის ნიღბით.

სოვდაგრები მასთან თავდაპყრილები იყვნენ. ზურგსუკან კი დაცივნას არ აკლებდნენ, თან შეთქმულებივით ჩურჩულებდნენ და მოქიშპეს ხაფანგს უგებდნენ.

ზანდაროვი დაიბნა.

დაფრთხა.

ჭირის ოფლმა დაასხა.

მარჯვედ მოქმედების უნარი დააკარგა. შიშით და ცახცახით რელიუფდა: როდის დააგორებდნენ მას ქმედებებს სოვდაგრები ქარვასლის კიბეებზე.

4. გაფხილვაული სახპარელი

ესე არ უნდა მელაპარაკო, ჩემო ძვირფასო. ჩარლზ დიკენსი, „ნენი საერთო მეგობარი“.

ზანდაროვის სალაროს ფული სულ უფრო და უფრო აკლებდებოდა, მომატებით კი აღარაფერი ემატებოდა. ჭერ-ჭერობით უძრავი ქონება იყო ხელუხლებელი, მაგრამ მასაც საფრთხე ემუქრებოდა. თუ ხელმოცარული ზანდაროვი საქმეს დროზე არ გამოასწორებდა, ისიც ისევე გაიყიდებოდა ჩაქუჩით, როგორც სხვა გაკოტრებული სოვდაგრების ქონება იყიდებოდა.

გრიგოლი თავს აჩქარებას უსაყვედურებდა.

ფეხსაცმელების ფაბრიკით დაინტერესების დღეს სწყევლიდა.

ფირუზას წინდახედულებას ამართლებდა და საკუთარ დოყლაპიობას ამტყუნებდა.

გულში ქალაქურად ივინებოდა და ილანძღებოდა.

იჭდა და თავაულებლივ ანგარიშობდა.

ანგარიში ებნეოდა და თავს ველარ აბამდა.

ნაფიქრალს და ნანგარიშებს ვილაკ მარჯვედ და ოსტატურად ურღვევდა.

გასაქანს აღარ აძლევდა.

ძვირად ნაყიდს ჩალისფასად აყიდვინებდა.

ჩანდა, ის ვილაკ მასზე ღონიერიც იყო და მდიდარიც.

მის ასავალ-დასავალს ზანდაროვმა ვერაგზით ვერ მიაგნო.

გაბრაზებულმა საკუთარი მსტოვრები დაიფრინა.

აღარავის არ ენდობოდა, აღარავისთან კრინტს აღარ სძრავდა.

გულჩათხრობილი გახდა. ფული სჭირდებოდა, მაგრამ ფულის სესხებაზე სოვდაგრებთან სიტყვის ნა-

მოგდებას ერიდებოდა. არ უნდოდა მათთვის ახალი სიხარულის საბაზი მიეცა. ისიც კარგად იცოდა, რომ ამის შემდეგ სოვდაგრები კიდევ უფრო წაუჭერდნენ მას თოკს ყელზე.

დაბნეულსა და დამფრთხალ ზანდაროვს ვიკრიკოვის ცოლი გაახსენდა.

შინ მიეჭრა

საყვარელს მიკიბულ-მოკიბულად რაღაც უთხრა, რაღაც ვაგებინა, საჭირო თანხაც დაუსახელა, ქმართან ამ თანხაზე სიტყვის ჩამოგდება თხოვა.

ვიკრიკოვის ცოლმა და ზანდაროვის საყვარელმა შორს დაიჭირა.

— გრიგოლჯან, ეგ არ გამოვა, არამც და არამც. არ იცი ჩემი ბედოვლათი რანაირი ძუნწი კაცია?

გრიგოლს გაახსენდა: ვაჟრის ცოლი ქმრის ქონებას უფრო უფრთხილდებოდა, ვიდრე ქმრის სახელსა და ღირსებას.

ვაჟრის ცოლმა არც საყვარელი დაინდო.

— მაშ, კუტრი ზღები, გრიგოლჯან?!

ზანდაროვმა ენაზე იკბინა. დედაკაცთან ის წამოცდა, რისი თქმაც ხმამაღლა არ შეიძლებოდა. სახეზე სიბრაზის აღმურმა აჭრა.

ვიკრიკოვის ცოლმა უდარდელად გაიცინა.

— ლამაზი კაცი ხარ და შეცოდები, მაგრამ მაგისთანა ვანა ცოტა მომხდარა ჩვენს თბილის ქალაქში?

ზანდაროვმა ცივად დაუბრუნა.

— შენ ის მითხარი, რა პასუხს მაძლევ. მაგის მაგალითი უშენოდაც ბევრი ვიცი.

— აკი ვითხარი, გრიგოლჯან! შენ ველარაფერი გეშველება. ჩემი ბედოვლათიც და სხვა სოვდაგრებიც ამას ამბობენ. სახლი დაავირავე, ფულს სხვანაირად ვერ იშოვნი.

ამ სიტყვებმა ზანდაროვი გველნაკბენივით წამოავდო სავარძლიდან, ქულს წაავლო ხელი.

საყვარელმა ურცხვად შემოსცინა.

— უცოლო ან ჭკრივი რომ იყო, გრიგოლჯან, გიშველიდი. ჩემს ქალს

შეგრთავდი ცოლად. დედისერთა ქალის მზითვი ფეხზე დაგაყენებდა. მააშ!

— მერე, დედაკაცო, არ იცი შენ შენთვის ვინა ვარ?

— მერე რა ვუყოთ, გრიგოლჯან? ჩემთვის რათა დარდობ? ჩემი ლამაზი ხალგებიოთ სხვასაც ბევრს ვიშოვნი.

ეს ურცხვი და გარყვნილი დედაკაცი ზანდაროვს იმ წამს ისევე შესძავდა, როგორც თავის დროზე მაკა სძავდა.

ვიკრიკოვის ცოლი რაღაცით ჭგავდა მაკას, თუმცა არც იმასთვის ამოლტილი იყო და არც იმასთვის ლამაზი.

5. ბანახლებული მენაგანი

ხელი ხელსა, ბაგე ბაგეთი განვახლოთ სიხარული.

გრიგოლ იბრწვინა

სოვდაგარ ვიკრიკოვის სახლიდან ზანდაროვი უფრო გამოვიარდა, ვიდრე გამოვიდა.

ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ ქუჩაში თავს ძალა დატანა, ისევე უზრუნველი და დარდიმანდული იერი მიიღო.

ბრაზწყვილებული თავის ქერქში მაინც არ იყო.

შორიდან ვილაც ნაცნობი მიესალმა. ზანდაროვი ქულის მოსახდელად მოემზადა და ქუდი ხელში შერჩა. ერთბაშად ველარაფერი მოახერხა. კვლავ აულარუნდა მის ყურებში ვიკრიკოვის ცოლის სიტყვები. თვალი გაუშტერდა და ვზა ველარ განაგრძო.

ნაცნობმა მხრები აიჩეჩა. თვალი გაკვირვებით გააყოლა.

ზანდაროვი დიდხანს იდგა ერთ ადგილზე გაშეშებული. ჭერ თავზე ქულს დარეტიანებულივით ისწორებდა, მერე კი ორივე ხელით ისეთნაირად ჩააფრინდა, თითქოს თავიდან უვარდებოდა.

გაეცინა.

მაიკო კურტანიძის მუნასიბად ნათქვამი სიტყვები გაახსენდა.

ამ აზრმა და ფიქრმა უნებურად მტკვრის ვაღმა გაახედვინა, სწრაფად შეუხვია ხიდისაკენ და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა წისქვილებისაკენ.

აღმათ იმიტომ, რომ თბილისის არისტოკრატიულ უბნებში არავისთან შეხვედრა არ უნდოდა. აღარავინ ესიაშოვნებოდა, აღარავინ ეპიტანვებოდა ნაცნობების აღმაცერად გამოხედვას, თვალებით და ჩურჩულით ლაპარაკს ვერ იტანდა.

ნაცნობები მას ისე უყურებდნენ, როგორც დასაღუბად განწირულს.

ზანდაროვს მათი გამოხედვაც აღიზიანებდა და გადაკრულად ნათქვამი ციკრიკოვის ცოლის მოურიღებელმა და აგდებულმა ლაპარაკმა იგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქალაქში ყველამ უკვე ყველაფერი იცოდა.

გულზე უარესად მოაწვა ბოღმა.

ანგარიშმიუცემლად შეკყვა დავიწყებულ აღმართს.

მისი ძველი დუქნის წინ, ხის გრძელ სკამზე მაიკო კურტანიძე იჯდა. გრიგოლს რალაცნაირად გაეხარდა მისი შორიდან დანახვა. შორიდანვე ძველებურად გაუღიმა. მაიკომ მას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. აღმართზე ამომავალი ზანდაროვი ზმანების მოლანდებად მოეჩვენა, ისევე როგორც წინათაც ეს არაერთხელ ემართებოდა. გამტერებული ხის სკამზე გაუნძრევლად იჯდა. სასურველ და საყვარელ ლანდს კი თვალს არ აშორებდა. როცა მომღიმარე ზანდაროვმა აღმართი ამოიარა და მისკენ წამოვიდა, საშინლად გაფითრებულს სახე ერთბაშად აეთომოჩვენების მაგიერ ხელთ გაწყვიპილი და მოხდენილი ზანდაროვი შერჩა.

— გამარჯობა, მაიკო.

— გაგიმარჯოს... გრიგოლ... — ძლივს ამოთქვა მაიკომ.

— აქ რა გინდა, აქ რას აკეთებ?

— მიხაკ-დარიჩინის სასყიდლად მოვედი. — იცრუა მაიკომ.

— ჰო.

გრიგოლმა მის გვერდით ჩამოკდომა მოინდომა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. სკამი ძველი იყო, მიგლუჭილ-მოგლუჭილი, ჭუჭყიანი და ტალახიანი.

მედუქნე ლაზარემ დუქნის კარიდან გამოსძახა მათ.

— უკანდუქანში მიბრძანდით, იქ შეტი სისუფთავე ვახლავთ, ყინულები შეგაწუხებთ.

გრიგოლმა მაიკოს გადახედა.

მის თვალებში მივიწყებული ალერსის ნაპერწკალმა გაიფლავა.

მაიკო თავისდაუნებურად წამოიღგაფეხზე.

ორთავენი უსიტყვოდ გაემართნენ დუქნის გაღებული კარისაკენ.

ლაზარე ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა, ბუზებს ხელი აუქნია, მაგრამ მყისვე ჩაფიქრდა. „შვიდვეზირიანში“ წაკითხულ ქალ-ვაჟიანთა ამბები გაახსენდა.

— გახსოვს, მაიკო?

თქვა ზანდაროვმა, როცა იმ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც მათ პირველად გაშალეს ტომრები.

მის ხმაში ჩაფერფლილი სიყვარულის ნაღვერდალი გამოკრთა.

ამ ალერსიანად ნათქვამმა სიტყვამ ტანში ერეოლა მოჰკიდა მაიკოს, სწრაფად მოტრიალდა მისკენ და ყელზე მოეხვია.

— გიგაჯანი გიგაჯანი!

თვალები ცრემლებით ევსებოდა და თან გაშმაგებით კოცნიდა თავის ძველისძველ საყვარელს.

მაიკოს „გიგაჯან“ ყოველთვის აღელვებდა გრიგოლს. გულს უჩუყებდა. თავის ყმაწვილკაცობას ახსენებდა. თვითონაც მოეხვია მაიკოს, ცრემლებით დასველებული თვალები დაუკოცნა, კისერი გადაუწია და მის ბროწეულეოვით გახლჩილ ბაგეებს დაეწაფა. ორთავენი ერთად დაეშვნენ ძია ლაზარეს დუქნის ტომრებზე.

6. მუსაივი

ერთ შენ, მაიკო, მათაც დარცხენით

მისებეს მხრებზე ყვავილთა ჩაღრი.

მ. ვერდუგესკი, „თბილისის გაზაფხულზე“

მაიკო თან აწეწილ თმებს ისწორებდა, თან გაუთავებლად ტიტინებდა. ზან ფირუზას ოინებს იგონებდა, ზან თეთრ ლიზას „აჰანდესი“. სულ პირი უცინოდა და გრიგოლის გაცინებასაც ცდილობდა. ერთხელაც არ წამოსცდენია არც პილპილიანი ჩამოკრული, არც გუ-

ლანწყვეტილი საყვედური. უსაზღვროდ ბედნიერს თავი ისე ეპირა, თითქოს გრიგოლთან დიდი ხნის წინათ კი არ ყოფილიყო განშორებული, არამედ მასთან დაუსრულებლად დაკავშირებული, როგორც ამას თავდავიწყებული სიყვარულის წესი და რიგი მოითხოვდა.

უცებ მაიკო გრიგოლს დაკვირვებით დააკერდა, შემფოთებულმა წამოძიხა:

— უი, დამიდგეს თვალები! ეგ როგორ გამხდარხარ, გიგაჯან! ეგ საფეთქლები ევრე რამ დაკითოვლა?

გრიგოლმა გაიციხა.

— ებერდები, მაიკო.

— ქა, რა დროს ჩვენი დაბერება! გასათხოვარი რომ ვიყავი, ყველა ჩვენი ხნისანი ბებრები მეგონა. ეხლა, არ დაიჭერებ, სულ სხვა აზრისა ვარ. შენ მაშინაც კარგი იყავ, ეხლაც კარგი ხარ.

მაიკო მის თეთრ საფეთქლებს მოურიდებლად დაეკონა, მკლავები ყელზე შემოაქლო, უფრო დაკვირვებით შეათვალიერა. გრიგოლს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ჰკითხა:

— თავიდან ვაჭრის ქული ხომ არ გივარდება, გიგაჯან?

გრიგოლი უსიამოვნოდ შეინძრა.

— ეგ საიდან მოიტანე?

მაიკომ გადაიციხისა.

— რა ვქნა, დაცდილი მაქვს, როცა გიპირს, ჩემთან მაშინ მორბიხარ.

გრიგოლი მომწუსხველი თვალებით დააშტერდა. „ნუთუ, ამანაც იცის?“ გაიფიქრა მან. მუხლებიდან მტვერი გადაიყარა, ფეხზე წამოდგა, მაიკოს უღარდელად გადმოუგდო:

— გამოუცდელს ვერავინ ვერაფერი დამაკლო, გამოცდილს ვინ რას დამაკლებს?

— ჰო. ეგ ეგრება. — დაეთანხმა მაიკო. — შენცა და ბართლომეც ძალიან შორს წაბვედით. — ანაზღად სახეზე ნაღველის ჩრდილმა გადაურბინა, თაფლისფერი თვალები მუქი ბრინჯაოსფერი გაუხდა, თითქმის შიშით წარმოთქვა — ბართლომეს ფული ზღვასავით

შემოაქვს, მაგრამ არც ღარიბებს ინდობს და არც მდიდრებს ებუფება. მეშვენიან, ვინმემ არ გვიმტრუნოს. ცემსაღწე არ წავგიკიდოს.

გრიგოლი მას ყურადღებით მიაცქერდა. მაიკომ ჭერ არაფერი იცოდა. ეს მისი სიტყვებიდან ჩანდა.

მაიკოსთან მან ის არა თქვა, რაც ვიკრიკოვის ცოლთან წამოსცდა. ღიმილით უთხრა:

— რისი გეშინიან, მაიკო? ბართლომეს კარგი ცოლი ჰყვებხარ, თავიდან ვაჭრის ქული არ გადმოუვარდება.

— მაშ! მაშ! — გამოაჯაერა მაიკომ, — ეგ მგონი შენც გამოსცადე. ვანა არ გახსოვს?

გრიგოლს ეს ჭერ კიდევ წელან ხიდთან გაახსენდა. მაგრამ გრიგოლ ზანდაროვი გიგა ზანდაროვი აღარ იყო. მაიკოს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ველარ გადაარჩენდა. მისი მაშინდელი და ახლანდელი მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლებოდა. პატარა დუქნის დახლიდარისათვის პატარა თანხა საესეებით საქმარისი იყო, ფეხსაცმელების ფაბრიკის პატრონს კი ათასები სჭირდებოდა. ამიტომ მაიკო მას ხელს ველარ გაუმართავდა ასეთი დიდი თანხის სესხებაზე ბართლომესთან კრინტსაც ვერ დასძრავდა.

— რაზე ჩაფიქრდი, გიგაჯან? — შეეკითხა მაიკო.

— ბევრი ფული აქვს ბართლომე კურტანიძეს?

— ისიც შენსავით მილიონერია! — უპასუხა მაიკომ და თაფლისფერი თვალები ისევ ბრინჯაოსფერად გაუმუქდა.

— მაგას რაზე შეკითხები?

— ისე, სიტყვამ მოიტანა. — უხალისოდ მიუგო გრიგოლმა.

— მაინც? — ჩააცივდა მაიკო.

— რა ვიცი, როგორ ვითხრა? მაგის ასაველ-დასაველი ვერავინ გაიგო. — ზანდაროვს უნდოდა ეთქვა „ვერც ფირუზამ, ვერც მეო“, მაგრამ ღროზე დააკირა ენას კბილი და განაგრძო. — ისე კი, გაგიხარიან, ფულებს ნიჩბითა სვეტს. სომხის ვაჭრებმა ბევრი სცადეს,

მაგრამ შენს იმერელს ვერაფერი მოუხერხეს.

მაიკომ ახლა კი ველარ მოითმინა, თავისებურად გაჰკრა კლანჭი.

— ეგ იმიტომ, რომ ზოგზოგოვით ქალები არ უყვარს, — გულიანად გადაიყისყისა და თავისი თეთრი, ქათქათა კბილები და ორი ღრჯოლი გამოაჩინა, — ქა, ერთი ქალისთვის ვერ მოუცლია, ბევრი საიდან ეყოლება!

არც გრიგოლმა დაინდო.

— მაშ, რისთვის უნდისხარ?

— იმისთვის, რომ ვუვლი, ვურეცხავ, ვუკერებ, ოფლიან თავსაცა ვზან და აყროლებულ ფეხებსაც ცივ წყალში ვაყოფინებ!

— იფ! იფ! — გააჯავრა გრიგოლმა.

— მაშ! მაშ! — გამოაჯავრა მაიკომაც. — ჩემისთანა ცოლი ეგრე აღვივლად საპოვნელი არ გეგონოს.

— ნეტარება ბართლომე კურტანიძეს!

გრიგოლი ისეთნაირად გამხიარულდა, რომ დარდიც დაავიწყდა და ვარამიც.

— მაგ გულმკვდარს, — იცინოდა მაიკო, — ერთი ნაკლი რომ არა ჰქონდეს, ან ის მეწისქვილე, ან შენ რაში მჭირდებოდით?!

— ჰო, მაიკო. — სიცილითვე შეეხუმრა გრიგოლი, — შენი კალო შენც კარგად ვალეწე.

— მაშ არადა, წუმს შევიანაზავდი.

კისკისებდა მაიკო.

ისინი თავდაღმართთან გასცილდნენ ერთმანეთს.

მაიკომ დიდხანს უყურა მას. იდგა და უყურებდა, სანამ ხელახლად და მოულოდნელად ნაპოვნი გიგა ზანდაროვი ქვემოთ, ქუჩაბანდებში გაუჩინარდებოდა.

7. მტარი

სგობია უარი ვთქვით ცხვირსა და ყრებზე, რათა თავი ვადავიჩინოთ.

მირზა ფათალი ახუნდოვი, „მუსიკა ჯორდანი, ბოტანიკოსი, დერეფნი მეოღლი-შაჰი. სახელგანთქმული ქაღალქი“.

გრიგოლს შუაგზაზე დაავიწყდა მამიკო.

ისევ დარდი მოეკიდა, ისევ გაცოტრების შიშმა შეიპყრო და გუნება-გუნდობა. შინ ცოლს ხმა ვერ გასცემდა, თუმცა ღიზას შეუბღვირა, მოსამსახურეებს ჩხუბი აუტეხა.

თეთრმა ღიზამ თითი ტუჩზე დაიდო, შიშით წარმოთქვა:

— ქა, ეს რა ლეთის წყრომაა! ამ ბოლო დროს სულ ცხონებული ფირუზას ხასიათები არ დაიჭირა! — თავის ნათქვამის თვითონვე შეეშინდა, რამდენჯერმე პირველი გადაიწერა, აქეთ-იქით გადააფურთხა — ფფი ეშმაკს! ფფი ეშმაკს!

ფოსტლები გაიხადა, საჩქაროდ მოირთო და ეკლესიაში სანთლის დასანთებად გაიქცა.

მეორე დღეს, საღამო ხანზე ოპერის წინ, შადრევანთან გრიგოლ ზანდაროვს აღამეზონ კენტერაძე გამოეღაპარაყა.

— გრიგოლ ბატონს უმდაბლესი სალამი!

კარგაღს მისთვის არა სცემოდა, ცალი ყბით მიუგო:

— გამარჯობა, ფაცუნო.

— როგორ ბრძანდებით, გრიგოლ ბატონო?

— არა მიჭირს. შენ როგორა ხარ?

რასა იქ?

— მეც მშვიდობით გახლავარ, გრიგოლ ბატონო!

— შენიანები როგორლა არიან? სიძე-ბატონს ხომ არ ემღერის?

აღამეზონმა გაიცინა.

— არა უჭირს რა! წელიწადში ერთ ბალანას აკეთებს და ზუთ კომედიას წერს.

— შენი ანა სცენაზე კარგად თამაშობს. კნიჭიკ კარგის თვალთ უყურებს.

— მაგით თავს ვინ შეიწონებს, გრიგოლ ბატონო! ანახანუმის შვილიშვილი სხვებს უნდა აცინებდეს და ართობდეს?

ზანდაროვს ტუჩის ბოლოებში ღიმილი გაენასკვა. შვილის მსახიობობით უკმაყოფილო აღამეზონ კენტერაძე

უკადრებელს კადრულობდა. ყველას კალთას აგლეჯდა. ნაცნობებს „სამშინათიანის“ სესხებას ეღრჩებოდა. ჩასესხება კი არასდროს არ ავლიდებოდა. უარს მაინც არავინ ეუბნებოდა, რადგან ეწინოდათ „ქაჩალ კრასავეიცას“ მეფისნაცვლის ყვითელ ყუთში დაბეზღების წერილები არ ჩაეყარა.

სახელიც გეტეხილი ჰქონდა და პირიც.

ზანდაროვი თავმობეზრებულებით იშვებუნიდებოდა. კენტერაძეს გრძლად და დაუსრულებლად ლაპარაკი უყვარდა. ჭორები გუდით დაჰქონდა და, ვინ იცის, რას არა ყვებოდა და ამბობდა. წინათ გრიგოლ ზანდაროვი მასთან ლაზღანდარობით ერთობოდა, მაგრამ ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა თავიდან აბეზარი კენტერაძე ან თვითონ როგორ გასცლოდა მას. ჯიბეზე ხელი გაიკრა. რათა მისთვის „სამშინათიანი“ გადაეგდო. სწორედ ამ დროს ობერის კიბებთან ლიტერატორივით ჩაქმული ზანდაროვის ყოფილი მსტოვარი გამოჩნდა. ისედაც გაბღენძილი კიდევ უფრო ჩასუქებულიყო, ჩვეულებრივზე უფრო ძვირფასად და ფაქიზად ეცვა, ხელში ვერცხლისვარაყიანი ხელჯოხი დიდკაცურად ეჭრა და თავზე განიერფარფლებიანი ლურჯი ქუდი მსახიობივით დარდიმანდულად მოეგდო. ზანდაროვმა ცნობისმოყვარეობით დაადგა მას თვალი. მისი დიდკაცური იერი ეუცხოვა.

— იცნობთ, გრიგოლ ბატონო? — ჰკითხა კენტერაძემ.

— ვიცნობ. — ისევ ცალიყბით გადაუგდო ზანდაროვმა.

— წინათ სულ კარტს თამაშობდა, ბევრ ფულს გებულობდა, მარა არაფერი ეტყობოდა. ახლა კარტს აღარ თამაშობს, მარა ბატონკაცივით დღეიარებასე იცის კარგმა გასამრჯელომ, გრიგოლ ბატონო!

ზანდაროვი დაინტერესდა. ხმაში სიტბო გაუჩნდა.

— ვისგან იღებს, ფაცუნა?

— ბართლომე კურტანიძის კაცია! —

მოკლედ მოუჭრა კენტერაძემ. ზანდაროვმა პირი დაბატონდა. სწრაფად ალაგმა გაეკვირებდა. პირიქით, მხრებში რაღაცანიარად ვაიშალა. კენტერაძეს ჭორის გუდა მოახსენებინა და დიდხანს ალაპარაკა. პირველად არ დაენანა მისთვის ორი თითით მიწოდებული „სამშინათიანი“. გაგებით მაინც ვერაფერი გაიგო, ხელისმოსაქიდებელი ვერაფერი იპოვნა. ახალი მსტოვრები დაატრიალა, მაგრამ ვერც იმათ გათვებს რამე.

მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი: მდიდარი ალაფი არა მარტო ხორბლით და თივით ვაჭრობდა, არამედ ვეროპული საქონლითაც.

ეს ზანდაროვისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო.

სწორედ ამ აღმოჩენით დაიწყო მან გამოძიება და თავის ყოფილ მსტოვრის კვალს გაჰყვა.

ბართლომე კურტანიძეს საქონლის მაზანდის დაწვეა შეეძლო, მაგრამ საიდან გებულობდა იგი რა საქონელი მოჰქონდა გრიგოლ ზანდაროვს რუსეთისა და ევროპის ქალაქებიდან?

მან მხოლოდ იმის გაგება მოახერხა რომ ასეთივე საქონელი მტკვრის პირზე ბართლომეს საწყობებშიც ელაგა.

ეს უკვე საბუთი იყო.

მისი მეტოქე აშკარად ბართლომე კურტანიძე იყო.

მაგრამ საიდან იცოდა ამ დამუნჯებულმა ალაფმა ის, რაც მხოლოდ ზანდაროვმა და მისმა კონტრაგენტებმა იცოდნენ? როგორ ახერხებდა ბართლომე ისეთივე საქონლის ყიდვას, როგორსაც მისთვის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქალაქებში გაგზავნილი და მისი უადრესად ერთგული მოურავი არშაკ ვართანიანი ყიდულობდა?

ზანდაროვი ჯერ ექვმა გაუელვა თავში, მერე კი მალე დარწმუნდა, რომ მისი მოურავიც ისევე ჰყავდა მოსყიდული ბართლომე კურტანიძეს, როგორც მისივე სხვა მსტოვრები.

ზრახმა კინალამ დაახრჩო.

თან ბართლომეს ოსტატურმა მოქმედებამ გააკვირვა.

ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო: მისი სახელიც და ქონებაც ბეწვზე ეკიდა. სადაც იყო ეს ბეწვი გაწყდებოდა და მოულოდნელი მეტოქე მიწაზე დაუნდობლად დაანარცხებდა.

ამ უღმობელმა აზრმა ტანზე ეკლები დააყარა.

თვალთ დაუბნელა-

სიმწრის ოფლმა დაასხა.

არც წაშალი ჩანდა, არც გამოსავალი.

ყველაფერი ვათავებული იყო.

გრივოლ ზანდაროვმა ახლაც ისევე მოიწმინდა სიმწრისა და სიბრაზის ცრემლი, როგორც იმ ქარიშხლიან დამეს გერმანოზიშვილების პატარა საყდარში იოსებ ფანდურაშვილმა.

გულიც იმდღევანდელივით გაუქვავდა.

8. მუწევის ბლბბბბბბბ

ბოროტი ენა დამბარბეც საშიშია.

ა. გრივოლოვი, „ვთა მკუთხაგან“.

თვალის დახამამებში ბართლომე კურტანიძის სახლთან გაჩნდა.

ბართლომე ბაღში მუშაობდა.

მაიკო აივანის კიბესთან იჯდა. კალთაში წიწაკის წნილით ვავსებული ჯამი ედგა. გუნებანაქცევი მწვანე წიწაკას უღიმღამოდ წიწყნიდა.

გრივოლის დანახავზე აღმურმა აპკრა თეთრად დაფოთილ სასეზე. ზეზე წამოიჭრა. ერთბაშად შემონთებული სინარულით გაბრწყინდა და აბრიალდა. ტუჩს კბილი დააჭირა, რათა თავის „გიგაჯან! გიგაჯან!“ არ დასცდენოდა.

გრძელი კბიის ჩარდას-ქვეშ მაინც დრო იხელთა, გრივოლს ზედ მიეკრო და ტუჩზე აკოცა. გრივოლმა კბიის სვეტებზე გაყოლებული ვაზის ფოთლები გადასწია, ბართლომესკენ ვიხედა და მაიკოს უთხრა:

— შენ ქმარს დაუძახე, მაიკო.

მაიკოს პირკატა ეცა.

— ჩემი ქმარი რათ გინდა?

— საქმე მაქვს, ერთი ორი სიტყვა უნდა ვუთხრა.

მაიკოს თაფლისფერ თვალებზე ბრინჯაოსფერი ვადაფინა, ვერცხვითი-ტყვოდ აიყვანა აივანზე და ქვემოთ გადასძახა:

— ბართლომე...

მის დაძახილში ბზარიც გაისმა და ხრინწიც.

ზანდაროვმა უშველებელ ბაღსა და ზვარს გადახედა. ზვარი თითქმის მტკვრამდე იყო გადაპიშული. წინანდელი ღარიბი ხელოსნების და დღიური მუშების ქობმანების კვალიც კი აღარსად ჩანდა, მათი ნასახლარების და ვიწრო ქუჩაბანდების ადგილი ბართლომე კურტანიძის ზვარს ეკირა.

— ჩვენი ძველი მეზობლები სად არიან, მაიკო? — იკითხა გრივოლმა.

— ბართლომემ პოლიციას ააყრევიანა და გადაასახლებინა.

— პო.

— იმ დღეს ბართლომემ ქრისტეს ტირილი დააყენა. არავეინ არ დაინდო...

— მის ხმას ისევე ხრინწი მოეკიდა, — არავეინ ეცოდება, არავეინ არ ებრალებდა. მა რა იქნება? არც ბირჯვარს იწერს, არც ეკლესიაში დადის.

— ფირუზაც ეგეთი იყო. — მოიგონა გრივოლმა.

— ფირუზა მშიშარა კაცი იყო, — ზიზლით წარმოთქვა მაიკომ, — ბართლომე კურტანიძეს კი არც ღმერთის ემინიან, არც კაცის... არც მდიდრებს ეუბება. არ ვიცი მავდენი ძალა და ღონე ვინ მისცა.

მაიკო სულ აბლოს მიეკრო გრივოლს, ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

— ვიგაჯან, შენც ფრთხილად იყავი მაგასთან.

ზანდაროვმა გამომცდელად შესხედა მაიკოს. არ იცოდა, ის ქმარს უფრთხილდებოდა. თუ ძველ საყვარელს.

— მე რა მაქვს ვასაფრთხილებელი, მაიკო? — უსაღიდად გაიკვირვა მან.

— არ ვიცი. არ ვიცი. წინათ ერთხელაც არ ასხენებდა შენს სახელს, ეხლა კი სულ შენს ხსენებაშია. ამას წინათ დამცინავად წაიდუღუნა: კოპწია ზანდაროვს მალე სოფდაგრების დავთრიდან

ამოიღებენო. ხომ არაფერი გაგიჭირდა, გიგაჯან?

— გამიჭირდა. — არ დაუმალა ვრიგოლმა.

მაიკოს ფერი ეცვალა.

— ძალიან, ძალიან გაგიჭირდა?

— ძალიან.

— მერე... გიგაჯან... ჩვენს ცოდოში ვინ ჩადგა?

— ბართლომე კურტანიძე.

მაიკოს მიწისფერი დაედო სახეზე.

ბართლომე ზღაზვნით ამოდითდა კიბეზე. მაიკომ ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო.

— გამარჯობა, ბართლომე.

მზიარულად და დარდიმანდულად მიესალმა ზანდაროვი.

ბართლომემ თავი ოდნავ დაუკრა, აღმაცერად შეათვალიერა.

— რისთვის გარჯილხარ, უფალო ზანდაროვო?

— ფრანციიდან არშაკ ვართანიჩის ბარათი მივიღე, შენთან მოკითხვას მებარებს. მეც მოვედი და ვადმოგეცი. ბართლომემ კმაყოფილებით ჩაიღიმა.

— ვათავებულ საქმეზე აღარ ლაპარაკობენ.

ზანდაროვმა წარბი აზიდა.

— რომელი საქმე ვათავედა?

ბართლომემ ოდნავ გაიღიმა, წვეტიანი, მაგარი კბილები ძლივს გამოაჩინა.

— რომელი ამას აღარ უნდა, მეც კარგად ვიცი და შენც. საკითხავი და გამოსარკვევი აღარაფერი არის. — ბართლომე ცოლს მიუბრუნდა და შეუტია. — დედაკაცო, ვაზის ისეთნაირად ახვევა შეიძლება? რასა ფიქრობდი? ჰკევა სადა გქონდა?

— კაცო, ბართლომე, — უეცრად გაბრაზდა მაიკო, — რა დროს ევ არის? სტუმარს სკამი შესთავაზე. ეგრე გაჩერებული რაათა გყავს? ან რა ზრდილობაა?

თვითონვე დატრიალდა სკამების მოსატანად. ერთადერთი მოახლე ეზოში ჩაავდო. მამაკაცების შორიახლო დაჭადა.

9. ცოდვისშვილი და მამაკვირნი

ფული, ფული მიწა, ფული ყველაფერს იყიდი.

იპოლიტო ნიევი, „ოთხმოცწლიანის აღსარება“.

გრიგოლი გაკვირვებული უყურებდა ბართლომეს. არასოდეს არ იფიქრებდა, თუ ეს მუდამ დამუნჯებული კაცი ხმას ამოიღებდა.

ისევ თვითონ დაიწყო ლაპარაკი.

— ყველაფერი ვიცი, ყველაფერი გავიგე.

— ეგეც ვიცი.

მოკლედ მოუჭრა ბართლომემ.

— საიდან იცი? ვინ გითხრა?

— კენტერაძემ.

ზანდაროვმა თვალები დააქუცია.

ბართლომემ ბებრულად ჩაიხიხითითა, გაოცებისაგან პირდაღებულ გრიგოლს ნიშნისმოგებით უთხრა:

— დალოცვილო, იმ ჭაჩალს ორი თითით სამმანეთიანს რომ აწვდიდი, მეტი ვერ გაიმეტე.

გრიგოლმა უარესად დაახამზამა თვალები.

მხოლოდ ახლა გებულობდა, რომ აღამეზნონ კენტერაძე მისგანაც იღებდა ფულს და ბართლომე კურტანიძისაგანაც.

პირგამშრალს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. მარტო ეს წამოსცდა:

— ჩემი ვალარიბება შენ რას გამლევს?

ბართლომემ გულგრილად განუმარტა:

— შენს წაქცევაში მეც ცოტა დავზარაღდი, მაგრამ სანაღვლებლად არა ღირს. რაც ფირუზამ და შენ ვერ მომიხერხეთ, მე მოგიხერხე. მამ, რათ გიკვირს, უფალო ზანდაროვო?

ბართლომე გუშინდელ მილიონერს და დღევანდელ დატაკს ძველი, ნავლწყარილი და მივიწყებული ამბავი წინ დაუდო.

კედელზე გაკრულმა გრიგოლმა ხმა ველარ ამოიღო.

მაიკომ სადღაც, ტუჩის ბოლოებში, ჩუმად ჩაიკეცა ღიმილი.

— მაინცდამაინც ნუ დამემღერებო, უფალო ზანდაროვო, — განავრძო ბართლომემ, — აბა, ქონება შენ რათ გინდა?

— როგორ თუ რათ მინდა? — გაიკვირვა გრიგოლმა.

— არ გინდა და ეგ არის.

— მაინც რათა? — აღარ მოეშვა გრიგოლი.

ბართლომემ მისთვის უჩვეულო აღტაცებით მიახალა:

— უშვილო ხარ!

გრიგოლი გაოცებით მიაცქერდა: „ეს კაცი ვიფი ხომ არ არისო“. მაიკო უსიამოვნოდ შეინძრა სკამზე.

— გაგიცდო კაცო! — უპასუხა გონმოსულმა და ოდნავ გამზიარულეზულმა გრიგოლმა. — არ იცი, რომ ოთხი შეილის მამა ვარ?

— ქალი შეილად არ ჩაითვლება.

ზიზლით გადმოუვდო კურტანიძემ.

— რას ამბობ კაცო?!

— ეგრეა, ეგრეა დაწესებული. ქალს ცოდვიშვილს ეძახიან, ვაჟს მემკვიდრეს.

გრიგოლი სერიოზულად ჩაფიქრდა. ვაჭარმა ვაჭრის ნათქვამში სიმართლე აღმოაჩინა. უსიამოვნოდ შეკრა წარბი. გულში ერთხელ კიდევ შეუკურთხა თავისი ასულების დედას და ცოლს.

ბართლომემ ამაყად გადახედა ნირწამხდარ გრიგოლს.

— მე ვაჟების მამა ვარ. კურტანიძეები არიან. სამთავენი მზითვიან ქალებს მოიყვანენ. ქონებას ქონებას მოუმატებენ. მაგრამ კაცმა რომ თქვას, სამს მაინც ერთი ვაფი სჯობიან, ქონება ვაუყოფელი დარჩება.

მაიკო ისევ უსიამოვნოდ შეინძრა სკამზე.

ბართლომე გრიგოლს ათვალწუნებით მიუბრუნდა:

— ეხლა, უფალო ზანდაროვო, ერთი რამდა დაგვრჩა. სოლოლაკში სასახლე უნდა დამიცალოთ, ჩემი ცოლ-შვილით იქ უნდა დავსახლდე. თავლაფდასხმულს იქ კი არა, ქალაქში აღარ გედგომება.

ზანდაროვს სიბრაზემ სახე დატბნელა და ისეთნაირად შექანდა და წაებრბაცდა, რომ მაიკოს შეეშინდა მას! წვეთი არ დასცემოდა.

— ვერაგი ყოფილხარ, იმერელო! — ძლივს ამოსთქვა მან.

ბართლომემ მშვიდად მოუჭრა.

— ვერაგიო! მერე შესავით საყვარელი როდის გავყიდე?

ამ ქარაგმის აზრი გრიგოლმაც კარგად გაიგო და მაიკომაც.

ერთმა თავი ჩაღუნა, მეორემ განზე გაიხედა და ბართლომეს თვალი ველარ გაუსწორა.

შუბლშეკრულმა ბართლომემ მეტი აღარაფერი თქვა. გრიგოლს ზიზლით ზურგი შეაქცია და ოთახში შევიდა.

გრიგოლმა ელდანაკრავი მაიკო აივანზე მიატოვა და კიბეზე სომნამბულასავით დაეშვა.

— წაეთრა? — გამოსძახა ცოლს ოთახიდან ბართლომემ.

— წაეთრა. — ამოიგმინა მაიკომ.

ბართლომე კურტანიძემ კარგად ვერ გაიგო, ეს პასუხი ქმრის ზიზლის გაზიარებას ნიშნავდა, თუ საყვარლის აუგად მოხსენიების გამო გაბრაზებას.

გრიგოლი გატეხილი ნაბიჯით გაუდგა გზას.

წინ მხეში გახვეული მტკვარი გადაეშალა. ნაღვლიანად დააცქერდა მის აგორებულ, ყრუდ მოღუდუნე ტალღებს, კრიალა ზეცაში მტრედებს გადადევნა თვალი, წყლის წისქვილებისკენ გაიხედა და იმ მეზადურის ბედი შეშურდა. რომელიც ნავიდან მტკვარში ბადეს გატაცებით ისროდა. ოფლიან შუბლზე ხელი მოისვა, ამოიოხრა და უკანასკნელად მიიხედა იმ უბნისაკენ, სადაც მას ახალგაზრდობა ვაეტარებინა.

ანახლად სიონის დიდმა ზარმა დაიგუგუნა. მას პატარა, წკრიალა ზარებიც აჰყვნენ. მერე მთელ ქალაქში ზარების რეკა ატყდა. შემფოთებული ადამიანები სახლებიდან გამოვიდნენ. ქუჩები და ქუჩაბანდები ხალხით გაივსო. ჯერ მხოლოდ ჩონჩქოლი ისმოდა, მერე

კი მთელი ქალაქი ახმაურდა.
 — ომი დაიწყო! ომი!
 დაიძახა ვიღაცამ ხიდის თავში.
 — ომი! ომი!
 გასძახოდნენ ერთმანეთს მოქალაქე-
 ნი ბანიდან ბანზე, აივნიდან აივანზე,
 შუკიდან შუკამდე, ქუჩიდან ქუჩამდე,

მოედნიდან მოედნამდე, უბნიდან უბ-
 ნამდე, ქალაქიდან სოფლამდე, ზღვიდან
 ზღვამდე.

ზანდაროვი წელში გასწორდა.
 საბეზე იმედის შუქი მოეფინა და აჩ-
 ქარებული ნაბიჯით გაემართა მეფისნა-
 ცელის სასახლისაკენ.

კარი ოცდაშეათი

1. ომი

ყველა მოსალოდნელ ომზე ლაპარაკობდა
 მაგრამ როგორც ყოველთვის, ზერელედ.
 ა. ჯუშინი, „როდესღაც“

მეორე დღეს ზანდაროვი მეფისნაც-
 ლის კანცელარიაში დაიბარეს.

ფეხსაცმელების ფაბრიკის გაფართო-
 ება შესთავაზეს.

ზანდაროვმა შორს დაიჭირა.
 უარის მიზეზი ჰქოთხეს.

— მუშახელი არა მყავს, ბატონებო!
 ბატონებმა ციხიდან ტუსაღების და
 მძაფვი ქალების გამოყვანა აღუთქვეს.

ზანდაროვმა ახლაც უარი თქვა. მი-
 ზეზიცი დასახელა.

— იარაღებს დაღწენ, დაზგებს და-
 ამტრევენ. ის დამემართება, რაც კას-
 ტელას დამართა.

ჭარის ინტენდანტებმა იმდენი ჭარის-
 კაცის მიცემა აღუთქვეს, რამდენსაც
 ზანდაროვი მოითხოვდა.

ბატონმა ზანდაროვმა ამ წინადადება-
 საც უარი დაახვედრა.

— მაშ რა გნებათ?
 — კრედიტი. — მოკლედ მოსჭრა ზა-
 ნდაროვმა.

კრედიტი ულაპარაკოდ გაუხსნეს.
 თან ყოველგვარი შემწეობა და დახმა-
 რება აღუთქვეს.

სამაგიეროდ დიდძალი ჭარის ჩექმე-
 ბით უზრუნველყოფა მოსთხოვეს.

ზანდაროვის სასაცილოდ აგდებულ
 ფეხსაცმელების ფაბრიკას ამინდიც და-
 უღდა და მაზანდაც. შეკვეთებს ველარ
 ასლიოდა. მოგება მოგებას მოსდევდა.
 კვლავ ფეხზე დამდგარმა ისევ ამაყად

მოიღერა თავი. მეფისნაცვალი ყველა-
 ნაირად ხელს უწყობდა და აჭეზებდა.

თურქეთთან და მის მოკავშირეებთან
 დაწყებული ომის მთელი სიმძიმე ვო-
 რონცოვს დააწეა მსრებზე. კავკასიის
 მეფისნაცვალმა კარგად იცოდა, რომ
 ამ ომში წაგებაც და მოგებაც, დამარ-
 ცებაც და გამარჯვებაც მას მოეკითხე-
 ბოდა. ამიტომ ყველაფერს აკეთებდა
 იმისათვის, რათა კავკასიის ფრონტზე
 განლაგებული ჯარები ყოველმხრივ უზ-
 რუნველყოფილი ჰყოლოდა.

ვორონცოვი ენერგიულად მოქმედებ-
 და მაგრამ ჰკვიანო მმართველისათვის
 არც ის იყო უცხო, რომ აღმოსავლე-
 თის ომს რუსეთი მოუშნადებელი
 ხედებოდა. დაეპყებული კიდეც უფრო
 მეტის მონდომებით ახორციელებდა
 ყველა იმ ღონისძიებას, რაც ომში წაა-
 მატებას სჭირდებოდა.

განსაკუთრებით იმათ მფარველობდა
 და ესმარებოდა, ვინც ჭარს აცნევდა,
 ახურავდა, აჭმევდა და ინახავდა.

ამ მხრივ ერთნაირ მდგომარეობაში
 აღმოჩნდნენ ბართლომე კურტანიძე და
 გრიგოლ ზანდაროვი.

ორთავეს ერთდროულად მოუვიდა
 ხელმწიფის მედალი.

ამან კიდეც უფრო მეტად გაამხნევა
 ზანდაროვი.

ჭარვასლებში ისევ რიდით და შიშით
 უყურებდნენ მას.

ბართლომე კურტანიძემაც თითი მო-
 კავა, განზე გადგა და მის საქმეებში
 ცხვირს აღარ ჰყოფდა.

მიუხედავად ამისა, მის ცოლს თავ-
 ლისფერი თვალები მაინც ბრინჯაოსფ-

რად უმუქდებოდა. ეწინოდა ზანდაროვს მისი ქმრისათვის სამაგიერო არ გადაეხადა. ეწინოდა, რადგან გაღარიბების შიში მას, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე აზრდილივით თან დასდევდა, ისევე როგორც ზანდაროვის სიყვარული, ახლაც ცეცხლივით რომ ეკიდებოდა და თვით საკუთარ ქმარშვილს ავიწყებინებდა.

2. ალაფის ოჯახი

ახლა ყოველთვის ფულია ჩემს ფიქრებსა და სურვილებში.

ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“.

ბართლომე უფროს ვაჟს ანებიერებდა, ანდერძით მხოლოდ მას უმტკიცებდა უძრავ-მოდრავ ქონებას, ვაჟრადაც ის უნდოდა. შუათანას მღვდლობას ურჩევდა, უმცროსს კი მოხელედ გაბდომას. თავისი აურაცხელი სიმდიდრიდან ამ ორს ერთ გროშსაც არ უტოვებდა.

მაიკომ იცოდა ეს და გული ეწურებოდა. მეწისქვილის ბიჭი დედობრივი სიყვარულით უყვარდა, მაგრამ ზანდაროვის ბიჭებისათვის თავწაყვდარი, ალერსითა და შეფრფვივით ზრდიდა მათ.

მეწისქვილის ნაბიჭვარი ამას გრძნობდა და დედისგან შორს ეკირა თავი. სულ მამას უტრიალებდა გარშემო, თვალბში შესცქეროდა და შესცივინებდა. მამასავით შრომობდა და ირჯებოდა. ზანდაროვების ნაბიჭვრები კი ზარმაცობდნენ და კურტანიძეების სახლს ათასნაირი ოინბაზობით იკლებდნენ. არც თვითონ ბართლომეს ეპუებოდნენ, ხან მის დიდ ცხვირს დასცივოდნენ, ხან მის ბაჯბაჯა სიარულს, ხან ბურნუთის ცხვირში შეყრას და ცხვირის უთავბოლოდ დაცემინებას. მაიკო სიცილით კვდებოდა. ბართლომე კი ბუზღუნებდა და იღრინებოდა.

მაიკო მხოლოდ მაშინ მწარდებოდა, როცა ბართლომე შუათანა ან პატარა ბიჭს ყურებს აგლეჯდა და მათრახით სცემდა. სამაგიეროდ უფროს ბიჭს ხელს არ აკარებდა. თუმცა ესეც იყო, მეწის-

ქვილის ნაბიჭვარი მას ცემის საბაზს არასოდეს არ აძლევდა.

განზე გამდგარი და მამახვეფთქადმუნჯებული დედასაც და ძმებსაც აღმაცერად უყურებდა. თავზე ვაჭრის ქუდს ირგებდა. მაგრამ უმცროსი ძმები მის ცხვირის აწევას ვერ ურჩევდებოდნენ. აყლაყუდას და ღონდლოს ხან სარმას უღებდნენ, ხან, თუ ბართლომე შორს იყო, ცხვირბირს უნაყავდნენ. ანდერძი უკვე დაწერილი იყო, მაგრამ მაიკო წინასწარვე გრძნობდა, რომ ზანდაროვის ცოცხალი და პირდახატული ბიჭები უფროს ძმას კურტანიძეების ქონებას არ შეარჩენდნენ და თავიანთ „საუმცროსოს“ მუშტით მოითხოვდნენ. ბრგე შუათანა ბიჭს მღვდლობის არაფერი ეცხო (ამას წინათ ის ძროხისათვის დაყრილ თივაში პატარა გოგოსთან დაიჭირეს, გაასილაქეს და ყურები დააგლიჯეს), ხოლო ვარსკვლავივით მოწყვეტილი სულ უმცროსი ბიჭი აღდგომა დღეს წითელ ხალათს ისე მოხდენილად ატარებდა, რომ მოხელის ქაღალდების მტვერში ვერც გაძლებდა და ვერც გაჩერდებოდა.

მაიკო უკვე შიშით ფიქრობდა თავისი შეილებების ურთიერთობასა და მათ მომავალზე.

აღარსად დადიოდა.

აღარც ლაზარეს დუქანს ეკარებოდა ახლოს.

იჯდა და ფიქრობდა.

ფიქრი ფიქრს ეკიდებოდა. დარდი დარდს.

ზღაპრულად მდიდარი კაცის ცოლი იყო, მაგრამ თავს ბედნიერად არა გრძნობდა.

სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ფული და სიმდიდრე ადამიანს ბედნიერს სრულიადაც არა ზდიდა.

ხაბაზის ცოლის გემრიელი ლუკმა და გიგა ზანდაროვის დახლიდარობა ახლა ყველაფერს ერჩინა.

ფარული ცრემლის ჩუმად შემშრალება დასჩემდა.

მეზობლებს მისი მზიარული სიცილი და კისკისი სანატრელი გაუხდათ.

მიზეზად მის ფეხმძიმობას ასახელებდნენ.

ასევე ფიქრობდა ბართლომეც, რომელიც დედაკაცის გულში არასოდეს არ იხედებოდა და მხოლოდ დედაკაცის გარჯით იყო დაინტერესებული.

3. ომში წასულნი და შინდარჩენილნი

ეს რაღაც სასჯელია ზეგარდმო მოვლენილი.
გრიგოლ ორბელიანი

ქალბატონი ზანდაროვი ომში წასულ ძმას ნაღვლობდა.

ომის დაწყების პირველსავე დღეებში დავით გერმანოზიშვილი დასთან გამოსათხოვრად მოვარდა, თან ილიკო ორბელიანიც მოიყვანა. ორთავენი შეზარხოშებულნი იყვნენ.

მანანა ყელზე შემოეკლო ძმას, მის მკერდზე აქვითინდა, მერე ილიკო ორბელიანს აყოცა შუბლზე; ისიც ძმურად მოეხუა და პირისაზე დაუკოცნა. ორთავენი ტირილით გააცილა ქუჩის კარებამდე.

— რა გატირებს, სულო? — ცხენიდან გადმოსძახა დას დავითმა, — ომიდან გენერლად დაებრუნდები!

— მაშ, მაშ! — დაიძახა გენერალმა ორბელიანმა და მანანას ტყბილად გაუცინა.

ამ ორიდან რომელი დაბრუნდება? გაიფიქრა გრიგოლმა, რომელსაც ცოლისძმის პატივისცემის ნიშნად ხელი უზანგზე ედო.

არცერთი არ დაბრუნებულა. იმ დღის შემდეგ გრიგოლს ცოლისძმა აღარ გახსენებია.

მას აღარავისთვის არა სცალოდა. მისი ფეხსაცმელების ფაბრიკა მთელი დატვირთვით მუშაობდა.

ახალ დროებს აყოლილი თავადები ღვინით ვაჭრობდნენ, გააზნაურებული ზანდაროვი ჭარისკაცის ჩექმებით ვაჭრობდა.

ზანდაროვის საღარო ისევ გაივსო და გაიტენა. მაგრამ კირგამოვლილს

ფხიზლად ექირა თვალიც და ყურიც. ფრთხილი და ხელმოკერილი გახდა.

დარდიმანდული იერი დარბაისლური გამომეტყველებით შეეცვალა.

ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს ისმენდა.

დიდხანს ანგარიშობდა და წონიდა, რათა სარმის დადების საბაზი არავისთვის არ მიეცა.

იშვიათად ნახულობდნენ მას თეატრშიც და ნადიმებზეც.

უფრო ხშირად ფეხსაცმელების ფაბრიკაში იყო და მუშა-ჭარისკაცებს ღვინის გაცლამდე ამუშავებდა.

4. ახალი აღზევება

ყველაფერი კარგია, როცა შეიძლება მოგვბაც და სარგებლობაც.

ჯორჯ ზანდი, „ლეონ ლეონი“

ყირიმის ომმა თბილისის მნიშვნელობა ერთბაშად გაზარდა და ამ ომის მთავარ ცენტრად გადააქცია. მეფის მთავრობამ აუარებელი ჭარი მოაყარა თბილისს. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან განუწყვეტლოვ მოედინებოდნენ ჭარები. მოდიოდნენ მცხუნვარე მზეში, წვიმაში, თოვლში, ტალახში. მოაბიჯებდნენ სამხრეთ რუსეთის თვალუწყდენელ ველებზე, იმიერკავკასიის უსამანო ტრამალეებზე, მოლაზლაზებდნენ მთებში და კლდეებში დაკლავნილ საქართველოს სამხედრო გზაზე, მოლასლასებდნენ დილის ველზე, დაღლილნი, დაჭანკულნი, მტვერში ამოგანგლულნი, ტალახში ამოსვრილნი და ფეხებზე მხოლოდ ტყავის ძონძებილა რჩებოდათ. თბილისში ჭარისკაცებს ზანდაროვის ფაბრიკაში დამზადებულ ჩექმებს აცმევდნენ და ეს ფაბრიკის პატრონს იმდენ მოგებას აძლევდა, რომ მას ზოგჯერ თვალთ უზნელდებოდა და თავბრუ ეხვეოდა.

ომმა ზღვების გზები გადაეკეტა. დასავლეთ ევროპიდან ახალ საქონელს აღარ იღებდნენ. ამიტომ გამდიდრებით ის მდიდრდებოდა, ვისაც ომის წინ მოზიდული საქონელი საწყობებში ელაგა.

ასეთებს შორის ბართლომე კურტან-

იძე აღმოჩნდა. მან ზანდაროვის წასაქცევად ნაყიდ საქონელს ცეცხლის ფასი დაადო და ერთიათად გაჰყიდა.

თავისი სიხარული ალაფმა მხოლოდ უფროს ვაჟს გაანდო. დასხდნენ და ერთად დიდხანს იჩურჩულეს, შინ კი კრინტი არ დასძრეს.

მაგრამ ის, რაც ბართლომემ ამით მოიგო, წვეთი იყო ზღვაში იმასთან შედარებით, რასაც ომიანობის დროს იგი ხორბლითა და ფქვილით ვაჭრობით იგებდა.

ჭარს სურსათ-სანოვაგით ბართლომე კურტანიძე ამარაგებდა და მეიჭარადრედ გადაქცეული ახალ ქონს იკიდებდა, კიდევ უფრო მდიდრდებოდა.

გაიბადრა და გაიბლინძა. მაგრამ კისრის გვერდზე ტარებას და ბაჭბაჯით სიარულს მაინც ვერ გადაეწყვიდა.

ულაზათოდ ჩაკეული შორიდან მღაღრის ტანსაცმელში გადაცმულ მეთულუბჩეს გავდა.

სამაგიეროდ კობწია და კრიალა ზანდაროვზე ყველას თვალი რჩებოდა.

ფულს კი ერთნაირად იგებდა ძველი ვაჭარიც და ახალი ფაბრიკანტიც.

ზანდაროვს, სწორედ ამის გამო, ისევ ეკვის ჭია გაუჩნდა.

ომი დაუსრულებლივ ვერ გაგრძელდებოდა. ჭარისკაცები ყოველთვის ვერ იმუშავებდნენ მის ფაბრიკაში. დადინჯებული და დადარბაისლებული ზანდაროვი გულს იმით იშოშმინებდა, რომ თუ ბატონყმობა არ გადაეარდებოდა, მაშინ ისევ სოფდაგრობას მოჰკიდებდა ხელს.

ერთხელ ჩადენილი სისულელის მეორედ გამეორებას არ აპირებდა.

ვაჭარიკაშიც და ქარვასლებშიც ფხიზლად ექირა თვალყური. ვაჭრის დაგეშილი გუმანით იმის გამოკრევეას ცდილობდა, თუ საით ან რის და ვის სასარგებლოდ ქროდნენ ქარები. აფრის ვაშლასაც ამ მიმართულებით ფიქრობდა.

რუსეთის ჭარები მარცხდებოდნენ და ბატონყმობის გაუქმების ხმებიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ზანდაროვს მხნეობა ემატებოდა.

ეკვი თავს არ ანებებდა, მაგრამ თანდათან თავს აჯერებდა, რთმ: სულსა და აც ათ წელიწადში შავი ზღვა კასპიის ზღვას რკინიგზით დაუკავშირდებოდა.

თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ მას ველარაფერს დააკლებდნენ ძველი ჩარჩები და სოფდაგრობი.

თვით მუდამ დაღვრემილი ვახტანგ ტაშირელი ისეთნაირად იყო გახალისებული, რომ ისიც რაღაცას მოელოდა, ბატონყმობის მოსალოდნელი გადაეარდნის მტკიცედ სწამდა და სჯეროდა.

— ამ ომმა ბევრს აუხილა თვალი, — გაცხარებით უმტკიცებდა ვახტანგ ტაშირელი ზანდაროვს, — ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება. ამას ზემოურებიც მიხედნენ და მაგრადაც ჩაფიქრდნენ. აი, ნახათ, ბატონო გრიგოლ! სულ მალე ბატონყმობა გაუქმდება. ქალაქი სოფლებით გაიყვება. ამქრის ხელოსნების ადგილს ფაბრიკის მუშები დაიჭერენ. ცხოვრება წინ წავა. მუშათა ასოციაციები ჩვენშიაც დაარსდება.

საერთოდ ფრთხილი ზანდაროვი ბატონყმობის გაუქმების გამო კრინტს არა სძრავდა. ტაშირელს ნიახით უგდებდა ყურს და გუნებაში ეთანხმებოდა. თუმცა მისი ნალაპარაკებიდან ბევრი რამ არ ესმოდა.

— მაგრამ ჩვენში სხვანაირადაც შეიძლება დატრიალდეს საქმე, — თქვა ტაშირელმა შინაურების წრეში, — ცხოვრებას, ადვილად შესაძლებელია, აქ გლეხი გაუძღვეს და არა მუშა. მაშინ გწამდეთ და გჯეროდეთ, ის ტანჯვა აგვეცდება, რაც განათლებულმა ევროპამ გამოსცადა.

ამნაირი ქარაგმების გრიგოლს არაფერი გაეგებოდა. გატაცებით მოლაპარაკე ვახტანგს მეგობრულად უყურებდა, მაგრამ ბაგეზე ძველებურად დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

ერთხელ ქარვასლაში ვიკრიკოვმა ზანდაროვს გაულრიქა და უთხრა:

— ომმა, გრიგოლჯან, ბევრი მოგაგე-

ბინა, ომი რომ დამთავრდება, რა უნდა ვქნათ?

— უნდა ვივაქროთ. — დინჯად უპასუხა ზანდაროვმა.

— ჰო. აი ეგ მომწონს. ფაბრიკა-მაბრიკა რა ვაქრის საქმეა?!

ზანდაროვმა სერიოზული სახით განუშარტა.

— კარგი ვაქრისათვის სულერთია, ომია თუ მშვიდობა. კარგ ვაქარს ვაქრის ქული თავიდან არასდროს არ გადმოუვარდება.

— ჩემმა მზემ, კარვად არის ნათქოში, გრიგოლჯანი! — შესძახა აღტაცებულმა ვიკრიკოვმა. — ეგ სიტყვა ცხონებული ფარუზასგან გექნება ნასწავლი. ეგეთები იმან იცოდა.

გრიგოლმა გაიცინა.

— არა. ეგ ერთი ვეზირის ცოლის ნათქვამია.

— ჰო? მამ ეგ „შვიდვეზირიანში“ წერია?

გრიგოლს ღიმი მოადგა ბაგეზე. შესაძლებელ მეტოქეს გზებს უზნევდა და ამით ერთობოდა. მაგრამ ვაქრის ქულის სხენებამ მაიკო გაახსენა. წარბი უკმაყოფილოდ შეკრა. კურტანიძეების გახსენება გუნებას უფუჭებდა. არა მარტო ბართლომეს, არამედ იმის ცოლსაც ველარ იტანდა და ახლოს აღარ ეკარებოდა.

ვერ იტანდა იმის გამო, რომ ის მისი ვაქირების დროს ქმრის მხარეზე აღმოჩნდა და არა ძველი საყვარლის გვერდით.

5. ძველი ღოსტები

რა მოვივით და რა წაგავით?
ქალაქური სჯა-ხაასი

მაიკოს კი მის გზაზე ისევ რჩებოდა თვალი.

ძველებურად ენატრებოდა.

რაც სიძულვილს ვერ ეპატიებინა, მის სიყვარული აკეთებდა.

ქმრის გამტყუნება არ შეეძლო, მაგრამ საყვარლის გამართლებასაც ცდილობდა.

ამგვარი ფიქრებით გართულ მაიკოს

წინანდელზე უფრო მეტად ახარებდა თეთრი ღიზას სტუმრობა. იმისი სუნი ეცხო, იმისი ხედიც აღიარებდა.

თეთრ ღიზას ნაცნობებში წინანდებურად უყვარდა ტუნტული. თავისი დოსტი მაიკო აუცილებლად უნდა ენახა და აღჯანაბადით გავსებული ბაღდადი მის მაგიდაზე გადაეშალა. სოვდაგრის გულხალისიან ქერივს კუქნაობაც ტუნტულივით უყვარდა. აღჯანაბადს ანადგურებდა და დაუსრულებლად ყბედობდა.

მაიკოს ახლაც პირზე კლიტე ედო და ისე უგდებდა ყურს თავის ძველ დოსტს. გაფაციკებით ისმენდა ყველაფერს, რასაც თეთრი ღიზა გრიგოლზე და იმის ცოლზე ლაპარაკობდა.

თვითონ არასოდეს არაფერს ეკითხებოდა. ათასში ერთხელ მიკობულ-მოკიბულს რაღაცას იტყოდა, ან მოახლეს დაუტატანებდა და ისევ გაჩუმდებოდა ხოლმე.

მხოლოდ ერთხელ ამოიოხრა და წამოსცდა:

— რა დრო დადგა, ღიზაჯან, კაცი კაცს აღარ ენდობა და ქალი ქალს. ვინც გიყვარს, სწორედ ის გიყლავს გულს.

— მამ! მამ!

დაეთანხმა თეთრი ღიზა და ყურები ცქვიტა. აღსარების მოსასმენად მოემზადა, მაგრამ მაიკომ სულ სხვა მიმართულება მისცა საუბარს.

— ფულმა გაგვაფუჭა, ღიზაჯან, ფულმა გაგვაოხრა. — თქვა და ისევ წყალი ჩაიგუბა პირში.

იმედგაცრუებულმა თეთრმა ღიზამ ხელი ისევ აღჯანაბადისაკენ წაიღო. პირი ისევ აცმაცუნა. მაიკო, აშკარად ჩანდა, არც გრიგოლის დასახელებას აზიარებდა, არც თეთრ ღიზასთან ჩივილს და ცრემლების დაღვრას. მისი ნათქვამი სიტყვის უბრალო მასალად მიიღო, რასაც დედაკაცები დღეში ათასჯერ ამბობენ; აღჯანაბადი გაცენიტა, თავი გადაიქნ-გადმოიქნია და კუყუდამჭდარი დედაკაცის იერით წარმოთქვა:

— ეგ ვერა, მაიკოჯან, ფულმა ბევრი ვინმე გამოცვალა, მაგრამ ჩვენ ვერაფერი დაგვკალო, ვერ გამოგვცვალა. მაიკომ შეუმჩინებლად ჩაიღიმა.

— მაშ! — განაგრძო თეთრმა ლიზამ, — მდიდრის დედა ვარ, მაგრამ გრიგოლის მშემ, ჯერ ლარიბისთვის ცხვირი არ ამიწევი. ეგენი, მაიკოჯან, ზარამაცები რომ არ იყვნენ, არც ლარიბები იქნებოდნენ. ფირუზა სულ ამას ამბობდა და მართალიც იყო, ის სულით განათლებული.

ფირუზას ხსენებაზე დედაბრულად ჩაბლეტელი თვალდან თავისი დაღალივით ყალბი ცრემლი ქრელი ხელსახოცით შეიწმინდა და ისევ აღჯანაბადისაყენ წაუვიდა ხელი. ლაპარაკის საღერლელი აეშალა და აღარ გაჩერდა.

— ცხოვრების აზრი ის არის, მაიკოჯან, რომ ხალხში ხელგაშვერილი არ იდგე, ზემოდან სხვები არ დაგცქეროდნენ, — ამტყიცებდა ფირუზას ქვრივი, — თორემ წუთისოფელი რა არის? ფუჭია და წარმავალი!

მაიკო სიცილს ვერ იმაგრებდა ხოლმე, როცა თეთრი ლიზა „იმ სულითგანათლებულ“ ფირუზასავით ლაპარაკობდა, იმისავით შლიდა ხელებს, იმისავით ახამხამებდა თვალებს და როგორც ეს ქვეიან, დარბაისელ დედაკაცს შეეფერებოდა, დინჯად და აუჩქარებლად ლაპარაკობდა.

მაიკო ოდნავ გაშხიარულდა, უფრო ახლოს მიიჩნდა თეთრ ლიზასთან.

— ლიზაჯან, მღვდელივით რათა ლაპარაკობ?

თეთრ ლიზას პირი აღჯანაბადით ჰქონდა გავსებული. ერთხანს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მერე, ძლივს გასაგონი, გაგუღული ხმით ჩაეკითხა თავის დოსტს:

— სიკვდილზე არასოდეს არ გიფიქრია, მაიკო?

— იპ, ნეტავი შენა, ლიზაჯანი — სიცილი აუტყვდა მაიკოს, — მაგისთვის სადა მცალოდა, კაცების ლოგინში ვგორაობდი.

თეთრმა ლიზამ არ გაიციხა. სერიოზული სახით სერიოზულად დასძინა.

— ყველანი მიქელ-გაბრიელის დავთარში ვწერივართ. სიკვდილს სად გეცქევით? არ გაგიგონია, მაიკო, ისიც მოკვდა, ვინც ერდოსა ხნადაო.

უცებ ხმა გაუწყდა ყელში, შიშითა და ძრწოლით წარმოთქვა:

— სიკვდილი არც ლარიბს ერიდება, არც მდიდარს.

მაიკო მხოლოდ ახლა დააცქერდა ყურადღებით თეთრ ლიზას. შავ სახეზე რაღაცნაირი სიყვითლე შეჰპარვოდა, ღილებივით დაწვრილებული თვალები მუშებივით უბრწყინავდა, ცხვირის ნესტოები გათხლებოდა, ხოლო გაცრეცილ ტუჩებზე სიციცხლის ნიშანწყალი წაშლოდა.

— „თეთრი ლიზა აეთ არის!“

გაიფიქრა მაიკომ და რატომღაც თვითონაც შეეშინდა.

პარი ოცდამეთერთმეტი

I. ომი და აღამიანები

განა ქალაქი თბილისი თავისის გარდარეულის ყველურითა, თეატრებითა, ვივიე კარტინებითა, თავის სირბილით თავგადაღლევით, თავის ვოზიტებითა, მოაქლის ვისმე?

გრიგოლ ორბელიანი

ომის მიუხედავად აღამიანები გართობას არ იშლიდნენ. თეატრები გაქედნილი იყო. მდიდრები მეჭლისებს მართა-

ვდნენ, ლარიბები თავიანთი სახლის ბანებზე ტაშ-ფანდურს. ნადიმს ნადიმი მისდევდა, ქეიფს ქეიფი. ფიცხად იმართებოდა მუშტი-კრივი. არაჩვეულებრივი მხიარულებით და ღრიანცელით ყენობა და ბერიკაობა. გამურული, პირ-გათხუპნული და ნიღბებიანი ქარგლები და შეგიოდები შესანიშნავად მსახიობობდნენ. მათი ყურებით მაყურებლები

სიცილით იფხრიწებოდნენ, რადგან განმაცვიფრებელი პრანქვა-გრეხით ამასხარავებდნენ ყვენსა და მის ნაზირ-ვე-ზირებს, თავაშვებული ხტუნაობით არდგენდნენ დათეებს, მელიებს, მგლებს, ტურებს, მაჩვენებსა და კურდღლებს. ხევსურულ ერბოსავით მსუყე და თუშური ყველის გუდასავით გატიკნული ყველიერი ქაღების ცხოხასა, სეირნობასა და სიცილ-ხარხარში გადიოდა. დიდმარხვამდე ყველა გარეთ იყო გამოფენილი და, ვისაც გული ერჩოდა, შინ ველარ ჩერდებოდა. ზარბაზნების გრაილისა და ხოცვა-ვლეტის ეამს ადამიანები თავაწყვეტილ გართობაში პოულობდნენ თავდავიწყებას, რათა სიყვდილის შიში დაეთრგუნათ და სიცოცხლეს დაუოკებელი წყურვილით დასწაფებოდნენ.

ზანდაროვი ძველებურად აღარ ეტანებოდა გართობა-სანახაობას, მაგრამ თავის გამოჩენის და ხალხში ტრიალის ფასი ახლაც კარგად ახსოვდა. თუ სადმე მეფისნაცვალი გამოჩნდებოდა, თვითონაც იქ იყო დარკობილი. ერთხანს შემოფანტული „ნაცნობ-მეგობრები“ ისევ შემოეხვივნენ გარს. აღამეშნონ კენტერაძე კვლავ ლაქუციით ეგებებოდა და ფეხებში უფარდებოდა. ზანდაროვი ისევ აძლევდა მას „სამშანეთიანს“ (კენტერაძე მეფისნაცვლის და ეგზარხისის მსტოვრად ითვლებოდა და მის გაღიზიანებას ისიც ერიდებოდა), მაგრამ თუ სადმე მოიხელთებდა, მასხარასავით ათამაშებდა.

გამოვლილმა ქირმა მას გულიც გაუქვა და გრძნობაც. აღარავინ ებრალებოდა და ვისი მორცევეც შეეძლო, დაუნდობლად ანადგურებდა.

შხილებული და პანღურამოკრული არშაქ ვართანიჩი ფეხზე ველარ დადგა. ვილაკამ ჯერ ბახაზის მალახია გადაუწვა, შემდეგ ბაყლის დუქანი, ბოლოს სავაჭრო ფარდული და ხარახურის საწვრილმანო. თავგზადაკარგულმა ხილის ორი გოდორი ვირს აპკიდა, ხელის სასწორი მხარზე გაიღო, წინგაგდებულ ვირს უჯან აედევნა და ქალაქის ქუჩებ-

ში ხეტიალს შეუდგა. მუშტრებს ყვირილით ყველა სართულიდან და აივნიდან ეპატიებოდა. ზაფხულობილ და შემოდგომაზე ხილით ვაჭრობდა, ზამთრობით ხრამჭლით და ფიჩხულით.

გრიგოლ ზანდაროვი მხოლოდ ბართლომე კურტანიძეს ვერ უბედავდა რასმეს. ღონიერი იყო, ძლიერი, გაუტეხელი. თან უკვე ისეთი შიში ჰქონდა გამოვლილი, რომ რისკსაც მოერიდა და გამარჯვების ცდუნებასაც.

ბართლომემაც ხელი აიღო მასთან ომზე. ზედმეტ დავიდარებას მოერიდა. მათს მტრობასა და სიძულვილს ახლა მხოლოდ მაიკო უხდიდა ხარკს. შინგამოკეტილი გარეთ ფეხს აღარ დგამდა, აღარც ძველ საყვარელს ეკარებოდა, აღარც ახალ ვინმეს ეტორღიანებოდა.

გრიგოლ ზანდაროვი მთელი დღე ფეხსაცმელების ფაბრიკაში იჭდა, საღამოობით შინ თეთრ ღიზასთან ლაპარაკით ერთობოდა.

ხანდისხან მამრამეების სახლში შეივლიდა და ვახტანგ ტაშირელს მასლაათს გაუბამდა ხოლმე. ლაპარაკს ბატონყმობის გადავარდნის გამო იწყებდნენ და ამითვე ამთავრებდნენ, რადგან გრიგოლ ზანდაროვს ყველაზე მეტად ეს აინტერესებდა.

ნდობით აღარავის აღარ ენდობოდა.

ოდესღაც ხელგაშლილს სიძუნწე დასჩემდა.

მომჭირნეობით ფიჭუშა ზანდაროვს დაემსგავსა, სიტყვაძვირობით ბართლომე კურტანიძეს.

მალე ქარვასლებში მისი ასავალ-დასავალი ისევე დაკარგეს, როგორც კურტანიძის ასავალ-დასავალი ჰქონდათ დაკარგული.

თეთრი ღიზა თვალებს არ უჯერებდა. გაკვირვებული შლიდა ხელებს.

— ქა, გრიგოლქან, მურაზი რამ გავიცოვა? ეგრე რამ გამოგცვალა?

— ფიჭუშას ვემსგავსები, ღიზაქან! — იცინოდა გრიგოლი.

— უიმე, უწინ დღეც გამჭრობია! —

შიშით პირველად იწერდა თეთრი ღიზი. თან რძალს წყევლიდა.

— ქა, რასაც ვფიქრობდი, სწორედ ის არ მოხდა! შენმა პატიოსანმა ცოლმა სახლში საკმევლის სუნით გაგვაბრუნა, თავზე ბერები და მონაზვნები დაგვაბრუნა, გულიც გაგვიწყალა და ჭიგარიც გაგვირეცხა!

— არა, ღიზაჯან, ეგ არაფერ შუაშეა. — იცინოდა გრიგოლი.

— ქა, როგორ თუ არაფერ შუაშეა? კაცს ცოლი ჰყავდეს და არსად არ დაჰყვებოდეს? ეკლესიის და საყდრის მეტი სხვა არაფერი აგონდებოდეს?

ქალბატონი ზანდაროვი ყოველ ცისმარე დღეს ეკლესიაში იმყოფებოდა, ხატების წინ პირქვე დამხოზილი.

ყველა ეკლესიაში, ყველა მონასტერში, ყველა სამლოცველოში, ყველა ნიშთან გზა-ჩვარედინებზე საღეთოს აკვლევინებდა. ღმერთს ძმის ომიდან მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა და თავაუღებლავ ლოცულობდა.

ქმარი სულ აღარ აგონდებოდა. არც ქმარს აგონდებოდა ცოლი.

ზოგჯერ თავისდაუნებურად წვეულებებსა და ბულვარებზე თვალებით მაიკო კურტანიძეს დაეძებდა, მაგრამ ის აღარსად ჩანდა.

ერთხელ როგორღაც თეთრ ღიზას ჰკითხა:

— მაიკო რატომ აღარსად გამოჩნდა, ღიზაჯან?

თეთრმა ღიზამ ეშმაკური ღიმილი დაშკნარ ტუჩებს შორის ჩაქცია. გრიგოლს ყურში ჩასხურჩულა.

— ჰოო, — გაიცინა გრიგოლმა. — მაშ ახალი კურტანიძე გემატება.

— აი, ნახე, გრიგოლჯან, — თითქმის ნიშნისპირაგვით წასჩურჩულა თეთრმა ღიზამ, — თუ ჩვენი მაიკო ახლაც ბიჭს არ გამოაგორებს!

გრიგოლმა წარბები უკმაყოფილოდ შეჰყარა.

ბართლომე კურტანიძის ვაჟიანობა ისეთნაირად სწყინდა, რომ ბოლო ხანებში ჩაფიქრებული დადიოდა.

2. სიკვდილიანი ზამთარი და მკვლევარი არ იცის

სიკვდილი ყველა გზაზე დიდძალი მკვლევარის საიდანღ შემოიპარება.

აღმოსავლური ნაკვები

ერთ საღამოს ზანდაროვს დაბნეილი თეთრი ღიზა დაახვედრეს. მოახლენი სველ ტილოებს ადებდნენ თავზე.

— რა დაგემართა, ღიზაჯან? — შემფოთებით იკითხა გრიგოლმა.

— არაფერი, გრიგოლჯან, მალე გამივლის, დარდი ნუ გაქვს.

ზანდაროვმა ბიჭი ექიმთან აფრინა.

თეთრი ღიზა არაფერს არ იტყვივებდა, მაგრამ გული უფრიალებდა, წარამარა წყალს სევამდა და წყურვილს ვერ იკლავდა. პირი უშრებოდა და სული ეხუთებოდა. გაბეზრებული ან წყალს ეწაფებოდა, ან, პირგაშშრალს, ყინულის ნაკერი ეღო პირში. განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა ცუდად, როცა აღჯანაბადს, ნუგზარს და ტკბილეულს გაუმადლრად ეტანებოდა. ექიმის რჩევით გრიგოლმა ის ტკბილეულთან ახლოს აღარ გააკარა და მკვავე შავ პურზე დასვა.

თეთრი ღიზა გაკაპასდა. გაანჩხლდა.

— გრიგოლჯან, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, აღჯანაბადი მომიტანე.

გრიგოლმა მეზღლის ყური გაიხადა. თეთრი ღიზას ხეწწნა-მუდარას არავეითარ ანგარიშს არ უწევდა.

ქირვეულმა ავადმყოფმა ანაზღად ხმა გაკმინდა. გაყურდა და გაიღურსა.

ერთი გროშის ფასად მოახლეებს მისთვის ჩუმად მოჰქონდათ აღჯანაბადი.

რამდენიმე დღის შემდეგ ფრონტიდან დავით გერმანოზიშვილის დაღუპვის ამბავი მოვიდა. ზანდაროვის სახლში გლოვის ზარი გამეფდა. მანანა თმებს იგლეჯდა და ლაწეებს იხოვდა. ხალხის საჩვენებლად თეთრი ღიზაც გულსაკლავად იმდულრებოდა. გრიგოლმა ცოლისძმა თბილისში ჩამოასვენებინა, ღირსეულად გააპატიოსნა და ღირსეულად დამარხა.

დავით გერმანოზიშვილის გასვენება-

ზე არც ბართლომე გამოჩენილა, არც მაიკო.

ზანდაროვები შეიძლება სასაფლაოზე წასასვლელად ემზადებოდნენ, როცა გულგახეთქილი მოახლენი გრიგოლის ოთახში შევარდნენ. თეთრი ღიზა აღჯანაბადით ხელში წაიქცა და ველარ აღგა.

გრიგოლმა თავისი საყვარელი თეთრი ღიზას გაპატრონებას არაფერი დააქლო, მისთვის დიდიხნის უცხო ცრემლიც ჩუმად შეიშრალა, მაიკომ კი თავისი ძველი დოსტი მღვლარე ცრემლებით დაიტრია.

ქალბატონ ზანდაროვს შავეების ჩაცმა არ დასჭირდა, ისედაც შავეები ეცვა.

ზანდაროვები და მათი სტუმრები თეთრი ღიზას ორმოცზე ისხდნენ, როცა სიონის დიდმა ზარმა დაიგუგუნა და მთელ ქალაქში ზარების რეკვა ატყდა. ყველანი ფეხზე წამოცვივდნენ. ქუჩებში ახალი ამბავი უკვე იცოდნენ. პეტერბურგიდან ხელმწიფის საკვდილის ამბავს მოელწია, ყველანი ხელმწიფის სიკვდილზე ლაპარაკობდნენ.

— ქა, — წამოიძახა მაიკო კურტანიძემ, — რა სუ ნაცნობები კვდებიან!

ორმოცის სტუმრებმა გაკვირვებით გადახედეს ბართლომე კურტანიძის ცოლს.

ზანდაროვს რაღაც გაახსენდა და ყუარადლებით დააცქერდა მაიკოს.

ფერწასულმა ვიკრიკოვმა ჭერ აქეთ-იქით ფრთხილად მიიხეღ-მოიხეღა, მერე გრიგოლს ყურში ჩასჩურჩულა:

— გრიგოლჯან, ბართლომე კურტანიძის ცოლი ხომ არ გაგიყდა?

გრიგოლმა დააშოშმინა.

— არ გახსოვს, ქარვასლაში ერთად არა ვნახეთ ხელმწიფე? იმ დროს მაიკოც იქ იყო.

— პოო.

თქვა ვიკრიკოვმა და რადგან გაცინება არ შეიძლებოდა, საქმელს ხარბად დაუწყო თვალიერება. ცივად მოხარშული დედალი ხელში აიღო და ორად გაგლიჯა.

ა. პარაპლინი

ჩვენა ვერანობთ, მტკიცეუ კენჭგეშობთ, რომ ღმერთმან ესრეთ ინება. *სიხლური თქმა*
გორგი ერისთავი

ხელმწიფის სიკვდილმა მთელი ქალაქი ააფორიაქა. ზემოურებმა შავეები ჩაიციეს და მგლოვიარებად დასხდნენ. ქვემოურებს ისედაც ბევრი საფიქრებელი და სადარდებელი ჰქონდათ, ხელმწიფისათვის არა სცალოდათ. მხოლოდ ღრმადმორწმუნე დედაკაცები დარბოდნენ ეკლესიებში, მუხლის ჩოქვით უკლიდნენ ზატებს და გარდაცვლილ ხელმწიფეს ღმერთს ავედრებდნენ.

ეკლესიებში პანაშვიდებს იხდიდნენ.

ვინც არ იჩოქებდა, იმათ პოლიცია თვალების ბრიალით აჩოქებდა.

მეჩეთებშიც და სინაგოგებშიც ხალხი პირქვე იყო დამხობილი.

მართლმადიდებლები მართლმადიდებლურად გლოვობდნენ, კათოლიკენი კათოლიკურად, პროტესტანტები პროტესტანტულად, სომხები სომხურად, მაჰმადიანები მაჰმადიანურად, ებრაელები ებრაულად.

მღვლელები, პატრები, პასტორები, ტერტერები, მოლები და რაბინები ოფლში იწურებოდნენ და ღაღადინით აღნიშნავდნენ გულმწუხარე მრევლის ქვეშევრდომულ გლოვასა და ვებას.

მაგრამ გულწრფელად მხოლოდ ზემოურები ღვრიდნენ ცრემლს.

ზემოურებშიც ბევრს სევასტოპოლის დაცემა უფრო აფიქრებდა, ვიდრე ხელმწიფის სიკვდილი.

ქალაქში ათასნაირი ხმა დატრიალდა. ჩურჩული და მითქმა-მოთქმა გახშირდა, რადგან ხმამაღლა ლაპარაკს ვერაინ ბედავდა.

გლოვის ძაძვით შემოსილ ქალაქში შიშმა დაისადგურა.

ხალხი დუმდა.

სამაგიეროდ ეკლესიების ზარები რეკდენ დაუსრულებლად, განუწყვეტლოვ სრულდებოდა ღვთისმსახურების წესებში.

ნიკოლოზ I-ის დაკრძალვის დღეს

საშხედროს ტაძარი მღვდელმთავრებით, მღვდლებით, დიდკაცებით და დიდვაჭრებით გაივსო. ნემსი არსად ჩაეარდებოდა.

ცხელოდა. ტაძარში აფარებულ კელაბრები და სანთლები ბრღვევიალებდა. ძვირფასად შემოსილი მღვდელმთავრები და მღვდლები ხან აღისფრად ნათლებოდნენ, ხან წითლად, ხან იისფრად, ხანაც ცისფრად და ლილისფრად. გარდაცვილ ხელმწიფეს თვითონ ეგზარხოსი უგებდა ანდერძს. მის ორსავე მხარეს გამწკრივებული იდგნენ ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, არქიელები და დეკანოზები ანაფორებით, სტიქარებით, ბისონებით, გინგლებით, ენჭერებით, ფილონებით, ომფორებით და ოლარებით.

უზარმაზარ, თვითმპყრობელობისა და მართლმადიდებლობის უძლეველობის სიმბოლოდ ნაკებ ტაძარში ტევა აღარ იყო. ბევრს პირველის გადაწერა უჭირდა. სოვდაგარის ცოლებში ჩაქედილი მაიკო კურტანიძე ჯერ მღვდელმთავრების ყურებით გაერთო, ერთი ორჯერ ცრემლიც გადმოაგდო, მაგრამ მერე ისეთნაირად დაცხა, რომ კინალამ გული შეუღონდა. ძუძუებში რძე მოადგა. პირი გაუშრა. შუბლზე ოფლის კოკრები დაასხდა. სახე ბროწეულივით აუჭრელდა და გაუწითლდა. თვალები მიეხნიდა. გულისპირი დაუსველდა. პირი უნებურად დააღო, რათა ჰაერი შეესრუტა. უცებ ისეთნაირად მოდუნდა, რომ გულისწასვლის შიშმა შეიპყრო. წაქცევით ვერ წაიქცეოდა, რადგან სოვდაგარის ცოლების იდაყვებს შორის იყო ჩაქედილი. თავი როგორღაც შეიმავრა და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა უკანა რიგები შეთხელდა.

ხანგრძლივი და გამძული ღვთისმსახურება როგორც იქნა დაბრუნდა.

თბილისის გარშემო, მთებზე, ზარბაზნებმა დაიგრიალეს.

ეგზარხოსმა ახალი ხელმწიფის შრა. ვალეამიერი აღაველინა.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ზემოურები თავიანთ ეტლებში ჩასხდნენ.

ქვაფენილზე, პოლიცეფლები ცოცხალი ღობის იქით მომდგარი ქვემოურები აბლომახლო ქუჩებში, ქუჩაბანდებსა და შუკებში მიიფანტ-მოიფანტნენ.

დიდვაჭრები კი თავიანთი ცოლებით იმ ქარვასლისაკენ გაემართნენ, სადაც 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I ისინი ზემით და შილინგებით მიჰგებებოდნენ.

მაიკო კურტანიძე ჯერ კუკიაზე გავარდა, აღმართი და თავისი სახლის კიბე სირბილით აირბინა, ანაპოდისტეს ძუძუ მოაწოვა, მერე სახლიდან ფაცაფუციით გამოვარდა და შუაბაზრისაკენ აქლოში-ნებული გაიქცა.

4. ძველ ქარვასლაში

იღვერაქლეს ახალი იმპერატორი ფაშლი-თურთ.

გაზეთის ფურცლებიდან

დიდ დარბაზში ქელების სუფრა იყო გამილილი.

სუფრას სოვდაგრები და მათი ქალაბობა შემოუსხდნენ.

ტოლუმბაშად თამამშვევი დააყენეს. ძველი ხელმწიფის შესანდობარს ახალი ხელმწიფის სადღეგრძელო მოჰყვა. შესანდობარის დროს სოვდაგრები ფეხზე იდგნენ და თავიანთ ბაღდადებში ტიროდნენ, სადღეგრძელოს დროს კი ისევ ზეზე წამოცვიდნენ, გახარებულუბმა „ურა“ ისე დასძახეს, როგორც ეს სოვდაგრებსა და ვაჭრებს ეხებრებოდნათ.

მერე იხუცლეს და გულუხვი სუფრის ნაირ-ნაირ საქმელებს მიესივნენ, სხვადასხვანაირი ფერის ღვინოებს მიეძალდნენ.

თავეები მსუნაგად დაბარეს.

თანდათან სახეები დაუწითლდათ.

ალაპარაკდნენ.

აყაყანდნენ.

ხელების ქნევა და ყურთმაჯების ფრი-ალი დაიწყეს.

აქა-იქ სიცელიც გაისმა.



ვილაცამ გადაიხარხარა, მაგრამ არავის გაკვირვებია.

დასაძრახი არ იყო. ძველ წესად და ალათად ითვლებოდა. იმ დროიდან მომდინარეობდა, როცა ქრისტეს ჯვარზე გაკვრის შემდეგ გომბეშო ღვთისმშობლის წინ სასაცილოდ გადაგორდ-გადმოგორდა და მგლოვიარე მარიაში გააციონა.

სოვდაგრები არც იდაყვებს აწერებდნენ, არც ყბებს.

ბართლომე კურტანიძე ცოტას ჰქამდა. კოვზით რაღაც გადაიღო, რაღაც შეხვრიბა, რაღაც დაღეჟა, ღვინის ყლუბი გადაყლაბა და ჰქამა დაამთავრა. თავის საქმით გაერთო. გრძელ კრიალოსანს ძაფს უსწორებდა და უმაგრებდა.

ლამაზი ცოლის გვერდით გაუძმრევლად იჯდა. სერთუქზე ხელმწიფის სამი მედალი უბრწყინავდა, მაგრამ თავს არ იწონებდა. ყურადღებად გადაქცეული და დამუნჯებული თავის სკამზე უფრო იღო, ვიდრე იჯდა.

მაიკო კურტანიძეს ჰქამის თავი არა ჰქონდა. პირს არაფერს აკარებდა. ანთებული თვალებით გრიგოლ ზანდაროვისკენ იყურებოდა.

ზანდაროვი ვიკრიკოვის ცოლსა და ასულს შორის ნებიერობდა (მისი მგლოვიარე ცოლი შინ იჯდა, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, სოვდაგრის ცოლებს შორის მაინც არ გამოჩნდებოდა). ტანდაბალი ვიკრიკოვი ახოვანი ზანდაროვის გვერდით ძლივს ჩანდა, ხოლო მის ჩასუქებულ-ჩამარგვალებულ ცოლს გვერდს ერთი ბრგე და ახალგაზრდა ვაჰარი უმშვევებდა. ვიკრიკოვის ცოლი ზანდაროვს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ახალგაზრდა ვაჰარს ელაციებოდა. უკვე საკმაოდ შეზარბოშებულ ღოდნოშოსფერ თვალებს ურცხვად აეუფუნებდა. მისი ასული გალურსული იჯდა, მაგრამ პირისახეზე წარამარა ვარდისფერი ეფინებოდა. რაც უფრო წითლდებოდა სოვდაგრის ასული, მით უფრო ეღებოდა ბრინჯაოს ფერი მაიკო კურტანიძის თაფლასფერ თვალებს.

სოვდაგრები თვრებოდნენ.

ილეშებოდნენ.

მთვრალების ღრიანცქლი-ქარგასლის დიდი დარბაზის თაღებს აზანზარებდა. ყურთასმენა აღარ იყო.

მხოლოდ ბართლომე კურტანიძე იყურებოდა ფხიზლად და ეშმაკურად იღიმებოდა.

მისი ცოლი ისევე იქით იყურებოდა. ექვიანობა გულს უღრღნიდა და მოსვენებას უკარგავდა.

მთვრალი სოვდაგრები გვიან დაიშალნენ.

მაიკო დაფაცურდა, რათა გრიგოლი არსად გასხტომოდა.

გვიანდა იყო.

ვერც ჰქამი დაითრია დროზე, ვერც სოვდაგრების სქელი ცოლების ჯგრა გააპო, თუმცა, ერთბაშად აჩილად გადაქცეული იდაყვებსაც ჩქარ-ჩქარა ამოძრავებდა და რაღაცნაირად აფორიქებული დედაყავებს მვერდით ეჯახებოდა.

— ჰა, ესეც ვიკრიკოვის ცოლივით დამთვრალა.

თავს აქნევდნენ სოვდაგრის ჯალაბები.

ქარვასლის განიერ კიბეებზე გრიგოლი ვიკრიკოვის ასულს ციმციმით მოასვენებდა.

ახალგაზრდა ვაჰარი ვიკრიკოვის ცოლს უფრო მოაგორებდა, ვიდრე მოაბრძანებდა.

თვითონ ვიკრიკოვი მათ უკან ბარბაციით მოსდევდა.

მაიკომ გრიგოლისკენ გაიწია, მაგრამ ის სოვდაგრების და მათი ჯალაბის თავების მორეეშა დაიკარგა და გაუჩინარდა.

6. თაფლისფერთვალება ანაკოდიხტა

ყოველი გაზაფხულის სიტყფენი მისპო ზამთრის ზელმან და დაასო მას ზედ ბეჭედი სოცლილისა.

გრიგოლ ირბელაინი, „ზამთრის ქარი გრია, ლება“

შინ გულჯავრიანი და დაღლილი დაბრუნდა.

მინც თავისებურად დატრიალდა. ტანსაცმელი გამოიცვალა. ხელები დაიკაპიწა.

ჯერ ანაჰოდისტეს აკვანზე არტანები აუყარა და ძუძუ მოაწოვა, მერე ქმრის ოთახში გობი და ცივი წყლით გავსებულ სალთი შეიტანა. ფეხები გობში ჩააყოფინა. მუხლის თავებზე და წვივებზე საჰონი წაუსვა. ტოლჩით წყალს უსხამდა და ისე ბანდა, როგორც ეკლესიებში მღვდლებს აღდგომის დიდხუთშაბათს მღვდელმთავარი გაშიშვლებულ ფეხებსა ჰბანს. უცებ თავი ჩაპკიდა, უშნოდ ჩამოკურდა ქმრის მუხლებზე, გობს თეძოთი დაეჭაბა, ნახევრად ააყირავა და იატაკზე დაქცეულ საპნიან წყალში გაიშლართა.

ბართლომე მძიმედ დაიხარა მისკენ დააქკერდა. მის წინ მკვდარი ცოლი ეგდო. მიიხედ-მოიხედა. მაგიდაზე გადაფენილ სერთუქსა და ბაღდადს მიაცქერდა. ზღაპრით წამოდგა. მაგიდასთან მივიდა. ბაღდადი ყოყმანით აიღო ხელში. ისევე მიიხედ-მოიხედა. თვალეზით ძველ-ძველებს დაუწყო ძებნა. მერე ბაღდადი მკლავზე გაჭიშა, მიცვალებულთან დაიჩოქა, ორი თითით თვალეზი დაუხუჭა და ყბა ბაღდადით აუხეია.

უფროს ბიჭს ჩურჩულით გადასცა ოჯახში დატრიალებული უბედურება.

რაკი მეწისქვილის ნაბიჭვარმა მამას მწუხარება არ შეატყო, არცე თვითონ შეიხება და დედის სიკვდილზე იმეორებს სამაგიეროდ ზანდაროვის ნაბიჭვრები აღრიალდნენ. გულსაკლავად ბლაოდნენ, პირისახეს ითქვიფადნენ და თავს კედელს ურტყამდნენ.

კურტანიძეების ერთადერთი მოახლე მათი ცოდვით დაიწვა და თვითონაც ახლუქუნდა.

ბართლომემ შეულრინა და მეზობლების დასაძახებლად გარეთ გააგდო. ოსი ძიძა კი მიცვალებულთან დატოვა, რათა კატა ან კარებიდან არ შემოპარულიყო, ან გაღებულნი ფანჯრიდან არ გადმომძვრალიყო და მიცვალებულს არ გაჰკარებოდა.

მეწისქვილის ნაბიჭვარს თვალი უყო. სარდაფში ჩავიდნენ.

ბართლომემ ოთხი ფიცარი გადმოიღო. თვალით გაზომა, ოთხ ადგილას გადახერხა და კუბოს ფიცრების გარანდვას შეუდგა.

პერანგის ამარა, ყველას მიერ მიტოვებული ანაჰოდისტე აკვნიდან გადმოჩოჩდა, იატაკზე დაჯდა, ჯერ ატრიადა, გაიჭაჭა. ჩაბჯირდა კედელს; მერე როცა არაეინ მიხედა, თავისთვის ღულუნი გააბა, თან იღიმებოდა, ტიტველ მუცელზე ფუნჩულა თათებს იტყაპუნებდა და თაფლისფერ თვალებს მზიარულად აფახულებდა.

პარი ოცდამეთორმეტი

1. სალღაზონი

ცეკვის ოსტატი რამ გათქმეინათ!

ა. გრიბოედოვი, „უაი უკუხაგან“

ნატიფი ვორონცოვის მაგიერ მეფისნაცვლად დაყენებული ტლანქი და უხეში მურავიოვი თავისი წინამორბედის ინგლისურ პოლიტიკაზე ზიზღით ლაპარაკობდა.

არც მის ინგლისურად დაგეშილ ჯამუშებს აფასებდა დიდად.

გაუთლელმა სალღაფონმა არც კაცა-

სიის სამხედრო შტაბის ის ოფიცრები დაინდო, რომელნიც კონტრდაზვერვაში მუშაობდნენ.

სულ ცოფებსა ჰყრიდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მათ იმის გამო, რომ ისინი რაიმონ დე-კინტელში მხოლოდ ცეკვის მასწავლებელს ხედავდნენ, ნამდვილად კი ცრუ ქალაბიჭი არტილერიის ოფიცერი აღმოჩნდა.

მურავიოვი დვარძლიანად იხერხებოდა და სალონების ტყვარქია ქალივით ენას იჩლეჭდა, რათა რაიმონ დე-კინტო

ეხსენებინა და ერთხელ კიდევ გაეკრა კლანჭი როგორც ვორონცოვისთვის, ისე ელიზავეტა ქსავერიევნასა და, განსაკუთრებით, შუაზელ დე-გუფისთვის.

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ეჭვს ქვეშ დააყენეს ყველა ცეკვის მასწავლებელი, ვინც კი სოლოლაკელი მდიდრების ასულებს პა-დესპანს ასწავლიდა.

მურავიოვმა თბილისში პოლიციელები და სალდათები გაამრავლა.

სალდათი სალდათურად იქცეოდა. ყაზარმებსა და სატუსალოებს უფრო-ხილდებოდა, კლუბებსა და თეატრებს ემტერებოდა.

უყურადღებობისა და ხელმოკლეობის გამო დაიხურა ქართული დასი, სულს დაფავდა რუსული დრამატული თეატრი. ქართველმა არისტროკრატებმა გული უკრწალ „ცისკარზეც“ აიყარა, მხოლოდ ოპერაში ერთობოდა და იწონებდა თავს. თავადანაზნურთა საკრებულო ბანქოს მოთამაშეებით იყო გაჰედლილი, სალონები პრეფერანსის მოთამაშეებით. პოლიტიკასა და კულტურაზე აღარავინ ლაპარაკობდა. ზემოურები დროის შესაფერისად იქცეოდნენ. თუ გუშინ ვორონცოვის შუხს ლოცულობდნენ, დღეს მურავიოვს ფეხქვეშ ეგებოდნენ. ასევე იქცეოდნენ დიდვაჭრები, რომელთაც პოლიტიკური სიტუაციის არაჩვეულებრივი აღდგომა ჰქონდათ და ახალ ქარზე იალქნების გაშლის განმაცვიფრებელი უნარიც.

ომის დამთავრების შემდეგ ფეხსაცმელების ფაბრიკა ზანდაროვს დიდ შოგებას აღრ ამღევდა ქალაქელების უმრავლესობა თათრულ ჩუხტებში დადიოდა, ბატონყმობის უღელში შებმულ გლეხებს კი ქალამნები ეცვათ. ზემოურები პარიზულ ფეხსაცმელს ეტანებოდნენ, ხოლო უკვე საგრძნობლად გამრავლებული მოხელენი და მათი ცოლ-შვილი ზანდაროვის ფაბრიკის ფეხსაცმელს ჭერ მხოლოდ გემოს უსინჯავდნენ.

მოგებას ისევ ვაჭრული შუამავლობა სატრანზიტო ვაჭრობა იძლეოდა.

სომეხ სოცდაგრებში ყველაზე წინ ვიკრიკოვი მიიწევდა, სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა, ქარვასლებს ხელსა სდებდა და ვაჭრებს შორის პირველ კაცად ხდებოდა.

თუ ზანდაროვმა ფეხსაცმელების ფაბრიკა გახსნა, ვიკრიკოვმა თამბაქოს ფაბრიკა წამოკიმა.

თამბაქოს ბევრი აბოლებდა: თავადიც, აზნაურიც, ბობოლაიც, წვრილფეხა მოხელეც, გლეხიც და ხელოსანიც.

ვიკრიკოვის გამპრიახი ქუთა ზანდაროვმა ერთხელ კიდევ შეაფასა და თან შურით და ბრაზით გამწვანდა.

შურმა და ბრაზმა ისევ სოცდაგრად აქცია, კვლავ ქარვასლებში დაატრიალა. გაფაციცებით დაიწყო გარშემო ყურება. საეაქრო დეპოს, ქარვასლებს, დუქნებს, ბაზრებს, მალაზიებს სულ გარშემო უტრიალებდა. ყურადღებდა გადაქცეული ყველაფერს გულდამსით უკვირდებოდა, ზომავდა და წონინდა. რათა შემოსავალი არ დამრეტოდა, სანდო კაცი რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქალაქებში აფრინა, თან ავალვბდა ყველაფერი ეყიდა, ფუფუნების ყველანაირი საგანი შეეძინა — ნელსაცხებლებიდან დაწყებული ფორტეპიანომდე.

ფეხსაცმელების ფაბრიკას წინდახედულად ბოქლომი დაადო, რადგან ბატონყმობის გაუქმებაზე, მართალია, ახლა უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ. ვიდრე წინათ, მაგრამ მის გადავიარდნას ჭერ ბოლო მაინც არ უჩანდა.

გუშინდელი ფაბრიკანტი ახლა ქორვაჭარივით გამოიყურებოდა.

ქველ ნაცნობებს იმისდა მიხედვით უკრავდა თავს, თუ ვის როგორი მდგომარეობა შეენარჩუნებინა, უფრო მეტად კი ახალსა და გავლენიან ნაცნობებს იჩენდა და მათ მოსახიბლავად ფულს დასახარჯად არ ზოგავდა.

უნაგარიზოდ აღარაფერს აკეთებდა.

ხალხის ალაპარაკების აზრი და მნიშვნელობა კვლავ გაიხსენა.

ხალხის ასალაპარაკებლად ფირუზას

და თეთრი ღიზას საფლავზე მდიდრული მატური ამართა. სიმდიდრით ყველგან განთქმულ ბართლომე კურტანიძის ცოლის საფლავს უბრალო, ქმრის ხელით უხეშად გათლილი ლოდი ედო. მალე ეს ლოდიც მაღალი ბალახით დაიფარა, რადგან მისკენ მიმავალი გზა სამუდამოდ დაივიწყა კურტანიძეების ოჯახმაც და გრიგოლ ზანდაროვმაც.

ზანდაროვს გული რაღაცნაირად გაუქვავდა, უგრძობელი გახდა, ცივი, გულგრილი. თუმცა გარეგნულად ხალისიანი და მხიარული ვაებატონის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ალბათ იმიტომ, რომ სალმიან ღიმილს პირიდან არასდროს არ იშორებდა.

მასლათს ზემოურებსაც უბამდა და ქვემოურებსაც.

არც ფერშანგოვებს და მამრამეებს ივიწყებდა.

ახლა იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ ვინ როდის სად გამოადგებოდა.

ვახტანგ და ქრისტინე ტაშირელებს ეკვიანობა მიულოცა.

ალამენონ კენტერაძის უმუშევრად დარჩენილი სიძე თავის კანტორაში გადამწერად დააყენა. როინ ცალქალამანიძეს კალიგრაფის ხელი ჰქონდა და კარგი ორგანიზატორის ნიჭითაც გამოირჩეოდა. თვითონ კენტერაძე კი ზანდაროვმა ტაკიმასხარასავით აიყოლია. ყველგან თან დაათრევდა და ყველგან ამასხარაებდა.

ზეფისნაცვალს და ეგზარხოსს სახელგატეხილი მსტოვარი არ სჭირდებოდათ. ამიტომ თავადი კენტერაძე ახლა „სამანათიანის“ მაგიერ „ერთმანათიანს“ თხოულობდა. თან ყველას ერთსადამიშვეს ეუბნებოდა:

— სოფელში ბიძა მიყვდება, ბატონო. მემკვიდრეობას ვლებულობ. ერთმანათიანს ათეცად მოგართმევთ.

ზანდაროვი ულვაშებში იღიმებოდა. სხვების გასაცინებლად „ქორების ბოლინას“ ეკითხებოდა:

— მართალს ამბობს ფაცუნე, მაკატა?

— მაგისმა მზეში!

ისეთნაირად შლიდა ხელებს მაკატა კენტერაძე, რომ გარშემო მყოფნი ყველა ილით იხოცებოდნენ. *სინჯილითქა*

მხოლოდ როინ ცალქალამანიძე კმუნხიდა შუბლს სიმამრის მასხარაობისა და სიდედრის ოინბაზობის გამო. თქმით არასდროს არაფერს არ ამბობდა. გაჩუმებული მუშაობდა. დილიდან საღამომდე ზანდაროვის დავთრებს და ნუსხებს უჯდა. საღამოობით ცოლთან ერთად „ცისკრის“ კორექტურას ასწორებდა ან საქველმოქმედო საღამოს ესწრებოდა. კომედიებს აღარ წერდა, მაგრამ ქმარ-შვილზე გადაგებულ ანას, რომელსაც პირზე ღიმილს აღარავინ ამჩნევდა, ღრმა რწმენით უმტკიცებდა, რომ ის სულ მალე კვლავ გაბრწყინდებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

2. პელაგია კურტანიძე

ქალი საჩუქრითან, კიდობანთან და აკვანთან უნდა იქდეს.

ვაკრული მუნასიბი

ზანდაროვს ვიკრიკოვის გამდიდრება ისე არა შურდა, როგორც ბართლომე-კურტანიძის წარმატება.

ბართლომეც ვიკრიკოვივით მდიდრდებოდა.

ახლა მეტოქეობას ქალაქში ეს ორი ვაკარი უწევდა ერთმანეთს.

ბართლომე კურტანიძის დავთრების და ნუსხების ასავალ-დასავალი არც ახლა იცოდა ვინმემ, ისევე ჩუმად, თავისთვის საქმობდა და ხვეტდა ფულს. კვლავინდებურად ჩუმად მიდი-მოდიოდა, მაგრამ არასდროს არაფერი არ გამოეპარებოდა ხოლმე. ყველაფერი იცოდა, სად რა ხდებოდა, საწყობში ვის რა საქონელი ეწყო, ან რას რა ბაჟი ედო და რომელი საქონლის მაზანდა მიიწევდა მაღლა თუ დაბლა. საამისოდ მრავლად ჰყავდა დამქაშები და მსტოვრები ქარვასლებსა და ბაზრებში, მსახურებად და ნოქრებად კი მხოლოდ იმერლები დაყენებული.

მისი საქონლის ქარავნები ერთმა-

ნეთზე იყო გაბმული რედუტ-კალესა და ნიენი-ნოვგოროდის გზებზე.

თვითონაც თავაუღებლივ მუშაობდა, დროს უქმად არ აცდენდა.

უკვე კარგად დაბერებული მხნედ გამოიყურებოდა, მუხასავით მაგარი და ჭანგაუტეხელი იყო.

რაკი მასაც და მის ოჯახსაც მომვლელი სჭირდებოდა, ცოლი შეირთო და ამის გამო მეორედ მოხვდა ეკლესიაში.

მისი ახალი ცოლი ორმოც წელს გადაცილებული დედგვაცი იყო, ნაყვავილარი, ცხვირნისკარტა, მრუდეფეხებიანი, მაგრამ ძვალმსხვილი, ღონიერი და დაუზარელი.

დიდხანს შინაბერად ნამყოფი საკუთარ ოჯახს ზედ დაქანკალუბდა.

გარჯის მეტი სხვა არაფერი იცოდა.

მუხლს არც ზაფხულში ასვენებდა, არც ზამთარში.

ყოველ ცისმარე დღეს ხელსაფქვეას ატრიალებდა ან ავანდასტაში ნიორს ნაყავდა, რადგან კურტანიძეების ოჯახში ახლაც ხალიფაფას, სისირს, ცერკეს, ნივრიან დანდურს, მუხუდოს, მდულარეში მოხარშულ სიმინდს, ჰინ-ქარსა და ფხალს უსხდნენ, უფრო ხშირად კი ხელში პურის ნაჭრები და ხახვის თავები ეჭირათ და მადიანად ილუკმებოდნენ.

მარტო ზამთარში, ქრისტეშობიდან დიდმარხვამდე, გამოუღვევლად ჰქონდათ დამაშხული ხორციეული და ღორის ქონი.

უნათესავო და უთვისტომო პელაგია ბედს არ ემდუროდა.

პურის კიღობნისა და საკუჭნაოს გასალეებები მას ებარა, თავისებურად ქალბატონობდა, გერებთან დედინაცვლობდა, უცხვირპირო და ავადმშირალი გულცივად ეპყრობოდა მათ. ქმრის რიდი სახეზე ეწერა, მაგრამ დღენიდაც ცხვირჩამოშვებული და პირუთქმელი დაიარებოდა.

მხოლოდ უშნოდ აწოწილ და კომპიეთით ვაყვითლებულ, მაგრამ დიდკაცურად მოპრანჭულ უფროს გერს ეგებოდა ფეხქვეშ. ის უკვე ცალკე 4. „მნათობი“, № 10.

ცხოვრობდა, შეძლებული რაჭველი მეიჯარადრის ერთადერთ ქალზე იყო დაქორწინებული და მდიდრული მშობლივით განებივრებული ზედსიმე ცხვირანწეული დაბრძანდებოდა.

პერანგშემოხეული სალთი გერები კი, მისი ქმრის სახლში ფეხმოუცვლელად რომ ცხოვრობდნენ და მუქთად პურსა სკამდნენ, ათვალწუნებული ჰყავდა, უბღვერდა და უსაქმოდ არ აჩერებდა მათ.

ისინიც ურჩობდნენ და იღრინებოდნენ.

გარჯა არ უყვარდათ და რას არ იგონებდნენ, რომ უსაქმოდ ეღინცილათ და უთავბოლოდ ეტორღილათ.

კალმითდაბატული ბიჭები მეზობლების გოგოებთან დაძვრებოდნენ და შინ შესვლას აგვიანებდნენ.

მათ არც ბართლომეს მათარახის ეშინოდათ, არც დედინაცვლის ჩქმეტადატატანების.

პელაგია მხოლოდ უმრწემესი გერის დაჩაგვრას ახერხებდა.

პაწაწინა ანაბოდისტე დედინაცვალს სულ თვალეზში შესცივინებდა.

ეზო-კარმიდამოში და კიბე-აივანზე გაოფლიანებული დაცუნცულუბდა.

წყალს ლიტრით მას აზიღინებდნენ და ვინმეს დასაძახებლად წარამარა ხან ქვევით გზავნიდნენ, ხან ზევით.

უკანალიც უჩანდა, კონკებიც ეკიდა, იღლებოდა კიდეც, მაგრამ სულ პირგალიმებული დარბოდა. ისეთი საყვარელი, გულმისასვლელი ბიჭი იყო, რომ ბევრი მეზობელი, განსაკუთრებით კი ის, ვისაც მაიკო კურტანიძე ჭერ ისევ ახსოვდა, ხელში იტაცებდა, ყელზე ეხვეოდა და თაფლისფერ თვალებს დიდხანს დიდხანს უკოცნიდა.

ბართლომე სხვა მხრივაც იყო კმაყოფილი.

მისი ახალი ცოლი მაიკოსავით არც ძვირფას ტანსაცმელს თხოულობდა, არც ფერუმაირილს და არც ვარდისწყალს.

ცოლ-ქმარი ერთ ტახტზე იწვა, მაგ-

რამ შრომით ქანცაწყვეტილებს მკვდარივით ეძინათ.

ზანდაროვმა იცოდა, რომ ბართლომე კურტიანიძეს ვერსაიდან ვერ მიუღებოდა, ამიტომ ისევ ვიკრიკოვის ვაჭრობის დაზვერვა გადაწყვიტა და იმის სახლის კარს მიადგა.

8. სათენიკა

ახ, რა პასაჟი!
 8. გოგოლი „რევიზორი“.

შინ არც ვიკრიკოვი დახვდა, არც მისი ცოლი.

კარი ვიკრიკოვის ასულმა გაუღო. გასათხოვარმა სათენიკმა.

სოვდაგრის ქალმა ლამაზ ზანდაროვს შინაურულად შესცინა და ყველაზე განმარტოებულ ოთახში შეიპატრია.

ოსმალურ ტახტზე ჩამოსხდნენ და ერთმანეთს გაუღიმეს.

ახლომახლო არაფერს ჩანდა.

არც ფეხის ხმა ისმოდა, არც ლაპარაკი.

მოახლენი და მსახურები სადღაც გაკრეფილიყვნენ.

— მარტო ხარ, სათენიკ? — ყასი-დად ჰკითხა ზანდაროვმა.

— მარტო ვარ, ბატონო გრიგოლ.

— მამაშენის ნახვა მინდოდა, სათენიკ. ვნანობ, რომ შინ არ დამხვდა.

— დესანანებელი რა არის? დედაც და მამაც ნათესავეებში წავიდნენ, გვიან დაბრუნდებიან.

ზანდაროვმა კარგად მიიხედ-მოიხედა გარშემო.

სათენიკმა გაუცინა:

— თუ მე არ დავუძახე, აქ არაფერს მოვა.

ზანდაროვი ჯერ ცნობისმოყვარეობით დააქცერდა ჩასუქებულ გოგოს, მერე ნიკაზე ორი თითი მოუცაცუნა. სათენიკმა არ იუცხოვა, არც შეკრთა, არც დაიბნა, თვითონაც შესცინა და გეთამაშა, თავის ხალეზიანი ლოყა უფრო ახლოს მიუშვირა, გრძელი მარგალიტის საყურე გამომწვევად შეათა-

მაშა, დიდრონი ტუჩები ენებიანად გახლიჩა.

ზანდაროვმა ხელი მოხვედა და ხალეზიანი ლოყა დაუცოცა.

სათენიკმა სწრაფად გაიძრო ფოსტლები, ტახტზე მოიკეცა და ჯერ ისევ დინჯად მაკქერალ, მომღიშარე ზანდაროვს მიეკრო და მის ბაგეს მსუნაგად დაეწაფა, მერე თავის ცხელი, დიდრონი ტუჩები მის მარჯვენა ყურისაკენ გააპარა, დაუცოცნა არც გაუშვა არც მისი ლამაზი თვალ-წამწამი, არც ნათელი შუბლი, არც მაგარი ქოჩორი, არც ღონიერი კისერი, მოეხვია და მიეტმასნა.

ზანდაროვს ბაგეზე ღიმილი გაუქრა, მაგრამ მყისვე მოავიწყდა, რომ მდიდარი სოვდაგრის დედისერთა ასული ქალწული და გასათხოვარი იყო, უსიამოვნო შედეგს, ხალხის დაღდაღანს და სოვდაგრულ შარს მოერიდა, თავს ლაგამი ამოსდო და მხოლოდ უბრალო ლაციკით დაკმაყოფილდა.

სოვდაგრის ასული კი სულ უფრო და უფრო ხელდებოდა, საყელო გადაიღელა, მუხლის თავები გაიშვილა და ტახტის ბალიშებზე და მუთაქებზე დაეშვა.

ზანდაროვმა ხელი შეამველა, ისევ თავისაკენ მიიზიდა, თავი დააბრევირა, კულულები გადაუწია და მის კისერს საკოცნელად დაეკონა.

ოდნავ გაკვირვებული სათენიკა გაინაბა, გრიგოლი მის კისერს ტუჩს აღარ ამორებდა, ნელ-ნელა ელამუნებოდა გატრუნულ ქალს, რომელიც უკვე უკმაყოფილოდ იშმუშნებოდა.

ასეთ ყოფაში დაადგა მათ თავზე ვიკრიკოვის ცოლი.

— ჯა, ეს რა არის? — შესძახა ოჯახის დიასახლისმა ისეთნაირად, რომ მის ხმაში გაჭაერების ნატამალიც არ გაისმა, — ორთაქალა სოვდაგრის სახლში გადმოიტანეთ?

თავზარდაცემულ ზანდაროვს მკლავი სოვდაგრის ასულის მხრებზე შერჩა.

— ეხლავე აქედან დაიკარგე, შე

დღე-მამის შემარცხვენლო, შენა! — გაუწყრა ქალს ვიკრიკოვის ცოლი.

სათენიკა ზოზინით წამოდგა. ფოსტლები ფეხით მოძებნა, კაბის ჩამოვარდნილი უბე დაუდევრად გაისწორა, მხრები ოდნავ აიჩეჩა და ოთახიდან არხეინად გავიდა.

4. მივცინას მამუნი უნდა

ვაკრის ცოლი — ვაკარია.

გამბრელ ხუნდუკიანი. „დაქცეული ოჯახი“.

ვიკრიკოვის ცოლი ტახტზე ზანდაროვის გვერდით ჩამოჯდა.

— რა იყო, გრიგოლ, რაზე გარჯილხარ?

გაკვირვებულმა ზანდაროვმა ხმა ვერ ამოიღო, ენა უარესად დაება.

არც უწყრებოდნენ, არც უჭაერდებოდნენ, საყვედურსაც კი არ ეუბნებოდნენ. პირიქით, მისი ყოფილი საყვარლის ხმაში რაღაცნაირი სილბო და თანაგრძნობის კილო გაისმა.

დუმილი ისევ ვიკრიკოვის ცოლმა დაარღვია, არაფრის მთქმელი საყვედურით წარმოთქვა:

— შე კაი კაცო, პატარა ხომ არა ხარ, ან მოახლეს უნდა მოერიდო ან მსახურს!

ზანდაროვმა თავის გამართლება ვერ მოახერხა.

განუშვებული იქდა.

ისევ ვიკრიკოვის ცოლმა დაიწყო ლაპარაკი.

— ჩემი ლოთბაზარა ქმარი გამოთვრა და ნათესავეებში დარჩა, მე იქ გული აღარ დამიდგა და აღრე წამოვედი. სწორედ რომ დროზე მოგისწარით. ძალიან ხომ არ აპყევით ერთმანეთს, გრიგოლ?

გრიგოლმა ყველაფერი დაიფიცა, რომ ასეთი რამ მას აზრადაც და ფიქრადაც არ მოსვლია. მხოლოდ...

— კარგი, კარგი, — სიცილით შეაწყვეტინა ვიკრიკოვის ცოლმა, — ამდენს რათ ფიცულობ? მჭერა, განა არა მჭერა! კეკიანი კაცი ხარ, შარს ადვილად არ გადაეკიდები.

დაფიქრდა და განაგრძო.

— თუმცა, თავისუფალი კაცი რომ იყო, სიძედ ვინ დაგიწუნებდა? ვანი გავარდეს, ქვრივი მაინც იყო.

— ეგ ღმერთზეა დამოკიდებული! — დაუფიქრებლად ჩაილაპარაკა გრიგოლმა. — თუ დავეჭვრივდი, სათენიკს ხელიდან არ გაუშვებ.

— ენახოთ, ენახოთ! — სერიოზულად უპასუხა ვიკრიკოვის ცოლმა. — აპრილი და აპრიზანი!

ზანდაროვი უცებ გონზე მოვიდა, მყისვე მიხვდა, რომ უნებურად რაღაც სისულელე წამოროშა და ამ სულელურად ნათქვამის გამოსწორება მოინდომა.

— სათენიკას ხანი ემატება, შინ გიბერდებათ, რატომ არ თხოვდება ან არ ათხოვებთ?

ვიკრიკოვის ცოლმა გულგრილად წარმოთქვა:

— ეგ არაფერი, მდიდარი სოვდაგრის ქალია, ბედი არ შეეგვრება. მაშ! ესეც იცოდე, გახვეტილი მძივი ძირს არ დაეცემა.

ზანდაროვმა წარბი ასწია. ქარავმულად ნათქვამის აზრი მისთვის მყისვე გასაგები გახდა.

— უარს ვინ ეტყვის! — განაგრძობდა ვიკრიკოვის ცოლი, — ჯერ რათ უნდა გათხოვება? ისიამოვნოს და გაიხაროს! მოსახდენი რომ მოგებდინა, ეგეც არაფერი, სათვალავს სათვალავი მიემატებოდა. აი ნახავ, თუ ჩემმა ქალმა საყვედური არ მითხრას, რომ შინ უდროს დროს დაებრუნდი. მაშ! მაშ! მთელმა დუნია რომ გაიგოს მაგის ამბავი, უარს მაინც არავინ ეტყვის, მდიდარი სოვდაგრის ქალს ვინ დაიწუნებს? ჩემი ქმარი ფულს წვიმაწყალივით ეზიდება, მაგის დუქნებს, მალაზიებს, სახლებს თუ სიმდიდრეს ვინ მოსოვლის? მაგრამ კაცმა რომ თქვას, სიძედ მაინც შენისთანა კაცი მერჩივნა.

ზანდაროვს ქება ესიამოვნა, მაგრამ ნათქვამიდან შორს დაიჭირა თავი.

— ქვრივიც რომ ვიყო, მაინც სათე-

ნიკას ყადრი არა ვარ, ხნიერი კაცი ვარ.

— აბა, ეგ რა მიზეზია, გრიგოლ? ჩემი ქმარი ჩემზე ოცი წლით უფროსია. რა ვუყოთ მერე? განა კარგი ოჯახი არა გვაქვს? ეგ თუ არ გამომადლა, მე ხომ გამოვადექი სხვებს. ბეჭედს, თუ ძალიან არ დაგავიწყდი, შენც დამიკარავ!

ორივემ გულიანად გაიცინა.

— ჩემი ქმარი რით არის დასაწუნი? ქმარი საყვარელი ხომ არ არის? კაცი, გრიგოლჯან, სახლის სტუმარია. უნდა მოიტანოს და ოჯახი გაავსოს. ეგ არის და ეგ! სოვდაგარ ვიკრიკოვის ამბავი კი ქალაქში ყველამ კარგად იცის. საქოს თუ ვინმე წინ დაუდგება, ისევ იმერელი ბართლომე კურტანიძე.

ზანდაროვმა უკმაყოფილოდ შექმუნა შეუბლი.

— სომეხ ვაჭრებს მარტო იმერლებს უნდა გვეშინოდეს, — განაგრძო ქადაგად დაცემულმა ვიკრიკოვის ცოლმა, — ქართულ-კახელები გუთანს თავს არ გაანებებენ, ურმიდან არ ჩამოვლენ, დახლში არ ჩადგებიან. იმერლებმა კი, არ ვიცი, სად ისწავლეს ვაჭრობა. რაღა შორს წავიდეთ, ბართლომე კურტანიძის მაგალითი წინ არა გვაქვს?

— ეგ იგავები რათ მოიტანე, ხანუმ?

— იმიტომ, რომ სოვდაგარ ვიკრიკოვის სახლში შენ ტყუილუბრალოდ არ მოხვიდოდი. მე რომ აღარ გახსოვარ, დიდი ხანია ვიცი. ერთხელ გაგაჯავრე, მაგრამ დათხოვნით როდის დაგიტოვე? სოვდაგარის ცოლი ვარ, ქმრის ქონებას ვუფრთხილდები, შენ კი მაშინ ჩემი ქმრის ხარჯზე შენი საქმის გამოსწორება მოინდომე. განა ასე არ იყო, გრიგოლ? ვიცი, ეხლაც ეს გიღვეს გუნებაში, მაგრამ ეხლა ისევ ფეხზე დამდგარი კაცი ხარ, კოტრობა არ მოგვლის. მადლობა ღმერთს, რომ აჩქარებამ მალე ჰქუა გასწავლა. მართალია. შენი სიმდიდრით ვერც საქო ვიკრიკოვთან მოხვალ და ვერც ბართლომე კურტანიძესთან, მაგრამ მაინც მდიდარ კაცად ითვლები, არც ჰქუა გაქლია და

ამით დღეს თუ არა ხვალ მაინც დაეწევი. მეტი რა ვითხრა? რისთვისაც არ მოსულხარ, იმის პასუხი უნდა გეცხადებუხედრე.

ზანდაროვი უკმაყოფილოდ შეიმუშუნა. არ უყვარდა, როცა მას ბართლომე კურტანიძეზე დაბლა აყენებდნენ.

— ჩემგან რა გინდა, ხანუმ?

ვიკრიკოვის ცოლმა სერიოზული გამომეტყველებით დაუბრუნა.

— არ გავიგონია, ნათქვამია, მიმციას მამცია უნდაო?

— ვერ გავიგე?

— გაუგებბარი რა არის, გრიგოლ?

ერთი პირი უნდა გვექონდეს, სოვდაგარ ვიკრიკოვს მხარი უნდა აუბა, ბართლომე კურტანიძეს ერთად ძირი უნდა გამოუთხაროთ.

— ბართლომე კურტანიძის წაქცევა ადვილი არ არის.

— შენ რა გინდა? შენ ოლონდ საქოს მხარი მიეცი.

ზანდაროვმა ითაკილა.

— შეგირდობა ჩემი ხელობა არ არის.

— რა ეჭნა, შეგირდობას ვინა გთხოვს? შენ რისთვისაც აქ არა ხარ მოსული, იმაზე ხელი აიღე! არ გამოვა! ძალიანაც რომ მოინდომო სოვდაგარ ვიკრიკოვს ვერსაიდან ვერ მიუდგები. ისევ ისა სჯობს ჩვენ მოგვიდგე და ბართლომე კურტანიძე საიდანაც არ მოთრეულა, ისევ იქით წავაბრძანოთ! მაშ! მაშ! — ვიკრიკოვის ცოლმა გაიცინა და მზიარულად დაუმატა. — ამასობაში შეიძლება დაქვრივდე კიდევც, სათენიკას ცოტას კიდევ მოვაცდევინებ.

ტაში შემოჰყრა და თავის ქალს გასძახა.

— სათენიკე! გოგოს უთხარი ხილი, ყავა და ნუგბარი შემოგვიტანოს.

გრიგოლ ზანდაროვი შინ უგუნებოდ დაბრუნდა.

5. ზიზღო

ზიზღი განორების წადილს აჩქარებს.
ძველი ჩუელიდან

მისი სახლის დიდ ბაღში ფანჯატურის მრგვალ ქვის მაგიდასთან ქალბატონი ზანდაროვი თავის ასულებთან ერთად იჯდა და რაღაცას ქარგავდა. მხრებზე თხელი და მსუბუქი ბიალონი წამოესხა, რადგან, მზიანი დარის მიუხედავად, საკმაოდ გრილოდა. ბავშვები დედოფალებს ეთამაშებოდნენ და თავისთვის ტიტინებდნენ. ქალბატონი ხელსაქმით იყო გართული და ეზოს უკვე ნაქარგ ხაზებს გარდი-გარდმოდ რომ იშლებოდნენ და კუთხეებში ზვიარასავით იყვნენ ჩაწნული, გულმოდგინედ უკვირდებოდა. წითელი აგურის დანაყილ ხრეშზე ფეხის ხმა რომ მოესმა, თავი მალე აიღო, სახე გაუბრწყინდა, ზედ ბედნიერების ნათელი მოეფინა, ქმარს წერილი მწვანე ფოთლებიდან შემოსცინა და აღერსიანად შემოსძახა:

— სადილად რათ დააგვიანე, გრიგოლ? ყველას გული ლოდინით დაგველია და შიმშილი გადაგვივარდა.

გრიგოლმა ცოლს ხმა არ გასცა, დაფიქრებულმა განაგრძო გზა.

ოდნავ შეშფოთებული მანანა ფეხზე წამოდგა, ნაქსოვ-ნაქარგი, ყაისნალები და აბრეშუმის ძაფის გორგალი კალათიდან დაბლა დაუგორდა, ცალ მხარეზე ბიალონი უშნოდ დაეკიდა. ქმარს ჭერ გაკვირვებული უყურებდა, მერე უკან დაედევნა.

გრიგოლი სადარბაზო კარში გაუჩინარდა.

მანანას ფერმა გადაჰკრა.

ასე უკმეხად მისი ქმარი პირველად იქცეოდა.

ნაბიჯს აუჩქარა.

უკან მას მორიდებით ვაჰყვა ოთხი პატარა გოგონა, რომელთაც მამის ალერსი ენატრებოდათ და მის დანახვებზე რატომღაც შიშით კრთებოდნენ.

როცა გრიგოლ ზანდაროვმა მძიმე ნოხით დაგმანულ მარმარილოს განიერ კიბეზე ფეხი შედგა, ოქროსვარაყიან

სურათებს, ბრინჯაოს ქანდაკებებს და ქერამდე აზიდულ უშველვებელ სარკეებს თვალი შეავლო, გული რაღაცნაირად შეეკუმშა.

— „ვის დარჩება ეს სიმდიდრე?“ — ერთხელ კიდევ გაუელვა მას თავში.

უკან მოიხედა.

კიბეზე მისი ცოლი ჩქარი ნაბიჯით ამოდიადა, თითქმის მორბოდა.

დედას უკან ოთხი დამფრთხალი გოგონა მოსდევდა.

— „ამათ ქმრებს, ამათ ქმრებს“ — ჯიუტად გაიმეორა მან.

დაქვრივების აზრმა ელვასავით გაურბინა თავში და კიბეზე ამომავალ ქალს ზიზღით ვადმოხედა.

ცოლი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მას, შემკრთალი, აღელვებული და გაოცებული.

— „მამციას მამცია უნდა, — გაახსენდა შებლშექმუნულ სოვდაგარს ვიკრიკოვის ცოლის ნათქვამი, — ამ ქალს კი ჩემთვის არაფერი არ მოუცია, სულ არაფერი. არც ბედნიერება, არც სიხარული, არც სიყვარული, ამოდენა სიმდიდრის მემკვიდრე, სულ არაფერი“.

შებლის ნაოჭები ნელ-ნელა გახსნა, რათა აღელვებული ცოლისათვის ჩვეულებრივი, დიდხნის წინათ დაზებირებული ღიმილი შეეგებებინა.

— რა იყო, გრიგოლ, რა მოხდა? — ჩახლენილი ხმით მიაძახა ცოლმა.

— არაფერი, სულო, დაღლილი ვარ და ძილისათვის თავი მიკვდებამ.

ქალბატონმა ზანდაროვამ ერთბაშად გამოიღარა. დავით გერმანოზიშვილის „სულოს“ ბატონი ზანდაროვი ისეთი ალერსით წარმოთქვამდა ხოლმე, რომ მისი განებვიერებული ცოლი მასში იოტის ოდენა სიყალბესაც ვერ ამჩნევდა.

6. წვიმა

— არა, არა, რა ვქნა, არ მახსოვს იპოლიტო ნიევი, „ოთხმოცწლიანის აღხარება“

იმ დღეს ცოლ-ქმარი გაჩაღებულა ბუხრის წინ, დაბალ ფლორენციულ სკამებზე ისხდნენ.

მსახურს უნდოდა მაღალ ფანჯრებზე ფარდების ჩამოშვება, მაგრამ ბატონმა აუკრძალა და უბრძანა შანდალზე სანთლები აენთო და ბუხრის თავზე დაედგა.

გარეთ ბინდ-ბუნდი დგებოდა.

ოთახში თანდათან ბნელდებოდა.

— ნურც სააქაოსა და ნურც საიჭიოსო!

წამოიძახა მანანამ და მხიარულად მოღუღლულედ ბუხრისაკენ ხელები გაიშვირა. ხელის გულში დაამტქნარა, პირჯვარი სწრაფად გამოისახა, თავი ქმრის მარჯვენა მხარეზე მისდო, თვალები მილულა, ტანში კატასავით აიწურა და ლამაზად მოქარგულ ქოშებში წადგმული პაწია ფეხები მოვიზვიზე ბუხრის ცეცხლს მიუშვირა; ყავისფერ მარმარილოთი მოშანდაკებულ ინგლისურ ბუხარში თუჯის მაღალი შავი მაყალი იდგა, ცხოველებისა და ურჩხულების ქანდაკებებით შემკული. ხმელი რცხალა საამურად ტაკუნობდა და ცეცხლის წითელი ალი, თუჯის მაყალს ირგვლოვ რომ ეხვეოდნენ და ლოკავდნენ. მანანაზე დამამშვიდებლად მოქმედებდნენ და ოცნებას უღვიძებდნენ.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

დაღვრემილი ზანდაროვი წვიმის ხმაურს ყურს უგდებდა, შუბლშეკრული ხან ბუხრის ცეცხლს აცქერდებოდა, ხან ცოლის ლამაზ ქოშებს.

გარეთ წვიმა მატულობდა და ზანდაროვის შუბლზე გრძელი ნაოჭი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, დიდდებოდა და ფართოვდებოდა.

ბნელი ღამე დაბმული მხეცივით ბობოქრობდა, მყუდრო ოთახში კი მაგიდის ძველებური საათი ტიკტიკებდა და დროგამოშვებით წყნარად რეკდა.

მანანამ ტკბილად ჩასთვლია.

ანაზღად გრიგოლმა მარჯვენა მხარი დაბლა დასწია, თითქოს ცოლის თავმა დაუძახებო და ისე ღონივრად შეაქანა, რომ უცებ გამოფხიზლებულმა მანანამ განზე გაიწია და შემკრთალმა ჰკითხა:

— რა ვქნა, რა დაგემართა?

— არაფერი, — მშვიდად მიუგო გრიგოლმა, — ფიქრმა გამიტაცა.

— რაზე ფიქრობდი? — სწრაფად შეკითხა ცოლი.

— ძველ ამბებზე. ამაღამაც ისე წვიმს, როგორც იმ ღამეს წვიმდა, — გრიგოლს ხმა გაეძვარა, — სწორედ ისე, როგორც იმ ბნელ შემოდგომის ღამეს.

— რას ამბობ, რომელ ღამეს?

— ეს ოცდახუთი წლის წინათ მოხდა, შენ საიდან გეცოდინება?

— ოცდახუთი წლის წინათ, — ხანდაზმული დედაკაცის სინანულით წარმოთქვა მანანამ, — მე ყმაწვილი და ლამაზი ქალი ვიყავი.

ზანდაროვი ჯიქურად მოტრიალდა მისკენ.

ყოყმანი დასძლია და ცივად მიუგო:

— ვიცი.

— განა შენ მე მიცნობდი?

— ჰო. გიცნობდი.

ქმარმა ირიბული მზერით შეათვალიერა ცოლი და რატომღაც გაეცინა.

ეს მოულოდნელი სიცილი ცოლმა ალერსის გამოძახილად მიიღო. ცათაფრენა შეუდგა, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს უტყუდებოდა, რომ ქმარი თავდავიწყებით უყვარდა. გაელიციცა და თვითონაც გადაიკისკისა.

ერთხანს ერთმანეთს მხიარულად უყურებდნენ.

— სადა მნახე პირველად?

ჰკითხა ბოლოს ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ცოლმა.

— პირველად? ჰმ... პირველად?! ჰო, გამახსენდა. მამა-დავითის გაღავანში. მაშინ შენ კენჭი მიაკარი ტაძრის კედელს.

ცოლს თვალები გაუბრწყინდა.

— იმ დროს მე საბედლოს ძებნაში ვიყავი. რას არ იზამს ყმაწვილი ქალის ჰუეა? ცისმარე დღეს ქალაღლს ვაშლევინებდი გამდელსა და მარჩიელებს. მამა-დავითშიც ამიტომ ავდიოდი. — მანანა ჩაფიქრდა და ქმარი ყურადღებით შეათვალიერა. — იქ ძალიან ბევრი ლამაზი ყმაწვილი ენახე, მაგრამ შენისთანა არცერთი არ იყო. რა ვქნა, ვერ გი-



გონებ ან არ მაგონდები. — თქვა და ალტაცებით შესძახა. — შენ ძალიან ლამაზი კაცი ხარ, გრიგოლ!

გრიგოლმა ისევ გაიცინა. მანანამ კი კისკისით იკითხა:

— უკან ხომ არ დამედევნე?

— ამას ვერ გავებდავდი.

კბილებს შორის გამოსცრა გრიგოლმა.

მანანამ ქმარს კილოს გამოცვლავერ შეაჩინია და კისკისითვე განაგრძო:

— ოჰ! მორცხვობის გამო ხომ არა?!

ეგ არის, დაგიჯერე! განა ერთხელ, ყველიერში მთელი დღე არ დამედევდი?

— არა, ამას ვერ გავებდავდი!

— რატომ? აზნაურობა გიშლიდა ხელსა?

— არა. ეს არ იყო მიზეზი.

— მაშ გულგრილად გამანებე თავი?

— გაბუტვით ჰკითხა ცოლმა, — დავიჯერო, მეორედ აღარსად მნახე?

— როგორ არა. ცოტახნის შემდეგ ქუჩაში შეგხვდი.

— ქუჩაში?

— ჰო, ქუჩაში.

— ქუჩაში რა გინდოდა? რას აკეთებდი?

— კოკისპირულად წვიმდა. მე კი ქუჩაში თავლია ვიდექი და ვიწუწუბოდდი.

— მერე რა ძალა გადგა? რაზე იწუწუბოდდი?

გრიგოლი გაიუმდა. კვლავ ყოყმანი დაეტყო. ფანჯრისაკენ გაიხედა. მაღალი ფანჯრების მინებს წვიმის ჩქერები გაჩქარებით ესპობდნენ ზედ და შემზარავად აზრიალებდნენ.

— უჰ! რანაირად წვიმს! — წამოიძახა გრიგოლმა.

— რას ჩააცვიდი ამ წვიმას?

გაბრაზებით შეაწყვეტინა მას სიტყვა გაღიზიანებულმა ცოლმა და თან შიშით შეათვალა, რამდენიმე ქმარს ძველმა ზნემ ხომ არ მოუარაო. მაგრამ მაშინვე დამშვიდდა, რაკი მოაგონდა, რომ კნენინა გოსტაშაბიშვილი მკვდარი იყო და იმის თილისმა მის ქმარს წვიმიან ამინდში დარდს ვეღარ აუშლიდა.

7. გლახა

მე ისიც კი არ ვიცი, ნამდვილად მას ეკუთვნის თუ არა სახელი, რომელსაც იგი ატარებს.

ეროვ ზანდი, „ფეონე ლეონი“

გრიგოლ ზანდაროვს ამ დროს ფირუზას ფერხითთ გაგორებული ფერშანგოვი აგონდებოდა და ისეთი სახე გაუხდა, რომ მანანა კვლავ ყურადღებით დააქვერდა და მზრუნველი ცოლის კილოთი უთხრა:

— რა გეშარებდა? ეგრე რათ მიცქერი? მითხარი რა გაწუხებს, უფალო ჩემო? თავის ან მუცლის ტკივილი ხომ არ აგივარდა? თუ ავათა ხარ, მითხარი, მსახურს ექიმთან გავგზავნი. ოჰ, რომ იცოდე რანაირი სახე გაქვს და რა ფერი გადევს!

ზანდაროვმა ყურადღება არ მიაქცია ცოლის სიტყვებს, ზედაც არ შეხედა და დაბალი, ძალზე დაბალი, შემპარავის ხმით მარცვალ-მარცვალ წარმოთქვა:

— ეს წვიმა გონებას მირევს... მინდა ყური მოუყრუო იმის ხმაურს, მაგრამ მაინც მესმის... ვიცი, გაჩაღებული ბუხრის წინა ვზივარ, ცეცხლს ვუყურებ, მაგრამ წვიმა ზედ დამდის... მინდა დავემალო, მაგრამ ყველგან თან დამდევს... ოჰ, ნეტავი მსახურს რატო ნება არ მივეცი ფანჯრებზე ფარდები ჩამოეთარებინა... წვიმა ლამის სახლში შემოგვივარდეს... წვიმა არ მასვენებს, წვიმა მტანჯავს, წვიმა იმ წყეულ ლამეს მაგონებს, როცა იმ ქალმა... გუშინდელ დღესავით მახსოვს იმ ქალის სიცილ-კოსკისი, დამცინავი სიტყვები... აიუ! აიუ! მანანას თვალები დაუდიდრონდა.

— ვინ ქალი? რომელ ქალზე ლაპარაკობ?

— ის ქალი შენა გგავს! — მიახალა უცებ გრიგოლმა.

— მე?

— ჰო. შენ. შენა!

გრიგოლი სკამიდან წამოდგა და დალილივით კედელს მიეყუდა.

— ერთხელ, — განაგრძო მან გაბზა-

რული ხმით, — მას შემდეგ ოცდახუთი წელიწადი იქნება გასული, კოკისპირულად წვიმდა. ქუჩები ტალახითა და ლაფთით გაივსო. იმ ღამეს მე ერთმა ღამაზმა და ყმაწვილმა ქალმა დამიჭირა და თითქოს ცხენი ვყოფილიყავი, მხარზე შემაჭდა, რათა ფეხსაცმელები წვიმის წყალში არ დასველებოდა.

— შენ? მილიონერი?

მანანას სასაცილოდ არ ეყო ეს ამბავი.

— ვითომ მოწყალეებს თხოულობდი? ქუჩა-ქუჩა დაწინწალებდი და გამვლელ-გამომვლელს ხელს უშვერდი? უფალი ზანდაროვი მათხოვრის გულდით? ვის შეუძლია წარმოდგინოს? ან ეგ ხუმრობა რათ გჭირდება?

— დამიჯერე, გლახა ვიყავი. იმ დამეს მთაწმინდის უბანში მოვხვდი და წვიმას თავი ერთი სახლის აივანთან შევაფარე. იმ სახლიდან ვილაც კაცი გამოვიდა, ეტყობოდა მსახური იყო. მომიახლოვდა და მითხრა: „ჩემი ახალგაზრდა ქალბატონი როზენის სასახლეში არის დაპატივებული, შენ ის მხარზე უნდა შეისვა და ვინძლო ალაგზე ისე მიიყვანო, რომ იმის ფეხსაცმელს ერთი წინწკალიც არ დაეცესო“. ძალღივით მშოიდა და დაეთანხმდი. ის კეკლუცი ერთი აფიცრის დახმარებით შემაჭდა მხარზე, მაგრამ გზაში დაცინვით ამიჯლო და ისე მეპყრობოდა, როგორც პარუტყვს... აჩუ!

შესძახა გრიგოლმა და ცოლს გამოცდელად დააკერდა. რაკი საბედისწერო ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო, ახლა მას მხოლოდ ის აინტერესებდა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს მის ცოლზე. ამ ფიქრმა კვლავ თვალწინ დაუყენა ფირუზა ზანდაროვის ფერხხით გაგორებული ფერშანგოვი.

მისი ცოლი ჯერ ისევ ბედნიერი და უზრუნველი ქალბატონის იერით იჭდა, ქედმაღალი, ნალოლიაგები, ნაფერებნაბატიები და გაკამკამებული, თუმცა ბედნიერების ღრმა რწმენით შექცადკარულ მის აღნაგობას უკვე შეშფოთების ჩრდილი ეფინებოდა და მის ტვინ-

ში სულ უფრო და უფრო იცვლევდა გზას საშინელი წინათვრების ქვეშ ისევ შეუცნობელი აზრით.

წელან სახენათელი ახლა ისე იცვლებოდა, როგორც მზით განათებული ამინდი ავდრით იცვლება, როცა კაშკაშა სხივებს მრუმე და ბნელი ფერები ერევა და ეუფლება. სკამზე თანდათან შემდებოდა, უცნაურად წელგაღუნული და რალაც მიიმე ფიქრებით დადრეკილი. სახეც რალაცნაირად დაუგრძელდა, თვალები აულაბლავდა, შუბლზე ოფლის პირველი კოკრები დააჭდა და ყელზე წითელი ლაქები გადაეფინა. გაშეშებული იჭდა და ქმარს თვალმოუშორებლივ უყურებდა. ბურანში ჩაძირულივით ვერ ერკვეოდა, გონზე ვეღარ მოდიოდა და მხოლოდ წამწამების აჩქარებულ ხამხამზე ეტყობოდა, რომ მთელი მისი არსება შინაგანი მღელვარებით იყო აფორიაქებული.

გრიგოლი ისევე იყო ყურადღებად გადაქცეული, როგორც ფირუზა ზანდაროვი იმ დღეს ქარვასლაში, როცა ფერშანგოვს ელდას უშხადებდა და მხოლოდ მარჯვე მომენტს უცდიდა, რათა ეს ელდა მისთვის მოულოდნელად ისე მიეხალა, რომ მას წელი ვეღარ აეთრია. ამ მარჯვე მომენტზე იმ დროსაც და ახლაც ყველაფერი იყო შეგდებული. ოღნავი დაუდევრობა ან ვერაგობია გაუთვალისწინებელი შედეგი დაბლა ფერშანგოვს კი არ დაანარცხებდა, არამედ ფირუზა ზანდაროვს. საკმარისი იყო ფერშანგოვს ამ ელდისათვის გაეძლო და გადარჩენილიყო, რათა ზანდაროვებს ყველაფერი დაეკარგათ, თუ ისინი თავის გამართლებას ვერ მოახერხებდნენ. ფირუზა ზანდაროვმა კარგად იცოდა რასაც აკეთებდა, გრიგოლ ზანდაროვსაც ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული, მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი. მაგრამ თუ იქ ტყუილის მალემრწმენობის მოსაბაბებით შეიძლებოდა თავის რალაცნაირად დაძვრენა, აქ ყველაფერი უნდა გათავებულიყო. ცოლ-ქმრის ერთად ყოფნა აღარ შეიძლებოდა.

გრიგოლმა იცოდა, რომ გულამაყი და თავმოყვარე მანანას საიდუმლოს გამხელა გულს სასტიკად განეწონებოდა. მაგრამ გაუძლებდა თუ არა იგი ელდას?

გრიგოლი გამალებით მხოლოდ ამანზე ფიქრობდა და შებლს თითით ისრესდა.

მას იმის იმედიც ჰქონდა, რომ იმას, რასაც იგი ცოლს ეტყოდა, ის არავის გაუმხელდა, რადგან სირცხვილს დუმილს ამკობინებდა.

ეს იმ შემთხვევაში, თუ ელდა თავის საქმეს არ გააკეთებდა.

მაგრამ გრიგოლს ელდის ისე სჯეროდა, რომ ყოველგვარი ყოყმანი დასთმო და მტკიცედ გადაწყვიტა ახლავე ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დაემთავრებინა. დაკარგვით, ფიქრობდა იგი, უკვე აღარაფერი იყო დასაკარგი. ყველაფერი ისედაც დაკარგული იყო, რადგან მისი ქონების შემყვიდრედ ვაჟიმვილის მაგიერ ოთხი ასული იყო.

გამტკნარებულ მანანას წამდაუწყუჟ ფერ-ფერი მისდიოდა; ყვითლდებოდა და წითლდებოდა. მის მეხსიერებაში ერთბაშად აღსდგა ის წვიმიანი ღამე, როცა ბარონ როზენის სასახლეში მისმა ძმამ მართლაც გლახის მხარზე შესმული მიიყვანა. მაგრამ განა ეს იმდროინდელ თბილისში ყოვლად ჩვეულებრივი ამბავი არ იყო! სადღაც გონების სიღრმეში იმედის სხივმა გაუელვა, ოდნავ დამშვიდებულმა ქმარს ბაგეზე შეთამაშებული ღიმილით გადმოხედა და წყნარად უთხრა:

— რასაც კურტინიანი მუშები აკეთებდნენ, იმას მილიონერი არ იკადრებდა!

ქმარმა უღმობლად მიახალა:

— შეიძლება ქალაქში ერთმა გროშმა კაცი ისე გაამდიდროს, რომ მასში ნათრევე-ნატანჯი გლახა ველარ იცნონ

— რათ მუუბნები მაგას, გრიგოლ? ან რათ გჭირდება?

გრიგოლს კვლავ ფერშანგოვი მოეღანდა, უღმობელმა ცოლს ტყვიასავით დაუშინა:

— როცა რუსული ტრუბის თეატრში გაგეცანი და სიყვარული აგეხსენა, მე უკვე ვიცოდი, რომ ის ქალღმერთი ვი!

— აჰ! — ცივი ხმით შეჰკვილა მანანამ.

გრიგოლი დაიძაბა, ყურადღებად გადაიქცა.

უკანასკნელი ნახტომისათვის მოემზადა.

მანანას თავისი კვილის თვითონვე გაუყვირა, უნებურად ხელები ყელი-სკენ წაიღო, ეტყობოდა რაღაც ავი ახარჩობდა, სუნთქვას უკრავდა და გონებას უბნელებდა. ოდნავ გონზე მოსულს სახეზე სირცხვილის აღმურმა აპკრა, მერე ჯერ დაბნეული იყურებოდა. ბოლოს თითებით საფეთქლებს მოეჭიდა. თვალთ დაუბნელდა, უცნაურად შეირჩხა, შეტორტმანდა, მუხლმოკვეთილმა ჩაიკეცა და გულშეწუხებული ბუხართან გაიშხლართა. ცეცხლის აღმა წითლად გაანათა მისი გაფითრებული სახე. გრიგოლი არ განძრეულა. პირზე კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა, შვებით ამოისუნთქა, წელში გასწორდა, მაგრამ მალე შეშფოთებით დააქცერდა გულწასულ ქალს და უსიამოვნოდ გაიფიქრა: „სულ ეს იყო? არა. არა. მოსულიერდება და ბედს შეურიგდება. ჩემმა ოქრომ ეგ ძალღივით დააბა. მაშ უარესი უნდა მივახალო, რომ ელდამ გული განუგმიროს. ეგ შებრალების ღირსი არ არის, რადგან ქალები შობა და ჩემს ქონებას მტრები გაუჩინა. მიმცია მამცია უნდა. ან ეხლა, ან არასოდეს!“ მრავალტოტიანი შანდლიდან სანთელი ამოაძრო, ცოლისკენ დაიხარა სანთლის ალი ცხვირის ნესტოებთან მიუტანა, ლოყაზეც სილა შემოჰკრა და ყურებიც მაგრად დაუსრისა. მანანამ ყრულ ამოიყენესა. თვალები გვიან გაახილდა. ქმრის დანახვისთანავე საშინლად დაემანჯა სახე, თითქოს გველს მოჰკრა თვალთ და კვლავ დახუჭა თვალები.

8. უპანასკნელი ღამე

უფლის სიყვარული მას მხნეობას
მატებს და ასუსტებს კიდევ, მაგრამ სულს
სიმშვიდეს უნარჩუნებს.

ძველი რაველიდან

ცალ მუხლზე დაჩოქილი გრიგოლი
ნიაზით ათვალეერებდა გერმანოზიშ-
ვილების ასულის სახის მტკივ-
ნეულ მოძრაობას. ანაზღად, გაკ-
ვირვებისაგან კინალამ შეხტა, რად-
გან მოულოდნელად მანანას დაშაშ-
რულ ბაგეებზე ღიმილის მაგვარი
რამ გამოკრთა. ეს ღიმილი ისე შემზა-
რავი იყო განადგურებული ქალის ფე-
რწასულ სახეზე, რომ ზანდაროვს სან-
თლიანი ხელი უნებურად აუქანკალდა.
მას მოეჩვენა, რომ მისი ცოლი გიჟდებოდა.
მანანა დიდხანს ეგდო ბუხართან
თვალეზდახუტული, ბაგეებზე დაკრე-
ბული უცნაური ღიმილით და სახის
კიდევ უფრო უცნაური გამომეტყველე-
ბით. გვიან კვლავ ფართოდ გაახილა
თვალეზი მან. ოდნავ წამოიწია. აელვა-
რებული მხერა ქმარს შეანათა და ისე-
თნაირის ხმით, რომელიც ერთდროუ-
ლად სინანულსაც გამოხატავდა და
ზიზღნარეც დაცინვასაც, ჰკითხა:

— ის ქალი მე ვიყავი?

— ჰო, შენ.

— ჰო. ის ქალი მე ვიყავი.

ბრაზით წარმოთქვა მანანამ. სახე
რისხვით აენთო. ქმარს პირისახეში მია-
ფურთხა და მიაძახა:

— მატყუარავე!

გრიგოლს სანთელი ხელიდან გაუვა-
რდა. ცხელი ფურთხი ლოყაზე ცრემ-
ლივით ჩამოედინა. გაყოფდა. უნდოდა
ცოლისათვის სილა გაეწენა, მაგრამ მო-
ქნეული ხელი ჰაერში გაუჩერდა, რის-
ხვა ალაგმა და ტუჩები ვაბრაზებით და-
იკვნითა.

— მატყუარავე!

კვლავ დაიყვირა გაკაპასებულმა ქა-
ლმა.

გრიგოლმა დამცინავად გადმოუგდო:

— მატყუარა? მერე რითი მოგატყუ-
ე, კნეინავ?

— სიმდიდრით და სილამაზით / რა
ვიცი ვინ იყავი და ვინ გტყუანდებო-
დი? ოჰ, ღმერთო ჩემო! — დიდი ტი-
რილი და მოთქმა გერმანოზიშვილების
ასულმა. — როგორ მიყვარდა ეს წყე-
ული მამაკაცი, როგორ მიყვარდა... ჩე-
მი სალოცავი ხატი იყო... თაყვანსა ვცე-
მდი... ვალმერთებდი... თურმე ვისთ-
ვის ვდნებოდი სიყვარულის ალში? ვის
ფიქრში ვათენ-ვალამებდი? უმსგავსო
კაცისათვის! სალახანისათვის! ამ ვიგი-
ნდარასათვის, ამ გლაზისა და გლეხუ-
ქასათვის! ფუჰ! ვიცი, რომ სირცხვილი
მომკლავს... გველო, რათ მომატყუე?
— შეჰყვირა გამწარებულმა მანანამ
და ხრინწმა ხელი შეუშალა მკაფიოდ
გამოეთქვა სიტყვები. — რათ გამაუპა-
ტიურე? რათ შემარცხვინე? რათ მომ-
ქერი საქვეყნოდ თავი? რათ ჩადექი
ჩემს ცოდოში? მითხარი ვინა ხარ? ჩე-
მო ქმარო, ესლა მინც მითხარი ვინა
ხარ?

გრიგოლს ისევ ფერშანგოვი მოელა-
ნდა, ცოლს გამომწვევად უთხრა:

— მე იოსები მქვია.

— იოსები?

— ჰო, იოსები.

მანანამ ისე შეხედა, თითქოს ქმარს
პირველად ხედავსო.

— მამ არც გრიგოლი ხარ?

— არა.

მანანამ წამოიწია, ქმარს გაოცებით
მიაშტერდა.

— არც ზანდაროვი?

— არა. არც ზანდაროვი.

— მამ ვინა ხარ?

— ფანდურაშვილი.

— მამ ზანდაროვი ვინ არის?

— ევ ნაპოვნი გვარია.

— ვაი, ჩემი ბრალი!

გრიგოლს მოზეზრდა ამგვარი ლაპა-
რაკი, თან ცოლს ისიც შეატყო, რომ
ის თანდათან ფხიზლდებოდა და გონე-
ბას იკრებდა, თავის გადაწყვეტილების
დასაჩქარებლად მან ერთბაშად მოსჭრა:

— მე გლეხთაგანი ვარ, კნეინავ!

— ვაი, სირცხვილო!

— მე ყმა ვიყავი.



— ღმერთო, დიდებულო!

— ყმა ვიყავი, ყმა.

ჭიუტად გაიმეორა გრიგოლმა.

— მე კი ყმის ცოლი!

გამოიტერა თავისი თავი ამაყი გერმანოზიშვილების ამაყმა ასულმა. მერე მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო იკითხა:

— უბედურო! ის მაინც მითხარი ვისი ყმა იყავი ... ვინ იყო შენი ბატონი?

— თავადი გერმანოზიშვილი.

— რაო? ეგ რა სთქვი ... მე ჩემი საკუთარი ყმის ცოლი ... ხასა ... ხარჭა...

გრიგოლმა ცუცქლზე ნათი დაასხა:

— მე იარალ გერმანოზიშვილის ყმა ვიყავი.

— მამიჩემის ... მამიჩემის ... მა ...

მანანა იხრჩობოდა.

გრიგოლმა ზედიზედ დააყარა.

— იარალმა ნამუსი აპხადა ჩემს საცოლეს ... საყდრიდან მოშტაცა, თავისი წადილი აისრულა... ნათია, არ ვახსოვს ნათია, მანანო?

— ააა ...

მხოლოდ ახლა იცნო გერმანოზიშვილების ასულმა ფანდურაანთ ლამაზი ბიჭი, ნათიას ხან წყაროსთან, ხან საყდრის კართან წირვაზე, ხან სასახლის კიშკართან რომ უხვდებოდა და ყველგან თან აჩრდილივით დასდევდა. იცნო და გაბევედა.

— ცოდვათა ჩვენთათვის... ცოდვათა ჩვენთათვის ...

დაიჭურჩულა მან და თვალები ზეცას მიაპყრო.

ზანდაროვს მეტი აღარაფერი უთქვამს.

ყველაფერი ნათქვამი იყო.

ბუნართან ზურგით მდგარი, გულზე-ლდაკრფილი აუცილებელ დასასრულს უცდიდა და ცდილობდა მესხიერებაში აღედგინა, თუ როგორ გაგორდა ფერშანგოვი ფირუზას ფერხით.

მანანა მუხლებზე დაოქილი ღუმდა.

ღუმდა.

ღუმდა საშინელი ღუმილით.

ღუმდა.

ღუმდა.

ღუმდა.

უცბა მის სახეს ისეთი ნათელი დაადანაშაურობდა, როგორც ღვთისმოსავ ქალღმრთელს ღვთისმშობლის დროს ადგებათ ხოლმე. ორივე ხელი მაღლა აღაპყრო, თვალები მსხვილი ცრემლებით გაეღვსო და გულმხურვალედ შეუდგა ლოცვა-ვედრებას.

გაშტერებულ ზანდაროვს ძლივს მოესმა მისი ჩურჩულით ნათქვამი:

— იესო ქრისტე, უფალო ჩვენი მაცხოვარო... მე გარდამახდევინე გერმანოზიშვილების ყველა ცოდვა ... მიმიღე შენს მხევლად... მაღლისა და ბედნიერების კალთა გადმოჰფინე ჩემს ქმარ-შვილს ...

რამდენიმე დღის შემდეგ გერმანოზიშვილების ასული ესტატე ბერმა გრიგოლ ზანდაროვის სახლიდან გამოიყვანა. შაგებით შემოსილ ქალს სახეზე გრძელი რიდე ჰქონდა ჩამოფარებული. ბერს გვერდით ნელი ბორძიკით მიჰყვებოდა. ბერმა ეტლში ჩასვა და დედათა მონასტერში წაიყვანა.

ქალბატონ ზანდაროვის მონაზონად აღკვეცა არავის გაკვირვებია. ყველამ მისი ეკლესიებში სიარული და სასოებით ლოცვა-ვედრება გაიხსენა. ნაკნინარი და ვაჰრის ნაცოლარი მონაზონი მალე გადააიწყდათ.

ნაცნობებს მხოლოდ ოთხი შვილის ამარად დაჩინილი გრიგოლ ზანდაროვი ეცოდებოდათ.

განთიადი

შიტახტის ტერასზე ვახტანგ და ქრისტინე ტაშირელები დასეირნობდნენ. ქმარი ცოლს ნარიყალის ციხის ისტორიას უყვებოდა. თუმცა რაღაც იყო აღელვებული, მაინც გატაცებით ლაპარაკობდა.

ქრისტინე ღუმდა. ხმას არ იღებდა. თვალი ფხიზლად ეჭირა პატარა ბიჭზე, რომელიც იქვე მწვანე ბალახებში პეპელას დასდევდა.

როცა ვახტანგ ტაშირელმა ნარიყალის ციხეზე ლაპარაკი მოათავა, ქალაქს გახედა. ჯერ ზანდაროვის ფესსაცმელე-

ბის ფაბრიკისკენ გაიშვირა ხელი, მერე ცოლს ზანდაროვის სიმამრის ვიკრიკოვის თამბაქოს ფაბრიკა დაანახვა, ცაში ახლად აზიდული ორიოდე სხვა ფაბრიკაც უჩვენა და მღელვარებით წარმოთქვა:

— ისტორიას ეხლა ამ ფაბრიკების პატრონები წერენ, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც ხალხს ეკუთვნის. ყოველთვის მწამდა და მჭეროდა ქრისტიანე!

ცოლმა ხელის ნელი მოძრაობით შეაწყვეტინა ქმარს სიტყვა.

— შენ რალაცას მიმაღავ, ვახტანგ!

— არა, არაფერს. რას უნდა ვიმაღავდე, ქრისტიანე?

— ამ სიშორეზე, ვიცი, გულის გადასაყოლებლად წამომიყვანე. — უთხრა ცოლმა. — განა არ ვიცი შენი გულყეთილობის ამბავი?! კონსტანტინესაგან დიდხანია წერილი არ მიგვიღია. იცი, რომ ვდარდობ. აქაც, კარგად ვხვდები, დარდის გასაქარვებლად წამომიყვანე. შენც რალაცანიარად ხარ აღელვებული. გატყობ რალაცას მიმაღავ. — თვალბში მიაცქერდა და ჰკითხა. — კონსტანტინეს ხომ არაფერი შეემთხვა?

ქრისტიანე ვახტანგს ისეთნაირად

უყრებდა, რომ ტყუილის თქმა შეუძლებელი იყო.

— კონსტანტინეს შეგობრებში მწერენ, ქრისტიანე. — თქვა ვახტანგმა, — სტუდენტების არეულობის დროს, უნივერსიტეტის სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (წერილში მათი გვარებიც არის ჩამოთვლილი) კონსტანტინეც დაუპატიმრებით და პეტრე-პავლეს ციხეში ჩაუსვამთ.

ქრისტიანეს ჯერ ფერმა გადაჰკრა, მერე ამაყად ასწია თავი, მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— ასეთი ძმით ყველა იამაყებს, ვახტანგ!

ვახტანგმა ცოლის ხელს მაგრად მოუჭირა ხელი, დაღვრემილი სახე ალტაცებისა და რწმენის სიხარულმა გაუნათა.

— არჩილ, კლდესთან ახლოს ნუ მიდინხარ, გადავარდები!

შესძახა ქრისტიანემ და შეილისაკენ გაექანა.

მარტოდ დარჩენილმა ვახტანგ ტაშირელმა ისევ ქალაქს გახედა.

მზე მალლა იყო აწეული.

ქალაქი ყრუდ ხმაურობდა.

მტკვარზე გადაკიდებულ აივნებს თანდათან ეღვარება ეკიდებოდა.



ტროილოსი და კრესიდა

სურათი III

ბერძენთა ბანაჟი

შემოდინ აგამემნონი, ულისე, დიომედე, ნესტორი, აიაქსი, მენელაოსი და კალხასი/

კალხასი

დიდებულებო, დადგა ჯამი და მიკარნახებს ხმამაღლა გთხოვთ გასამრჯელო სამსახურისთვის რაც გაგიწიეთ. თქვენ თვითონვე მოგესხენებათ, რომ მომავალი მე განვტყობი წინასწარულად და ამის გამო მივატოვე ქალაქი ტროა, დაეთმე ყოველი, რაც გამაჩნდა და მოლაღატის სახელი ვირგე დანაკარგის სამაგიეროდ. საეჭუო ბედზე გადავცვალე მდგომარეობა, რომელსაც ვიყავე შეჩვეული დიდ ხანია. დავაგდე სახლი, მეგობრები, ყველა პატივი, რაც ჩემს ბუნებას შეჰფეროდა და მქონდა კიდევ. თქვენს სამსახურში გარდავიქმენ ახალ არსებად და ყველასათვის უცნობი და უცხო შევიქმენ. გემუდარებით ახლა მაინც წყალობის თვალთ გადმომხედოთ და აღმისრულოთ მცირე ნაწილი იმ სიკეთისა, გასამრჯელოდ რასაც დამპირდით.

აგამემნონი

რაო, რას ითხოვ, სთქვი, ტროელო, ნუ გერიდება.

კალხასი

გუშინ ტროელი შევიპყრიათ სარდალი ერთი და ამა სარდალს ანტენორი ჰქვია სახელად. ტროას ის მეტად ძვირად უღირს. ხშირად გიცდიათ,



და მეც ამიტომ ხშირად მოთქვამს თქვენთვის მადლობა,
— ჩემი კრესიდა გამოგებსნათ ტყვეთა სანაცვლოდ,
მაგრამ უარით გისტუმრებდათ ყოველთვის ტროა.
ანტენორი კი, კარგად ვიცი, ისე სჭირდებათ,
რომ ტროლები აღარაფერს დაიშურებენ,
რათა დაიხსნან ტყვეობისგან. რომ მითხთხოვთ,
პრიაშეს შვილი მოგვეცითო, უფლისწულსაც კი
გაიმეტებენ, ანტენორი იმდენად უღირთ.
დიდნო მეფენო, ის გაგზავნეთ, გემუდარებით,
და ეგებ ამით ჩემი ქალი გამოიხსიდეთ.
კრესიდას მოსვლა მთლად დაქუარავს ჩემს გასამრჯელოს
ყოველივესთვის, რაც კი თქვენთვის ჩამიდენია.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ეს დიომიდეს დავავალოთ, მან მიუყვანოს
მტერს ანტენორი და მოგვეგვაროს ნაცვლად კრესიდა,
კალხასს ჩვენ უნდა შევუსრულოთ, რასაც მოითხოვს.
მაშ, დიომედე, ტყვეთა გაცვლა შენ გაარიგე
და გადაეცი ისიც, რომ თუ კექტორი გვიწვევს
ორთა ბრძოლაში, აიასი მზად არის შეხედეს.

დიომიდე

ამას ყველაფერს აღვასრულებ; ვამაყობ კიდევც,
რომ ასეთი რამ დამავალეთ.

/გადიან დიომედე და კალხასი. აქილევსი და პატროკლე გამოდიან თავიანთი კარვიდან/

თავისი კარვის შესახელებლთან დგას აქილევსი.

ულისე

კარგი იქნება, თუკი ჩვენი მთავარსარდალი
ისე ჩაუვლის, თითქოს იგი აღარც კი ახსოვს.
თქვენც ცალი თვალით გადახედეთ უყურადღებოდ.
მე ჩამოგრჩებით და როდესაც კითხვას დამიწყებს,
რით აიხსნება მათი თვალის არიდებაო,
მე ისეთ წამალს მივაწოდებ, რომ თქვენი ქცევაც
და საკუთარი სიამაყეც უმართებულო
თვით შეაწავოს და დალიოს თავისი ნებით.
ძალიან არგებს: საკუთარ თავს ნახავს სარკვეში,
ამპარტავენებას დაანახევებს ამპარტავენება,
თორემ დათმობით თავს გაუვა უფრო თავნებას.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ამ რჩევას უნდა დავუკუროთ და ჩავუაროთ
ამაყ აქილევსს უცნაური ისეთი სახით,
თითქოს ვერც ვამჩნევთ და არავინ არ მივსალმოს,
ან მივესალმობთ ძალზე ცივად. ეს კიდევ უფრო
მეტ წყენას მოჰგვრის. მე წინ წავალ და თქვენ მომეყვით.

აქილევსი

სალაპარაკოდ მოდის ისევე მთავარსარდალი?

განა არა ვთქვი, ტროას აღარ ველომები-თქო!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რაო, რა გვითხრა? სათხოვარი თუ აქვს რაიმე?



ნ ე ს ტ ო რ ი

ბატონო ჩემო, მთავარსარდალს ხომ არაფერს თხოვთ?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

არა, არაფერს.

ნ ე ს ტ ო რ ი

არაფერსა გთხოვთ აქილევსი, ჩემო ხელმწიფეე.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მით უკეთესი.

/აგამემნონი და ნესტორი გადიან/

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

გამარჯობა, გამარჯობა.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

გაგიმარჯოს.

/გადის/

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვეონებ, რქოსანმა ყურადღებაც არ მომაქცია.

ა ი ა ქ ს ი

რასა იქმ, პატროკლე?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

დილა მშვიდობისა, აიაქს!

ა ი ა ქ ს ი

რაო?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

დილა მშვიდობისა.

ა ი ა ქ ს ი

დიახ და ხვალაც მშვიდობის დღე იქნება ალბათ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რა დაემართათ? აქილევსი ვეღარ უცვნიათ?

პ ა ტ რ ო კ ლ ე

უცხოებივით ჩაგიარეს ამპარტავნულად!
წინათ კი ღიმილს და თავდახრას არ იშურებდნენ,
ძლივს გიბედადნენ ფეხაკრფით მოახლოებას
და როგორც წმინდა საკურთხეველის წინაშე თრთოდნენ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რაო, დავგლახდი ვითომ ასე, საბრალო გაგხდი?

ვიცი, თუ ბედმა ერთხელ მაინც კაცს უღალატა,
მას სხვებიც უმალ ღალატობენ. თავის დაცემას

სხვების თვალეზში კაცი უმალ ამოიკითხავს,

ვიდრე იგრძნობდეს, თურმე თავად რომ დაცემულა.

მხოლოდ ზაფხულში დაფრენს კაცი პეპელასავით;

კაცში კაცურის დაფასება არ გვეხერხება;

პატივს ვცემთ მხოლოდ მის პატივს და მდგომარეობას,

სიმდიდრეს, სახელს და ღიდებას, რაც მოუხვეჭავს,

ვითარცა ჯილდო ბრმა შემთხვევის წყალობით მარტო.

ოღნავ თუ ფეხი დაგიცურდა, ის სიყვარულიც,

რაც ისევე შენვე გეყრდნობოდა ფეხზე ღგომის ჭამს,

წონასწორობას ჰკარგავს და ძირს ეცემა მკვდარი.

მაგრამ ეს ჩემი ბედობალი არ უნდა იყოს:



მეგობრები ვართ მე და ბედი. ყველაფერი მაქვს,
ჩემი უფლებაც რაც აქამდე მე შეკუთვნილია,
გარდა ამ ხალხის თვალებისა. რა ნახეს ნეტავ
ჩემში ისეთი, რომ პატივი აღარ მომაგვს,
წინათ რომ სშირად და გულუხვად გასცემდნენ ხოლმე.
აგერ ულისეც აქეთ მოდის, წერილს კითხულობს,
შევაწყვეტინებ და მას ვკითხავ. ჰეი, ულისე!

უ ლ ი ს ე

დიდი თეტიდეს ვაჟიშვილო, სალამი შენდა!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

წერილს კითხულობ?

უ ლ ი ს ე

ერთი კაცი ახირებულა

და მწერს: „კაციო, ვისაც ნიჭი დაჰყვაო უხვად,
შინაგანად თუ გარეგნულად მდიდარიცაა,
თავის ღირსებას იგი მაინც ვერ დაიკვებნის
და ვერც შეიცნობს, ვიდრე სხვას არ გაათბობს იმით
და ამ ღირსებით გამთბარი და განათებული
სხვა დაუბრუნებს თავის სითბოს მის პირველ წყაროს“.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მერედა ეგ ხომ საკვირველი არ არის სულაც!
სილამაზეც კი, რომელიც ჩვენს სახეს ამშვენებს,
მის პატრონს მხოლოდ სხვისი თვალთ ძალუძს იხილოს
და თვითონ თვალის, სრულყოფილი შეგრძნების სული,
ვერ დაინახავს საკუთარ თავს სხვების გარეშე.
როდესაც კაცის თვალი ხედება სხვა კაცი თვალებს,
იგი სხვის თვალში სალამს მაშინ ამოიკითხავს.
თვით შემეცნებაც არ მიმართავს მხოლოდ თავის თავს
და სხვაში ეძებს იგი თავის თავის ანარეკლს.

ეს ყოველივე საკვირველი სულაც არ არის.

უ ლ ი ს ე

არც მე ვაპირებ შევედგო მაგნაირ აზრებს,
ეგ ცნობილია, მაგრამ, აი, წერილის დამწერს
სურს დაგვიმტკიცოს სათანადო დასაბუთებით,
რომ არაფერი გააჩნია კაცს საკუთარი

და ვერ მბრძანებლობს ის საკუთარ სრულყოფილებას,
მისი ღირსების ნაწილი თუ სხვას არ გადასცა.
მან საკუთარი თავის ფასიც არ იცის სრულად,
ვიდრე სხვა, მისი დამნახავი, ტაშს არ დაუკრავს,
ვით შეძახილზე გამოძახილს გამოსცემს თალი,
ან ვით ფოლადი აირეკლავს მზეს და გვიგზავნის
უკანვე მზისგან მინიჭებულ სახეს და სითბოს.

ღრმად ჩავეუფიქრდი ყოველივე ამას და მაშინ
თვალწინ დამიდგა აიაქსი, უცნობი ჯერაც.

ღმერთო, რა კაცი, რა კაცია, ნეტავ იცოდეთ!

რა ღირსებები გააჩნია, ამ შეუხედავს

თვალად უგვანოს, საქმეში კი შეუდარებელს!

ზოგს კი უღირსად მიეგება დიდი პატივი,



თუმც უქნარა და არავის არგია საქმით.
 აი, სვალ ნახაუთ, რასაც იხანს, სვალ გადაწყდება
 მისი ბედი და აღიარებს აიქნს ყველა.
 ღმერთო, რას არ იქმს ზოგი კაცი, ზოგიც არას იქმს,
 ზოგი ღინიან ფორტუნას შინ შეეპარება,
 ზოგი კი მასვე აგდებული ჰყავს სასაცილოდ.
 ერთი მეორის სიამაყით საზრდოობს ზოგჯერ,
 თუ სიამაყეს ახლავს კიდევ უზრუნველობა.
 შეხედე, ბურძენ დიდებულებს! ყველა მათგანი
 უხეშ აიქნს მეგობრულად ურტყანს ხელს მხარზე,
 თითქოს ჰქეტორის მკერდზე ედგას მას უკვე ფეხი
 და დიდი ტროა შეემუსროს შეძრწუნებული.

აქილეუსი

მჯერა, რაცა სთქვი, ჩამიარეს მათ გვერდით ისე,
 თითქოს გლახაკი ვყოფილიყავ; არც კარგი სიტყვა
 და არც შეხედვა არ მაღირსეს. მაშ დაივიწყეს,
 რაც კი საგმირო საქმე მათთვის ჩამიდენია?

ულისე

ზურგზე ჰკიდია დროს, ბატონო, ისეთი ჩანთა,
 რაშიც აგროვებს მოწყალებას დაეიწყებისთვის.
 უმაღურების ურჩხულია ეს დაეიწყება,
 დიდი და ხარბი; განურჩევლად ნთქავს ყოველივეს.
 ყოველი საქმე დაეიწყებას ეძლევა სწრაფად,
 ძლივს დამთავრებას რომ მოასწრებს. ამიტომ მტკიცე
 ადამიანი უფრთხილდება საკუთარ სახელს.
 და ფერავს ხოლმე, აპრიალებს როგორც საჭურველს,
 რომ არ მოედოს დაეიწყების ჟანგი უწყალო:
 გახართობად თუ გამოდგება ჟანგმოდებული!
 უფრთხილდი სახელს, რადგან იგი ვიწრო გზით მიდის,
 სადაც მეორე ძლივსძლივობით თუ გაეტყვა;
 გზა შენ გეჭიროს და გახსოვდეს, მეტოქეობას
 ათასი შვილი ჰყავს ზედიზედ დადგენებული.
 გზა თუ დაუთმე, ანუ გვერდზე გადაუხვიე,
 მიმართულება თუ დაჰკარგე, როგორც ზღვის ზვირთი
 შემოვარდება მოქცევის ქაშს და თუ გიხელთა,
 დაგტოვებს უკან.
 წინ გამოსული თუ დაეცა მამაცი რაში,
 გადასთელავენ მას უკანა რიგები სწრაფად
 და გაასწრებენ. თუნდაც საქმე ამჟამინდელი
 ჩამორჩებოდეს ბევრად საქმეს, ადრე ჩადენილს,
 მაინც დამრდილავს ის წინანდელს. დრო ჰგავს მახინძელს,
 ხელს რომ წვალებით ჩამოართმევს მიმავალ სტუმარს,
 და მომავალს კი მკლავგაშლილი იხუტებს გულში.
 დახვედრა მარად მღიმარება, განშორებას კი
 მუდამ თავპირი ჩამოსტირის. მაშ, ნულარ ვეძებთ
 ჩვენც გასამრჯელოს გარდასული დიდებისათვის.
 გონიერება, სილამაზე, გვარიშვილობა,



სიმაშაც თუ ერთგულება სამსახურის ვაშს, სიყვარული თუ მეგობრობა, გულმოწყალება, ეს ყოველივე შურიან და ცილისმწამებელ დროს ემონება. თითქოს მთელი კაცობრიობა ბუნებამ ერთში დაამგვანა ერთი მეორეს: ყველა ერთგვარად ხოტბას ასხამს ყოველგვარ ახალს, თუმცა ახალი ძველისაგან არის შექმნილი. უფრო აქებენ ოქროსფერად მოოჭვილ ტალახს, ვიდრე ტალახში ამოვლებულ ბაჯალო ოქროს. თვალი აღიდებს მხოლოდ იმას, რასაც ის ხედავს. ნუ გაგაკვირვებს ნურც შენ, დიდო ადამიანო, თუ დღეს აიაქსს ხოტბას ასხამს ყველა ბერძენი. რაც თვალწინ ელავს, უმაღლ ამჩნევს მას კაცის თვალი, ვიდრე უძრავ ნივთს. ოდესღაც ხომ ეს ჟრიალული შენს ირგვლივ იდგა და კვლავ ძალგამს ასტყუო იგი, თუკი არ გინდა შენი თავის ცოცხლად დამარხვა, შენი სახელის გამოკეტვა ამ შენს კარავში. შენმა ბრწყინვალე საქმეებმა ამ ბრძოლის ველზე თვით ღმერთებიც კი შეაჯიბრა ერთი მეორეს და დიდი მარსი საბრძოლველად გამოიწვია.

აქილევესი

განდგომისათვის მიზეზებიც მქონდა საკმაოდ.

ულისე

მაცრამ განდგომის წინააღმდეგ უფრო მეტი გაქვს. ქვეყანამ იცის, რომ აქილევესს უყვარს პრიამეს ერთი ასული.

აქილევესი

რაო, რა თქვი? ქვეყანამ იცის?

ულისე

და განა გიკვირს? სახელმწიფოს მოდარავე თვალს ძალუშს დათვალოს მარცვალ-მარცვალ პლუტოსის ოქრო, უძირო სიღრმეს, მიუწვდომელს „უპოვოს ძირი, ჩასწვდეს სხვის ფიქრებს და აგვიხსნას ღმერთების მსგავსად მათი წარმოქმნა და წარმოქმნის მათის მიწვენი. სახელმწიფოს სულს გააჩნია იდუმალი რამ, რაშიც ვერავინ ჩაერევა, რომლის შორსმჭერტელ ქმედებას ვერვინ გამოხატავს სიტყვით ან კალმით, ურთიერთობა, რაც ტროასთან შენ გავიმართავს, ისე გვეზება ჩვენ, როგორც შენ, ჩემო ბატონო, და აქილევესსაც უფრო მეტად შეეფერება, თუ დაამარცხებს პოლიქსენას კი არა, ქექტორს. ჭაბუკ პიროსსაც შეაწუხებს შენი ამბავი, როცა ეს ჭორი ჩვენს კუნძულებს მიადწევს ბოლოს და იმღერებენ ამ სიმღერას ბერძნის ქალები: „დაემონაო აქილევესი ქექტორის დასა, აიაქსმა კი ვაჟკაცურად ქექტორი დასცა“: მშვიდობით! შენმა სიყვარულმა მალაპარაკა,



ყინულზე დგახარ, ნუ ჩატვხავ, ბრიყვი არა ხარ.
/გადის/

პ ა ტ რ ო კ ლ ე

მეც ხომ, აქილეებს, სწორედ მაგას გეუბნებოდი,
ქალურ ხინაზეს მოკლებული ვინმე დიაცი
უფრო ნაკლებად შესაზიზღიც კი არის, ვიდრე
განაზებული მამაკაცი მოქმედების ეამს.
უმოქმედობას შენსას, ვიცი მეც მამბრალევენ,
რადგან იციან, რომ მე ომი დიდად არ მიყვარს,
და ვითომ ჩემი სათრის გამო აღარც შენ ომობ.
ამიტომ აღსდევ, მოიშორე ებ კუპიდონი,
თავის მკლავებით კისერზე რომ მოგკიდებია,
ლომის ფაფარი შეიბერტყე და ძირს დაყარე
როგორც წვეთები.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

აიაქსი მამ ჰექტორს ებრძვის?

პ ა ტ რ ო კ ლ ე

დიახ და იქნებ მოისვენებს კიდევ სახელი.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ჩემი სახელი საფრთხეშია, აშკარად ვატყობ.

პ ა ტ რ ო კ ლ ე

კაცი თავის თავს როცა დასჭრის, ძნელია შეეღა.
არ იკურნება გაჩენილი შენგანვე წყლული.
როდესაც იმას არ აკეთებ, რაც საჭიროა,
საშიშროება თავს წამოყოფს დაუყოვნებლივ
და ვით სხეულში მოდებული ციებ-ცხელება
გიპყრობს მამინაც, როცა შენთვის მუსს ეფიცებია.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

წადი, პატროკლე, მომიყვანე თერხიტე სწრაფად!
მინდა გაეგზავნო აიაქსთან და ვთხოვო სტუმრად
მოიპატივოს აქ ტროელი დიდებულები,
ბრძოლის დასასრულს მოიწვიოს უიარაღოდ.
ქალური ვინი მომერია ავადმყოფურად:
მსურს ვჭვრიტდე ჰექტორს მშვიდობიან სამოსით მოსილს,
ველაპარაკო, მისი სახის ყურებით გაეძღე.
მავრამ არ გინდა გარჯა, ხედავ, თვითონვე მოდის!

/შემოდის თერხიტე/

თ ე რ ს ი ტ ე

პოი, საკვირველებავ!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რაო, რა მოხდა?

თ ე რ ს ი ტ ე

აიაქსი დაესეტება ველზე და თავისთავს ელაპარაკება.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვე რაღაა?

თ ე რ ს ი ტ ე

ვე ის არის, რომ აიაქსი ხვალ მარტოდმარტო უნდა შეეება ჰექტორს და წინას-
წარ ისე გამაყება ეს საგმირო შერკინება, რომ სულ აბდაუბდას რომავს.



აქილევესი
 ეგ როგორღა ხდება?

თერსიტი
 აი, როგორ: აქეთ-იქით მიდი-მოდი, თითქოს ფარშევანგიაო, ხან გაივლის, ხან გაჩერდება. ფუნდუკის დიასახლისივით რაღაცას ბუტბუტებს, თითქოს საანგარიშო არა აქვს და ზეპირად რაღაცას ანგარიშობსო. ტურნებს იკუნეტს ჩაფიქრებული გამომეტყველებით, რომ ვინმემ თქვას, თავში ჭკუა ქქონიაო, თუმცა არა აქვს. არა, ცოტადენი კი აქვს, მაგრამ იმდენი, რამდენიც ცეცხლია კაფში. თუ არ ჩამოჰკარი, არ გამოჩნდება. მთლად წამხდარა ეგ უბედური. ქექტორმა თუ არ მოსტეხა კისერი, ეს ყოყლოჩინობა გასტეხს. აღარც კი შენობს. ვეუბნები: „დილა მშვიდობისა, აიაქს“, ის კი მიპასუხებს, „გმადლობ, აგამემნონ!“, აბა, რას მეტყუი ასეთ კაცზე, მე რომ მთავარსარდალი ვგონივარ? რაღაც უცნაურობაა, თევზია უნო თუ რაღაც ურჩხული. ჯანდაბას, ხალხი რას ამბობს. მაგას კი ტყავის ქურთუკივით გადაიგდებს მხარზე კაცი.

აქილევესი
 შენ უნდა ჩემს დესპანად გავგზავნო მაგასთან, თერსიტი.

თერსიტი
 ვინა, მე? ის კაცი არავის ხმას არა სცემს; პასუხს არ იძლევა; ამბობს, ეს მათხოვრების საქმეაო. ენა მკლავებში აქვს. ასლავე გამოთავაჯაფრებ, ოღონდ პატროკლემ მკითხოს რამე და მეც აიაქსს წარმოვიდგენო.

აქილევესი
 აბა, ერთი პატროკლე, უთხარი: უმორჩილესად ვთხოვ მაშაც აიაქსს მოიპატიჟოს ყოვლად ღირსეული ქექტორი უსაჭურვლოდ მოზრძანდეს ჩემს კარავში. აგრეთვე იშოვოს მისი პიროვნების დამცველი მოწმობა უდიდებულესის და უბრწყინვალესის, ექვსგზის თუ შვიდგზის სახელოვანის ბერძენთა ლაშქრის მთავარსარდლის აგამემნონისაგან და ასე შემდეგ. აბა დაიწყე!

პატროკლე
 იუპიტერის კურთხევა ნუ მოაკლდეს დიდ აიაქსს!

თერსიტი
 კმ!

პატროკლე
 მე გიასელით ღირსეული აქილევისაგან...

თერსიტი
 ჰა?

პატროკლე
 რომელიც უმორჩილესად ვთხოვს მოიპატიჟოთ ქექტორი მის კარავში...

თერსიტი
 კმ!

პატროკლე
 და იშოვო დამცველი მოწმობა აგამემნონისაგან.

თერსიტი
 აგამემნონისაგან?

პატროკლე
 დიას, ბატონო.

თერსიტი
 ჰა?

პატროკლე
 რა პასუხს მიზრძანებ?



თ ე რ ს ი ტ ე

დმერთი გფარავდეს. გისურვებ მთელი ჩემი გულით.

პ ა ტ რ ო კ ლ ე

თქვენი პასუხი, ბატონო?

თ ე რ ს ი ტ ე

თუ ხვალ კარგი დღე იქნება, თერთმეტი საათისათვის გ'ირკვევა ასე თუ ისე. მაინც ძვირად გადამიხდის.

პ ა ტ რ ო კ ლ ე

თქვენი პასუხი ბატონო?

თ ე რ ს ი ტ ე

მშვიდობით ყოფნას გისურვებ, მთელი ჩემი გულით.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ნუთუ მართლა მაგ დღეშია?

თ ე რ ს ი ტ ე

სწორედ რომ ამაზე უარეს დღეშია. მე არ ვიცო, კიდევ რას დაუკრავს, თუ პექტორმა ტვინი დაანთხევინა. ალბათ ვერაფერს, კიდრე მეჭიანურე აპოლონი მაგას ძარღვებს არ ამოაძრობს, რომ სიმები გააბას თავის საკრავზე.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

კარგი, კმარა, წადი წერილი მოიტანე.

თ ე რ ს ი ტ ე

მეორე წერილი მაგის ცხენთან გამატანე, ის უფრო საზრიანი ცხოველია.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ტვინი მერევა, ვით ნაკადი აღშფოთებული
და ნაკადის ფსკერს ჩემი თვალი ვერ მისწვდომია.

/გადიან აქილევსი და პატროკლე/

თ ე რ ს ი ტ ე

შენი ტვინის ნაკადი ნეტავ ისე დაიწმინდებოდეს, რომ შიგ ერთი სახედარი მაინც ვაბანავო! ცხერის მკებუნარი მიჩქევნია ვიყო, ოღონდ ასეთი გულადი უმეცარი არა მქნა!

/გადის/

ინგლისურიდან თარგმნა გივი ბაჩაიილაძე



საკვირ სახეობა

ივანე ჯავახიშვილი

მოხონება

ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელია. ამ უნივერსიტეტის პირველი უფრედი მან შექმნა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ის ლექციებს კითხულობდა საქართველოს და სომხეთის ისტორიის საკითხებზე და სადაც მან 1908 წელს დააარსა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“. (Грузинский научный кружок). ამ წრეში ქართველი სტუდენტები სამეცნიერო მოხსენებებს კითხულობდნენ ქართულად მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და კამათიც ქართულად წარმოებდა.

მეტად საინტერესო ამბავია, რომ ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე თავის ლექციებს ხშირად ქართულადაც კითხულობდა, თუ დარწმუნებული იყო, რომ სტუდენტებს ყველას ესმოდა ქართული.

ერთხელ, ქართულად რომ დაიწყო ლექციის კითხვა, ერთმა სტუდენტმა შემოაღო აუდიტორიის კარი და გაემართა დასაჯდომად. ივ. ჯავახიშვილმა

იგი ქართველად ვერ იცნო, იფიქრა სომეხიად და ქართული ენიდან რუსულზე გადავიდა და განაგრძო ლექცია. ქართულად ლექციების კითხვა საიმპერატორო უნივერსიტეტში იმ დროს დიდი გამბედაობა იყო და თანაც საზოგადოებრივად, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი თავისას არ იშლიდა.

ქართველი ერის დიდი ხნის ოცნება იყო, რომ თბილისში უნივერსიტეტი დაარსებულყო. ამ ოცნების სინამდვილედ ქცევა წილად ხვდა ილია ჭავჭავაძის ეროვნული აღორძინების საქმის გამგრძელებელს ივანე ჯავახიშვილს.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმეთა წარსამართავად საჭიროა, პირველ ყოვლისა, სამეცნიერო ძალები. ივანე ჯავახიშვილს შედგენილი ჰქონდა სია ქართველი მეცნიერებისა, რომლებიც გაფანტულნი იყვნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში. ი. ჯავახიშვილი დარწმუნებული იყო, რომ როდესაც სათანადო პირობება შეიქმნებოდა ჩვენში, ეს მეცნიერები მოაშურებდნენ ენა-ლესს და აქ განაგრძობდნენ სამეცნიერო მოღვაწეობას.

გასარკვევი იყო მეორე საკითხი: ქართველ სტუდენტთა რაოდენობა და წაით განაწილება სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით. ამ მიზნით „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში“, მისი ხელმძღვანელის ივ. ჯავახიშვილის მითითებით, მოაწყო ანკეტა ქართველ სტუდენტებს შორის იმპერიის ფარგლებშიც და საზღვარგარეთაც. ანკეტა რუსულ ენაზე იყო შედგენილი და ორგვარად: ერთი, ვრცელი, პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველ სტუდენტთათვის და მეორე, მოკლე, დანარჩენ ქალაქში მყოფ ქართველ სტუდენტთათვის იმპერიაში და საზღვარგარეთ. ანკეტაში სტუდენტებს პასუხი უნდა ჰაეცათ სხვადასხვა საკითხზე: რა სპეციალობას სწავლობს, როგორია ქონებრივი მდგომარეობა (რას იღებს თვითრად), სწამს ღმერთი თუ არა და სხვა. ანკეტა ჩატარდა 1910-11 წელს. პასუხები დაბრუნდა და გამოირკვა, რომ ქართველი სტუდენტობა საკმაოდ არის, სპეციალობაც მრავალფეროვანია. ამის შემდეგ სრულიად ნათელი გახდა, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის თბილისში სრულიად მომზადებულია ნიადაგი, თუ ამას ხელს არ შეუშლიდა პოლიტიკური პირობები.

აღსანიშნავია ერთი ინციდენტი, რომელიც მოხდა ანკეტის მოწყობის გამო. ოდესაში რომელიღაც ქართველ სტუდენტს გაჩხრეკის დიოს უპოვნეს ანკეტის ფურცელი, რამაც შეაშფოთა ადგილობრივი პროკურატურა. მაშინვე აფრინეს შეკითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე: არსებობს თუ არა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“ პეტერბურგის უნივერსიტეტში და აქვს თუ არა მას ნება, რომ ანკეტა მოაწიოსო. რექტორმა ეს შეკითხვა გადაუგზავნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანს. ამ ფაკულტეტის დეკანად იმხანად იყო პროფესორი ნ. მარი. მან გამომიჩნხა მე (მე იმ დროს „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ თავმჯდომარე

ვიყავი. ჩემზე აღრე თავმჯდომარედ იყო იოსებ ყიფშიძე, ჩემს შემდეგ კი — გიორგი ჩიტაია). მარმა დაწინაღობით გამომიკითხა სამეცნიერო წრის მუშაობის შესახებ. მე ჰოვახსენე ყველაფერი და დავსძიე: ანკეტის მოწყობის ამბავს ჩვენ არც ვილაღეთ და ამის შესახებ ცნობასაც ნათავსებთ უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშში-შეჯავი.

ეს დაიხვია ხელზე ნიკო მარმა და საპასუხო წერილში ატყობინებდა ოდესის პროკურატურას: „ქართველთა სამეცნიერო წრე“ მართლაც არსებობს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში, წრის ხელმძღვანელია კნიაზი ი. ჯავახოვი (კნიაზობას იმ დროს თავისი წონა და მნიშვნელობა ჰქონდა) და ცნობა ანკეტის მოწყობის შესახებ დაბეჭდილია უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშში.

ამით ამოიწურა ოდესის საპასუხო საკითხი. მაგრამ უნივერსიტეტის მესვეურებს არ მოსწონდათ, რომ ჩვენს სამეცნიერო წრეში მოხსენებები ქართულად იკითხებოდა და კამათიც მოხსენებათა გარშემო ქართულად მიმდინარეობდა.

აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე არსებობდა სტუდენტთა მეორე სამეცნიერო წრე: Кругок ориенталистов, რომლის ხელმძღვანელი იყო პრივატ-დოცენტი რუდნევი (მონდოლისტი). ერთხელ მან დამიბარა და წინადადება მომცა: მოდი, შევეერთოთ თქვენი და ჩვენი სამეცნიერო წრეო. მე მაშინვე გამიღვა თავში, რომ წრეების შეერთებას მოჰყვებოდა ხელის აღება ქართულ ენაზე მოხსენებათა კითხვისა და კამათის დროს. ეს კი უთუოდ გაანელდება ინტერესს ქართველ სტუდენტთა შორის ქართული ენისა, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი. პირდაპირ უარი არ მოთქვამს რუდნევისათვის, ვუთხარი მხოლოდ, რომ მოვითათბირებთ-მეთქი.

„ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ მუშაობაში აღსანიშნავია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი

წერილების ბიბლიოგრაფიის შედგენა. ამ ბიბლიოგრაფიის ერთი ნაწილი დაიბეჭდა 1916 წელს ი. ყიფშიძის რედაქციით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. ამას გარდა, დაიბეჭდა წრეში წაკითხულ მოხსენებათა ერთი ნაწილი კრებულში, რომელშიც გამოვიდა თბილისში 1915 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით.

რაც უფრო მალე იწვედა 1914 წელს დანთებული პირველი მსოფლიო ომის ცეცხლი, მით უფრო ნათლად ჩნდებოდა, რომ მოსალოდნელი იყო დიდი ცვლილებანი სოციალ-პოლიტიკური ხასიათისა მთელი იმპერიის მასშტაბით. თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში ივანე ჯავახიშვილმა შეკრება თავის ბინაზე მცირე ჯგუფი იქაური ქართველი მეცნიერებისა და დასვა საკითხი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ თბილისში. მალე ის გამოემგზავრა თბილისში, და შეუდგა მზადებას უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. სხვათა შორის, შედგა წესდება უნივერსიტეტისა და აღიძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე (Объединенный Закавказский Комитет), რომელიც ამიერკავკასიის საქმეებს განაგებდა, დაემტკიცებინათ ეს წესდება. მაგრამ კომიტეტმა წესდება არ დაამტკიცა და გადაგზავნა დასამტკიცებლად პეტროგრადში. იქ მაშინვე შეუდგნენ მზადებას, რომ თბილისში დაეარსებინათ საბელ-მწიფო უნივერსიტეტი, სადაც სწავლა რუსულ ენაზე იქნებოდა. შეარჩიეს კიდევ პროფესორები, რომლებიც მზად იყვნენ წამოსულიყვნენ თბილისში, მაგრამ ეს წამოწყება უშედეგო აღმოჩნდა, რადგანაც რევოლუცია თანდათან ღრმავდებოდა. მალე გაიხსნა დიდი ოქტომბრის მუქქარე ხმა და სულ სხვანაირი მიმართულება მიეცა განახლებული ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ განვითარებას.

1917 წლის სექტემბერში უკვე ნათელი იყო ჩვენთვის, რომ პირველი ქარ-

თული უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საქმე საიმედოდ გამოიყურებოდა. ამიტომ ოქტომბერის რევოლუციის შემდეგ და მე გავემგზავრეთ პეტროგრადში, რომ ლიკვიდაცია გვეყო იქაური საქმეებისთვის და გადმოგვეტანა იქ დატოვებული წიგნები. იქ ჩავედით 27 ოქტომბერს, დიდი რევოლუციის შესამდე დღეს, დილით. ი. ყიფშიძე თავის ბინაზე წავიდა, მე — ჩემსაზე, ლახტის ქუჩაზე, პეტროგრადის მხარეს. ეტლში რომ ჩავჯექი, ვკითხე მეეტლეს: რა ამბებია ქალაქში-მეთქი? — ოო. აქ დიდი ამბები მოხდა: ძველი მთავრობა ჩამოაგდეს, ახალი მთავრობის სათავეში კი ლენინი დგასო. ამ ამბავმა სიხარულით ანივსო გული, რადგანაც საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების საქმეს და, საზოგადოდ, ჩვენი ეროვნული აჯვანების საქმეს ვეღარავინ შეუშლიდა ხელს.

იმ საღამოსვე ნ. მარს ვეწვიე ბინაზე. მე ავუსხენი, რომ ი. ყიფშიძე და მე ჩამოვედით აქაური საქმეების სალიკვიდაციო-მეთქი. მას საზოგადოდ არ მოსწონდა, რომ თბილისისაკენ მოვიწვევდით, რადგანაც პეტროგრადის უნივერსიტეტში ქართველ მეცნიერთაგან არავინ რჩებოდა და გულა სტკოდა, რომ მისი შექმნილი სკოლა ირღვეოდა. ჩვენ კი ვფაქრობდით, რომ პეტროგრადის უნივერსიტეტს შეეძლო მხოლოდ რამდენიმე ქართველი მეცნიერის შეყვლება, მაშინ როდესაც თბილისში შესაძლებელი იქნებოდა მრავალი ქართველი მეცნიერის თავმოყრა და კიდევ მეტის აღზრდა და მომზადება სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის.

ცოტა ხნის შემდეგ ავდექ და შინ წასვლა დავაპირე. ნ. მარიც ადგა და გამაცილა კარამდე.

მე მალე მოვაგვარე ჩემი პირადი საქმეები პეტროგრადში, წამოვიღე ნაწილი ჩემი წიგნებისა და დავბრუნდი. იოსებ ყიფშიძე იქ დარჩა, რომ მოეგვარებინა ივ. ჯავახიშვილის წიგნთსაცა-

ვისა, თავისი და ჩემი დანარჩენი წიგნების გამოგზავნის საქმე. მან და გიორგი ჩუბინაშვილმა იშოვეს ორი ვაგონი რკინიგზისა, ჩააწყვეს შიგ ივანე ჯავახიშვილის მთელი ქონება, რომელშიც უგელაზე მნიშვნელოვანი წიგნები იყო, ჩემი წიგნები, ი. ყიფშიძის წიგნები, გიორგი ჩუბინაშვილის ქონება წიგნებითურთ და კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტის სახელზე გამოგზავნილი მთელი მასალა ანისის მრავალ-წლიანი გათხრების შესახებ, რომელთაც იქ აწარმოებდა ნიკო მარი. ამ ვაგონებს ჩვენთან არვინ გამოჰყოლია. ნათ მოაღწიეს ჩრდილო კავკასიამდე, სადაც ამ დროს სამოქალაქო ომის ცეცხლი იყო გაჩაღებული და ამ ცეცხლში დაიღუპა, თბილისამდე არ მოუღწევია ჩვენდა სამწუხაროდ.

1917 წლის ორი უკანასკნელი თვე და 1919 წლის იანვრის ორი დეკადა მოჰხმარდა უნივერსიტეტის დაარსების პრაქტიკულ საკითხებს. ქართველი ხალხი აღფრთოვანებული იყო უნივერსიტეტის გახსნის მოლოდინში და მოდიოდა და მოდიოდა შეწირულებანი. გადაწყდა, უნივერსიტეტი გახსნილიყო 28 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს (მაშინ დროის ანგარიში ჯერ კიდევ ძველი სტილით იყო ჩვენში).

საკითხი იდგა იმის შესახებ, თუ ვინ

უნდა აგვერჩია რექტორად; რადგანაც უნივერსიტეტის ფაქტობრივი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი იყო, გველა ამ აზრისა იყო, რომ იგი ჩასდგომოდა სათავეში ახლად დაარსებულ უმაღლეს სასწავლებელს. მაგრამ მოხდა, რასაც არ მოველოდით. ი. ჯავახიშვილმა ახალი უნივერსიტეტის რექტორობას თავი აარიდა და ამ ფრიად საპასუხისმგებლო და საპატიო პოსტზე დაასახელა პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, საქვეყნოდ განთქმული ოდესელი ჯიმიკოსი, უკვე ხანში შესული მეცნიერი. ივანე ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ინტერესებით. მართალია, ამ უნივერსიტეტს მომხრე ბევრი ჰყავდა, მაგრამ მოწინააღმდეგენიც ბევრნი იყვნენ, რომელთაც სულ სხვა გეგმები ჰქონდა: დასახული. საჭირო იყო, რომ ასეთ რთულ პირობებში ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სათავეში მდგარიყო ფრიად ავტორიტეტიანი კაცი. ასეთი იყო სწორედ პეტრე მელიქიშვილი, რომელსაც კარგად იცნობდნენ რუსეთშიც და საზღვარგარეთ.

ასე ზრუნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის შესახებ. მისი დიდი ღვაწლი შესანიშნავი მოვლენაა ჩვენი ერის ისტორიაში და მადლიერი ვართ არასოდეს არ დაივიწყებს მას.



საგრო ჯორბენაძე

მოტრდება, თუმცა იხიც საქმარისთა თვალში საცემ წინააღმდეგობათა დასადასტურებლად; ჩანს, რომ ტექსტი არ წარმოადგენს ნინოს ნაშრომს და მის თანაშრომელთა ნაწილს. ჩაწერა რილს. ეს დასტურდება უპირველესად ნინოს ჩამომავლობის, დაბადების, აღზრდის წლების მიმოხილვით. ნინოს დაბადების ერთი თარიღი ეწინააღმდეგება მეორეს. ეს ახალგაზრდა მკვლევარისაგან ბიზანტიის ისტორიის ღრმა ცოდნის მითხობის. თვით ურწმუნო მკითხველაც იძულებულია დაეთანხმოს ავტორისეულ დასკვნას.

მსგავსი რამ ხდება იმ შეუსაბამობათა გამოსარკვევად, რაც წმინდა ნინოს შრომლების მიმართ გვხვდება ძეგლებში. ივანე ქვაზიშვილი აღნიშნავს, რომ ისტორიაში არ არსებობს რამე მონათხმები, რომელიც დადასტურებდა ნინოს მამის, როგორც გამოჩენილი მთავარსარდლის, ხოლო ბიძის როგორც პატრიარქის არსებობას. მით უფრო რომ ამგვარი პირების სახელსა და ღვაწლს იშვიათად ივიწყებენ ეპოთაღმწერლები. არგუმენტები აქაც დამაწერებელი და მიზანში ზვადება. რად ღირს მარტო იმის აღნიშვნა, რომ მეოთხე საუკუნეში იერუსალიში პატრიარქობა ჭერ დაწესებული არ უოფილა. ყველაფერიდან ჩანს, დასკვნის ახალგაზრდა ავტორი, რომ „წმიდა ნინოს ბიძის სახელწოდება, თანამდებობაც, თავგად-სავალიც მოკონილი და შეთხზული უნდა იყოს“. ეს იმითაც მეტიცდება, რომ „მოკლევად ქართლისა“, რომელიც შატბერდისეულ კრებულში ნინოს ცხოვრებას მისდევს, არას ამბობს ნინოს შთამომავლობასა და აღზრდის შესახებ, არ იცის ნინოს შრომლების სახელები.

ასევე დაუჭერებლად მიანდა ავტორს წმინდა ნინოს ცხოვრების დეკავსორება რიფსიშესა და გაიანეს ცხოვრებასთან და თვლის, რომ თვდაპირველად ნინოსა და რიფსიშეს ცხოვრებათა შორის არავითარი კავშირი არ უნდა უოფილიყო. ყველაზე მწკვეე საკითხად იდგა წმიდა ნინოს მეერ ქრისტიანობის ქადაგება საქართველოში. აქ ავტორის აზრი წყაროების მიმართ უკიდურესად უარყოფითია და იგი დაასკვნის კიდევ, რომ წმიდა ნინოს ცხოვრების შესწავლამ „ერთი კიდევ ურიად საუურადღებო დასკვნა შეგუძინა იმის შესახებ, რომ ჩვენ-შეიაც უოფილა ის სასულიერო მწერლობის დარგი, რომელსაც უაღბნათურიანი, ანუ უხვედოეზიგრაფიული მწერლობა ეწოდა და რომელიც ყველაგან გავრცელებული იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. შატბერდისეული წ-ა ნინოს ცხოვრებაც ეუთუნის სწორედ უხვედო-ეზიგრაფიული მწერლობას.

ივ. ქვაზიშვილმა ჭერ წმიდა ნინოს ცხოვრებით დაიწყო და შემდეგ შეეხო ანდრია მოციქულის ცხოვრების საკითხებს. ქართულ სა-

ეკლესიო და საერო ისტორიაში კი შებრუნებით იყო: ჭრ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოსვლა მოთხრობილი, შემდეგ კი ნინოს მოღვაწეობა. ამ საკითხს ეკლესიაში იმდენი იყავი: „ახლა შეიძლება ვადაპრით ვთქვაო, რომ ქართველობას შეცხრე საუკუნემდის ანდრიათ იბერიაში მიმოსვლასა და ქადაგების შესახებ არა სცოდნია რა. მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში თქმულება ანდრიათ მიერ ქრისტიანობის ქადაგებისა ბიზანტიიდან შემოიტანეს ქართველმა ბერებმა და სამშობლოში გააერთიანეს“. ახლა კითხვა ისინი — რისთვის დაპირდათ ეს უცხოეთში ქართულ ტაძრებში მოღვაწე ქართველ ბერებს? საქმე ისაა, რომ ეკლესიის თვითმმართველობისათვის აუცილებელი იყო, რომ ძველად ერთ-ერთ თორმეტ მოკაქულთაგანს გაეერთიანებინათ ქრისტიანობა ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ გზით უნდა დამტკიცებულიყო ქართული ეკლესიის თვითმმართველობის უფლება. ამის შემდეგ და ამ მიზნით ცნობა ანდრიათ იბერიაში ქადაგების შესახებ უცხად გაგრძელდა საქართველოში და სპისინურბნისის კრების დროს (მეთორმეტე საუკუნე) ანდრიათ საქართველოში მოსვლა უდავო ფაქტად განიხილება, ეს მაშინ, როცა ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, „ის ვარსებობა, რომ არც თვით საქართველოში იციოდნენ VIII-IX საუკუნეებში ანდრიათ იბერიაში მიმოსვლას შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვაო, რომ ანდრია პირველწოდებული არც რადის არ ყოფილა კავკასიაში საზოგადოდ და კერძოდ საქართველოში, რომ ანდრიათ მიმოსვლა და ქადაგება იბერიაში მხოლოდ თქმულებაა“.

ვარაუდით რა და ვერაუდით ანდრიათ მოციქულის საქართველოში ქადაგების თქმულებას, — დასძინდა ივ. ჯავახიშვილი, — ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არა გვსურს, რომ ქრისტიანობა საზოგადოდ საქართველოში პირველ საუკუნეებში არ ვრცელდებოდა, რომ ახალი სარწმუნოება პირველ ხანებში არ იკადებოდა უცხ, მაგრამ ჩვენის აზრით, მის არსებობას დასამტკიცებლად სხვა უფრო სანდო და ქვეშაობიტი საბუთების მოყვანაა საჭირო და არა ანდრიათ მოციქულის მოსვლის მოხსენება, როგორც დადგენილი ფაქტისა, როგორც ამას ჩვენი ისტორიკოსები აკეთებენო.

ამრავალ შესამჯერებელი სატრუდენტო პუბლიცისტური რიტორიკით კი არ უარყოფდა საუკუნეებით აღიარებულ მოვლენებს, იგი ღრმა ისტორიულ ფილოლოგიური ზერხებით აღქურცილი ამათუბადა ქართული ისტორიოგრაფიის ცნობილი ავტორიტეტების შეხედულებებს. ესენია პირველ რიგში რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ბაქრაძე, აკადემიკოსი მ. ბარსე და მათი მიმდევარნი მკლევარნი, რომელნიც მისაბამი ერთსუ-

ლოვნებით აღიარებდნენ დადგენილ ფაქტად იმას, რასაც მრავალსაუკუნოვანი ხანდაზმულობა „ქმონდა“ თუმცა ეს სრულიად არ კმარა მოგონილი თქმულების ისტორიულ სამართლედ გასაღებისათვის.

განსაკუთრებული გაბოროტებით შეხვდარეპიკულია სამღვდლოება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის გამოვლას, მათ მარტო ის კი არ აღიზიანებდათ, რომ ნაშრომში ასე ხშირად იყო აღნიშნული: ეს ცნობა დასაჯერებელი არ არის; ცნობა ამა და ამ წყაროდან უწინად გადაკეთებულია; ამ „ცხოვრების“ შესავალიც (ანუ წინასიტყვაობა) თავიდან ბოლომდე შეთხზული და ყალბია; ეს ცრუ და არეული ცნობები არ შეიძლება ნინოს ან მის თანამედროვესაგან მომდინარეობდეს; შეთხზულია ნინოს წინამართა სახელები და მოგონილია ცნობები მათი ცინაობის შესახებ; ცნობები უცნაური და გუგუბარია; დაარღვეულია მოთხრობის ლოგიკური მიმდინარეობა და ა. შ. და ა. შ. რეპიკული სამღვდლოება კიდევ აიტანდა, მისი თვალსაზრისით, ამ მკრებელურ გამოთქმებს, მაგრამ მათთვის პირდაპირ აღუაფეთებელი იყო ის, რომ საერთოდ უარყოფდა მკლევარი ათასი წლის ხანდაზმულობის მკონე საეკლესიო კემშაობიტიად ქვეულ მოვლენებს.

თვითონ ივანე ჯავახიშვილი გრძნობდა იმ უხერხულობას, რაც მის მტკიცებას ახლდა მორწმუნეთათვის. ამიტომ ქართულად და რუსულად დაბეჭდილ ნაშრომს ბოლო გვერდებზე ივ. ჯავახიშვილი საპიროდ თვლის ერთგვარი შენიშვნა გააკეთოს ამის გამო. იგი წერს: „ამ პატარა გამოკვლევაში ჩვენ ვაფარჩიეთ საქართველოს ის საეკლესიო თქმულებები, რომელნიც ათ საუკუნის განმავლობაში ხალხს შესისზღბორებულეა მკონდა და შეურყვეველ, ექვმიუტანელ კემშაობიტიად მიანდა...“ ივანე ჯავახიშვილის კარგად აქვს შეგნებული, რომ ხალხის მიერ რწმენად მიღებულ ამგვარ თქმულებებს ისტორიულად დადებითი როლის შესრულება შეეძლო და ასრულებდა კიდევ. იგი მას

1 მოსე ჯანაშვილი (იხ. „ქართული მწერლობა“, წიგნი მეორე 1909 წ. გვ. 106) არ მალავდა თავის უკმაყოფილებას და გესლნარეველ წერდა: „სწორე გითხრათ, მამა-პაპათა „ზღაბრობას“, ჩვენ, ხშირად, უფრო ვუჭერებთ, ვიდრე ზოგაერთ სწავლულების მეცნიერებას. ჯავახიშვილის „ანდრია პირველ წოდებული“ კი ხომ როგორც დაინახეთ, ვერავის გზას ვერ გუფლავს და ვერც შეცდომას აიყდენს, ვინადაც თვით იგი უფრო სხარტულას ჭვავს, ვიდრე მეცნიერულ გამოკვლევას. სხარტულით არ შეიძლება მამა-პაპათა მრავალსაუკუნოვან რწმენა-გადმოცემის სხვერტა, სხვა, გაქარწყლება“.

მიერვე დაუნდობლად გაკრიტიკებულ თქმულებებზე წერს: „ერთ ღროს შთაღიწივნილობა ჰქონდათ და ქართველობისათვის დიდი სამსახური გაუწევიათ: არაერთხელ და ორჯერ სამშობლოსა და ეკლესიის თვითმართვლობის უღუღუნის დაცვისა და მამადიანთა საზარელი ბატონობის ღროს ამ თქმულებებს ხალხისათვის რწმენა განუმტკიცებიათ, მოუციათ სულტარებლობა და ცხოვრების ტანჯვის ტანა გაუადვილებიათ... ეხლა — ღრო იყო ეს თქმულებები მეცნიერებს შესწავლა და თავისი პარტუზენელი და მიუღვამელი მჭავერი გამოეცქვა“.

კათოლიკობა თითქმის ომბოცი წლის შემდეგ სტუდენტის ნაშრომს და გვიყვარს, აღარება მას იმ ნაშრომებს, რომელსაც მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში იწერებოდა ამ თემაზე, გვიყვარს და ძნელაა თქვა — რა არის უფრო მიმზიდველი მასში — ახალგაზრდა სტუდენტის ღრმა ფილოლოგიურ-ისტორიული ცოდნით შეთარაღება, თუ ძველებსაღმის მეცნიერულად მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება, ამათან ხიფათილედ და წინდახედულად, თუ შუა ისე, რომ ეს არ არის გადაჭრადი გაუბედობაში; მეტიც, დეკლარაციულია შემოქმედებით რისკთან, რომელიც თავისი შინაგანი ლოგიკით მტკიცედ გაქრებთ, რომ ავტორი სიმართლეს ახშობს.

მეცნიერებს გარდუვალ წესად აქვს: უფალზე დიდი ინტერესებისათვის, ისტორიული სიმართლის დადგენისათვის, უფლანაირი ტყუილი და სიცრუე, მათ შორის „წმიდა ტყუილი“, უარყოფილ და გაბათილებულ უნდა იქნეს. არასდროს არ არის გვიან ტყუილის გაბათილება, თუნდაც წმინდა ტყუილს არსებობის 1600 წელი ჰქონდეს შესრულებული!

სიმართლის თქმა არასდროს არ არის გვიან! ახალგაზრდა მეცნიერი ისტორიული სიმართლის დადგენას აცხადებდა მეცნიერების უზენაესს მიზნად და მზად იყო ამისათვის უმოწყალოდ შეეწირა საუკუნეებით მიღებული და ხალხის მიერ ჰერმეტიკად აღიარებული არაერთი ლეგენდა.

შესაშე კურსის სტუდენტის ეს ნაშრომი სრულიად არ ყოფილა ტაბუტური სითამამის გამოყენება. შემდგომ, მთელი სიცოცხლის გან-

მავლობაში, ივანე ჯავახიშვილს არ გადაუხეწია ამ ნაშრომში ჩამოკლებულ პრინციპებისაგან და მთელი სიცოცხლის მანძილზე ამავეთი მეთოთიბედა ამ თავის უპირატეველ ნაშრომზე.

ივანე ჯავახიშვილის პირველ სტუდენტურ ნაშრომს შედეგად მოჰყვა არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიაზე აღზრდილი შეხედულებათა მსხვერვა, იგი იქცა ავტორის მეცნიერულ მანიფესტად, რომელსაც ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოჰყვა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალის მთელი სიკაცობით გაწმენდა და საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერული შესწავლის საფუძვლის დადება. ეს ნაშრომი თავისებურა შექამება იყო იმ სტუდენტური შრომისა და თავგანწირვისა, საოცარი წილებისა, რომელზეც შემდგომ დაეფუძნა ქართული ისტორიული მეცნიერების მკვიდრი შენობა.



საინტერესოა ბედი ოქროს მედლისა, რაც ივანე ჯავახიშვილმა მიიღო; ოქროს მედლის გადაცემა საუნივერსიტეტო წევრის ვითარებაში ხდებოდა. მიუხედავად ვ. როზენისა და ნ. მარის წინადადებისა, ივანე ჯავახიშვილმა უარი თქვა საზეიმო ვითარებაში მედლის მიღებაზე. საუნივერსიტეტო წევრზე თვით გრაფი ვიტტი მოსულა უნივერსიტეტში. სტუდენტებს მისთვის ობსტრუქცია გაუშარათათ. ამის გამო ნ. მარს შემდგომ მოუწონებია კიდევ იგი ჯავახიშვილისათვის საზეიმო სხდომაზე გამოცხადებლობა.

რამოდენიმე დღის შემდეგ კანცელარიაში მიუღია ივანე ჯავახიშვილს ოქროს მედალი.

უფლანადიან ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილს საამოყენებდა მისი სტუდენტური ნაშრომის ამგვარი აღიარება და მიღებულ მედალსაც უფროსილდებოდა, მაგრამ შემდგომ წლებში, ერთხელ, როცა გაქირვებია, 120 მანეთად დაუბარებებია იგი. გამოსასულილად მხოლოდ ერთი დღის დავჯიანებით მისულა, გვერდეთო, მოუტყუილებიათ და მედალი აღარ მოუციათ. ეს მედალი კი ერთადერთი პრემია იყო, რომელიც თავისი ნაშრომისათვის მთელ სიცოცხლეში ივანე ჯავახიშვილმა მიიღო.



სოლომონ ხუციშვილი

ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი

„ილია ჭავჭავაძე ზვენი კულტურის სწორ-
პოეზი ბელადი და ხელმძღვანელი იყო“.
ივანე ჭავჭავაძე

I. საისტორიო თხზულებებსა, მემატიანეთა და ეპოქალმწერელთა შრომებისა და სიველ-
გუქართა გვერდით საქართველოს ისტორიის
კლდევაში ივანე ჭავჭავაძე დიდ მნიშვნე-
ლობას აძლევდა ქართული მხატვრული ლიტე-
რატურის ძეგლებს და მათ, სხვა საბუთებთან
ერთად, თანაბრად იყენებდა ისტორიის ამა-
თიუმ საკითხის დასაბუთებლად, თუ განსა-
მარტებლად. მის მიერ დაარსებული სერაის
— „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდე-
ბი წინათ და ეხლა“ — ერთი წიგნი — „ძვე-
ლი ქართული საისტორიო მწერლობა“ შესა-
ნიშნავი დადასტურებაა იმათა თუ რა როლს
აკისრებდა დიდი შეცნიერა-ისტორიკოსი ქარ-
თული მწერლობის ძეგლებს, როგორ იყენებ-
და იგი მხატვრულ თხზულებებს, როგორ
კრეფდა იმათგან ეპოქის დამახასიათებელ სა-
ბუთებს და რა მნიშვნელობას აძლევდა „ქარ-
თლის ცხოვრებას“, „მატიანე ქართლისისა“
და ისტორიულ ქრონიკათა გვერდით ქართულ
მხატვრულ ლიტერატურას.

ისიც აღსანიშნავია, რომ ქართული მწერ-
ლობის უძველესი პერიოდის ავტორები თა-
ვიანთ თხზულებებს მრავალი, ისტორიკოსისათ-
ვის გამოსაყენებელი ცნობებით ავსებდნენ.
მაგრამ, ვინ იტყვის, რომ შემდეგი დროისა
და XIX საუკუნის ქართველი მწერლები თა-
ვის შემოქმედებას არ ამოადრებდნენ დროის
დამახასიათებელი მოვლენებისა და ფაქტების

აღწერით, არ კმნიდნენ ისეთივე ღირებულე-
ბის მქონე მასალას, როგორც იქმნებოდა უძ-
ველს და ძველ საუკუნეებში? ივანე ჭავჭავა-
ძის შემთხვევა არ მქონია, თავისი მეცნიე-
რული ინტერესით XIX საუკუნის საქართვე-
ლოს ისტორიას შევებოდა, თუმცა ამ საუკუ-
ნის, ძირითადი მიმართულებაში მაინც და-
ხასიათა 1906 წელს პეტერბურგში რუსულ
ენაზე გამოცემულ ნაშრომში — „პოლიტიკუ-
რი და სოციალური მოძრაობა საქართველოში
XIX საუკუნეში“.¹

2. ივანე ჭავჭავაძე 1906 წელს პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქართ-
ულ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. იგი წერ-
და: „ამ სამეცნიერო წრის უმთავრესი მიზანი
იყო და ეხლაც არის, რომ მიხი წევრები სა-
ქართველოს წარსულისა და აწმულის მეცნიე-
რულს შესწავლას თითონაც შესწევადნენ და
შეძლებინდავენადად ისეთი საქმის განხორციე-
ლებაც ეყისრათ, რომელსაც ქართული ფართო
საზოგადოებრივობისთვისაც მნიშვნელობა ექ-
ნებოდა და სარგებლობას მოუტანდა“.²

წრის ხელმძღვანელს წევრებისათვის მიუ-
ცია დავალება — საქართველოსა და ქართვე-
ლების შესახებ ბიბლიოგრაფიის შედგენა. რაც
აუცილებელი პირობაა სამეცნიერო მუშაობის
წარმოებისათვის; თვით ივანე ჭავჭავაძეც თა-
ვის სტუდენტობის ხანს, რაჟი გათვალისწინე-

ბულია ჰქონია მნიშვნელობა იმ მასალებს, XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში რომ იყო გაუანტული, დაწერილებით შეუხ-
 წავლია ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ 1886-1896 წლებსა, ე. ი. იმ დროსა, როცა „ივერია“ უკვე აღდგურ გაზეთად გამოდიო-
 და, ვიდრე 1898 წლის 17 მასხაშედ, როცა ილია ჭავჭავაძის გაზეთი მეფის მთავრობამ აკრძალა რვა თვით, 1897 წლის 17 იანვრამდე. ივანე ჭავჭავაძის გაუცემებია სრული ნუხსა
 ათი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ლექსე-
 ბისა, მოთხრობებისა, გამოკვლევებისა, წერი-
 ლებისა, ერთ სიტყვით. დაწერილებით შეუხ-
 წავლია „ივერიის“ ის პერიოდი, როცა ამ გა-
 ზეთში, გარდა მხატვრული თხზულებებისა,
 სუბტილისტური, კრიტიკული ნაწარმოებებისა
 და მეთაურებისა დაიბეჭდა მასალები კრწა-
 ნისის ბრძოლის ასი წლის შესრულე-
 ბის გამო, ნიკო ბარათაშვილის ნუს-
 ტის განჭადან თბილისში გადმოხვეწებაზე,
 ნეკროლოგები დავით ერისთავის, იოსებ დავი-
 თაშვილის, შამია გურგენის, ივანე კერესელი-
 ძის, ვახტანგ ორბელიანის, აღესპანდრე უაზბე-
 ძის გარდაცვალებათა გამო, წერილები და ან-
 ვარიუმები რადიკალი ერისთავის სახელოვან
 თუბილზე. დაიბეჭდა ნაწარმოებები ვუბ-
 ფშავლასა და მისი ძმებისა, ეკატერინე ვახაშ-
 ვილისა, იროდიონ ევდოშვილისა, ია ეკალა-
 ძისა და სხვათა მრავალთა, რასაც სტუდენტი
 ივანე ჭავჭავაძე იპირველნაბეჭდებთ ეცნო-
 ბოდა „ივერიის“ ამ პერიოდის ბიბლიოგრა-
 ფიის შედგენისას.

ივანე ჭავჭავაძის შეგნებაში მისი ჭაბუკო-
 ბიდანვე შევიდა ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ
 როგორც ქართული პრესის მეთაური, არამედ
 ქართული მხატვრული ლიტერატურისა და სა-
 ჭოგადობრივი აზროვნების წარმმართველიც.

ივანე ჭავჭავაძის ქართული სტუდენტთა სა-
 მუცნიერო წრის მთავარ ამოცანად დაუსახავს
 ქართული პერიოდული გამოცემების შესწავ-
 ლა; წრის მუშაობა 1903 წელს დაწყებულა-
 ლხანაშენაია, რომ სტუდენტთა ერთობლივი
 ნამუშევარი, ნ. მარას წინადადებით, მეცნიე-
 რებათა აკადემიამ შეისყიდა და 1910 წელს ამ
 ბიბლიოგრაფიის პირველი ნაწილი დაიბეჭდა
 კიდეც პეტროგრადში, აკადემიის სტამბაში, სა-
 ხელწოდებით „ქართული ბიბლიოგრაფია“.

მ. სამცხენიერო წრის წევრთა შრომა ივანე
 ჭავჭავაძის მეთაურ მიმართულებითაც წარუ-
 მართავს. იგი წერდა: „ამ დიდ ერთობლივ
 შრომის გარდა (ამ იგი ვუგლისხმობდა ქართუ-
 ლი ბიბლიოგრაფიის შედგენას, ს. ხ.), სამცხ-
 ნიერო წრის წევრები მოხსენებებსა სწერდ-
 ნენ სხვადასხვა საკითხის შესახებ და კითხუ-
 ლობდნენ წრის წევრთა კრებებზე...“ სტუ-
 დენტთა ასეთი მოხსენებები 1915 წელს წიგ-

ნად გამოცემა უკვე თბილისში. წიგნს წამძლ-
 ვარებული აქვს თვით ივანე ჭავჭავაძის წი-
 ნაბეჭდვაობა (რაც მის თხზულებათა გამოცე-
 მებში აღარსად არ შეუტანიათ, ს. ხ.); ამა-
 მისმდევეს შოთა დღიანის „ქართული კლდე-
 ისტორიული წყაროების და „ვეფხისტყაოს-
 ნის“ მიხედვით“, იოსებ ანთაძის — „უმების
 მფლობელობის ხასიათი საქართველოში“ და
 „წელის მფლობელობა და სარწყავი წყალი
 საქართველოში“, დავით ეკაბაძის „ქართული
 ხატების მოკეთდობის სახეები“, გიორგი თარ-
 ხანიშვილის „სასამართლო წარმოება საქარ-
 თელოში“, აკაკი შანიძის „ქართული კლდე-
 მათა“ და გიორგი კუბაშვილის — „მოქალაქე-
 ობრივი მანკები ილია ჭავჭავაძის ნაწარმო-
 ბებში“.

გ. კუბაშვილის წერილის გამო ივანე ჭავჭავაძე
 ვილია წიგნის წინასიტყვაობაში წერდა: „გ. კუ-
 ბაშვილის მოხსენებებს... 20 თებერვალს 1912 წ.
 წაკითხულს, მანად აქვს ამ მოღვაწის სული-
 ერ შემოქმედების განვითარების გათვალის-
 წინება, რომლის დეწლი ახალ საქართველოს
 წინაშე გაწეწოდა. მოხსენება დაწერილია
 იმ დროს, როდესაც ი. ჭავჭავაძის პოეტურ
 თხზულებების ბატი. ნ. ვედვენიშვილის სრუ-
 ლი გამოცემა გერ არ იყო დაბეჭდილი და მო-
 ხსენებელს არც საჭირო ბიოგრაფიული ცნო-
 ბები ჰქონდა. განსვენებულ პოეტის პირადო-
 ბასთან დაკავშირებული მასალები, ილიას მი-
 წერ-მოწერაც, ეხლანდელსავით გამოუცემე-
 ლი იყო. დედაზრი ავტორის მაინც შეაფილად
 გამორკველია და დასაბუთებულა აქვს. მო-
 მადეში იმეფია თვით მოხსენებელივე უწე-
 ლა საჭირო მასალებს შეგროვებს და თავის
 თემას ხელმეორედ შეისწავლის და შეიმუშა-
 ვებს“.

გ. კუბაშვილის წერილის მთავარი თემატება,
 ცხადია, ივანე ჭავჭავაძის მეთაურული თე-
 მითა ოქნებოდა გამოიმუშავებულა. წერილში
 ხაზგასმით არის წინ წამოწეული ილია ჭავჭა-
 ვაძის შემოქმედების მთავარი აზრი: „ქართუ-
 ლის ბედი“ — ქართული საზოგადოება — აი, რა
 გაიხადა მან კერხად და რას დაუწეო სამსა-
 ზური მწერლობის მეოხებით... ის (ილია) ჭა-
 ვაძე, — ს. ხ.) პირველი იყო, რომელმაც ზე-
 ნი მწერლობა ევროპის მწერლობის გზაზე
 დააყენა... ილიამ სწორედ ეს საშინელი მდგო-
 მარეობა ამოიღო მიწაში (ივლისსხებება სო-
 ციალური უსამართლობა, ს. ხ.) და რასაც
 იპირელი და ბასრი ხმალი ვერ იხამდა, ის თა-
 ვის მადლიან კლამს შეაძლიანა... რომ ავტო-
 რდებთ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღ-
 ვაწეობას, რწმუნდებით, რომ ილია ისეთი
 მწერალი იყო, რომელსაც ჩაგრული მომე-
 უყვარდა, მის ტანკვას რომ უყურებდა, თვი-
 თაც ტანკვებოდა და ამ ტანკვას ცრემლის მო-
 საწმენდად იყო მომართული პოეტის მკვეთ-

რი კალამი, მშრომელის ხედი რომ გულს უწუ-
ლულება, მაგრამ უკეთესი მომავალი სწამდა
და გულს არ იტებდა“.⁴

4. 1914 წელს ექიმ მიხეილ გედევანიშვილის
თაოსნობით და მკვდლობით გამოვიდა ილია
ქავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი. ვან-
ზარბული იყო მწერლის შემოქმედების მდიდ-
რული, დასურათებული გამოცემა, მაგრამ მას
ხელი შეუწავლა მსოფლიო ომმა.

მიხეილ გედევანიშვილმა გამოცემისათვის
შექმნა სარედაქციო კომისია, რომელსაც უნდა
განეხილა გამოცემის გეგმა და შეცვლილი მა-
სალები. ამასთან, სარედაქციო კომისიის თითო-
ეულ წევრს დავალებული ჰქონდა განსაკუ-
თრებული რამ გამოცემის სისრულისათვის. სარ-
ედაქციო კომისიაში შედიოდნენ: კიტა აბაში-
ძე, იოსებ გედევანიშვილი, ივანე გომართელი,
ივანე ზურაბიშვილი, გიორგი ღახიანიშვილი,
იაკობ ფაცხავა, ნიკო ჩიკვაძე და ივანე
ჭავჭავიძე. ივანე ჭავჭავიძისათვის სარე-
დაქციო კომისიას უფხოვია ილია ქავჭავაძის
პეტერბურგის პერიოდის მასალების შეკრება:
„თხოვთ დავეხმარათ ილიას ბიოგრაფიისათ-
ვის საქირო ცნობებით, რომელნიც ეხებოდა
და ახსიათებდა მის სტუდენტობის და პეტერ-
ბურგში ცხოვრებას. ეგონებთ, რომ საქირო
ცნობები მოპოვებოდა არქივში. იქნებ კუთხი
ინებოთ და ამგვარი ცნობების შეკრება და
ჩვენამდე მოწოდება იყოსროთ, რითაც ბევრს
დაგვაულებთ. სხვათა შორის, საქიროც ცნობე-
ბი ილიას შეკადნიერების შესახებ, აგრეთვე მი-
სი დასკოლებულება და განწყობილება რო-
გორც სხვადასხვა სტუდენტთა ჭგულებთან,
აგრეთვე კერძო პირებთან. იქნებ მოიპოვებო-
დეს ახლაც პეტერბურგში ის სახლი, სადაც
ილია სტუდენტობის დროს ცხოვრობდა და
სხვა ამგვარი“.⁵

1912 წლის 5 მაის ივანე ჭავჭავიძელმა სარ-
ედაქციო კომისიას მოხსენება წარუდგინა
მისგან მოპოვებული მასალისა და ცნობების
თაობაზე, რაც კი შეეკრება პეტერბურგში ილია
ქავჭავაძის ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ივანე ჭავჭავიძელს პეტერბურგის უნივერ-
სიტეტის არქივიდან ამოუყრებია საბუთები,
კერძოდ, რომ ილია ქავჭავაძემ 1857 წელს ამა-
ღლის პრისბიტერ ცხოვრობდა, აღმართ-
ტისტოს მეორე ეპარქიაში, ვაჭარი ქალის
კოლინის სახლში, შემდეგ კი გადასულა ბოლ-
შაია მორსკაიაზე, № 39 სახლში; რომ უნივერ-
სიტეტში ჩარიცხვის ახოვანა 1857 წლის 20
ივლისს დაურეკია, იმ წლის 28 სექტემბერს
იგი ჩაურციხავთ სტუდენტად, პირველ ნომ-
ბერს სწავლას ფულა 25 მანეთი გადაუხდია,
1858 წლის 15 იანვარს თელავის მზრის თა-
ვადანსაურთა წინამძღოლისაგან გაცემული
სიღარიბის მოწმობა წარუდგინა, 1859 წლის

მაისის თვე ავადმყოფობაში გაუტარებია. 1868
წელს, 4 ნოემბერს, ილია ქავჭავაძის თბილისი-
დან უახლოვნი უნივერსიტეტისათვის მოწმო-
ბას გადამოგზავნა, რომ იგი უნივერსიტეტში
სწავლობდა და მიუღია კიდევ: 1857 წლის 21
ივლისიდან იურიდიული ფაკულტეტის კამე-
რალურ მეცნიერებათა განყოფილებაზე ლექ-
ციებს ისმენდა და 1861 წ. 12 ოქტომბერს თა-
ვისი თხოვნით ამორიცხულია უნივერსიტეტის
მეთთებ კურსიდან. ამიტომაც კურსდამთავრე-
ბულის უფლებით ვერ ისარგებლებს და თუ
სამოქალაქო სამსახურში შევა, ჩაირიცხება
მონებელთა მეორე განრიგში. მართლაც, ილია
ქავჭავაძე 1868 წელს შედგენილ ნაშახურ-
ბის სიაში „კოლეჯსკო რეგისტრატორის“ გან-
რიგის მქონედ მოიხსენება.⁷

ივანე ჭავჭავიძის შეკრებილი მასალებით
ისარგებლა გრიგოლ უფიშაძემ, რომლისაგან
დაწერილი ილია ქავჭავაძის ბიოგრაფია დაერ-
თო მწერლის თხზულებების გამოცემა, ეს
მასალები, სხვებთან ერთად, შემდეგ გამოაქ-
ვესა გიორგი ლეონიძემ.⁸

5. 1937 წელს, ილია ქავჭავაძის დაბადების
ასი წლის შესრულებასთან დაკავშირებით ივა-
ნე ჭავჭავიძელმა ენისა, ისტორიისა და მატე-
რიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში
საქარო ხელმძღვანე წაიკითხა მოხსენება „ილია
ქავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, რაც
მომადგენო წელს კლავ წიგნაკად დაიბეჭდა.
ამ ნაშრომში ივანე ჭავჭავიძელმა ვრცლად
წარმოადგინა თავისი შეხედულებანი ილია
ქავჭავაძეზე, როგორც საქართველოს ისტო-
რიის მკვლევარზე და დაახასიათა მწერლის
მოსაზრებანი ქართველი ხალხის ისტორიული
წარსულის კვლევასთან დაკავშირებით.

ილია ქავჭავაძის შეხედულებების გამოარ-
ვევლას ივანე ჭავჭავიძელმა მხედველობაში არ
მიიღო მწერლის მსატვრული შემოქმედება,
რადგანაც „მიზნად იქ ავტორს საქართველოს
ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული“, არა-
მედ ისეთი წერილები, რომლებიც ამჟღავნებ-
დნენ ილია ქავჭავაძის კონცეფციის და მეთო-
დოლოგიას საქართველოს ისტორიის დარგში.

ილია ქავჭავაძის ისტორიული კონცეფციო-
დან ივანე ჭავჭავიძელი, უპირველეს ყოვლისა,
გამოყოფს ისტორიის მნიშვნელობას ერის
ცხოვრებაში. ერის ისტორიული წარსული არის
საბუთი მისი შემოქმედებითი არსებობისა, მი-
სი აყვარებისა. ისტორიის მქონე ხალხებს უც-
ხოვრიათ აქტუალური ცხოვრებით, შეუქმნიათ
თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, ჰქონი-
ათ ურთიერთობანი თავის თანამედროვე ცხოვ-
ლიზებულ საყაროსთან. ივანე ჭავჭავიძელი
ხაზგასმით მოიხსენიებს აგრეთვე ილია ქავჭა-
ვაძისაგან განსაკუთრებულად აღნიშნულს,
რომ როგორც ადამიანი, ისე ერმა უნდა იყო-

დეს, საიდან მოდის, საით მიდის და ვინ არის; როგორც ადამიანი, ისე ერთი არ შეიძლება უბინაო იყოს.

ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებულად აღნიშნა ილია ჭავჭავაძის განცხადება, რაც დაკავშირებული იყო ერთხელ წარსულთან, ამ წარსულის იგნორირებასთან, რაც მისი აზრით, ნიშანი იყო „ერთის დაცემისა და ვათახსირებისა“. ისტორიის შეგნებულად დაწვევა, ამ მისი და მისივე და ისე წარმოადგენა, ილია ჭავჭავაძის მიუჩნევია ერთს დაუძღვრებად, ღანჯუტებად, დაძახუნებად. ივანე ჯავახიშვილი ამის შემდეგ დაასკვნია: „ყოველმა კულტურულმა ერთმა თავისი წარსული კარგი და სრული შეგნებით უნდა იცოდეს“.

ივანე ჯავახიშვილმა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნია მწერლის განცხადება ქვეყნისა და ხალხის ისტორიის დაუშვებლობის თაობაზე, რომ ისტორიულ ქრონიკებში და, მაშასადამე, ისტორიის ნარკვევებშიც არ ჩანდა ხალხის ისტორიის მონაწილეობა, რომ საქართველოს წარსულში გამოკვეთული არ იყო ხალხის ადგილი. ილია ჭავჭავაძის აზრი, რომ „ქართლის ცხოვრება ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, თითქოს ხალხის ისტორიის შესაძენებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“. ივანე ჯავახიშვილმა მართებულად ჩათვალა და აღნიშნა, რომ ილია ჭავჭავაძემ ბრწყინვალედ გაიგო აზრი და შინაარსი ისტორიული ქრონიკებისა, რომ საქართველოს ისტორია მეტწილად ჯერ შესწავლილი არ არის, მხოლოდ უფეროდ წარმოებული კვლევა-ძიება მიმდინარეობდა, ან მიზანძველობა და სქემატიზმი უშლიდა ხელს წარსულის ნამდვილ რკვევას.

ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიუქცევია ერთ მეტად გადამწყვეტად საკითხისათვის, რასაც თურმე მანამდე არც ერთი ისტორიკოსი არ შეხებია. ივანე ჯავახიშვილმა ილია ჭავჭავაძის კონცეფციის სწორად ამ ორიგინალურ თემას მოჰკიდა ხელი და მწერლის სადიდებლად თქვა, რომ მართალია ამ საკითხის დასამაშად, როგორც არა ისტორიკოსის არ მოკეთებობდა, მაგრამ, რადგან დააყენა ეს საკითხი, სწორად იმითომ, რომ მას, ილია ჭავჭავაძის, საოცრად ღრმად შეუხწავლია თავისი ერის ისტორია და მის შრავლად მხარეს ღრმად ჩამკვირვებია. ილია ჭავჭავაძის უთქვამს: „საკვირვებელი ეს არის, — რა ქონებამ გაუფლგო ამისთანა ყოფას? რა სკვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ამოღებულ იმებსა და სისხლის ღვრას? ეს ერთი მუქა ხალხი თითქმის ქვეყნად კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ბელში, რომ მტრისაგან არ ადგვდიყო და საზოგადოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“

ივანე ჯავახიშვილის აზრით საქართველოს ისტორიის შესწავლაში ასეთი საკითხის დაყენება ილია ჭავჭავაძის საკუთრებაა, „ქართველთა მას ეუფთვნის, „მან პირველმა ქართველი ხალხის შრავლასაუფუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა. არა მხოლოდ ასეთი საკითხის დაყენებისას უფოთლა შესაძლებელი პასუხის გაცემა მასზე, არამედ საკმაოდ დიდი ხნის შემდეგაც ვერავის გაუტია პასუხი ილია ჭავჭავაძისაგან დაყენებულ კითხვაზე. რასაკვირვებელია, პასუხის გაცემა თვით ილია ჭავჭავაძისათვისაც ძნელი იქნებოდა, თუმცა მას მაშინვე უთქვამს, რომ „ამასი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებსა და წყაროში უნდა მოიწიხებოდეს. უმჯობესია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი უფოთლა, რომ ხალხს აქედამ ჰქონია ის ქონებათი ძალ-ღონე, რომლითაც იგი ვასძლილია ამოღენა ვი-ვაჯალბსა“.

ივანე ჯავახიშვილმა სათანადოდ შეაფასა ილია ჭავჭავაძისაგან საკითხის ამ თვალსაზრისით დაყენება, იგი მეტად მნიშვნელოვნად ჩათვალა, რის გამოკვლევის გარეშეც არ იქნებოდა მართალი ქვეყნის ისტორიული წარსულის წარმოადგენა. „მან, — განაგრძობს ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის, — ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის განაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა“.

ივანე ჯავახიშვილს ძველ საქართველოში უპირველეს ადამიანად დავით აღმაშენებელი მუყავდა დასახელებული. ილია ჭავჭავაძის მოსაზრებათა შორისაც მას დავით აღმაშენებელზე გამოთქმული აზრი აქვს მოტანილი. ილია ჭავჭავაძის აზრით, დავით აღმაშენებელი ცნობილია არა როგორც მხოლოდ სახელგანთა მეფე, არამედ როგორც დიდბუნებოვანი ადამიანი, რაც გამოიხატებოდა სხვათა სარწმუნოებისა და შეხედულებათა შემწუნარებლობაში. ივანე ჯავახიშვილი ამიტომ დაასკვნის, რომ ილია ჭავჭავაძის საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშრომებში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ უფრო მეტად იმ მოღვაწეების კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლებების პატივისცემა იზიდავდა!

ივანე ჯავახიშვილს არ შეეძლო არ განემარტა ილია ჭავჭავაძის იმ წერტილის აზრი, რომელიც მწერალმა გამოთქვა ცნობილი ივანე ჯავახიშვილის მიმართ, რომლის წერტილი «Письма о Грузии» გამოკვეთდა თურნად «Северной вестник»-ში. 1880 წელს Н. Д.-ის ინციპიენტობა. ივანე ჯავახიშვილმა ილია ჭავჭავაძის გამოხმაურება ამ წერტილზე ჩათვალა ნიშნად ჩანსალი და კრიტიკული დამოკიდებულებისა მატონება და მეტატიანეს მიმართ, მატონე ცნობას იძლევა, რომ თამარმა შამქორს ვაი-

ლაშქარ თავისი ახლადშექმნილი ძის სახელწოდებით. ა. ჭაბადარმა აუჯათ მოიხსენა ქალი მეფე იმისათვის, რომ შეიღის სახელის განსაზღვრებლად ამხელა ლაშქარმა მათაყუა. ე. ჭავჭავაძემ მითითა ია. ჭაბადარს და ამხილა კიდევ, რომ შატაბანის ცნობებს ისტორიის მკვლევარს და ა. ჭაბადარს კრიტიკულად უნდა მომკიდებოდა და უნდა ეფიქრა, რომ შაშქარის ომი არ შეიძლებოდა ყოფილიყო თამარ მეფისათვის მისი მხედართმთავრის ჭირვეულობა, არამედ იგი იყო საქართველოს სამხრეთი საზღვრის უზრუნველყოფისათვის მოწყობილი ლაშქრობა, დაე საქართველოდან შორს, მაგრამ მაინც საზღვრის უზრუნველყოფა სამხრეთით იმის შემდეგ, რაც ქრისტიანული სიმბეთი შეიძლება და დაეცა. ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ ილია ჭავჭავაძემ სრულიად მართებულად გაიყო შინაარსი ამ ცნობილი ისტორიული ფაქტისა და ამხილა უწყდომობა ის ბურუსი, რომელშიც ივანე ჭაბადარი იყო გახვეული.

საქართველოს წარსულში, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ილია ჭავჭავაძის ხაზგადგენა ერთ-ერთი თავის განწირვის იდეა და ფაქტებია. ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძე წინ წაშლისწევდა დემოკრატული თვალსაზრისისა და ლუარსაბ მეფის, როგორც ჭვეუნისა და ხალხისათვის თავშეწარულ გვირგვინს. ივანე ჯავახიშვილი ეთანხმება ილია ჭავჭავაძეს, რომ საქართველოს ისტორიას ჭერ კიდევ არ უთქვამს გადამწყვეტი სიტყვა ვიოტარს საკაქეთე.

ილია ჭავჭავაძის ისტორიის მეთოდოლოგიაშიც შეუტანია წვლილი, ისტორიული კრიტიკაც და კვლევაში შედარებითი მეთოდის მოხმარება აუცილებელ და მძლავრ საშუალებად მიუჩნევია. ილია ჭავჭავაძე კიდევაც ირწმუნებოდა, რომ ვიდრე ეს ხერხები არ იქნება გამოყენებული და მომარტყვებული, ყოველთვის იქნებოდნენ ჭაბადარისთანავე შეხედულებების მქონენი საქართველოს წარსულზე. ივანე ჭაბადარმა არ იცოდა ისტორიის კრიტიკა და ვერც შედარებითი მეთოდი მოიხმარა, ამიტომაც „ილია ჭავჭავაძე, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — მაშინდელი მკითხველისა და მკვლევარისათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტყვას თვითონვე შეუდგა“. ივანე ჯავახიშვილს საყურადღებოდ მიანია აგრეთვე ის, რომ ილია ჭავჭავაძე არ დაჟმყოფილდა ამით, „არამედ უკმაფლად საქართველოს წარსულის შესაზღვრლად ამ ორი მეთოდის მარტყვად და საყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა“ და, ივანე ჯავახიშვილი ასახელებს „ქართლის ცხოვრების“ მიმართ ილია ჭავჭავაძის კრიტიკული დამოკიდებულების ფაქტს.

ივანე ჯავახიშვილი აღტაცებას გამოთქვამდა ილია ჭავჭავაძისაგან გამოყენებულ რამდენიმე

მე ლინკვისტური ანალოზით და იმ დრმა ცოდნის გამოყენება-მომხმარებელი რაც არასტეციალისტ ილია ჭავჭავაძეს უწარმოებია. ევროპელ ენათმეცნიერთა ნაშრომებზე და მითითებებზე დაუბრუნებოდა, განსაკუთრებით ქართული ზმნის ხასიათი დაინტერესებისათვის გაუსვამს ხაზი და ზმნის „მართლაც განსაკუთრებულ ფორმებს“ ხაზებისა და აზრის ჩვენება აღუნიშნავს ილია ჭავჭავაძისაგან.

სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილს ილია ჭავჭავაძის უფლება ისტორიული ხასიათის ნაწერი არ განუხალავს, თუმცა ეს არც წარმოადგენდა იმტყრად მის მიზანს. მას უნდადა ეჩვენებინა, „თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის ღარკვლევა“.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა აქტუალურობასა და ორიგინალურობას, ამასთან, იგი მითითებს, რომ „რენი ლიტერატურის მოაზრების ფრიალ საგულისხმოდ მოსაზრებანი“ არც ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში, არც შემდეგ არავის გამოუყენებია.

ივანე ჯავახიშვილმა ამ ნაშრომით, შეიძლება ითქვას, შეაქამა თავისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის, როგორც „ახალი საქართველოს მოღვაწის“ (ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით) მიმართ. ამის შემდეგ მას საშუალება აღარ ჰქონია შეხებოდა მწერლისა და მოღვაწის სახელსა და საქმიანობას. თავისი მცირე გამოკვლევის უქანასკნელ წინადადებაში კი ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის მომავალ მოღვაწეთა საუურადღებოდ ხაზგასმით აღნიშნა: „ვიანც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 საუკუნის ამბებს შეისწავლის და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ან და კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქნელი კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონდა, რომლის დაეწყებას უფლებია არც ერთი ქართველს არა აქვს“.

სრულიად გარკვეულად, XIX საუკუნის 60-იანი წლები, „ოთრგდალეულობა“ და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხანა ივანე ჯავახიშვილს ჩათვლილი ჰქონდა ჩვენი ჭვეუნის ცხოვრების განახლების ხანად, ხოლო ილია ჭავჭავაძე ამ სიხლის დამწყებად და განმამტკიცებლად მყავდა მიჩნეული.

ასეთი ადგილი მისცა ივანე ჯავახიშვილმა თავის შეგნებაში XIX საუკუნის დიდ მოღვაწესა და მწერალს ილია ჭავჭავაძეს.

ლიტერატურა:



1 ქართული ერის ისტორია, წიგნი 5 — „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“, რუსულად, გვ. 98-129, თბ., 1953.

2 პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული ივ. ჭავჭავაძის რედაქციით, წინასიტყვაობა, თბ., 1915 წ. გვ. I-VII.

3 ქართული ბიბლიოგრაფია, I, ქართულ ეროვნულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მიხედვით, პეტროგრადი, 1916 წ., იოსებ ყიფშიძის რედაქციით და წინასიტყვაობით.

4 გიორგი ჭეჭეჭიანი, „მოქალაქეობრივი განთავსების ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში“, პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის კრებული, გვ. 152-184.

5 ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ. ტფ., მიხეილ ვედეანიშვილის გამოცემა.

6 ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ. უნივერსიტეტის გამოცემა. გიორგი ლეონიძე, „მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის“.

7 საისტორიო მოამბე, III ვ. ა. იოვიძე, „ილია ჭავჭავაძე — დოკუმენტალური მასალები“.

8 ივანე ჭავჭავაძის, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, 1938 წ.



36 პერიან ითონიშვილი

ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის მკვლევარი

ივანე ჯავახიშვილის სახელი საშუალოდ დამკვიდრდა ქართული ხალხის ყველა ეპოქის სასიკადლო მამულიშვილთა შორის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სახელის მისახვედრად სავსებით იკმარებდა „ქართველი ერის ისტორიის“ ხუთტომეულის შექმნა და ქართული უნივერსიტეტის დაარსება, მეგრამ ეს ორი უდიდესი მონაპოვარი ხომ მხოლოდ ნაწილია ივ. ჯავახიშვილის ესოდენ მრავალფეროვანი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. უნივერსიტეტის დაარსებასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის, სახელთან არის დაკავშირებული მრავალი დიდშენიშენლოვანი ღონისძიების განხორციელება კულტურისა და განათლების სფეროში. განუზომლად დიდი როლი შეასრულა მან, როგორც ქართულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუძემდებელმა, ქართველი ერის ისტორია, ქართული ისტორიული გეოგრაფია, ქართული პალეოგრაფია, ქართული საისტორიო მწერლობა, ქართული წყაროთმცოდნეობა, ქართულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ქართული სამართლის ისტორია, ქართული მუსიკის ისტორია, ქართული ეთნოგრაფია, საქართველოს ეკონომიური ისტორია — აი არასრული სია ქართული ზემანატიკარული მეცნიერების იმ დარგებისა, რომლებაც მუარ ნიადაგზე დააფუძნა ივ. ჯავახიშვილმა. მისი სამეცნიერო შემეცნიერება რამ სრული სახით გამოიყენა, აღმათ წამდევ სქელტანიანი ტომი შეივსება. ასეთი მრავალმხრივი და დიდი მოცულობის პროდუქტია შექმნილი ივ. ჯავახიშვილის ბრწყინვალე ნების, ღრმა განსწავლულობის,

ფართო ერუდიციის, სამავალითო მეცნიერული კეთილზინდისიერების, იშვიათი ნებისყოფისა და ტიტანური შრომის წყალობით. ივ. ჯავახიშვილმა მანამდე მიუღწევად საფესურზე აიყვანა ქართველოლოგიის მრავალი დარგი. თავისი კაპიტალური გამოკვლევებით მან ახალი ეტაპი შექმნა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შემეცნიერებაში დიდი ადგილი უჭირავს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხების კვლევას. მის სახელთან არის დაკავშირებული პირველი ფუძემდებლური შრომების შექმნა ქართული ხალხის სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის სფეროში, რითაც მუარა მეცნიერული ნიადაგი მომზადდა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის. ივ. ჯავახიშვილი ამომწურავი სისრულით იყენებდა და აანალიზებდა ისტორიული ეთნოგრაფიის მონაცემებს წერილობითი წყაროებიდან და ფართო მეცნიერულ მიმოქვეყანა შემოიქმნა სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა დროს გამოშვერებული სავსე ეთნოგრაფიული მასალები. ივ. ჯავახიშვილმა შემოშვერა სავსე და სამეცნიერო-კვლევითი მეთოდი და მოამზადა სპეციალურა გეგმა-კითხვარები, რასაც არაერთი სპეციალისტი სახელმძღვანელოდ იყენებდა სავსე მასალის (უმთავრესად შინამრეწველომის) შეგროვებას მიზნით. ამასთან ერთად, ქართველ საბჭოთა მკვლევართა შორის პირველმა მან განასწავრა ეთნოგრაფიული მასალის სპე-

ციფრა და გამოჩინა მისდამი კრიტიკული დამოკიდებულება. მისი შეხედულებათ, „უბეველია, ხალხურს მესხიერებასა და ზემარბიტყვაობას უფველესი ხანის ზენეველებანი, მსოფლმხედველობა და რწმენა, ზღაპრები და თქმულებები, დოცვა-სავედრებლობითი წარსათქმულები და წარმართული ხანის სიმღერა-ღებები შემონახული აქვს. მაგრამ, თუ წერილობითი ძველებიც კი დროას გავლენის სიღრმეჩრებს ვერ გადაურჩა, წარმოდგენელია, რომ ზემარბიტყვაობის სახით დაცულს ვადმოცემაზა და ტექსტს საუფუნეთა განმავლობაში ჩვენამდის უცვლელად მოედრწა და სხვადასხვა დროთა და წრის შენაერთი ადგილენი ხან არაერთი ფენით არ იყოს აქტელებულ-შეცვლილი“¹.

ივ. ჭავჭავიძევილი ეთნოგრაფიულ მასალებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უძველესი კულტურული-ისტორიული მოვლენების ასახუნელად. იგი საქიროდ თვლიდა ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალების გამოყენებას არა მარტო ქართულ, არამედ ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების შინაარსის გასარკვევად. ამასთან ერთად, ივ. ჭავჭავიძევილი უძველესი ქართული წეს-ჩვეულებებისა და წარმართული რიტუალების შესწავლისათვის იყენებდა როგორც ქართულ, ისე ძველადმოსავლურ წყაროებს. საქმარისთა აღენიშნათ, რომ საქართველოში XX საუკუნის დამდეგამდე გადმონაშთის სახით შემორჩენილი „მელაია ტელუფაას“ დღესასწაულის შესწავლაში ივ. ჭავჭავიძევილი გამოიყენა ძვ. წ. XIV საუკუნის ხეთური ღურსმულ საბუთებში დაცული ცნობები ღვთაება ტელუფუნის შესახებ და ამ შორეულ პარალელურ მოვლენებში რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე ამოიკნო ნაყოფიერება-შვილიერების ღვთაების რწმენისა და მის სახელზე შესრულებულ საგალობელ-რიტუალთა არსებობის ანარეკლი.²

ივ. ჭავჭავიძევილი ისტორიულ-ლიტერატურული ძველის ეთნოგრაფიული ანალიზის უცილობელ პირობად თვლიდა მასში ასახულ წეს-ჩვეულებების ცოდნას. მაგალითად, როდესაც იგი ეხება საქორწინო ვადებულებათა ხასიათს V საუკუნეში იაკობ ზუცესის თხზულების მიხედვით, აღნიშნავს, რომ „იაკობ ზუცესის ზემომოყვანილი ცნობის მთელი შინაგანი მნიშვნელობის გასაგებად ქართული ძველი ქორწინების წესების ცოდნა საქირო“.³

ასეთი პასუხისმგებლობით იკვლევდა ივ. ჭავჭავიძევილი უფლისა და კულტურის პრობლემებს, მათ შორის საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის საკითხებს. ამ საკითხებს იგი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ განუზრახავს მონოგრაფიის დაწერა საქორწინო

წეს-ჩვეულებების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა ამ ჩანათქრის განხორციელება. სამაგიეროდ, ქორწინების მთელი რიგი თავისებურებების განხილვას სპეციალური პარაგრაფი დაუთმო „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში, ზოლო სხვადასხვა ეპოქის წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით თავის არაერთ ნაშრომში შეეხო ოჯახისა და ქორწინების ისტორიის მრავალ საკითხს, რომელთაგან აქ ზოგიერთზე შევეჩრებეთ.

საქართველოს ისტორიულ წარსულში ოჯახის სტრუქტურის ზოგიერთი თავისებურებას ივ. ჭავჭავიძევილი მოკლედ ვგაცნობთ იაკობ ზუცესის თხზულების მიხედვით, ამ წყაროზე დაყრდნობით საოჯახო უფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად თვლის მშობლებისა და შვილებისაგან შედგენილი სახლობის არსებობას, ე. ი. გაყარად მშენის ცალ-ცალკე ცხოვრებას. ივ. ჭავჭავიძევილი ამასთან ერთად უზრაველებს აქცევს საოჯახო უფის ისეთ კომპონენტებს, როგორცაა მამა-მამუქმთან და დედა-მამუქმთან გასზრდელად შვილების გაზარება, ოჯახში მამაკაცის პატრიარქალური უფლებამოსილება, ქმრისადმი ცოლის შორჩილება, ქალი უფლებრივი მდგომარეობის გამომახილები საწილი მოწყოლობისა და შემოსილობის ედემენტები, მამაკაცისა და დედაკაცის უფლებები ქვამასის დროს და ა. შ. ამ საკითხების ინტერპრეტაციის მიზნით საისტორიო მწერლობის ძველებს ქართველ საბქოთა მკვლევართაგან პირველად უზრადლება მიქცია ივ. ჭავჭავიძევილი. მისივე დამახორება იმის აღნიშვნა, რომ V საუკუნის საქართველოში უკვე არსებობდა ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში იქცა ოჯახის ძირითად ფორმად, ზოლო მის პარალელურად, როგორც ივ. ჭავჭავიძევილის სხვა გამოკვლევებიდანაც ნათლად ჩანს, ქართველი ხალხის უფოში არსებობას ინარჩუნებდა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა დიდი ოჯახის სახით.

როდესაც ოჯახის ამ ორი ტიპის თანარსებობის დადგენაში ივ. ჭავჭავიძევილის დევწად აღენიშნათ, მხედველობაში გვაქვს მისივე ნათქვამი, რომ გიორგი მერსილეს ნაწარმოებთ ცნობები ხანაში „სახლობა მრავალ-რიცხოვანიცა და პატარაც უფილა“, ზოლო „სახლობის წყერნი „სახლელულად“ იწოდებოდნენ“.⁴

სხვადასხვა ტიპის ოჯახების თანარსებობა ასევე ნათლად ჩანს გვიანფოედ-ღურთი ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალებიდან, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი თვით ივ. ჭავჭავიძევილი შეისწავლა, ზოლო მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ კიდევაც გამოქვეყნდა. XVII-XVIII სს. ამ აღწერებში ნაჩვენებია მოსახლეობის რაოდენობის

დენობა, საქმიანობა, ადგილმონაცდევობის ხაზობათ, სოციალური სტრუქტურა, ცალკეულ გვართა წარმომადგენლობა, ოქაბის შემადგენლობა და ა. შ. ოქაბის შემადგენლობის ჩვენებისას აღწერაში გაუთვალისწინებიათ მხოლოდ მაპრობითი სქესის წარმომადგენელთა აღრაცხვა. XVII საუკუნის მეორე ნახევრის ზემო ქართლის ხადროშის აღწერაში ჩამოთვლილია ერთად მცხოვრებ მამაკაცთა რაოდენობა თაობების ჩვენებით. პირველ რიგში დასახელებულია ოქაბის უფროსი, შემდეგ მისი ძმები და ბოლოს ძმთა ვაჟები. აღწერის ამ პრინციპისაგან განსხვავებით უფილი არაგვის საერისთავოს ანუ ხევსია და მთიულეთ-გუდამაყრის 1774 წლის აღწერაში, რომელიც ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა, ჭრდ დასახელებულია კომლი, ხოლო შემდეგ ნაჩვენებია კომლი შენავალ „თავთა“ რიცხვი, ერთ შემთხვევაში კომლი შენავალის მხოლოდ ერთი „თავი“, მეორე შემთხვევაში ორი, სამი და ა. შ. დასახელებულია ბევრი ისეთი კომლი, რომელიც აერთიანებს ოთხ, ხუთ და ექვს „თავს“. მთელი აღწერილობა ემყარება რა ამ პრინციპს, აღმწერთ სიაში შემქონდათ მხოლოდ კომლთა და „თავთა“ რიცხვი გვარების, შაშის სახელებისა და საკუთარი სახელების აღნიშვნით. არსად ოქაბის სრული აღწერა არ გვხვდება, ქალებისა და ბავშვების სახელები და მათი რიცხვი საესებით უგულებელყოფილია.

ოქაბის შემადგენლობის დასაბუთებლად განსაკუთრებით საინტერესოა კომლისა და მასში შენავალი „თავი“-ს მნიშვნელობა, რის შესახებაც ივ. ჯავახიშვილი წერს: „თავი“ კომლი ოქაბის უფროსს უნდა ნიშნავდეს, მამა — ქმარს... კომლში შეიძლება რამდენიმე ოქაბი იყოს, თვითონ ოქაბს ეყოლება „თავი“ ანუ უფროსი — „მამა“. ამნაირად მებატონის უფლების სიაში რომ გვარი და სახელია მოხსენებული, ის მთელი კომლის უფროსს ეკუთვნის, ხოლო დეათარში ნაჩვენებია, რამდენი ოქაბი სახლობს თვითონ კომლში“⁵.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილმა მოაკვლია სტატისტიკური მასალის დიდ ნაწილს, რომელიც საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ოქაბის სტრუქტურის შესწავლისათვის. ამასთან ერთად, მან ვანალიზა ადრე გამოქვეყნებული ანოთიე ვინარის მახალები და შექმნა იმის მტკიცების საფუძველი, რომ გვიანფორდალური ხანის მოსახლეობის აღწერის დავარებში ფიქსირებულია მეტ-ნაკლები სიდიდის ოქაბები, რაც ერთხელ კიდევ ააშკარავებს დიდ და პატარა ოქაბების თანაარსებობას.

ოქაბის შემადგენლობა და საოქაბო საკუთრების ფორმების შესწავლისათვის ასევე მრავლისმეტყველო წყაროა ოქაბების შეყარლობის წიგნები, რომელთა მკვლევა-გამომწერება

და ვანალიზება კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

ამ საბუთების შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ის ფრთხად საყურადღებო კანონზომიერება, რომ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულში „შეყარლობისადმი მისწრაფება და პროცესი ქართველი ერის ყველა წრეში იყო უმავალესობაზე მოყოლებული სოფლებზე“⁶. მისივე მტკიცებით, „ცხოვრების უშიშროების შესაქმნელად გაყარდებოდა უმარტებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეყარებაზე ზრუნავდნენ“⁷. ივ. ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ ოქაბების შეყრა წარმოადგენდა გაყარლობის საპირისპირო მოვლენას, ხოლო ეს ვარსებობა თანისთავად იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ქართველ ხალხში ხანგრძლივად იყო შემოინახული გაყარდებულ ცხოვრების ტრადიცია. პირველ უფლისა ამის დამატიკებელია ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული XVI-XVIII სს. შეყარლობის წიგნები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ შეყარლობა დადგენდნენ ოდინდელ ერთობას, ე. ი. დიდ ოქაბს, რომელიც აერთიანებდა ძმების, ბიძაშვილებისა და მათი შთამომავლობის რამდენიმე თაობას.

ივ. ჯავახიშვილის მიერ გამომწერებული საბუთების, თვით ამ დოკუმენტებზე დაურდობით მის მიერვე გამოქმნილი საყურადღებო შეხედულებებისა და საოქაბო უფის შემდგომი შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ოქაბების შეერთი დამყარებულ ურთიერთობაში გამოყენებული იყო ისტორიულად არსებული ქართული დიდი ოქაბის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, ხოლო ამგვარი ურთიერთობის დამყარება მიზნად ისახავდა მდგომარეობის შემსუბუქება-გაუმჯობესებას, ოქაბების შეყარობის აპრობებდა კონკრეტული სოციალურ-ეკონომიური ვითარება, ხოლო კანონზომიერ ისტორიულ პროცესად გვესახება დიდი ოქაბების დაშლა ინდივიდუალურ ოქაბებად. ამდენად, შეყარობა წარმოადგენდა ძველ ტრადიციებზე დამყარებულ დროებით დონისძიებას და არა სოქაბო თემის რესტავრაციის საშუალებას.

ოქაბის ისტორიული განვითარების და მისი შესაბამისი ფორმების დადგენისათვის უარდრხად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საოქაბო საკუთრების სახეობათა გარკვევას, რასაც ივ. ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე ტომის მეორე ნაკვეთში სპეციალური თავი დაუთმო. ისტორიული წყაროების ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განალოწების შედეგად მან დაადგინა საოქაბო ქონების სამი ძირითადი სახეობა: „მამული“ (ოქაბის სამეშვიდრეო ქონება), „დედული“ (ქალის მიერ მიტანილი მშობელი) და „მონაგვები“ (ოქაბში საერთო გარჯით შექმნილი ქონება).

ნება) 10 ივ. ჭავჭავაძის გამოსცემით, IX საუკუნემდე არსებულ წყაროებში „მაშული“ და „დედული“ იმპარბოდა ადამიანის მოდგმა-წარმომავლობის მნიშვნელობით და ნიშნავდა მამისებულ თუ დედისებულ სამშობლოს. IX საუკუნის შემდგომ პერიოდში „მაშულს“ შინაარსი გაუარესდა, „რომელშიც მამის უძრავ-მორავის გარდა, არსებობდა, დედის ნაშთები და მონაგებიც შეიკრებოდა, რეულად, რამდენადაც შეიძლება თავიანთი დედის საკუთრებას, დედულის, კანონიერ შემკვიდრებამ ითვლებოდნენ. 11

საოჯახო საკუთრების შემოსხმეხმეულ სახეობათა არსებობა ივ. ჭავჭავაძისა და ფეოდალური დიდი ოჯახის დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახის ფორმირების საფუძვრად, შემკვიდრების სამართალი შეიძლება მხოლოდ მაშინ განვითარდეს, როცა კერძო საკუთრება განიხილავ, ესე იგი მას შემდეგ, რაც საჯაროებულ სახლი პატარ-პატარა ხანობებზე დაიყო 12. ამას კონკრეტულ მთავრობებზე შევსება არსებობის ვარსკენ პიტახის ოჯახს იაკობ ხუციას, ხოლო ზენონის ოჯახს გიორგი შერჩულეს თხზულებათა მიხედვით. ივ. ჭავჭავაძის აზრით, ცალ-ცალკე ოჯახებზე მცხოვრებ ვარსკენ პიტახისა და მის მძის „თუ უძრავი ვაჟობელი არა ჰქონდათ, თვითუფს მამის თავისი საკუთარი მერსნობა და საკუთარი მონაგები უნდა ჰქონდათ“ 13. მკვლევარი დაბეჭდებით ასეობაზე ხურათს ზედაც გიორგი შერჩულეს ეპოქაში, როდესაც მშობლები შეიღებეს უნაწილებდნენ მხოლოდ მონაგებს, რამდენადაც შეიძლება შორის ქონების ვაჟობა მობეჭდული უფლია მხოლოდ მშობლების გარდაცვალების შემდეგ 14. მაშასადამე, ივ. ჭავჭავაძისა საოჯახო საკუთრების სახეობათა შესწავლის შედეგად გარკვევით თქვა, რომ ოჯახში ქონების შემკვიდრებით გადაცემის წესი უკუწირდება კერძო საკუთრების განიხილავ (ე. კ. კლახობრივი საზოგადოების წარმოქმნას), საოჯახო თემის დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახის ფორმირებას. ამასთან ერთად, ივ. ჭავჭავაძის მსჯელობაში აშკარად გამოიკვეთა შეხედულება იმის შესახებაც, რომ V თუ VIII-IX საუკუნეების საქართველოში არსებული ინდივიდუალური ოჯახი ჭერ კიდევ ინარჩუნებდა მისი წინამორბედი საოჯახო თემის ცალკეულ ელემენტებს (უძრავი ვაჟობლობა, მშობლებს გარდაცვალებამდე შეიღების ვაჟობლობა). ბუნებრივია, რომ საოჯახო თემის კომპონენტები ვაცილებით მდგრად მდგომარეობას ინარჩუნებდნენ იმდროინდელ დიდ

ოჯახში, რომლებაც უსათუოდ თანარსებობდნენ პატარა ოჯახებთან ერთად.

საოჯახო ქონებაზე ვაჟის სამეკვიდრეო უფლებებთან ერთად ივ. ჭავჭავაძის განიხილავს ქალის მდგომარეობასაც. მას მიანიხილავს, რომ „ქართული შემკვიდრების სამართალი ქალსაც აძლევდა მშობლების საკუთრების დამკვიდრების უფლებას“ 15. ამის ერთ-ერთ საბუთად მკვლევარი იმეფებს გიორგი შერჩულეს ცნობას, რომ განსვენებული დედ-მამის „მონაგები“ დარჩათ ზენონს და მის დას, მაგრამ იქვე მხედველობაში იღებს რა იმ ვაჟობობას, რომ ზენონის და ვაჟობობელი არ უფლია, დაასვენებს: „მშობლების მონაგების დამკვიდრების უფლება ამ დას სწორედ აბიტომა ჰქონდა, რაცა იგი „იყო სახლსა შინ“ და ვაჟობობელი არ უფლია. ვაჟობობ ქალსა და დას, ვითარცა ზითიანს, მშობლების შემკვიდრებაში, როგორც ეტყობა, წილი არ სდები“ 16.

ივ. ჭავჭავაძის დაკვირვებით, თვით ვაჟობობელი ქალსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებოდა ქონებაზე შემკვიდრების უფლება, „როდესაც საჯაროებულთგან არც ერთი წევრი აღარ იყო შემორჩენილი, რომელსაც დარჩენილი ქონების დამკვიდრების უფლება ჰქონდა“ 17. სამავიეროდ, ქალის საკუთრებად ითვლებოდა მშითვი. ივ. ჭავჭავაძის აზრით, „პირველ ხანებში „ზითვი“ მობრავი ქონებისაგან შედგებოდა. VIII-XIII ს. მაინც-და-მაინც მშითვად მობრავი ქონების მიცემა ჩვეულებრივი საქმე იყო და მტკიცე წესად იყო გამჭდაბი“ 18. სათანადო მონაცემების უქონლობის გამო ამ წესის დამკვიდრების დროის განსაზღვრება ივ. ჭავჭავაძისთვის იკავებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ „ზითვი“ ტერმინად დაბეჭდის თარგმანში გვხვდება (გამოსვლათა მ 217), ხოლო უძრავად უკვე VIII-IX ს. არსებობდა და მას ამ დროს „დედული“ რქმევია, ე. კ. იმ ვაჟობობის სახელი, რომლითაც მამის საჯაროებულ უძრავ ქონებას აღნიშნავდნენ („მაშული“), აბიტომა შეიძლება ვეფოქარა, რომ უკვე VIII-IX ს-ითგან მოყოლებული ზითვად უძრავი ქონებაც უნდა ეძლიათ“ 19.

ამ მოცემულ მტკიცებასთან ერთად საუბრავდებოდა ივ. ჭავჭავაძის მიერ დამოწმებული სხვა მონარბის ისტორიული მონაცემები, რომლის მიხედვით მშითვის მიტანა შუა საუკუნეების საქართველოში მაინცდამაინც საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგების მტკიცედ განსაზღვრულ ვალდებულებად არ წარმოგვიდგება. ივ. ჭავჭავაძის მიხედვითა

ქონდა გიორგი VIII-ის პასუხი 1451 წ. ბიზანტიის მეფის დესპანისადმი. „მისი ასულის ბიზანტიის მეფისათვის საცოლედ მისთვისდელ დესპანისათვის გიორგი მეფეს ვანუცხადებთა: ჩვენი ქვეყნის ზნეჩვეულებას თანახმად საქმროს შოაქვს საცოლსთვის ქონება და არა საცოლს საქმროსთვის, ამიტომ მე ჩემს ასულს მხოთვეს ვერ გამოვადან, შარამ სხვაფრთვ ქონებრივად უზრუნველდეთოცო.“²⁰

გარკვეული დიპლომატიური მოსაზრების გამო შესაძლებელია ამ პასუხში ეთნოგრაფიული საზუსტეს არ იყოს დაცული, მაგრამ რა მიზნითაც არ უნდა უოფილიყო ეს თქმული, უსათოდ სარწმუნოდ მისაჩნევია მეფის განმარტება საქმროს უპარტესი ქონებრივი მოვალეობის შესახებ. აღნიშნული ვითარების დასაბუთებისათვის ივ. ჭავჭავიძელმა მიმართა როგორც უფრო ადრინდელ, ისე გვიანდელ წყაროებს. იაკობ ზუცუას თხზულებაზე დაუბრუნებით მან განმარტა, რომ V საუკუნის საქართველოში საქორწინო კავშირის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ქმრის მიერ ცოლისთვის ნივთების მიართვის წესი. მისივე დაყვირებით, ცოლ-ქმრის შორის განსეთქვითებას შემთხვევაში ამ ნივთებს ქმარი უყენებოდა და შიორც ცოლს მიართმევდა. იაკობ ზუცუას ცნობათა შინაარსის გარკვევის მიზნით ივ. ჭავჭავიძელმა გაანალიზა აგრეთვე XVII-XVIII სს. მონაცემები, სახელდობრ ვახტანგ ერყმის ძე ბატონიშვილის „ისტორიები აღწერა“, არქანდელ დამბერტის ცნობები თუ რა. იხილეთ სხვა წყაროები და საცოლსათვის საქმროს მიერ მატრიალური ვალდებულების წესში დანახა ურუაღის კვალი და ანარქული, ე. ი. სუიდეითი ქორწინების ვადმონათი, რომლის დოკალური ვარიანტები საქართველოში, განსაკუთრებით კი მის მთიან ზოლში (სვანეთი, ზევი), XIX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც თვალნათლივ დადასტურდა.²¹

